



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
გიორგი მელაძე

მეუღლეთა კანონისმიერი და სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი გიორგი რუსიაშვილი

თბილისი

2025

აბსტრაქტი

სადისერტაციო კვლევა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სამართალს შეეხება, რომელიც მსოფლიოს მარეგულირებელი სისტემების მიხედვით მრავალფეროვანი სურათით გამოირჩევა. კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულია კონტინენტურ-ევროპულ და ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ მიდგომებს შორის არსებული განსხვავება. კერძოდ, კონტინენტურ-ევროპული სისტემა ქორწინების ქონებრივ შედეგებს ნორმათა სპეციალური ერთობლიობის საფუძველზე აწესრიგებს, რაც მეუღლეთა ქონებრივი სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი, მაშინ როდესაც საერთო ანგლო-ამერიკულ სამართალს არ გააჩნია ამგვარი მარეგულირებელი სისტემა - შესაბამის სახელმწიფოებში არ არსებობს პირველადი კანონისმიერი რეჟიმი, რადგან ქორწინება ავტომატურად არ წარმოშობს მეუღლეთა ქონებრივ უფლებებს.

სადისერტაციო ნაშრომში დეტალურად გამოკვლეული და გაანალიზებულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამი სამართლებრივი ინსტიტუტი - 1. კანონისმიერი ქონებრივი; 2. სახელმეცრულებო ქონებრივი და 3. ურთიერთრჩენის პრობლემური საკითხები.

ნაშრომის ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემატიკის საფუძველზე შესწავლილია მეუღლეთა თანასაკუთრების კანონისმიერ რეჟიმთან დაკავშირებული თანამედროვე პრობლემური საკითხები. რაც შეეხება საქორწინო სახელმეცრულებო ურთიერთობებს - აღნიშნული ინსტიტუტი ქართულ საოჯახო სამართალს საბჭოთა მემკვიდრეობის სახით არ მიუღია და შესაბამისად, წინამდებარე კვლევის ფარგლებშიც ის განიხილება, როგორც პოსტსაბჭოთა სამართლებრივ სივრცეში არსებული ინოვაციური ელემენტი.

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში არ არის იგნორირებული შედარებითი საოჯახო სამართლებრივი კვლევისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რადგან სამეცნიერო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე (კერძოდ, საოჯახო სამართლის ცალკეული ქვეყნის ეროვნულ კულტურასთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო), შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება გარკვეულწილად პრობლემურია და

აღნიშნული მეთოდოლოგიური თავისებურება, ბუნებრივია გავლენას ახდენს ამავე სფეროში ჩასატარებელ კვლევებზე. აღნიშნული ფაქტორი გათვალისწინებულია წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში და მასში გაანალიზებული უცხოური წყაროები შერჩეულია ორი ძირითადი ნიშნის საფუძველზე: 1. ქართულ სამართალთან ისტორიული სიახლოვე. 2. ქართულ სამართალთან შინაარსობრივი სიახლოვე, მიუხედავად განსხვავებული ისტორიული ტრადიციის არსებობისა.

დამატებით, კვლევის ფარგლებში უცხოური წყაროების შერჩევისას შემდეგი ფაქტორები იყო მნიშვნელოვანი - არის თუ არა კონკრეტული მართლწესრიგი, საქართველოს მსგავსად, მეუღლეთა საერთო ქონების კანონისმიერი რეჟიმის მიმდევარი ან არის თუ არა შესაძლებელი განსაზღვრული მართლწესრიგის ფარგლებში საერთო ქონების რეჟიმის შემოღება მეუღლეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც ქართული საოჯახო სამართლისთვის რელევანტური მსჯელობის განვითარებისა და დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, გერმანია).

ქართული საოჯახო სამართალი ხასიათდება ყველა იმ პრობლემური საკითხით, რომელიც თავის მხრივ გავრცელებულია განსაკუთრებით ევროპულ და გარკვეულწილად ანგლო-ამერიკულ იურისდიქციებში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში შესწავლილი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საუკეთესო უცხოური გამოცდილება, ქართული საოჯახო სამართლის, როგორც ახალგაზრდა სამართლებრივი სისტემისთვის სწორი მიმართულებით განვითარების წინაპირობებს წარმოშობს.

საკვანძო სიტყვები: საოჯახო სამართალი; მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმები; მეუღლეთა თანასაკუთრება; საქორწინო ხელშეკრულება; მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა.

Abstract

The dissertation research is about the law of property relations of spouses, which provides a diverse picture according to the regulatory systems of the world. Within the framework of the research, the essential difference between continental European and Anglo-American legal approaches is taken into account. In particular, the continental European system regulates the property consequences of marriage on the basis of a special set of norms, which is generally known as the property law of spouses, while the common Anglo-American law does not have such a regulatory system - there is no primary legal regime in the respective states, because marriage does not automatically give rise to the property rights of spouses.

Problematic issues of the following three legal institutions are investigated and analyzed in detail in the thesis - 1. Legal Property Regime; 2. Contractual Property Regime and 3. Mutual Support of Spouses.

Within the framework of the work, based on the systematics of the Civil Code of Georgia, modern problematic issues related to the legal regime of co-ownership of spouses are studied. As for marital contractual relations, modern Georgian family law did not inherit this institution as a soviet legacy, and therefore, within the scope of this study, it is considered as an innovative element in the post-soviet legal sphere.

In the thesis, the general peculiarities characteristic of comparative family legal research are not ignored, because due to the specificity of the scientific field (in particular, due to the special proximity of family law to the national culture of a particular country), the use of the comparative-legal method is somewhat problematic, and the mentioned methodological peculiarity naturally affects on the studies to be conducted in this field. The mentioned factor is taken into account within the scope of this doctoral work, and the foreign sources analyzed in are selected based on two main indicators: 1. Historical proximity to Georgian law. 2. Content proximity to Georgian law, despite the existence of different historical tradition.

In addition, in the selection of foreign sources within the scope of the research, an important factor was whether a specific legal order is a follower of the legal regime of joint property of spouses, like Georgia, or whether it is possible to choose a regime of joint property based on the agreement of the spouses within the framework of a specific legal order, which provides an opportunity to develop reasoning and draw conclusions relevant to Georgian family law (for example, Germany).

Georgian family law is characterized by all those problematic issues, which in turn are widespread especially in European and to some extent Anglo-American jurisdictions. Accordingly,

the best foreign experience in regulating the property relations of spouses, studied within the scope of this research, creates prerequisites for the proper development of Georgian family law as a young legal system.

Keywords: *Family Law; Property Regimes of Spouses; Co-ownership of Spouses; Marriage Contract; Mutual Maintenance Duty of Spouses.*

სარჩევი

შესავალი	1
თემის აქტუალობა და კვლევის სიახლე	1
კვლევის მიზნები და ამოცანები	3
კვლევის მეთოდოლოგია	4
ნაშრომის სტრუქტურა	5
კვლევის შედეგი	8
I. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების უნივერსალური პრინციპები	9
1. მეუღლეთა ქონებრივი სისტემების ფუნქციური დახასიათება	9
2. დაფარული უფლება	14
3. ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმი.....	15
4. გაყოფილი ქონების რეჟიმი.....	17
5. საერთო ქონების რეჟიმის გერმანული არქექტიპები	18
5.1. საერთო ქონება (<i>Gesamtgut</i>).....	20
5.2. პირადი ქონება (<i>Sondergut</i>).....	22
5.3. გამოყოფილი ქონება (<i>Vorbehaltsgut</i>).....	24
II. მეუღლეთა თანასაკუთრება - ქონებრივი ურთიერთობის ფუნდამენტი	28
1. მეუღლეთა საერთო საკუთრების თანაზიარი ბუნება	28
2. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის პრობლემა	32
3. კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესის დაცვა მეუღლეთა თანასაკუთრების განსაზღვრის პროცესში.....	34
4. რეესტრის ჩანაწერის ჩასწორების მოთხოვნის უფლება - უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების დაცვის მექანიზმი	39
5. ოჯახის საჭიროებების სფეროში მეუღლეთა წვლილის შეტანის ვალდებულება.....	42
6. მეუღლეთა არაპირდაპირი წვლილის იდენტიფიცირება და გამონაკლისი ქონების თანასაკუთრებად გადაქცევის წესიდან	43
7. მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა	48
III. ცალკეული ქონების სამართლებრივი რეჟიმი	49
1. დაქორწინებამდე არსებული ქონება.....	49
2. დაქორწინებამდე არსებული თანხის/ქონების განკარგვის შედეგი.....	52
3. დაქორწინებამდე არსებული ქონების გამოყენების შედეგად მიღებული ნაყოფის (შემოსავლის, სარგებლის) სამართლებრივი რეჟიმი	54
4. ჩუქებით მიღებული ქონება	57
5. მეუღლეთა შორის ჩუქება	62
6. მემკვიდრეობით მიღებული ქონება	66
7. საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხა	68
8. წილი სამეწარმეო საზოგადოებაში.....	72
9. სუბროგაცია	77

10. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები	79
11. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.....	83
12. ინდივიდუალური ქონების გადაქცევა თანასაკუთრებად.....	86
IV. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლები	90
1. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლები	90
1.1. <i>ოჯახური ერთობის ჩაშლა</i>	91
1.2. <i>მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება</i>	93
1.3. <i>სასამართლოს მიერ საერთო ქონების მიკუთვნება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას</i>	95
1.4. <i>მეუღლის გადახდისუუნარობა</i>	97
1.5. <i>კრედიტორის მიერ საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა</i>	99
1.6. <i>ქონების ჩამორთმევა</i>	100
V. მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები.....	101
1. ქონებრივი ვალდებულებების დიქტომია.....	101
2. მეუღლის ინდივიდუალური ვალის დაფარვის წესი	102
VI. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა.....	104
1. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის შესახებ შეთანხმება.....	104
2. თანასაკუთრების გაყოფის წესი	105
3. წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა	108
3.1. <i>არასრულწლოვანი შვილის ინტერესები</i>	108
3.2. <i>ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები - შრომისუუნარობა</i>	112
3.3. <i>ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები - საერთო ქონების გაფლანგვა</i>	114
4. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის წესი	117
5. საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.....	118
VII. საქორწინო ხელშეკრულება.....	122
1. ქონებრივი რეჟიმის მოწყობის კერძო ავტონომიური ინსტრუმენტი	122
2. საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარდაჭერის მიმღების ინტერესის დაცვა 124	
3. საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესის დაცვა.....	126
4. საქორწინო ხელშეკრულების დადება და ფორმა	129
5. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი	132
6. მოძღვრება დაცული ბირთვული სფეროს შესახებ და საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის სუბიექტური ელემენტი.....	139
7. ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა, როგორც საქორწინო ხელშეკრულების ცვლილების საფუძველი.....	148
8. საქორწინო ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები მესამე პირთა მიმართ 153	
VIII. მეუღლეთა საალიმენტო ურთიერთობები.....	159

1. სარჩოს დაკისრების საფუძველი - მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის შრომისუუნარობა	159
2. სარჩოს დაკისრების საფუძველი - ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან სამწლიანი პერიოდი	163
3. მეუღლის შემოსავალი და ქონება	166
4. გაუმართლებელი შემთხვევები	168
4.1. ხანმოკლე ქორწინება	169
4.2. უღირსი საქციელი	171
4.3. საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება	175
4.4. დანაშაული	178
5. ქართული სამართლის მიერ პირდაპირ გაუთვალისწინებელი შემთხვევები	181
5.1. მყარი საქორწინო კავშირი	182
5.2. მარჩენალი მეუღლის არსებითი ქონებრივი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება	184
5.3. ოჯახის რჩენაში საკუთარი წვლილის შეტანის ვალდებულების უბეში დარღვევა	185
5.4. ღია დათქმა	186
დასკვნა	189
ბიბლიოგრაფია	207
დანართი N 1 - თანასაკუთრების მართვის პრინციპები	227
1. თანასაკუთრების პარალელური მართვის პრინციპი	227
2. თანასაკუთრების ერთობლივი მართვის პრინციპი	228
2.1. ოჯახური საჭიროებების დაფარვის კრიტერიუმი	231
2.2. მეუღლეთა ინფორმირების ვალდებულება	231
დანართი N 2 - საერთო ქონების რეჟიმის ლიკვიდაციის ეტაპები	233
1. საერთო ქონების რეჟიმის ლიკვიდაცია	233
1.1. საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრა	236
1.2. საბაზრო ღირებულების დადგენა	237
1.3. კომპენსაციების განხორციელება	238
1.4. საერთო ვალდებულებების შესრულებისა და კომპენსატორული მოთხოვნების რიგითობა	240
დანართი N 3 - სარჩოს ოდენობის განსაზღვრა	241

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი

ქართულენოვანი

გსკ.	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
იხ.	იხილეთ
კომისია	ევროპული საოჯახო სამართლის კომისია
რფსკ.	რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსი
სსკ.	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

გერმანულენოვანი

Art.	Artikel
Aufl.	Auflage
BGB.	Bürgerliches Gesetzbuch
BGH.	Bundesgerichtshof
BeckOK.	Beckscher Online Kommentar
DNotZ.	Deutsche Notar-Zeitschrift
FamFG.	Gesetz über das Verfahren in Familiensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit
FamFR.	Familienrecht und Familienverfahrensrecht
FamRZ.	Zeitschrift für das gesamte Familienrecht
HK.	Handkommentar
HdB.	Handbuch
JuS.	Juristische Schulung
Kap.	Kapitel
MüKo.	Münchener Kommentar
NJW.	Neue Juristische Wochenschrift
NJW-RR.	Neue Juristische Wochenschrift Rechtsprechungs-Report Zivilrecht
NZFam.	Neue Zeitschrift für Familienrecht
NZG.	Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht
NJOZ.	Neue Juristische Online-Zeitschrift
OLG.	Oberlandesgericht
Rn.	Randnummer

Urt.	Urteil
ZEV.	Zeitschrift für Erbrecht und Vermögensnachfolge

რუსულენოვანი

РГГУ.	Российский Государственный Гуманитарный Университет
Вып.	Выпуск

ინგლისურენოვანი

Ark. Ct. App.	Arkansas Court of Appeals
CEFL.	Commission on European Family Law
CLR.	Commonwealth Law Reports
EWCA Civ.	Court of Appeal of England and Wales Decisions (Civil Division)
EU	European Union
Ed.	Edition
FCCA.	Federal Circuit Court of Australia
FedCFamC.	Federal Circuit and Family Court of Australia
HCA.	High Court of Australia
La. Ct. App.	Louisiana Court of Appeals
N.Y.	New York Court of Appeals
No.	Number
S.W.	South Western Reporter
Tex. App.	Texas Appellate Court
UKHL.	United Kingdom House of Lords
U.S.	United States
Vol.	Volume
Vs.	Versus
Wis. Ct. App.	Wisconsin Court of Appeal

შესავალი

თემის აქტუალობა და კვლევის სიახლე

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები საოჯახო სამართლის ცენტრალური ნაწილია, რომელიც მოიცავს სამ მიმართულებას: 1. კანონით დადგენილი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები. 2. მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობები. 3. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნორმატიული რეგულირების საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში - „სსკ“) განთავსება, ამავე კანონის პროექტზე მომუშავე კომისიის წევრთა დისკუსიის შედეგია. კერძოდ, საბჭოთა კავშირის პერიოდში საოჯახო ურთიერთობების ცალკე კოდექსის სახით მოწესრიგება, საბჭოურ გადაწყვეტად არის შეფასებული.¹ სსკ-მ კლასიკური გერმანული (პანდექტური) სისტემა აირჩია - კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში - „გსკ“) „საოჯახო სამართალი ვალდებულებით სამართალსა და მემკვიდრეობით სამართალს შორის არის მოთავსებული.“²

თემის აქტუალობას, ფართო კონტექსტის გათვალისწინებით, რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს სსკ-ს მიღების დღიდან დღემდე არ განუცდიათ არსებითი საკანონმდებლო ცვლილებები.³ შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, დაახლოებით 30 წლიანი გამოცდილება არსებობს განსახილველი საკანონმდებლო სისტემის განმარტებისა და გამოყენების მიმართულებით. აღნიშნული გამოცდილების შესწავლა აუცილებელი წინაპირობაა ამავე სფეროს შემდგომი განვითარებისათვის. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი საკანონმდებლო სისტემა წარმოადგენს ისეთ ნორმათა ერთობლიობას, რომელიც აწესრიგებს როგორც მეუღლეთა შორის, აგრეთვე მესამე პირებთან მათ ქონებრივ ურთიერთობებს საოჯახო სამართლებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე.⁴

¹ *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, თბილისი, 2000, 3.

² *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, VI.

³ საკანონმდებლო ცვლილებები განიცადა სსკ-ის 1160-ე და 1172-ე მუხლებმა.

⁴ *Moldovan I. F.*, Matrimonial Regimes in the New Romanian Civil Code, International Journal of Juridical Sciences, Vol. 7, 2013, 128.

შესაბამისად, იმ სოციალური რეალობის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით ოჯახი საზოგადოების ფუნდამენტური რგოლი და ადამიანთა თანაცხოვრების ჯერ კიდევ ყველაზე გავრცელებული ფორმაა, აღნიშნული გარემოება თავის მხრივ განაპირობებს კვლევის აქტუალობას. აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქორწინება მეუღლეებისათვის არა მხოლოდ მორალურ/პირად ვალდებულებებს წარმოშობს, არამედ მათთვის იმგვარ მოვალეობათა დაკისრებასაც იწვევს, რაც თავისი არსით ეკონომიკური/ქონებრივი ხასიათისაა. შესაბამისად, მეუღლეთა ურთიერთობების ქონებრივი ასპექტი არანაკლებ მნიშვნელოვანია პირად ურთიერთობებთან შედარებით, რადგან სწორედ აღნიშნული სფეროს სამართლიანად მოწესრიგებაზეა დამოკიდებული ოჯახის მატერიალური კეთილდღეობის მიღწევისა და მისი შენარჩუნების საკითხი.

თემის აქტუალობას, ვიწრო კონტექსტის მიხედვით, შემდეგი ფაქტორები განსაზღვრავენ - უპირველეს ყოვლისა ეს არის განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტების ფარგლებში არსებული თითოეული ნორმის ანალიზის, მათი მოქმედების სფეროებისა და მნიშვნელობის დადგენის საჭიროება. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხების სრულად ამოწურვა პრაქტიკულად მიუღწეველი ამოცანაა, თუმცა განსახილველ ნორმათა შინაარსობრივი/სტრუქტურული ელემენტებისთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების, აგრეთვე თავისებურებების გამოკვეთა შესაძლებელი და აუცილებელია. გასათვალისწინებელია, საუკეთესო ევროპული პრაქტიკის იდენტიფიცირება და მისი ანალიზის აუცილებლობაც. ამ მხრივ აღსანიშნავია 2001 წელს შექმნილი ევროპული საოჯახო სამართლის კომისიის (შემდგომში - „კომისია“) მიერ გაწეული ფართომასშტაბიანი კვლევა და მისი შედეგები, რომელიც დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ იქნა მიღწეული. ქართული საოჯახო სამართლის ევროპულ სივრცესთან ინტეგრირების მიზნებისთვის აუცილებელია შესწავლილი იყოს სწორედ აღნიშნული მრავალწლიანი კვლევის შედეგები, რაც დამატებით განაპირობებს თემის კვლევის აქტუალობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულმა საოჯახო სამართალმა არჩევანი გერმანული პანდექტური სისტემის სასარგებლოდ გააკეთა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული არჩევანი მხოლოდ კოდექსის სტრუქტურასთან დაკავშირებული მოსაზრებებით არ არის ნაკარნახევი და შესაბამისად, დღის წესრიგში

დგას თანამედროვე გერმანული საოჯახო სამართლის შესწავლაც საკვლევი თემის ფარგლებში. წინამდებარე ნაშრომში რიგი სამართლებრივი ინსტიტუტები მნიშვნელოვანწილად გერმანულ სამართალთან კავშირში განიხილება. ცალკე აღნიშვნის ღირსია ქართული დოქტრინული სამეცნიერო წყაროები, რომელიც ასევე დამატებით საჭიროებს შესწავლას შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით, რაც კვლევის აქტუალობის განმაპირობებელი კიდეც ერთი გარემოებაა. ყურადღების საგნის სფეროში ექცევა აგრეთვე ქართული სასამართლო პრაქტიკის განვითარების ტენდენციები და მათი შესაბამისობის შესწავლა მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში რიგ სამართლებრივ საკითხებთან კავშირში გაანალიზებული და შეფასებულია რელევანტური ქართული სასამართლო პრაქტიკაც.

კვლევის სიახლის მხრივ აღსანიშნავია, რომ ნაშრომის ფარგლებში იდენტიფიცირებული და კრიტიკულად გაანალიზებულია როგორც ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის, აგრეთვე იურიდიული დოქტრინისთვის დღეს არსებული საკითხები, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია დარგისათვის დამახასიათებელი თანამედროვე პრობლემების გადაჭრის არსებითად ახალი არგუმენტაცია.

კვლევის მიზნები და ამოცანები

სადისერტაციო კვლევის მიზანია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- უპირატესად შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენების გზით მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სისტემატიკის დახასიათება და გაანალიზება სსკ-ის საფუძველზე.
- გამოსაკვლევ ნორმათა მოქმედების სფეროების, ცნებათა ელემენტების შინაარსისა და მათი განმარტების თავისებურებების შესწავლა.
- ქართული სამართლებრივი დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მოსაზრებების/განმარტებების გამოკვლევა და მათი მართებულობის შეფასება უცხო ქვეყნების (როგორც კონტინენტურ-ევროპული, აგრეთვე ანგლო-ამერიკული) სამართლის წყაროებზე დაყრდნობით.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ძირითადად ორიენტირებულია ქართული საოჯახო სამართლის ფარგლებში არსებული პრობლემების შესწავლასა და მათი გადაჭრის გზების პოვნაზე. ამ მიზნის მისაღწევად შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენების გზით გაანალიზებულია უპირატესად ევროპული სამართლის, განსაკუთრებით კომისიის მიერ განსაზღვრული საუკეთესო მიდგომები. სადისერტაციო ნაშრომი ასევე ეყრდნობა ცალკეული ქვეყნების გამოცდილებას, რომელთა შორისაც აღსანიშნავია გერმანული და რუსული მართლწესრიგები - კერძოდ, წინამდებარე ნაშრომის ფოკუსირება ამავე ქვეყნების საოჯახო სამართლებრივ სფეროებზე განპირობებულია ერთი მხრივ ქართული სამართლისთვის თანამედროვე გამოცდილების გაზიარების საჭიროებით (გერმანულ სამართალზე ორიენტირების ნაწილში), ხოლო მეორე მხრივ, არსებული მოწესრიგების (საქორწინო ხელშეკრულების მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმების გამორიცხვით) ისტორიული პირველწყაროს შემდგომი განვითარების შესწავლის მნიშვნელობით (რუსულ სამართალზე ორიენტირების ნაწილში), რომლის იგნორირებაც წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამართლებული არ იქნებოდა.

კვლევა ძირითადად ემყარება შედარებით-სამართლებრივ და ისტორიულ-სამართლებრივ მეთოდებს. კვლევის ფარგლებში დამუშავებულია როგორც დოქტრინული წყაროების, აგრეთვე სასამართლო პრაქტიკის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომები სისტემური და კრიტიკული ანალიზის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი უცხოური სამართლის წყაროების დამუშავების ფარგლებში მიღებული შედეგები სრულად გაზიარებული უნდა იყოს ქართული საოჯახო სამართლის მიერაც, ნაწილობრივ სასამართლო პრაქტიკის, ხოლო ნაწილობრივ საკანონმდებლო დონეზე.

ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია რვა (VIII) ნაწილის სახით. აღნიშნული ნაწილები დაყოფილია თავებად, რომელიც ცალკეული საკითხის გათვალისწინებით დაყოფილია ქვეთავებად.

წინამდებარე ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების უნივერსალური პრინციპების ანალიზს. აღნიშნული ნაწილი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მეუღლეთა ქონებრივი სისტემების ფუნქციური დახასიათება, დაფარული უფლება, ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმი, გაყოფილი ქონების რეჟიმი და საერთო ქონების რეჟიმის გერმანული არქექტიპები. ხაზგასასმელია, რომ ამავე ნაწილში გაანალიზებულია მსოფლიოს ცალკეული იურისდიქციის მიხედვით (განსაკუთრებით გერმანული სამართლის მაგალითზე) არსებული მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმები, მათ შორის ქართული სამართლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი სისტემის იდენტიფიცირების მიზნით. ამ უკანასკნელმა გარემოებამ თავის მხრივ გავლენა მოახდინა კვლევის მომდევნო ეტაპებზე.

ნაშრომის მეორე ნაწილი შეეხება მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც კონცეპტუალურ ხასიათს ატარებენ. კერძოდ, მეუღლეთა საერთო საკუთრების თანაზიარ ბუნებას, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის პრობლემას, კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესთა დაცვას მეუღლეთა თანასაკუთრების განსაზღვრის პროცესში, რეესტრის ჩანაწერის ჩასწორების მოთხოვნის უფლებასა და დარგისათვის მნიშვნელოვან სხვა პრობლემურ საკითხებს. ამავე ნაწილის დანართი ორიენტირებულია თანასაკუთრების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვაზე.

კვლევის მესამე ნაწილში გაანალიზებულია ცალკეული ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრის პრობლემა. მაგალითად, დაქორწინებამდე არსებული ქონების სამართლებრივი რეჟიმი, ჩუქებით მიღებული ქონებისა და მეუღლეთა შორის ჩუქების საკითხები, მემკვიდრეობით მიღებული ქონების, საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხის, სამეწარმეო საზოგადოებაში არსებული წილის რეჟიმების, აგრეთვე სუბროგაციისა და სხვა პრობლემური საკითხები.

მეოთხე ნაწილი ეთმობა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლებს. აღნიშნული ნაწილის ფარგლებში ცალ-ცალკე და დეტალურად განხილულია მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლები, რაც საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას შეესაბამება. აგრეთვე, აღნიშნული ნაწილის დანართში ინდივიდუალურ დონეზე გაანალიზებულია მეუღლეთა თანასაკუთრების ლიკვიდაციის ეტაპისათვის დამახასიათებელი პრობლემები.

ნაშრომის მეხუთე ნაწილი ორიენტირებულია მეუღლეთა საერთო და ინდივიდუალური ვალდებულებების სფეროზე - ქონებრივი ვალდებულებების გამიჯვნისა და ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის საკითხებზე.

ნაშრომის მეექვსე ნაწილში განხილულია საკითხები მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების, მეუღლეთა საერთო ქონებისა და ვალების გაყოფის წესების, აგრეთვე ამავე პროცესში წილთა თანაბრობის პრინციპისგან გადახვევის თაობაზე (ინდივიდუალურ დონეზე). ამავე ნაწილის ბოლო თავი შეეხება საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

ნაშრომის მეშვიდე ნაწილი ფოკუსირებულია საქორწინო ხელშეკრულების, როგორც მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის მოწყობის კერძო ავტონომიური ინსტრუმენტის შესახებ და მის ფარგლებში თავის მხრივ გაანალიზებულია ისეთი პრობლემები, როგორიცაა - საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარდაჭერის მიმღებისა და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესების დაცვა. გამოკვლეულია საქორწინო ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებული რიგი სამართლებრივი ელემენტები - ხელშეკრულების დადება, ფორმა, შინაარსი. აგრეთვე, წარმოდგენილია გერმანულ სამართალში შემუშავებული დაცული ბირთვული სფეროს შესახებ მოძღვრება, რაც განხილულია საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის სუბიექტურ ელემენტთან კავშირში. ყურადღება დათმობილია ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა, როგორც საქორწინო ხელშეკრულების ცვლილების საფუძველი და საქორწინო ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები მესამე პირთა მიმართ.

ნაშრომის მერვე ნაწილში დამუშავებულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების კიდევ ერთი გამოხატულება, რომელიც საალიმენტო ურთიერთობის სახელწოდებითაა ცნობილი. კვლევის აღნიშნულ ეტაპზე გაანალიზებულია ურთიერთრჩენის მოვალეობის სამართლებრივი ინსტიტუტისათვის მნიშვნელოვანი სისტემური ცნებები - მეუღლის შემოსავალი და ქონება. ცალ-ცალკე გამოკვლეულია სარჩოს დაკისრების საფუძვლები - მეუღლის შრომისუუნარობის, აგრეთვე ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან 3 წლიანი პერიოდის გათვალისწინებით.

ტერმინოლოგიური ჰომოგენურობის მიზნებისთვის, შემთხვევები, რომლებიც სარჩოს გადახდისგან გათავისუფლებასა და მისი განსაზღვრული ვადით შეცვლას შეეხებიან, გაერთიანებულია საერთო ცნების ქვეშ - *გაუმართლებელი შემთხვევები*. ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გაუმართლებელი შემთხვევა ინდივიდუალურ დონეზეა გაანალიზებული. თუმცა ქართული საოჯახო სამართლის შემდგომი სრულყოფის მიზნებისათვის, ასევე განხილულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ გაუთვალისწინებელი გაუმართლებელი შემთხვევებიც, რომელიც გერმანული სამართლისთვისაა ცნობილი. ნაშრომის მერვე ნაწილის დანართი ეთმობა ისეთ კომპლექსურ საკითხს, როგორიცაა სარჩოს ოდენობის განსაზღვრა. მასში წარმოდგენილი არგუმენტაცია ფოკუსირებულია შეფასებითი ცნების - *მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის* განმარტების თავისებურებებზე.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები ძირითადი თეზისების სახით.

კვლევის შედეგი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგის სახით დადასტურებულია მოქმედი ქართული რეგულირების ევროპულ სამართლებრივ სივრცესთან ჰარმონიზაციის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო კვლევა, ქართველ მოსამართლეებს ნორმათა სუბსუმფციის პროცესში დაეხმარება. აგრეთვე, კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გადაწყვეტილი საკითხები მეტ სიცხადეს შეიტანს ქართულ დოქტრინაში არსებული აკადემიური დისკუსიის ფარგლებშიც, რაც დამატებით წარმოაჩენს ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევას პოტენციური გავლენა გააჩნია დარგის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით. თუმცა აგრეთვე აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კვლევა სარგებლის მომტანი იქნება ფართო საზოგადოების წევრებისთვისაც, რამეთუ ნებისმიერი დაინტერესებული პირი შეძლებს მიიღოს მეცნიერული გზით დამუშავებული ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მეუღლეთა ყოველდღიურ ქონებრივ სფეროში კანონიერი და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას.

I. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების უნივერსალური პრინციპები

1. მეუღლეთა ქონებრივი სისტემების ფუნქციური დახასიათება

კონტინენტურ-ევროპული სამართლის სისტემები ქორწინების ფინანსურ შედეგებს აწესრიგებენ მეუღლეთა ქონებრივი (*Matrimonial Property Law*) და ურთიერთრჩენის (*Maintenance Law*) სამართლის მიხედვით.⁵ აღნიშნულის საპირისპიროდ, საერთო სამართლის სისტემის მქონე სახელმწიფოებს არ გააჩნიათ მეუღლეთა ქონებრივი სამართალი, ამ ტერმინის კონტინენტური გაგებით და აქედან გამომდინარე ასევე არ მოქმედებს ნორმატიულად დადგენილი საკუთრებითი რეჟიმი.⁶ მეუღლეთა ქონება საერთო სამართლის (*Common Law*) მიხედვით სეპარაციის რეჟიმს ექვემდებარება.⁷

რომანული სამართლის ოჯახის ქონებრივი სისტემები, აგრეთვე შუა და აღმოსავლეთ ევროპული სამართლებრივი ტრადიციები მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმს იცნობენ, მაშინ როდესაც სკანდინავიურ და გერმანულ სამართლის ოჯახებს სეპარაციის რეჟიმი გააჩნიათ გადავადებული თანასაკუთრების რეჟიმთან ან კომპენსაციის დათქმასთან კომბინაციით.⁸ საერთო სამართლის სისტემა ალტერნატიულ მიდგომას გვთავაზობს, რომლის მიხედვით სასამართლოების დისკრეციული უფლებამოსილება მეუღლეთა გადავადებული თანასაკუთრების რეჟიმის ფორმირებას განაპირობებს და აღნიშნულის სანაცვლოდ რაიმე სახის ფორმალურ-სამართლებრივი ქონებრივი რეჟიმი არ არის შემოღებული, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი რეჟიმების გარდა, საერთო გამონაკლისის სახით აღსანიშნავია ნიდერლანდები, რომელიც ერთადერთი ევროპული სახელმწიფოა, სადაც თანასაკუთრების უნივერსალური რეჟიმი დიდი ხნით,

⁵ *Pintens W.*, *Matrimonial Property Law*, Max Planck Encyclopedia of European Private Law, 2012, <max-eup2012.mpipriv.de> [ბოლო ნახვის თარიღი: 25.10.2022].

⁶ *Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O.*, *Matrimonial Property Regimes Throughout the World*, Madrid, 2018, 915.

⁷ იქვე., 916-917.

⁸ *Pintens W.*, *Matrimonial Property Law*, Max Planck Encyclopedia of European Private Law, 2012, <max-eup2012.mpipriv.de> [ბოლო ნახვის თარიღი: 25.10.2022].

2018 წლამდე - შეზღუდული თანასაკუთრების რეჟიმის შემოღებამდე იქნა შენარჩუნებული.⁹

ევროპულ ქონებრივ სისტემებს განეკუთვნებიან შემდეგი სახეობები:¹⁰

„1. **თანასაკუთრების უნივერსალური რეჟიმი** - ქორწინების მომენტისათვის არსებული აბსოლუტურად ყველა ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად იქცევა და აგრეთვე ქორწინების განმავლობაში ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონებაც ანალოგიურად ორივე მეუღლის თანასაკუთრებას განეკუთვნება. 2. **საერთო საკუთრების რეჟიმი** - ევროპაში ყველაზე გავრცელებული კანონისმიერი მოდელია. ერთმანეთისგან გამიჯნულია მეუღლეთა საერთო და ინდივიდუალური საკუთრება. ქართულმა საოჯახო სამართალმა კანონისმიერ რეჟიმად სწორედ ეს მოდელი - მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი აირჩია. 3. **გადავადებული თანასაკუთრების რეჟიმი** - ქორწინების განმავლობაში როგორც წესი, არ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრება, შესაბამისად ნებისმიერი ქონება მათ ინდივიდუალურ, განცალკევებულ საკუთრებაში იმყოფება. მიუხედავად ამისა, განქორწინების შემთხვევაში, ყველა ქონება (გარდა ჩუქებით და მემკვიდრეობით მიღებულისა) მეუღლეთა თანასაკუთრებად იქცევა და ძირითადი წესის მიხედვით თანაბარი გაყოფის პრინციპს ექვემდებარება. 4. **ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმი** - ქორწინების მიუხედავად, მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრება განცალკევებულად რჩება. განქორწინების შემთხვევაშიც არ წარმოიშვება მეუღლეთა თანასაკუთრება. აღნიშნულის სანაცვლოდ, კანონმდებლობა განქორწინების შემთხვევაში ითვალისწინებს მეუღლეთა შესაძლო მოთხოვნებს ფულადი კომპენსაციის მიღების მიზნით“.

მეუღლეთა თანასაკუთრების შეზღუდული ფორმა (იგივე ზემოთ ხსენებული საერთო საკუთრების რეჟიმი (2)), რომელიც თანასწორობისა და ემანსიპაციის პრინციპს ემყარება, პირველად ევროპაში 1926 წელს საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა, რამაც ქონებრივი სეპარაციის რეჟიმი ჩაანაცვლა.¹¹ საბჭოთა კავშირის ზეგავლენით აღმოსავლეთ

⁹ Pintens W., Matrimonial Property Law, Max Planck Encyclopedia of European Private Law, 2012, <max-eup2012.mpipriv.de> [ბოლო ნახვის თარიღი: 25.10.2022].

¹⁰ Scherpe J. M., The Financial Consequences of Divorce in a European Perspective, European Family Law, Vol. III, 2016, 4-10; იხ., მელაძე გ., მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 85-86.

¹¹ Rešetar B., Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, Electronic Journal of Comparative Law, 2008, 1.

ევროპის სახელმწიფოებმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შემოიღეს მეუღლეთა თანასაკუთრების შეზღუდული სისტემა და იგივე მოიმოქმედეს ისეთმა ქვეყნებმა როგორცაა საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, პორტუგალია, მალტა. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა უთანასწორობის პრობლემა ევროპის სხვა ნაწილშიც არსებობდა, რომლის გადაწყვეტის გზად გადავადებული თანასაკუთრების რეჟიმის შემოღება იქნა მიჩნეული - ეს სისტემა თავდაპირველად სკანდინავიურ რეგიონში განვითარდა 1920-1929 წლებში, ხოლო მოგვიანებით გაზიარებულ იქნა გერმანიის, ავსტრიის, საბერძნეთისა და შვეიცარიის მიერ.¹²

პირთა ის ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერს შეზღუდული თანასაკუთრების სისტემის სამართლებრივ რეჟიმად აღიარებას, ხაზს უსმევს მეუღლეთა დამოუკიდებლობასა და სოლიდარობას შორის ბალანსის არსებობას, ისევე როგორც ორივე მეუღლის შესაძლებლობას ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა ქონების მართვაში, მათ შორის იმ მეუღლის შემთხვევაშიც, რომელსაც დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნია.¹³ აღნიშნული პოზიციის საპირისპიროდ, გადავადებული თანასაკუთრების სისტემის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ იმ პოზიტიურ ეფექტზე, რომლის მიხედვით მეუღლეები უმაღლესი დამოუკიდებლობის ხარისხს აღწევენ - მოცემული სისტემის ფარგლებში ზემოთ ხსენებულ ბალანსს დამოუკიდებლობასა და სოლიდარობას შორის არ გააჩნია პირველადი, არსებითი მნიშვნელობა, რის გამოც ხსენებული სისტემის მოქმედებისას, იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლემ უნდა მართოს ქონება, მისი მომხრეები შიშობენ, რომ აღნიშნული წარმოშობს ერთგვარ წინაღობას, რაც თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს.¹⁴

ევროპის კონტინენტზე მოიძებნება საერთო სამართლის ტრადიციის მქონე ქონებრივი სეპარაციის რეჟიმიც, რომელსაც უპირველეს ყოვლისა ინგლისური და უელსური სამართალი იცნობს. ის ფუნდამენტური იდეა, რომელიც ქონებრივ

¹² იქვე.

¹³ *Pintens W.*, *Europeanisation of Family Law*, in Boele-Woelki, K. (ed.), *Perspectives for the Unification and Harmonisation of Family Law in Europe*, Antwerp-Oxford-New York, 2003, 10.

¹⁴ იქვე.

ურთიერთობებში მეუღლეთა თანასწორობას ემყარება და რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს მათი ქონების გაყოფა განქორწინების, ასევე ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ინგლისური სამართლის მიერ მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში იქნა აღიარებული. კერძოდ, 2000 წლის 26 ოქტომბერს, ლორდთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ინგლისურ საოჯახო სამართალში რევოლუციური მნიშვნელობის მატარებელია და მას პრეცედენტული როლი გააჩნია (*Landmark Case*).¹⁵ აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ქალისა და მამაკაცის მიმართ არ უნდა არსებობდეს დისკრიმინაციული მიდგომა და აქედან გამომდინარე დაუშვებელია მიკერძოებული დამოკიდებულება შემოსავლის გამომმუშავებლის სასარგებლოდ დიასახლისთან/შვილების აღმზრდელთან მიმართებით.¹⁶ მიუხედავად მოცემული გადაწყვეტილების პრეცედენტული მნიშვნელობისა, სასამართლო პრაქტიკა გარკვეული დროის განმავლობაში მაინც შესაძლებლად მიიჩნევდა მეუღლეთა შორის ქონების გაყოფისას არათანაბარი წილების დადგენას არა როგორც საგამონაკლისო წესს თანასწორობის პრინციპისგან, არამედ ძირითად წესს, რის გამოც ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლო ითვალისწინებდა თითოეული მეუღლის მიერ ოჯახის საერთო ინტერესებისათვის განხორციელებულ წვლილს და გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით მათ შორის ქონება 60/40-ზე თანაფარდობით იყოფოდა.¹⁷ მოგვიანებით, 2002 წლის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი მეუღლეთა შორის ქონების არათანაბარი გაყოფის წესს, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში მიიჩნია შესაძლებლად.¹⁸ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმრის განსაკუთრებულმა საქმიანმა უნარებმა გადაწონა ცოლის ოჯახური ძალისხმევა და შესაბამისად ცოლს გასაყოფი ქონების მხოლოდ 37% მიაკუთვნა. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ცოლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სქესობრივი დისკრიმინაციის

¹⁵ საქმე უაითი უაითის წინააღმდეგ (*White vs. White* [2000] UKHL 54).

¹⁶ *Freeman M.*, Exploring the Boundaries of Family Law in England in 2000, *International Survey of Family Law*, Vol. 2002, 2002, 134.

¹⁷ *Pintens W.*, Europeanisation of Family Law, in Boele-Woelki, K. (ed.), *Perspectives for the Unification and Harmonisation of Family Law in Europe*, Antwerp-Oxford-New York, 2003, 12.

¹⁸ საქმე ლამბერტი ლამბერტის წინააღმდეგ (*Lambert vs. Lambert* [2002] EWCA Civ, 1685).

ნიშნით მიიღო გადაწყვეტილება მის საწინააღმდეგოდ და შედეგად ქონების უთანასწორო განაწილება დადგინდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილები გაათანაბრა და შესაბამისი ქონება 50/50-ზე პრინციპით გაყო.

მსოფლიოს წამყვან იურისდიქციებს შორის აუცილებლად განსახილველია აშშ-ს საოჯახო სამართალი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ აშშ-ს საოჯახო სამართალი ქოტურობით ხასიათდება, რის გამოც გართულებულია თემატური კავშირების პოვნა განსხვავებულ დოქტრინებს შორის.¹⁹ მიუხედავად ამისა, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სფეროში მაინც შესაძლებელია არსებული რეგულაციებისა და სამართლის მოქმედების სისტემატიზირებული დახასიათება.

მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმების განაწილების კუთხით აშშ-სთვის ცნობილია ორი სახის სისტემა:²⁰ 1. მეუღლეთა თანასაკუთრების და 2. ქონებრივი სეპარაციის რეჟიმები. აღსანიშნავია, რომ სტატისტიკურად აშშ-ს ფარგლებში არსებითად გავრცელებულია ქონებრივი სეპარაციის რეჟიმი, ხოლო მეუღლეთა თანასაკუთრების სისტემას მხოლოდ შემდეგი შტატები იცნობენ - არიზონა, კალიფორნია, აიდაჰო, ლუიზიანა, ნევადა, ნიუ მექსიკო, ტეხასი, ვაშინგტონი, ვისკონსინი (9). ამასთან, მეუღლეთა თანასაკუთრების სისტემა გათვალისწინებულია ისეთი ტერიტორიული ერთეულების ფარგლებშიც როგორიცაა - 1. პუერტო რიკო²¹ და ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები.²²

მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების პირველადი სისტემის მქონე შტატები ერთმანეთისგან ფართოდ განსხვავდებიან, ისინი იზიარებენ ზოგიერთ საერთო

¹⁹ *Hamilton V. E.*, Principles of U.S. Family Law, Fordham Law Review, Vol.75, 2006, 33.

²⁰ *Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O.*, Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 926.

²¹ პუერტო-რიკო გვევლინება დამოუკიდებლად აშშ-სგან და აქვს „არაინკორპორირებული ორგანიზებული ტერიტორიის“ სტატუსი, რაც ნიშნავს, რომ მოცემული ტერიტორია იმყოფება აშშ-ს მმართველობის ქვეშ (ანუ არ წარმოადგენს ამერიკის ტერიტორიას), ტერიტორიაზე განსაზღვრულად მოქმედებს აშშ-ის კონსტიტუცია, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოდ გვევლინება აშშ-ის კონგრესი. თუმცა ტერიტორიას გააჩნია საკუთარი მმართველობის სისტემაც: იხ., <http://news.bbc.co.uk/1/hi/world/americas/country_profiles/3593469.stm>.

²² ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები აშშ-თან შეუერთებული სტატუსის მქონე, თავისუფლად ასოცირებული ტერიტორიაა წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარე მარიანას არქიპელაგზე: იხ., <<https://www.cia.gov/the-world-factbook/countries/northern-mariana-islands/>>.

მახასიათებელსაც. მათი დაჯგუფება შესაძლებელია შემდეგი კატეგორიების მიხედვით:²³

1. ტრადიციული სისტემის მქონე შტატები - კალიფორნია, ტეხასი, ლუიზიანა, ნიუ მექსიკო, არიზონა. 2. მეუღლეთა თანასაკუთრების შესახებ უნიფიცირებული აქტის მქონე შტატი - ვისკონსინი. 3. უნიკალური სისტემის მქონე შტატები - აიდაჰო, ნევადა, ვაშინგტონი. 4. სუბიექტის თეორიის მიმდევარი ტერიტორიული ერთეული - პუერტო-რიკო.

ზემოთ მოყვანილი დაჯგუფების ნაწილს ალიასკას შტატიც შეადგენს, რომელიც მოხსენიებულია როგორც ნებაყოფლობითი სისტემის მქონე - თუმცა დღეის მდგომარეობით ალიასკა მსგავსად აშშ-ს დანარჩენი 40 შტატისა, პირველად ქონებრივ რეჟიმად სეპარაციას აღიარებს სასამართლოს მიერ ქონების გაყოფის შესაძლებლობით, რომლის ცვლილებაც მეუღლეთა შეთანხმებით ნებადართულია.²⁴

2. დაფარული უფლება

შვედურ სამართალში მეუღლეთა კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის (*Giftorättsgods*) ფორმირება გულისხმობს, რომ ისინი იძენენ ლატენტურ, „დაფარულ უფლებას“ მოითხოვონ მეორე მეუღლის საქორწინო საკუთრებაში (*Marital*) არსებული ქონების სანახევრო მიღება, თუმცა აღნიშნული უფლება მხოლოდ ქორწინების შეწყვეტისას წარმოიშვება.²⁵ ქონება მოცემულ სამართლებრივ სტატუსს (*Giftorättsgods*) იძენს - მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში მისი შეძენისას (1) და მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში ქონების ერთობლივად შექმნისას (2).²⁶ აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ მოცემულ ქონებაზეც ჩვეულებრივ ვრცელდება მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმი მთელი ქორწინების განმავლობაში, ხოლო

²³ *Newcombe C.B.*, The Origin and Civil Law Foundation of the Community Property System, Why California Adopted It and Why Community Property Principles Benefit Women, University of Maryland Law Journal of Race, Religion, Gender and Class, Vol. 11, 2011, 2-3.

²⁴ *Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O.*, Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 928; აგრეთვე, იხ., ამავე წყაროს დანართი N1 - მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმების სია სახელმწიფოების მიხედვით, 1025.

²⁵ *Rieck/Lettmaier.*, Ausländisches Familienrecht, Eine Auswahl von Länderdarstellungen – *Fish Rings, Sweden*, Werkstand: 22, EL Februar 2022, Rn. 25.

²⁶ იქვე.

„დაფარული უფლების“ (*Marital Right*) რეალიზაცია შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მეუღლე დაქორწინების შემდეგ ინარჩუნებს ინდივიდუალური საკუთრების უფლებას დაქორწინებამდე არსებულ ქონებაზე და აგრეთვე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მართავენ იმ ქონებასაც, რომელიც ქორწინების განმავლობაშია შეძენილი, შვედური საოჯახო სამართალი მაინც განსაზღვრავს ე.წ. „დაფარულ უფლებას“, რომლის მიხედვით ქორწინების შეწყვეტისას ქონების გაყოფის წესი განისაზღვრება.²⁷

3. ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმი

შვედური სისტემა მეუღლეთა ქონებრივი უფლებების უნივერსალური კონსტრუქციის შექმნის პირველი მცდელობა იყო. შვედური სქემა მოგვიანებით აღიარებულ იქნა სხვა ევროპული სახელმწიფოების (გერმანია, პოლონეთი) მიერაც (აღნიშნული სქემა აგრეთვე ცნობილია „წილების გათანაბრების“ სახელწოდებით).²⁸ სკანდინავიური სივრცის მიღმა არსებული სახელმწიფოებისგან, რომლებმაც აგრეთვე შემოიღეს გადავადებული საკუთრების კონსტრუქცია, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გერმანია. გსკ იცნობს მეუღლეთა ოთხ ქონებრივ რეჟიმს: 1. ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმი (1363 - 1390-ე პარაგრაფები);²⁹ 2. გაყოფილი ქონების რეჟიმი (1414-ე პარაგრაფი); 3. საერთო ქონების რეჟიმი (1415 - 1518-ე პარაგრაფები); 4. არჩევითი ქონებრივი ნამატის რეჟიმი (1519-ე პარაგრაფი) ე.წ. ფრანკო-გერმანული არჩევითი

²⁷ ცალკეული საქორწინო ქონებიდან ვალდებულებათა გამოკლების შემდეგ, დარჩენილ ქონებათა საერთო ღირებულება თანაბრად უნდა გაიყოს მეუღლეთა შორის. მაგალითად, ცალ-ცალკე მეუღლეთა საქორწინო ქონებიდან ვალდებულებების გამოკლების შემდეგ, ცოლის შემთხვევაში დარჩა 100 000 შვედური კრონის ღირებულების, ხოლო ქმრის შემთხვევაში 50 000 შვედური კრონის ღირებულების მქონე ქონება. თითოეულის კუთვნილი წილი შეადგენს აღნიშნულ ღირებულებათა ჯამის ნახევარს ($100\,000 + 50\,000/2 = 75\,000$). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ცოლმა ქმარს უნდა გადასცეს 25 000 კრონის ღირებულების მქონე ქონება ან ფული.

²⁸ გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2011, 336.

²⁹ აღნიშნული კანონისმიერი რეჟიმი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია სახელწოდებით - „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმი“ იხ., *ქეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე.*, და *დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 349.

სისტემა.³⁰ გერმანიაში მოქმედი პირველადი კანონისმიერი რეჟიმი ნამატი ქონების კომპენსაციის სისტემაა.³¹ აღნიშნული გამომდინარეობს გსკ-ის 1363-ე პარაგრაფის საფუძველზე. „ხსენებული პირველადი კანონისმიერი რეჟიმის თანახმად, ერთი მხრივ, მეუღლეთა ქორწინებამდელი ინდივიდუალური ქონება არ გადაიქცევა მათ საერთო საკუთრებად, ისევე როგორც ქორწინების განმავლობაში რომელიმე მათგანის მიერ შეძენილ ქონებაზეც ასევე გავრცელდება ინდივიდუალური საკუთრებითი რეჟიმი, თუმცა მეორე მხრივ ნებისმიერი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში მიღებული ნამატი კომპენსირებულ უნდა იქნეს ხსენებული ქონებრივი სეპარაციის რეჟიმის შეწყვეტისას“.³² გერმანიაში მოქმედი მეუღლეთა პირველადი კანონისმიერი რეჟიმი თავის საბოლოო მიზანს აღწევს, როდესაც წილთა გათანაბრება განხორციელდება. კერძოდ, გსკ-ის 1378-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი ის სამართლებრივი საფუძველია, რომლის მიხედვით, „თუ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება აღემატება მეორე მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას, მაშინ ნამეტი ქონების ნახევარი ეკუთვნის მეორე მეუღლეს ქონების განაწილების მოთხოვნის დაკმაყოფილების სახით“.³³ იმ მეუღლეებს, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხსენებული წესი უსამართლოა, ქონებრივი ნამატის თანაბარი გაყოფის ტიპური პრინციპი გარკვეულ სტიმულს აძლევს იმ მიზნით, რომ მათ დაარეგულირონ შესაბამისი ურთიერთობები საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე.³⁴

³⁰ Scholz/Kleffmann., Praxishandbuch Familienrecht, Werkstand: 42. EL Juni 2022, Teil B Eheliches Güterrecht, Rn.1; წინამდებარე კვლევის საგანს არ განეკუთვნება კანონისმიერი კომპენსაციის რეჟიმის მოდიფიცირებული ვარიანტის შესწავლა.

³¹ Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O., Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 348.

³² მელაძე გ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი, სამართლის ჟურნალი, N 1, 2021, 62.

³³ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 353.

³⁴ BeckOK BGB/Scheller/Sprink., 63. Ed. 1.8.2022, BGB § 1378 Rn. 3.

4. გაყოფილი ქონების რეჟიმი

როგორც აღინიშნა, გსკ ერთადერთ კანონისმიერ რეჟიმს ადგენს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, რომელსაც ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმის სახელწოდებით მოვიხსენიებთ. თუმცა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ჩვეულებრივ გამოიყენება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირების მიზნით. მიუხედავად სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მოქმედებისა, შესაძლებელია/დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილი ქონებრივი რეჟიმებისგან მეუღლეთა მიერ სასურველის არჩევა, თუმცა საქორწინო ხელშეკრულების დადების პირობებშიც კი დაუშვებელია კანონისგან განსხვავებული ქონებრივი რეჟიმის დადგენა.³⁵

საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია დადგინდეს გაყოფილი ქონების რეჟიმი იმ შემთხვევაში, როცა მეუღლეები გამორიცხავენ კანონისმიერ რეჟიმს ან აუქმებენ მას, თუ საქორწინო ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.³⁶ გაყოფილი ქონების რეჟიმის თავისებურება ხასიათდება მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობების არარსებობით: მათ ერთმანეთისგან განცალკევებული ქონება გააჩნიათ, რომელსაც დამოუკიდებლად განკარგავენ.³⁷ მოცემული რეჟიმის ფარგლებში მეუღლეთა შორის ქონებრივი ურთიერთობა არსებითად არ განსხვავდება უცხო ადამიანებს შორის ურთიერთობისგან.³⁸ მიუხედავად ამისა, ქორწინების ქონებრივი შედეგების განმსაზღვრელი ზოგადი ნორმები, რომლებიც მეუღლეთა აქტივების მიმართ არაპირდაპირ, ირიბ გავლენას ახდენენ, მოცემულ შემთხვევაშიც გამოიყენება, რადგან გაყოფილი ქონების რეჟიმის ფარგლებშიც ძალაშია მეუღლეთა ისეთი ეკონომიკური ხასიათის ვალდებულებები, რომლებიც ოჯახის შენარჩუნებაში წვლილის შეტანას უკავშირდება (მაგალითად, გსკ-ის 1360-ე პარაგრაფი), ხოლო მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების არარსებობის გათვალისწინებით, ხსენებული რეჟიმის

³⁵ OLG Schleswig NJW-RR 1996, 134.

³⁶ Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O., Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 348.

³⁷ MüKoBGB/Münchener Kommentar, 9. Aufl. 2022, BGB § 1414 Rn. 1, 2.

³⁸ BayObLGZ 1960, 370.

მატერიალურ-სამართლებრივი რეგულირება მხოლოდ აღნიშნული „არარსებობის“ მარტივი განსაზღვრებით შემოიფარგლება.³⁹

5. საერთო ქონების რეჟიმის გერმანული არქექტიპები

საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის შეთანხმდეს საერთო ქონების რეჟიმი (გსკ-ის 1415-ე პარაგრაფი). მოცემული რეჟიმისთვის დამახასიათებელია მეუღლეთა თანასაკუთრების ფორმირება, რაც მას არსებითად განასხვავებს გაყოფილი ქონებისა და კანონით დადგენილი პირველადი რეჟიმისგან - აღნიშნული რეჟიმები თითოეული მეუღლის მხოლოდ განცალკევებულ ქონებრივ სისტემებს ადგენენ, თუმცა მიუხედავად ამისა, საერთო ქონების რეჟიმის ფარგლებშიც არსებობს ქონებრივ სეპარაციას დაქვემდებარებული ობიექტები. მაგალითად, ის ნივთები რომელზეც ერთ-ერთი მეუღლის პირადი უფლება ვრცელდება და აქედან გამომდინარე ბრუნვაუუნაროა (1), კანონით (2) ან საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული (3), აგრეთვე მესამე პირის მხრიდან განხორციელებული ჩუქების შემთხვევები (გამოყოფილი ქონება) (4).⁴⁰ იმის საპირისპიროდ, რომ გაყოფილი ქონების რეჟიმის რეგულირება აბსოლუტურად არასავალდებულოა, ხოლო პირველადი კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის მოწესრიგებისას კანონმდებელი მხოლოდ მცირე რაოდენობის ნორმებით შემოიფარგლება (ძირითადად დაგროვილი ნამატის გათანაბრების შესახებ), საერთო ქონების რეჟიმის მოქმედება უამრავ სამართლებრივ პრობლემასთან არის დაკავშირებული, რის გამოც აღნიშნული სისტემის მოწესრიგება საკმაოდ დეტალური, კონკრეტული და ზოგჯერ განსაკუთრებულად რთული ხასიათით გამოირჩევა.⁴¹ მაგალითად, თანასაკუთრების მართვა, თანასაკუთრების მმართველი მეუღლის ვალდებულებები მეორე მეუღლესთან მიმართებით, სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსის მქონე ნივთებისა და მათგან მიღებული შემოსავლების განკარგვა, ქონებრივი ვალდებულებებისათვის მეუღლეთა პასუხისმგებლობა,

³⁹ *MüKoBGB/Münchener Kommentar*, 9. Auflage, 2022, BGB § 1414 Rn. 1, 2.

⁴⁰ *MüKoBGB/Münchener Kommentar zum BGB*, 9. Auflage, 2022, BGB § 1415 Rn. 1.

⁴¹ იქვე.

თანასაკუთრების შეწყვეტის ფაქტობრივი საფუძვლები, თანასაკუთრების შეწყვეტის შემდგომ წარმოშობილი დავის საკითხები და სხვა.

მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი თანაზიარი საკუთრების პრინციპზე აგებული კონსტრუქციაა. კერძოდ, „მეუღლეებს არ აქვთ გამოცალკევებადი წილი საერთო საკუთრებაში, რომლის განკარგვაც მათ დამოუკიდებლად შეუძლიათ. მეუღლეებს არ აქვთ არც ცალკეული კვოტა საერთო საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებით და კრედიტორს არ ძალუძს მათ წინაშე ამ წილის მიმართ გაქვითვა, ხოლო ვალდებულება ამ ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებით ბათილია, თუმცა შეიძლება განიმარტოს, როგორც ვალდებულება საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის დათმობისა.“

⁴² პირთა სიმრავლის სხვა შემთხვევების მსგავსად, საერთო ქონების პასუხისმგებლობის პირობებში, მეუღლეები სოლიდარულად აგებენ პასუხს და პირიქით, მესამე პირებთან ურთიერთობაში სოლიდარულ კრედიტორებს წარმოადგენენ.⁴³ შესაბამისად, გერმანული საოჯახო სამართლისთვის ცნობილი საერთო ქონების რეჟიმი, სხვა ქონებრივ რეჟიმებთან შედარებით, მსგავსია ქართული კანონმდებლის მიერ პირველად კანონისმიერ კონსტრუქციად აღიარებული მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმისა (სსკ-ის 1158-ე მუხლი).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ხსენებული ორი მართლწესრიგით გათვალისწინებული ქონებრივი რეჟიმები მეუღლეთა შორის ურთიერთობებში ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებით წარმოიშვება - გერმანული საერთო ქონების რეჟიმი სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით, ხოლო ქართული თანასაკუთრების რეჟიმი კანონის საფუძველზე ფორმირებული სისტემაა. თუმცა მიუხედავად წარმოშობის განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებისა, მათთვის დამახასიათებელია მსგავსი ნიშნებიც, რის გამოც ქართული საოჯახო სამართლისთვის ყველაზე რელევანტური სწორედ საერთო ქონების რეჟიმთან დაკავშირებული სამართლებრივი წყაროებია.

⁴² რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., მელაძე გ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 77.

⁴³ Lindner-Figura/Oprée/Stellmann., Handbuch Geschäftsraummiete, Kapitel 2. Vertragsparteien Rn. 60, 5th edition 2023.

უპირველეს ყოვლისა, ზემოთ ხსენებული პოზიციის დასაბუთების შესაძლებლობას საერთო ქონების რეჟიმისთვის დამახასიათებელი უმთავრესი თვისება იძლევა - ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაშია შეძენილი მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება.⁴⁴ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, როგორც წესი, ორივე მათგანის მმართველობის ქვეშ იმყოფება, გარდა იმ გამონაკლისისა, როდესაც საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით ერთ-ერთ მეუღლეს ენიჭება საერთო ქონების მართვის უფლება.⁴⁵ მიუხედავად ზემოთ ხსენებული საერთო ქონების რეჟიმისთვის დამახასიათებელი თვისებისა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული რეჟიმი მეუღლეთა სამი ტიპის ქონებრივი კატეგორიის დიფერენციაციას გვთავაზობს.⁴⁶ კერძოდ, აღნიშნული კატეგორიებია: 1. საერთო ქონება (*Gesamtgut*); 2. პირადი ქონება (*Sondergut*); 3. გამოყოფილი ქონება (*Vorbehaltsgut*). რაც შეეხება გსკ-ის 1419-ე პარაგრაფით განსაზღვრულ თანაზიარი საერთო საკუთრების რეჟიმს (*Gesamthandsgemeinschaft*), აღნიშნული ნორმა ადგენს საერთო ქონების ფარგლებში მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობების სტრუქტურას, რაც უპირველეს ყოვლისა წილთა განუსაზღვრელ ხასიათში გამოიხატება. მოცემული რეგულაცია აღწერს საერთო ქონებაში მეუღლეთა მონაწილეობის სამართლებრივ ხასიათს. ამრიგად, ის ავსებს გსკ-ის 1416-ე პარაგრაფის შინაარსს, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს თუ რა მიეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას და როგორ წარმოიშვება მათი თანასაკუთრება.⁴⁷

5.1. საერთო ქონება (*Gesamtgut*)

საერთო ქონებას (*Gesamtgut*) განეკუთვნება: ა) ქმრის და ცოლის ქონება, რომელიც არსებობდა საერთო ქონების რეჟიმის დადგენისას (წარმოშობის მომენტში) ე.ი. საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის; ბ) ქონება ან ცალკეული ნივთები, რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ,

⁴⁴ Scholz/Kleffmann., Praxishandbuch Familienrecht, Werkstand: 42. EL Juni 2022, Rn. 160.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ Jauernig/Budzikiewicz., Bürgerliches Gesetzbuch, 18. Aufl. 2021, BGB §§ 1416-1419 Rn. 1.

⁴⁷ HK-BGB/Kemper, 12. Aufl. 2023, BGB § 1419 Rn. 1.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ქონება განეკუთვნება მეუღლეთა პირად ან გამოყოფილ საკუთრებას.⁴⁸ აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად ქონების შეძენის სამართლებრივი საფუძველი და სახეობა რელევანტურია მისი თანასაკუთრებისადმი განკუთვნიადობის თვალსაზრისით, რის გამოც მემკვიდრეობით მიღებული ქონებაც, როგორც წესი, გარდა მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოხატული საპირისპირო ნებისა, მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, რაც სასამართლო პრაქტიკიდანაც გამომდინარეობს.⁴⁹ მოცემულ შემთხვევაში ქართული და გერმანული რეგულირებების შედარებისას შემდეგი თავისებურებების არსებობა დგინდება - კერძოდ, ქართული საოჯახო სამართლის მიხედვით ქონება, რომელიც არსებობდა საერთო ქონების რეჟიმის დადგენისას, უფრო ზუსტად კი ქორწინების რეგისტრაციის მომენტისათვის, არ ტრანსფორმირდება მეუღლეთა თანასაკუთრებად. სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა, ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შესაბამისად, თანასაკუთრების რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ დაქორწინების შემდგომი პერიოდისთვის შეძენილი ქონების მიმართ. ამასთან, ქონების შეძენის სამართლებრივი საფუძველი ქართული საოჯახო სამართლის მიხედვით, მნიშვნელოვანი ფაქტორია იმის გადასაწყვეტად აღნიშნული ქონება განეკუთვნება მეუღლეთა ინდივიდუალურ თუ საერთო საკუთრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს, გარდა მჩუქებლის ან მამკვიდრებლის მიერ გამოხატული საპირისპირო ნებისა.

⁴⁸ *Jauernig/Budzikiewicz.*, Bürgerliches Gesetzbuch, 18. Aufl. 2021, BGB §§ 1416-1419 Rn. 2-3.

⁴⁹ OLG München ZEV 2016, 383, Rn. 11.

5.2. პირადი ქონება (*Sondergut*)

მეუღლეთა პირად ქონებას (*Sondergut*) განეკუთვნებიან საგნები, რომელთა გარიგებით გადაცემა დაუშვებელია.⁵⁰ გსკ-ის 1417-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის თანახმად, თითოეული მეუღლე დამოუკიდებლად მართავს თავის პირად ქონებას. აღნიშნულის მიუხედავად, პირადი ქონება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეუღლეთა საერთო ქონებასთან, რადგანაც მისი მართვა უნდა განხორციელდეს საერთო ქონების ხარჯზე და ამ უკანასკნელისათვის სარგებლის მოტანის მიზნით.⁵¹ შესაბამისად, პირადი ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული შემოსავალი ამ უკანასკნელის ნაწილი არ ხდება, არამედ მეუღლეთა საერთო ქონებას განეკუთვნება.⁵² აღსანიშნავია კონკრეტულად რომელი საგნები მიიჩნევა მეუღლეთა პირად ქონებად გერმანული საოჯახო სამართლის მიხედვით ანუ რომელია ის სამართლებრივი სიკეთე, რაც გადაცემას არ ექვემდებარება. ასეთ საგნებს განეკუთვნებიან მხოლოდ უფლებები, რადგან ნივთების გადაცემა გარიგების საფუძველზე, როგორც წესი არ გამოირიცხება.⁵³ კერძოდ, გადაცემაუუნარო უფლებებს განეკუთვნებიან:⁵⁴ 1. მოთხოვნები, რომელთა დათმობაც გამორიცხულია - აღნიშნული კატეგორია მოწესრიგებულია გსკ-ის 399-ე პარაგრაფის შესაბამისად, რომლის თანახმად, „მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება, თუ თავდაპირველი კრედიტორის ნაცვლად სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შინაარსის შეუცვლელად ვერ ხორციელდება, ან, თუ მოვალესთან შეთანხმებით მოთხოვნის დათმობა გამორიცხულია“. ⁵⁵ აღნიშნული გერმანული ნორმის ქართულ ანალოგს სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი წარმოადგენს. 2. მოთხოვნის დათმობა დაუშვებელია, თუ იგი არ ექვემდებარება დაყადაღებას. აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია გსკ-ის

⁵⁰ Martiny D., Dethloff N., CEFL Report - Property Relations, Germany, 2008, 13.

⁵¹ იქვე.

⁵² HK-BGB/Rainer Kemper, 11. Aufl. 2021, BGB § 1417 Rn. 3.

⁵³ იქვე., Rn. 2.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 102; მაგალითები იხ., კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანიას თ., და ჭეჭელაშვილის ზ., თარგმანი, ჩაჩანიძის ე., დარჯანიას თ., და თოთლაძის ლ., რედაქტორობით, თბილისი, 2014, 278.

მე-400 პარაგრაფის საფუძველზე, რომლის ქართულ ანალოგსაც წარმოადგენს სსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამასთან გასათვალისწინებელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად მოვალის მოთხოვნაზე შეიძლება ყადაღის დადება, თუ კანონმდებლობა არ ზღუდავს მათ გადაცემას ან მათზე ყადაღის დადებას.⁵⁶ ამ კატეგორიის მოთხოვნის უფლებებიც განეკუთვნებიან მეუღლეთა პირად ქონებას. 3. უზუფრუქტი - აღნიშნული უფლების გადაცემა დაუშვებლად არის მიჩნეული გსკ-ის 1059-ე პარაგრაფის საფუძველზე. გასათვალისწინებელია, რომ ქართულ სამოქალაქო სამართალში უზუფრუქტის, როგორც უფლების გადაცემის ზოგადი დაუშვებლობის შესახებ აკრძალვა სსკ-ის 242-ე მუხლის პირველ ნაწილში უნდა ამოვიკითხოთ. კერძოდ, „*უზუფრუქტი არის პირადი ხასიათის უფლება, რაც გამორიცხავს მის მესამე პირთათვის გადაცემას*“.⁵⁷ 4. შეზღუდული პირადი სერვიტუტი - მსგავსად უზუფრუქტისა, შეზღუდული პირადი სერვიტუტიც გადაუცემადი უფლებრივი კატეგორიაა. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული აკრძალვის დამდგენი ქართული ანალოგი სსკ-ის 253-ე მუხლის მე-2 ნაწილია. 5. სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივი უპირატესი შესყიდვის უფლება - გათვალისწინებულია გსკ-ის 1103-ე პარაგრაფით, თუმცა მას ქართული ანალოგი არ გააჩნია. 6. ვალდებულებით-სამართლებრივი სანივთო ტვირთი - განსაზღვრულია გსკ-ის 1111-ე პარაგრაფით, თუმცა მას ქართული ანალოგი არ გააჩნია. 7. საავტორო უფლებები - აღნიშნულ სფეროს არეგულირებს საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. 8. საერთო საკუთრებაში არსებული წილი - საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგებულია სსკ-ის 173-ე მუხლის შესაბამისად. 9. წინა ქორწინებიდან არსებული განგრძობადი თანასაკუთრების წილი - აღნიშნული კატეგორია უცხოა ქართული საოჯახო სამართლისათვის.

გერმანულ სამართალში პირადი ქონების კატეგორიის დახასიათების შედეგად, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ქართული კანონმდებლობა არ იცნობს გსკ-ს 1417-ე

⁵⁶ აღნიშნული ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის განჩინება № 1/8/1433.

⁵⁷ *რუსიაშვილი გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018, 240.

პარაგრაფის ანალოგიურ ნორმას, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი - მოცემული კატეგორიის ყველა ის კომპონენტი (უფლება), რომელსაც მოემბენება ქართული ანალოგი, ქართულ სამართალშიც ჩვეულებრივ განეკუთვნება გადაცემაუუნარო უფლებებს, რის გამოც მათი მართვის უფლებამოსილება მხოლოდ შესაბამის მეუღლეს გააჩნია. აქედან გამომდინარე, მართალია პირადი ქონების (*Sondergut*) განმსაზღვრელი კონკრეტული ნორმა ქართულ სამართალში არ მოიპოვება, თუმცა გერმანულ სამართალში არსებული გადაწყვეტა გადაცემაუუნარო უფლებების ერთ-ერთი მეუღლის პირადი ქონებისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით, ქართული სამართლის მიერაც გაზიარებულია. იმის გათვალისწინებით, რომ „არაგადაცემადი სიკეთეები მხოლოდ მათი ამ ხასიათის გამო არ ხდება საერთო საკუთრება, მათი სუბროგატები და მათგან მიღებული ნაყოფი საერთო საკუთრებად იქცევა“.⁵⁸

5.3. გამოყოფილი ქონება (*Vorbehaltsgut*)

გერმანული კანონმდებლობა მეუღლეებს ანიჭებს უფლებას საერთო ქონებიდან გამოყოფონ ცალკეული საგნები საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით. გასათვალისწინებელია, რომ მესამე პირებსაც აქვთ ასეთი შესაძლებლობა, კერძოდ, როდესაც ცალმხრივი გარიგების მეშვეობით, ჩუქების ან საანდერძო განკარგულების საფუძველზე განსაზღვრავენ, რომ შესაბამისი მეუღლისთვის გადაცემული ქონება გამოყოფილად უნდა ჩაითვალოს.⁵⁹ როგორც საკანონმდებლო, აგრეთვე დოქტრინულ დონეზე ერთმანეთისგან განასხვავებენ სამი კატეგორიის გამოყოფილ ქონებას: 1. ქონება, რომელიც ასეთად მიიჩნევა მეუღლეთა შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე; 2. ქონება, რომელიც ასეთად მიიჩნევა მესამე პირთა ცალმხრივი გარიგების შესაბამისად; 3. მეუღლის მიერ სუბროგაციის საფუძველზე შეძენილი ქონება.⁶⁰ საკანონმდებლო რეგულაციის გათვალისწინებით დასამატებელია - 1. საგნები,

⁵⁸ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 98.

⁵⁹ BeckOK BGB/Spernath, 63. Ed. 1.8.2022, BGB § 1418 Rn. 1.

⁶⁰ BeckOK BGB/Spernath, 69. Ed. 1.2.2024, BGB § 1418 Rn. 2.

რომელსაც მეუღლე იძენს თავის გამოყოფილ ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე და 2. საგნები, რომელსაც მეუღლე იძენს გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით. გამოყოფილი ქონების სამართლებრივი ცნების არარსებობის გათვალისწინებით, აღნიშნული ტერმინი უნდა განიმარტოს ნეგატიურად - გამოყოფილია ქონება, რომელიც არ განეკუთვნება არც საერთო და არც პირად ქონებას.⁶¹

საქორწინო ხელშეკრულების დადების შემდეგით კონკრეტული ქონების გამოყოფილად ტრანსფორმირება შესაძლებელია ნებისმიერ ეტაპზე - როგორც საერთო ქონების ფორმირების მომენტში, აგრეთვე მოგვიანებით.⁶² ამასთან, ქონების გამოყოფილად განსაზღვრის შემდგომ, შესაბამისი მეუღლისთვის მისი გადაცემაც უნდა მოხდეს.⁶³ ქონება საკმარისად უნდა იქნეს განსაზღვრული იმისათვის, რომ საერთო ქონებიდან მისი ერთმნიშვნელოვანი გამორიცხვა და გამოყოფილად მიჩნევა იყოს შესაძლებელი.⁶⁴ ქონების გამოყოფილად მიჩნევისათვის, საკმარისია საქორწინო ხელშეკრულებაში მითითებული იყოს შემენის საფუძველი, მაგალითად მესამე პირთა მხრიდან ჩუქება ან მკაფიოდ იყოს მითითებული ისეთ ფაქტობრივ ტერმინებზე, როგორიცაა ავეჯი, ქმრის ბიბლიოთეკა თუ სხვა.⁶⁵ საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე, სამომავლო შენაძენები, ასევე შეიძლება იქნეს მიკუთვნებული გამოყოფილი ქონებისადმი.⁶⁶

გამოყოფილი ქონების რიგით მე-2 კატეგორია, უპირველეს ყოვლისა მესამე პირთა მხრიდან ქონების უსასყიდლო გადაცემას მოიაზრებს. აღნიშნული შემთხვევა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას გულისხმობს, რომელიც ნამდვილია ადრესატის მიერ მისი მიღების მომენტიდან.⁶⁷ თუმცა აღნიშნული კატეგორია არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩუქების კომპონენტით და მასში მოიაზრება აგრეთვე ანდერძისმიერი მემკვიდრეობით მესამე პირის მხრიდან გადაცემული ქონებაც. ანდერძის შემთხვევაში, საკმარისია, რომ მამკვიდრებლის ნება გამოხატული იყოს კონკრეტულად

⁶¹ BeckOK BGB/Spernath, 63. Ed. 1.8.2022, BGB § 1418 Rn. 1.

⁶² MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1418 Rn. 4.

⁶³ იქვე.

⁶⁴ BeckOK BGB/Spernath, 63. Ed. 1.8.2022, BGB § 1418 Rn. 3.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1418 Rn. 5.

⁶⁷ BeckOK BGB/Spernath, 63. Ed. 1.8.2022, BGB § 1418 Rn. 5.

ერთ-ერთი მეუღლის მიმართ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, რის გამოც საანდერძო განკარგულების ნამდვილობისთვის (ისევე როგორც ჩუქების) არ მოითხოვება მიმღები მეუღლის მხრიდან ნების გამოვლენა, უფრო მეტიც მისი ნების საწინააღმდეგოდ, ცალმხრივი გარიგება სამართლებრივ ძალას ინარჩუნებს.⁶⁸ მიუხედავად ამისა, მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით შეუძლიათ გამოყოფილი ქონება პირიქით, საერთო ქონებად გადააქციონ, თუნდაც ეს გარემოება ეწინააღმდეგებოდეს მჩუქებლის ინტერესს.⁶⁹

რიგით მე-3 კატეგორიას შემდეგი საგნები განეკუთვნებიან:⁷⁰ 1. საგანი, რომელსაც მეუღლე იძენს თავის გამოყოფილ ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე. მაგალითად, ნივთის ნაყოფი, უფლების ნაყოფი ქირის ან ლიზინგის შემოსავლის სახით, ლატარიის მოგება თუ სხვა. 2. სანაცვლო საზღაური გამოყოფილ ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნის უფლება, სადაზღვევო ანაზღაურება, კომპენსაცია ნივთის ექსპროპრიაციისათვის, აგრეთვე კონდიქციური მოთხოვნის უფლება. 3. საგანი, რომელსაც მეუღლე იძენს გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით. მოცემულ შემთხვევაში კავშირი უნდა ატარებდეს ეკონომიკურ ხასიათს და ამასთან ერთად, გარიგება გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებული უნდა იყოს როგორც ობიექტურად - ფაქტობრივი კავშირის მხრივ, აგრეთვე სუბიექტურადაც - უნდა არსებობდეს გამოყოფილი ქონების მიზნებისათვის მოქმედების ნება.

გსკ-ის 1418-ე მუხლის მე-3 ნაწილი, გერმანულ სამართალში არსებული პირდაპირი საკანონმდებლო საფუძველია, რომლის მიხედვით გამოყოფილი ქონების ნაყოფი, მასთან დაკავშირებული მომსახურება, განადგურების სანაცვლოდ მიღებული კომპენსაცია (ექსპროპრიაციის თანხა), მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლება (და შესაბამისი თანხა, რომლითაც ზიანი ანაზღაურდება, მათ შორის სადაზღვევო ანაზღაურება) ან მასთან დაკავშირებული ყველა ის შენაძენი, რომელიც მეუღლის მიერ მიღებული იქნება გარიგების საფუძველზე, ასევე განეკუთვნება

⁶⁸ იქვე., Rn. 6.

⁶⁹ იქვე., Rn. 7.

⁷⁰ იქვე., Rn. 8.

გამოყოფილ ქონებას.⁷¹ თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგება დადებული უნდა იყოს სპეციალურად გამოყოფილი ქონების ანუ პირადი მიწნებისთვის.⁷² ქონება, რომელიც შეძენილია გამოყოფილი ქონების სანაცვლოდ - ექსპროპრიაციის, განადგურების, ნებაყოფლობითი გაყიდვის ან გაცვლის სახით, აგრეთვე მიიჩნევა გამოყოფილ ქონებად, ისევე როგორც ქონება, რომელიც შეძენილია იმ უფლებების გამოყენების შედეგად, რომელიც თავის მხრივ გამოყოფილ ქონებას მიეკუთვნებიან - მაგალითად, ქირის ან დივიდენდის სახით შემოსავლის მიღება.⁷³

თითოეული მეუღლე დამოუკიდებლად მართავს თავის გამოყოფილ ქონებას და აღნიშნული ქონების ერთპიროვნული მესაკუთრეა - შესაბამისად გამოყოფილი ქონების მართვა უნდა განხორციელდეს ინდივიდუალური მესაკუთრე მეუღლის პირადი ხარჯების საფუძველზე.

გამოყოფილი ქონების რეჟიმის დადგენის მაგალითად შესაძლებელია დასახელდეს შემდეგი შემთხვევა⁷⁴ - თითოეულ მეუღლეს, ცალ-ცალკე გააჩნია მიწის ნაკვეთი ინდივიდუალურ საკუთრებაში. თუ მეუღლეები შეთანხმდებიან საერთო ქონების რეჟიმზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმართ, მაშინ ასეთი რეჟიმი ამოქმედდება მათი შეთანხმების საფუძველზე. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს საკუთარი საწარმო გააჩნია, რომლის შენარჩუნებითაც ის დაინტერესებულია, მას შეუძლია მეუღლესთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების ფარგლებში განსაზღვროს, რომ აღნიშნული საწარმო არ გადაიქცევა მეუღლეთა საერთო ქონებად.

ხაზგასასმელია შემდეგი არსებითი განსხვავება ქართულ და გერმანულ რეგულაციებს შორის - იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიაში პირველადი კანონისმიერი რეჟიმი ქონებრივი სეპარაციის პრინციპს ემყარება, შესაბამისად, ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებად არ გადაიქცევა და გამოყოფილი ქონების კატეგორიაში დარჩება (გსკ-ის 1418-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის პირველი, მეორე და მესამე პუნქტები), გავრცელდება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების

⁷¹ HK-BGB/Rainer Kemper, 11. Aufl. 2021, BGB § 1418 Rn. 2.

⁷² იქვე.

⁷³ Thiele L.K., The German Marital Property System: Conflict of Laws in a Dualnationality Marriage, California Western International Law Journal, Vol.12, No.1, 1982, 102.

⁷⁴ ვებ-გვერდი: <www.steuermachen.de> [ბოლო ნახვის თარიღი: 21.08.2024].

უფლება, თუმცა საპირისპიროდ, საქართველოში პირველადი კანონისმიერი კონსტრუქცია საერთო ქონების რეჟიმია და აღნიშნულიდან გამომდინარე, მეუღლის ინდივიდუალური ქონებიდან მიღებული ნაყოფი, აგრეთვე ამავე ქონების გასხვისების შედეგად შეძენილი ახალი ქონებაც, კანონის ძალით, ავტომატურად მოექცევა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში.

II. მეუღლეთა თანასაკუთრება - ქონებრივი ურთიერთობის ფუნდამენტი

1. მეუღლეთა საერთო საკუთრების თანაზიარი ბუნება

მეუღლეთა თანასაკუთრება თავისი არსით არ წარმოადგენს საკუთრების რაიმე ცალკეულ ფორმას, არამედ ის განეკუთვნება საერთო საკუთრების ერთ-ერთ სახეს. კერძოდ, სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია საერთო საკუთრების ორი ფორმა: წილადი და თანაზიარი. საერთო საკუთრებისათვის ზოგადად დამახასიათებელი თვისებების მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრება შეიძლება აღიწეროს, როგორც: 1. კანონის საფუძველზე წარმოშობილი უფლება⁷⁵ და 2. თანაზიარი საკუთრება.⁷⁶ ხსენებული პირველი თვისების შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრება ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე ავტომატურად წარმოიშვება, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე, ხოლო მეორე თვისების მიხედვით, მეუღლეთა თანასაკუთრების ფარგლებში აპრიორულად არ არის განსაზღვრული თითოეული მათგანის წილი, არამედ თითოეული მეუღლის საკუთრების უფლება მთლიანად ვრცელდება თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე. აღსანიშნავია, რომ წილადი საზიარო უფლება არსებითად გამიჯნულია საერთო თანაზიარი საკუთრებისგან, ხოლო გამიჯვნის კრიტერიუმად დასახელებულია ის იურიდიული კომპეტენცია, რომელიც რამდენიმე

⁷⁵ თოთლაძე ლ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018, 89.

⁷⁶ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 154; შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2019, 118.

პირს განსახილველ საგანზე შეიძლება გააჩნდეს.⁷⁷ სწორედ ეს უკანასკნელი განმარტება შეესაბამება მეუღლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ ბუნებას, რომელიც უწილადო ხასიათს ატარებს.⁷⁸ თუმცა არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის მიხედვით მეუღლეთა წილი „*მხოლოდ საკუთრების გაყოფის დროს*“ განისაზღვრება,⁷⁹ რამეთუ თითოეული მეუღლის წილის განსაზღვრა საქორწინო ხელშეკრულების დადების მეშვეობითაც შესაძლებელია.

საერთო წილადი საკუთრების შემთხვევაში უფლებას იძენს რამდენიმე პირი, თუმცა ის არ ქმნის თანაზიარ საერთო საკუთრებას.⁸⁰ აღნიშნული თვალსაზრისით გასათვალისწინებელია გსკ-ის 1008-ე პარაგრაფის რეგულაცია, რომლის განმარტების მიხედვით საერთო წილადი საკუთრება გულისხმობს მოძრავ ან უძრავ ქონებაზე წილობრივ პასუხისმგებლობას.⁸¹ საერთო წილადი საკუთრება და საერთო თანაზიარი საკუთრება შეურიგებელ ოპოზიციებს განეკუთვნებიან - ერთიდაიგივე საგანი შეიძლება რამდენიმე პირს ეკუთვნოდეს წილობრივი სახით ან მასზე გავრცელდეს საერთო თანაზიარი საკუთრება, რაც გამორიცხავს ორივე მათგანის ერთდროულად არსებობას.⁸²

გერმანულ სამართალში თანაზიარი საკუთრების ინსტიტუტი ემყარება თეორიას „*საერთო ხელის*“ შესახებ (*Gesamthand*). კერძოდ, ტრადიციულად იურიდიული პირი თანაზიარი ერთობისგან გამიჯნულია - ეს უკანასკნელი გვხვდება ამხანაგობის (სსკ-ის 930-ე მუხლი), მეუღლეთა თანასაკუთრების (სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი), თანამემკვიდრეობის (სსკ-ის 1334-ე მუხლის პირველი წინადადება), თანაავტორობის („*საავტორო და მომიჯნავე უფლებების*“ შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი), აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირის (სსკ-ის 39-ე მუხლი) შემთხვევებში.⁸³ სახელმწიფო ორგანოში იურიდიული პირის რეგისტრაცია, მისივე

⁷⁷ ზარანდია თ., საზიარო უფლებების სამართლებრივი ბუნება და ზოგადი დახასიათება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, № 6, 2022, 22.

⁷⁸ შოშიაშვილი ნ., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები საწოტარო პრაქტიკაში, თბილისი, 2004, 38.

⁷⁹ იქვე.

⁸⁰ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანიას თ., და ჭეჭელაშვილის ზ., თარგმანი, ჩაჩანიძის ე., დარჯანიას თ., და თოთლაძის ლ., რედაქტორობით, თბილისი, 2014, 752.

⁸¹ Karsten Schmidt/MüKoBGB, 9. Aufl. 2023, BGB § 1008 Rn. 1.

⁸² Karsten Schmidt/MüKoBGB, 8. Aufl. 2020, BGB § 741 Rn. 6.

⁸³ Leuschner/MüKoBGB, BGB vor § 21 Rn. 10.

უფლებათარსისა და ქმედუთარსის ერთობლივ წარმოშობას განაპირობებს.⁸⁴ გარდა ამისა, სადავო აღარ არის ამხანაგობებისა და არარეგისტრირებული კავშირების სამართალსუბიექტობის საკითხი.⁸⁵ შესაბამისად, სამართალსუბიექტობა ის კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება იურიდიული პირის (აგრეთვე, იმ სუბიექტების, რომლებიც იურიდიული პირები არ არიან) და თანაზიარი ერთობის ცნებათა შეუთავსებლობის წარმოსაჩენად - იმის გათვალისწინებით, რომ განყენებული სახით მეუღლეთა ერთობას არ მიემართება ქმედუთარსის თვისება, ის ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება მიჩნეული სამართლის სუბიექტად.⁸⁶ მოცემულ შემთხვევაში ქონება ერთობლივად მიეკუთვნება მეუღლეთა ერთობას - ამ თვალსაზრისით, საერთო თანაზიარი საკუთრება საერთო წილადი საკუთრების, როგორც აქტივების კოლექტიური განაწილების ალტერნატიული ფორმაა.⁸⁷ იურიდიული პირი უნდა გაიმიჯნოს პირთა ერთობისგან (იგივე საერთო პარტნიორობისგან - *Gesamthandsgemeinschaften*) შემდეგი კრიტერიუმის საფუძველზე - პირველი წარმოიშვება მხოლოდ სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ან სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი წარმოიშვება შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული ფაქტობრივი წინაპირობების შესრულების ან ხელშეკრულების დადების შედეგად.⁸⁸

საერთო თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში, უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები მისი წევრები არიან და არა რაიმე სახის სამართლის სუბიექტი (მაგალითად, იურიდიული პირი), რომელიც მისი წევრებისგან კონცეპტუალურად დამოუკიდებელი იქნებოდა.⁸⁹ რაც შეეხება მეუღლეთა ერთობას - მისი სამართალსუბიექტობა ერთმნიშვნელოვნად უარსაყოფია.⁹⁰ აღსანიშნავია, რომ მართალია გერმანული სამართლის დოქტრინაში მაგალითად, თანამემკვიდრეობას მინიჭებული

⁸⁴ ჯანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 240.

⁸⁵ ამხანაგობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იხ., ზურაბიანი ლ., ამხანაგობის გამიჯვნის პრობლემატიკა ნარდობისა და სხვა ტიპის ხელშეკრულებებისაგან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №2, 2020, 56-66; არარეგისტრირებულ კავშირთან დაკავშირებით იხ., ბურდული ი., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 280.

⁸⁶ Leuschner/MüKoBGB, BGB vor § 21 Rn. 11.

⁸⁷ იქვე.

⁸⁸ BeckOK BGB/Schöpflin, 65. Ed. 1.2.2023, BGB § 21 Rn. 7.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ Karsten Schmidt/MüKoBGB, 8. Aufl. 2020, BGB § 741 Rn. 6.

აქვს სამართალსუბიექტობა, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხსენებული თვისება გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მეუღლეთა ერთობას მიანიჭოს.⁹¹ მოცემულ შემთხვევაში სამართლის სუბიექტებად ერთმნიშვნელოვნად მეუღლეები მიიჩნევიან, რომლებიც საერთო თანაზიარი საკუთრების ერთგვარი წევრები არიან და არა საერთო წილობრივი საკუთრების. საკუთრების ხსენებული სახეობების ერთმანეთთან შეუთავსებლობა გამოიხატება იმაში, რომ საერთო თანაზიარი საკუთრების უფლება, მიუხედავად იმისა თუ როგორ მოახდენენ მის სამართლებრივი კლასიფიკაციას, განუყოფელია: თითოეული საგანი განუყოფელია, ერთი მხრივ ცვალებადი, მაგრამ ასევე განუყოფელი საერთო თანაზიარი საკუთრებისგან.⁹² აღნიშნულიდან გამომდინარე, მეუღლეთა თანასაკუთრებისთვის დამახასიათებელ უმთავრეს თავისებურებად წილთა განუსაზღვრელობა უნდა დასახელდეს, ხოლო მოცემულ ნიშან-თვისებაზე დაყრდნობით, ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამოკვეთილია თითოეული მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობის საკითხი.⁹³

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში მეუღლეთა საერთო თანაზიარი საკუთრების ბუნება არ არის მართებულად გააზრებული ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ. კერძოდ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ქართული სასამართლო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში არასწორად განმარტავს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების უფლების ცნებას, როდესაც დაზარალებულ მეუღლეს ავტომატურად, არამართლზომიერად გასხვისებული ქონების 1/2-ის თანამესაკუთრედ მიიჩნევს. აღნიშნული ცალსახად ეწინააღმდეგება თანაზიარი უფლების სამართლებრივ ბუნებას, რადგან ასეთ შემთხვევაში არცერთი მეუღლის წილი წინასწარ განსაზღვრული არ არის (საერთო ქონების გაყოფამდე). შესაბამისად, სანამ საერთო ქონება არ გაიყოფა და არ მოხდება მეუღლეთა წილებისა და ამ უკანასკნელს მიკუთვნებულ ნივთებზე ინდივიდუალური საკუთრების განსაზღვრა, მანამდე თითოეული მეუღლის საკუთრების

⁹¹ Scholz K.S., Die BGB-Gesellschaft nach dem Grundsatzurteil des BGH vom 29.1.2001, NZG, Heft 4, 2002, 153.

⁹² Karsten Schmidt/MüKoBGB, 8. Aufl. 2020, BGB § 741 Rn. 6.

⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-222-212-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 26 მარტის განჩინება № ას-195-2019.

უფლება საერთო ქონებაზე მთლიანად ვრცელდება და არა მის რომელიმე, თუნდაც $\frac{1}{2}$ ნაწილზე“.⁹⁴ მოცემული თვალსაზრისით, არ არის გასაზიარებელი ქართული სასამართლოს მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, სადაც საერთო ქონების განკარგვის გარიგება მთლიანად უნდა გაბათილებულიყო და არა ნაწილობრივ, რადგან შემძენის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში, ერთ-ერთი მეუღლის მიერ გასხვისებულ საერთო ქონებაზე სრულად ვრცელდება არაგამსხვისებელი მეუღლის თანასაკუთრება.⁹⁵

2. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის პრობლემა

მეუღლეთა თანასაკუთრება, როგორც ზემოთ აღინიშნა, არ არის საკუთრების რაიმე განყენებულად არსებული საოჯახო-სამართლებრივი ფორმა. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საკუთრების უფლების პრეზუმირებასთან დაკავშირებული სანივთო სამართლებრივი ნორმები, როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთების ნაწილში. „*ნივთის მფლობელში მესაკუთრის ვარაუდი დაშვებულია მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ და ეს წესი არ გამოიყენება უძრავი ნივთების შემთხვევაში, რომლის მესაკუთრეც საჯარო რეესტრიდან უნდა გამოვლინდეს*“.⁹⁶ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულებები უცვლელად გამოიყენება მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ, ქართულ სამართალში იდენტიფიცირებულია პრობლემა, რომელიც აღნიშნული თანასაკუთრების მესამე პირზე განკარგვისას შეიძლება წარმოიშვას. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ხსენებული პრობლემა დაკავშირებულია უძრავი ნივთის განკარგვის სფეროსთან, რადგანაც მასზე საკუთრების უფლება წარმოიშვება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, ხოლო რეესტრის ჩანაწერის მიმართ გამოიყენება სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია. აღნიშნული საკითხი დაკავშირებულია მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის

⁹⁴ *მელაძე გ.*, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი, სამართლის ჟურნალი, N 1, 2021, 60.

⁹⁵ მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის განჩინება № ას-621-588-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განჩინება № ას-1426-1346-2017.

⁹⁶ *ზოიძე ბ.*, სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, 68.

პრობლემასთან. შესაბამისად, საკითხი იმის თაობაზე თუ ვინ ითვლება უძრავი ნივთის მესაკუთრედ, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლეა ასეთად რეგისტრირებული, ხშირად ყოფილა ქართული სამეცნიერო დისკუსიის საგანი.

ხსენებული დისკუსიის ათვლის წერტილად შესაძლებელია დასახელდეს 2002 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ მიღებული განჩინება. სასამართლომ განმარტა, რომ „შემძენის ინტერესებიდან გამომდინარე, მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში ერთად შეძენილ, სსკ-ის 1158-ე მუხლით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე (თანასაკუთრებაზე) მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშვება მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე პირების მიმართ რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად“.⁹⁷ მიუხედავად სასამართლოს მხრიდან გაკეთებული მკაფიო განმარტებისა, გადაწყვეტილების ტექსტში მაინც წარმოდგენილია წინააღმდეგობრივი დებულებები. მაგალითად, „ი.მ. სადავო ბინის თანამესაკუთრე გახდა მისი შეძენის მომენტში მ.მ.-სთან ერთად“ - სასამართლოს განჩინებაში მოყვანილი მსგავსი დებულებები კრიტიკის საგნად იქცა, რომლის მთავარ არგუმენტად მიიჩნევა შემდეგი: „აბსურდულია, თუ დაეუშვებთ, რომ მეუღლეს, რომლის უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მიუხედავად ამისა ითვლება მესაკუთრედ, უფლება აქვს განკარგოს ეს უძრავი ნივთი ისე, რომ არ ექნება თავისი უფლების დამადასტურებელი სათანადო საბუთი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან“.⁹⁸ გასათვალისწინებელია, რომ „უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის ორი გავრცელებული სისტემა არსებობს - გერმანული და რომანული, საიდანაც ქართული სამოქალაქო სამართალი აღიარებს გერმანულ სისტემას, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით“.⁹⁹ შესაბამისად, აღნიშნულმა გარემოებამ ზემოთ ხსენებული სასამართლოს განჩინების გასაკრიტიკებლად დამატებითი საფუძველი შექმნა. თუმცა აღსანიშნავია, რომ

⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება № 3კ/932-02.

⁹⁸ სხვა არგუმენტებთან დაკავშირებით დამატებით იხ., ზოიძე ო., კომენტარი 2022 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, 2004, 210.

⁹⁹ ზოიძე ო., მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, 2004, 25.

განსხვავებული და მართებული შენიშვნა გამოითქვა სასამართლოს განმარტებაში არსებული შემდეგი ჩანაწერის მიმართ - „*მეუღლეთა საკუთრების უფლება წარმოიშვება მხოლოდ საჯარო რეესტრში ორივე მათგანის რეგისტრაციის შემდეგ*“. მოცემული შენიშვნა ემყარება იმ არგუმენტს, რომლის მიხედვით „*ქონება შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რაც მას არ ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ამ ქონების მიმართ, რადგან საოჯახო კანონმდებლობა არ მოითხოვს ორივე მეუღლის აუცილებელ დარეგისტრირებას თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებად*“.¹⁰⁰

3. კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესის დაცვა მეუღლეთა თანასაკუთრების განსაზღვრის პროცესში

ქართული საოჯახო სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ჯერ კიდევ არ იცნობდა 312-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებს. აღნიშნული ნორმები შემოღებულ იქნა 2007 წლის 29 ივნისის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების პაკეტით. ხსენებულმა ნორმებმა პირველად მკაფიოდ დააფიქსირეს უძრავ ქონებაზე არარეგისტრირებული მესაკუთრის სამართლებრივი პოზიცია, რომელიც დაცულია არაკეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონების შეძენისას. თუმცა სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი კვლავ სამეცნიერო განხილვის საგნად დარჩა, რომელმაც ზემოთ აღნიშნული დისკუსიისგან განსხვავებული პერსპექტივა შეიძინა. კერძოდ, საკითხი განისაზღვრა შემდეგნაირად: „*სსკ-ის 1158-ე მუხლი უნდა განიმარტოს როგორც საკუთრების უფლების წარმომშობი თუ როგორც საკუთრების უფლების მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა*“.¹⁰¹ უპირატესად აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, არარეგისტრირებული მეუღლისა და უძრავი ქონების შემძენის ინტერესთა კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით სსკ-ის 185-ე მუხლის გამოყენებას, მესამე პირთა ინტერესების მიმართ დამცავი ეფექტი გააჩნია, თუმცა

¹⁰⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, 147.

¹⁰¹ ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, 174.

დაუცველი რჩება არარეგისტრირებული მეუღლე.¹⁰² აღნიშნული მოსაზრება არ არის გაზიარებული იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლის საფუძველზე თითოეულ მეუღლეს გააჩნია შესაძლებლობა განახორციელოს თანასაკუთრების უფლების რეგისტრაცია როგორც ქონების შეძენის მომენტში, აგრეთვე შემდგომში.¹⁰³

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული პოზიციის მიხედვით, სსკ-ის 1158-ე მუხლი თანასაკუთრების მოთხოვნის უფლების დამდგენი ნორმაა და არა საკუთრების უფლების წარმომშობი.¹⁰⁴ შესაბამისად, ქართული დოქტრინის თანახმად, სსკ-ის 1158-ე მუხლი ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნის დამაფუძნებელი რეგულაციაა და არა სანივთო სამართლებრივი შედეგის წარმომშობი.

დამატებით აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული რეკომენდაციები არარეგისტრირებული მეუღლის სამართლებრივ პოზიციასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საკასაციო სასამართლოს მიერ ჯერ 2007, ხოლო მოგვიანებით 2011 წელს გაცემული რეკომენდაციები. კერძოდ, 2007 წელს გაცემული რეკომენდაციის თანახმად - „საკანონმდებლო ჩანაწერი „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას)“ არ უნდა განიმარტოს მარტოოდენ სიტყვასიტყვითი აზრით. ასეთი ქონება საერთო საკუთრებად იქცევა, მხოლოდ ორივე მეუღლის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით“.¹⁰⁵ საკასაციო სასამართლოს მიერ 2011 წელს გაცემული რეკომენდაციის თანახმად - „ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საერთო საკუთრებად განიხილება უშუალოდ მეუღლეთა შორის დავის დროს, ხოლო მესამე პირთათვის (თუნდაც თანასაკუთრებაში არსებული ქონების შეძენის შემთხვევაში)

¹⁰² ჩიკვაშვილი შ., მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი N 11-12, 2002, 44.

¹⁰³ ზარნაძე ე., მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, 134.

¹⁰⁴ ჩაჩავა ს., მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, 178; კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი, N 2 (29), 2011, 103.

¹⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო - რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 99.

აღნიშნული ქონება თანასაკუთრებად ჩაითვლება მხოლოდ ორივე მეუღლის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში“. ¹⁰⁶ მითითებული რეკომენდაციების ურთიერთშედარების შედეგად განსხვავება თვალსაჩინოა - თავდაპირველად სასამართლოს პოზიცია კატეგორიული ფორმულირებით გამოირჩეოდა, ხოლო მომდევნო რეკომენდაციის ფარგლებში მან დააკონკრეტა, რომ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საერთო საკუთრებად განიხილება უშუალოდ მეუღლეთა შორის დავის დროს.

სასამართლოს რეკომენდაციებთან დაკავშირებით, გარკვეული შეჯამების სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. 2011 წლის რეკომენდაციის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მეუღლეთა დავის დროს საერთო (უძრავი) ქონება წარმოადგენს თანასაკუთრებას და ექვემდებარება გაყოფას საერთო წესების შესაბამისად, ხოლო მესამე პირთან მიმართებით თანასაკუთრება იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლე თანამესაკუთრედ იქნება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული. თუმცა ამავე რეკომენდაციის საპირისპიროდ, აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომლის მიხედვით საჯარო რეესტრს გარდა კონსტიტუტური (უფლების წარმომშობი) დანიშნულებისა, აგრეთვე გააჩნია მესამე პირთა ინტერესთა დაცვის ფუნქციაც, რაც შემძენის მტკიცების ტვირთის შემსუბუქებაში გამოიხატება.¹⁰⁷ თავის მხრივ აღნიშნული მახასიათებელი სამოქალაქო ბრუნვის სიმარტივესაც განაპირობებს, რის გამოც რეესტრის ჩანაწერების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია საკმაოდ მოქნილ რეგულირებას გვთავაზობს, რადგან იმავდროულად დაცულია სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებაც - რეალურ მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით შემძენს უპირატესობა მხოლოდ მისი კეთილსინდისიერების შემთხვევაში ენიჭება. 2. 2007 წლის რეკომენდაციით გაზიარებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოშობს მეუღლეთა თანასაკუთრების უფლებას და არარეგისტრირებული მეუღლის

¹⁰⁶ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011, 75.

¹⁰⁷ *თოთლაძე ლ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018, 120.

ინტერესი დაცული არის იმით, რომ სსკ-ის 1158-ე მუხლი მას ნებისმიერ დროს ანიჭებს რეესტრის ამონაწერის ჩასწორების უფლებას.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული პოზიცია, ისევე როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული რეკომენდაციები არ არის გასაზიარებელი იმ ნაწილში, რომლის მიხედვით სსკ-ის 1158-ე მუხლი თანასაკუთრების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს არარეგისტრირებულ მეუღლეს. კერძოდ, არგუმენტაცია ემყარება შემდეგ გარემოებებს: მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობისათვის აუცილებელია, რომ ქონება შეძენილი იყოს რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში. ცალსახაა, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისათვის, ასევე აუცილებელია საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაცია, თუმცა არსებითია აღინიშნოს, რომ უძრავი ქონების მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაცია საკმარისი წინაპირობაა ორივე მეუღლის (მეუღლეთა) თანასაკუთრების უფლების წარმოსაშობად. კერძოდ, *„მიკუთვნება საერთო ქონებისადმი ხდება კანონის ძალით ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონებაზე საკუთრების მოპოვების მომენტიდან, გარიგებისმიერი აქტის გარეშე, რის გამოც შეუძლებელია კეთილსინდისიერი შეძენა“*.¹⁰⁸ შესაბამისად, არარეგისტრირებული მეუღლის თანასაკუთრების უფლება წარმოიშვება შემდეგი გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე: 1. უძრავი ქონების ერთ-ერთი მეუღლის სახელზე საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად. 2. კანონის ძალით, რომელშიც სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი მოიაზრება. 3. გარიგებისმიერი აქტის გარეშე, რაც გულისხმობს, რომ ცალკე აღებული, დამატებითი გარიგების დადება (შეთანხმების მიღწევა) მეუღლეთა შორის არ არის საჭირო, რაც თავის მხრივ გამორიცხავს შესაბამისი რეგისტრაციის აუცილებლობასაც (სავალდებულობას). ამ უკანასკნელი ფაქტორის გათვალისწინებით, გამორიცხულია მეუღლეებს შორის ურთიერთობაში საკუთრების უფლების კეთილსინდისიერ შეძენაზე იყოს საუბარი.

თავის მხრივ გასაზიარებელია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული პოზიციის ის კომპონენტი, რომლის მიხედვით არარეგისტრირებული მეუღლის

¹⁰⁸ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., მელაძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 76.

ჩასწორების მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს სკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილიდან, თუმცა არსებითად ხაზგასასმელია შემდეგი გარემოება - ჩასწორების მოთხოვნის უფლება გააჩნია არარეგისტრირებულ მეუღლეს კანონის ძალით დადგენილი თანასაკუთრების უფლებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჩასწორების მოთხოვნის უფლების რეალიზაციაზე კი არ არის დამოკიდებული თანასაკუთრების უფლების წარმოშობა, არამედ ჩასწორების მოთხოვნის უფლება გამომდინარეობს თანასაკუთრების უფლებიდან ე.ი. ნამდვილი მატერიალურ-სამართლებრივი მდგომარეობის არსებობიდან.

კერძოდ, მეორე მეუღლე თანასაკუთრების უფლებას მოიპოვებს კანონის ძალით, რაც არ საჭიროებს მარეგისტრირებელ ორგანოში შესაბამისი განცხადებისა და საბუთების შეტანას. ცალსახაა, რომ ასეთ შემთხვევაში რეესტრის ჩანაწერი არ არის სწორი, რადგან მხოლოდ ერთი მეუღლეა უძრავი ქონების ინდივიდუალურ მესაკუთრედ რეგისტრირებული. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაციას კონსტიტუტიური (უფლების წარმომშობი) მნიშვნელობა გააჩნია იმ შემთხვევაში, როდესაც განსახილველი უფლება გარიგების და არა კანონის საფუძველზე წარმოიშვება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკუთრების უფლება არსებობს, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი სინამდვილე და ამავე სინამდვილეზე დაყრდნობით გამომდინარეობს შესაბამისი მესაკუთრისათვის რეესტრში ჩასწორების მოთხოვნის უფლების მიკუთვნება. აღნიშნული პოზიცია ემყარება, გერმანულ სამართალში არსებულ გადაწყვეტას. კერძოდ, მეუღლეთა მიერ საერთო ქონების რეჟიმის შეთანხმების შემდგომ, თითოეული მათგანის ქონება გადაიქცევა ორივე მეუღლის თანასაკუთრებად, განსახილველ ქონებათა ინდივიდუალური აქტების მეშვეობით გადაცემის გარეშე.¹⁰⁹ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების შეძენისას, არ აქვს მნიშვნელობა, ქონების შეძენა განხორციელდა თავიდანვე ორივე მეუღლის თუ მხოლოდ შემძენი მეუღლის სახელზე.¹¹⁰ როდესაც ერთ-ერთი მეუღლისთვის საკუთრების უფლების მოპოვების პროცესი დასრულდება, აღნიშნული უფლება ავტომატურად მეუღლეთა თანასაკუთრებად გადაიქცევა და უფრო მეტიც,

¹⁰⁹ Erman/Bearbeiter, BGB, 15. Aufl., §1416 Rn. 4.

¹¹⁰ იქვე.

ქონების შეძენასთან დაკავშირებით მეორე მეუღლის ცოდნა, ისევე როგორც განზრახვა არარელევანტურია.¹¹¹

4. რეესტრის ჩანაწერის ჩასწორების მოთხოვნის უფლება - უძრავ ქონებაზე თანასაკუთრების უფლების დაცვის მექანიზმი

როგორც აღინიშნა, გერმანული საოჯახო სამართალი საერთო ქონების რეჟიმის (გსკ-ის 1415 - 1518-ე პარაგრაფები) ამოქმედებას, განსხვავებით ქართული საოჯახო სამართლისგან, შესაძლებლად მიიჩნევს მეუღლეთა შორის საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით. ხშირად იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები შეთანხმდებიან საერთო ქონების რეჟიმის შესახებ, მათ ავიწყდებათ რეესტრის ჩანაწერის შესწორება - მიუხედავად ამისა, ქონება, რომელიც შეძენილია ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა თანასაკუთრება ხდება მოთხოვნის უფლების დათმობისა და რეესტრში არსებული ჩანაწერის შესწორების გარეშე.¹¹² აღნიშნული გარემოება საკანონმდებლო დონეზე დადასტურებულია გსკ-ის 1416-ე პარაგრაფის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით. კერძოდ, აღნიშნული რეგულაციის თანახმად, მეუღლეთა მიერ საერთო ქონების რეჟიმის შეთანხმების შემთხვევაში, „ცალკეული საგნები ხდება საერთო და ისინი არ საჭიროებენ გარიგებით გადაცემას.“¹¹³ აგრეთვე, „თუ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში ან რომელიც შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს საადგილმამულო რეესტრში, ხდება საერთო, მაშინ ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლეს მოსთხოვოს საადგილმამულო რეესტრის შესწორების ხელშეწყობა.“¹¹⁴ ქართული ანალოგი არ გვთავაზობს გსკ-ის 1416-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის მსგავს რეგულირებას და მასში არ არის ექსპლიციტურად დაფიქსირებული მეუღლის ჩასწორების მოთხოვნის უფლება, თუმცა ქართულ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმსა

¹¹¹ იქვე.

¹¹² Liessem G., Guter Glaube beim Grundstückserwerb von einem durch seinen Güterstand verfügungsbeschränkten Ehegatten? Aufsatz, NJW, 1989, S. 500.

¹¹³ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 359.

¹¹⁴ იქვე.

და გერმანულ საერთო ქონების რეჟიმს შორის არ მოიძებნება ისეთი სახის კონცეპტუალური განსხვავება, რის გამოც შესაძლებელი იქნებოდა მეუღლეთა თანასაკუთრების რეგისტრაციის საკითხის ერთმანეთისგან განსხვავებულად გადაწყვეტა. ქართული სამართლის მსგავსად, გსკ-ის 892-ე პარაგრაფის შესაბამისად, კეთილსინდისიერ შემძენს უფლება აქვს მიენდოს/დაეყრდნოს საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერს და მასში რეგისტრირებული პირი მიიჩნიოს მესაკუთრედ - მისი ინტერესის დაცვის საჭიროება ანაცვლებს (*Verdrängt*) საოჯახო სამართლებრივ შეზღუდვას ქონების განკარგვასთან დაკავშირებით.¹¹⁵ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე არის რეგისტრირებული საერთო ქონების მესაკუთრედ, მაშინ რეესტრის ჩანაწერი ითვლება არასწორად, რის გამოც გსკ-ის 1416-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის საფუძველზე თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება მეორე მეუღლისგან მოითხოვოს „თანაქმედება“ რეესტრის ჩანაწერის შესწორების პროცესში და ასეთ დროს შესწორებასთან დაკავშირებით აუცილებელია რეგისტრირებული მეუღლის მხრიდან თანმხედრი თანხმობის გაცემა.¹¹⁶ მოცემულ შემთხვევაში ქართულ და გერმანულ მოწესრიგებას შორის განსხვავება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მარეგისტრირებელ ორგანოში დაინტერესებული პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის გათვალისწინებით.¹¹⁷ გერმანიაში მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს უშუალოდ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც შეთანხმებულია საერთო ქონების რეჟიმი.

მართებულია გერმანულ სამართალში არსებული პოზიციის გაზიარება, რომლის მიხედვით მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის წარმოშობის შემდეგ (საქართველოში - ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ) ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების შეძენისას (უძრავი ქონების შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ სახელზე რეგისტრაციისას), აღნიშნული მეუღლე საწყის ეტაპზე შეძენილი ქონების ერთპიროვნული მესაკუთრე

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ *BGB/Spernath*, 65. Ed. 1.2.2023, BGB § 1416 Rn. 12.

¹¹⁷ *ჩაჩავა ს.*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011, 179.

ხდება, თუმცა ამავე ქონებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ წარმოიშვება თანასაკუთრება, მეუღლეთა მხრიდან ყოველგვარი შემდგომი ქმედებების გარეშე.¹¹⁸

ერთგვაროვანი ქართული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ივარაუდება, რომ „ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის, საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად, მიუხედავად იმისა, ვის სახელზეა იგი შეძენილი ან რომელი მეუღლის მიერ არის გადახდილი თანხა - შესაბამისად, დავის შემთხვევაში ქორწინების განმავლობაში ქონების შეძენის ფაქტი (კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა) საკმარისი საფუძველია ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად მიჩნევისათვის“.¹¹⁹ გარდა ამისა, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მეუღლეთა თანასაკუთრების არსებობა დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ქონების გამსხვისებელი მეუღლე და აღნიშნა, რომ „რადგანაც სადავო ქონება მეუღლეთა რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის დროს არის შეძენილი, ამის გათვალისწინებით არაგამსხვისებელ მეუღლეს ჰქონდა სადავო ქონების 1/2 ნაწილზე კანონისმიერი საკუთრების უფლება.“¹²⁰

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არარეგისტრირებული მეუღლის მიერ რეესტრის ჩანაწერის ჩასწორების მოთხოვნის რეალიზაცია, წარმოადგენს არა თანასაკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობას, არამედ ამავე უფლების საკანონმდებლო დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც მას შეუძლია პოტენციური კეთილსინდისიერი შემძენი პირების მიმართ პრევენციის სახით გამოიყენოს.

¹¹⁸ Schulz W., Hauß J., Vermögensauseinandersetzung bei Trennung und Scheidung, 2. Kap. Gütergemeinschaft, 7. Aufl. 2022, Rn. 5.

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 სექტემბრის განჩინება № ას-700-2022; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 02 მარტის განჩინება № ას-1426-1346-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება № ას-180-169-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება № ას-516-2020; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის განჩინება № ას-116-2020.

¹²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 აპრილის განჩინება № ას-1400-2020.

5. ოჯახის საჭიროებების სფეროში მეუღლეთა წვლილის შეტანის ვალდებულება

ოჯახის კეთილდღეობაში ზოგადად მეუღლის მიერ წვლილის შეტანის ვალდებულება კომისიის მიერ ერთ-ერთ ძირითად პრინციპად არის აღიარებული, რომელიც უნივერსალურ ხასიათს ატარებს (4:4 პრინციპი). მოცემული პრინციპი სამ კატეგორიად არის წარმოდგენილი, კერძოდ: 1. თითოეულმა მეუღლემ უნდა შეიტანოს წვლილი ოჯახის საჭიროებების სფეროში მისი უნარების გათვალისწინებით. 2. ოჯახის საჭიროებების სფეროში წვლილის შეტანა მოიცავს საოჯახო მეურნეობის გაძღოლას (სახლის მოვლას), მეუღლეთა პირადი საჭიროებების დაკმაყოფილებას და შვილების რჩენას, აღზრდასა და მათთვის განათლების მიცემას. 3. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას ოჯახის საჭიროებების სფეროში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით, მეორე მეუღლეს აქვს უფლება კომპეტენტური ორგანოსგან მოითხოვოს შესაბამისი წვლილის ოდენობის განსაზღვრა და საკუთარი მეუღლისათვის მისი განხორციელების ვალდებულების დაკისრება.¹²¹

ოჯახის საჭიროებების სფეროში თითოეული მეუღლის მიერ წვლილის განხორციელების ვალდებულებას ქართული საოჯახო სამართალი რაიმე კონკრეტული ნორმის სახით არ იცნობს. ამ თვალსაზრისით ქართული საოჯახო სამართალი მსგავსია ინგლისური, უელსური, ირლანდიური, შოტლანდიური და რუსული სამართლისა, რომლებიც ანალოგიურად არ განსაზღვრავენ მეუღლეთა მიერ წვლილის შეტანის ვალდებულებას ოჯახის არსებული საჭიროებების სფეროში.¹²² ხსენებული თვალსაზრისით ქართული საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ მეუღლეთა ურთიერთრჩენისა და ბავშვის რჩენის (სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ვალდებულებებს, რაც ყველაზე მეტად მსგავსია ოჯახის საჭიროებებისა, თუმცა ხაზგასასმელია, რომ ქართული საოჯახო სამართალი, მიუხედავად იმისა, რომ ადგენს ზემოთ აღნიშნულ ვალდებულებებს, მათ არავითარი ფორმით არ უკავშირებს ოჯახის

¹²¹ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 47.

¹²² იქვე., 50.

საჭიროებების სფეროს, რის გამოც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასეთი ვალდებულება საქართველოში მეუღლეებს არ ეკისრებათ. აღნიშნულის საპირისპიროდ, კომისიის მიერ გამოკვლეული 26 (ოცდაექვსი) ევროპული იურისდიქციიდან, 22 (ოცდაორი) მათგანი ექსპლიციტურად აღიარებს მეუღლეთა ვალდებულებას ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების მიმართულებით, რაც ერთმანეთისგან საკმაოდ მრავალფეროვანი ტერმინოლოგიითა და ფორმულირებებით განსხვავდებიან, თუმცა მათი არსობრივი დანიშნულება იდენტურია (მაგალითად, საქორწინო ხარჯები, საოჯახო ხარჯები, საოჯახო თანაცხოვრების ხარჯები, ოჯახის საჭიროებები, საყოფაცხოვრებო ხარჯები, ოჯახის რჩენა და ა.შ.).¹²³ საქართველოში შესაბამისი ექსპლიციტური ნორმატიული საფუძვლის არარსებობის პირობებში, მიზანშეწონილია სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრდეს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილების კრიტერიუმი, რომელიც მჭიდრო კავშირშია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის ნამდვილობა (1), ერთ-ერთი მეუღლისათვის სარჩოს მინიჭების მოთხოვნის მასშტაბი (2) და მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის ფარგლები (3).¹²⁴

6. მეუღლეთა არაპირდაპირი წვლილის იდენტიფიცირება და გამონაკლისი ქონების თანასაკუთრებად გადაქცევის წესიდან

მეუღლეთა არაპირდაპირი წვლილის იდენტიფიცირება ქართული სამართლის მიხედვით, საპატიო მიზეზის ცნებასთან კავშირში არ არის გამართლებული, რადგან მოცემული ორი კატეგორია ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ საკითხებს შეეხება - კერძოდ, არაპირდაპირი წვლილის ცნება მეუღლის მიერ ოჯახის საჭიროებებში ზოგადად წვლილის შეტანის დამდგენ ერთ-ერთ ვარიანტად მიიჩნევა, ხოლო სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული საპატიო მიზეზი დაკავშირებულია მეუღლის დამოუკიდებელი შემოსავლის არქონასთან, რის გამოც კანონმდებელი გამართლებულად

¹²³ იქვე., 51.

¹²⁴ BGH NJW 1985, 1394.

მიიჩნევს მისი თანასაკუთრების უფლების წარმოშობას. მაგალითისთვის, საპატიო მიზეზის ერთ-ერთ შემთხვევად საქართველოს უზენაესი სასამართლო მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობას ასახელებს.¹²⁵ ბუნებრივია მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ვერ მიიჩნევა რაიმე სახის არაპირდაპირ წვლილად ოჯახის საჭიროებების სფეროში და მისი გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ცნების ფარგლებში, როგორიცაა *ოჯახის, როგორც ურთიერთზრუნვაზე დამყარებული პიროვნული ერთობის პარადიგმა*.¹²⁶

მაშინაც როდესაც ოჯახის საჭიროებების სფეროში მეუღლის მიერ შეტანილი წვლილი არამატერიალურ ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით დიასახლისობის შემთხვევაში, რომელიც ხშირად საკუთარი კარიერის მსხვერპლად გადებას მოიაზრებს, აღნიშნული გარემოება არ უნდა იქნეს გამოყენებული შესაბამისი მეუღლისათვის განკუთვნილი წილის შემცირების საფუძვლად.¹²⁷ სხვა საკითხია, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე მუშაობს, ხოლო მეორე არც მუშაობს და არც საოჯახო საქმიანობა დაკავებული (მაგალითად, როდესაც უშვილო მეუღლეებს აყვანილი ჰყავთ დიასახლისი, რომელიც სახლს მნიშვნელოვნად უვლის) - ასეთ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია მინიმუმამდე შეამციროს მეორე მეუღლის წილის ოდენობა საერთო ქონების გაყოფის პროცესში.¹²⁸ აგრეთვე აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში შეტანილი პირდაპირი წვლილი, რომელსაც საბაზრო ეკვივალენტი გააჩნია, უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ირიბი, თუმცა თანამედროვე საოჯახო სამართალში აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს ისეთ ფაქტორს, რის გამოც ერთი სახის წვლილი მეორესთან შედარებით უფრო მნიშვნელოვნად შეიძლება იქნეს მიჩნეული.¹²⁹ ისტორიულ დონეზე არაპირდაპირი წვლილის მნიშვნელობის აღიარება ემყარება იმ გარემოებას, რომლის მიხედვით ქალთა მდგომარეობა სოციალურ-ეკონომიკური პარტნიორობის სფეროში

¹²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-290-276-2013.

¹²⁶ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., მელაძე გ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 78.

¹²⁷ *Kabra I.*, Matrimonial Property Laws in India: Need of the Hour, *Nirma University Law Journal*, Vol. 5, Issue 1, 2015, 104.

¹²⁸ *Островский В.*, Об Объемe Понятия Имущество, Нажитое Супругами в Течение Брака, *Еженедельник Советской Юстиции*, N 40, 1929, 941.

¹²⁹ *Lown P.J.M., Bendiak F.L.*, Matrimonial Property - The New Regime, *Alberta Law Review*, Vol. XVII No.3, 1979, 404.

მათი როლური სპეციალიზაციის გამო დაუცველი არ უნდა ყოფილიყო და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ქალთა საოჯახო საქმიანობა უნდა შეფასებულიყო როგორც არაპირდაპირი წვლილი მეუღლეთა თანასაკუთრების შეძენის, შენახვისა და გაუმჯობესების პროცესში.¹³⁰

კომისიის მიერ შემუშავებული ზემოთ აღნიშნული პრინციპის ქართულ რეგულაციასთან შედარებისას დგინდება შემდეგი სახის გარემოებები: 1. ქართული რეგულირება მსგავსია ევროპული მოდელისა იმ ნაწილში, რომლის მიხედვით არაპირდაპირი წვლილი გულისხმობს მეუღლის მიერ საოჯახო საქმიანობის გაწევასა და შვილების მოვლას. ეს უკანასკნელი ცხადია მოიაზრებს შვილების რჩენის (1), აღზრდისა (2) და მათთვის განათლების მიცემის (3) სფეროებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ შემუშავებული პრინციპების შესაბამისად, შვილების მოვლა ფართოდ განიმარტება და მასში მოიაზრება არა მხოლოდ ორივე მეუღლის, არამედ ერთ-ერთი მეუღლის შვილიც, რომელიც საერთო სახლში ცხოვრობს (*Family Home*). ამ მხრივ ქართული საოჯახო სამართლის მიდგომა საკმაოდ ბუნდოვანია, რადგან ის არათუ არ იცნობს შესაბამის პირდაპირ ნორმატიულ საფუძველს, არამედ აგრეთვე მისთვის უცნობია საერთო სახლის ცნებაც. ხსენებული ნორმა გათვალისწინებულია ნიდერლანდების, ესპანეთისა და ბულგარეთის მართლწესრიგებში.¹³¹ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მოცემული წესი არ არის გავრცელებული ევროპულ იურისდიქციებში, თუმცა კომისიის მიერ ის მაინც იქნა აღიარებული პრინციპის დონეზე. 2. ქართული რეგულირება განსხვავდება ევროპული მოდელისგან იმ ნაწილში, რომლის მიხედვით არაპირდაპირი წვლილის შემადგენელი კომპონენტია მეუღლეთა პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება. თუმცა აღნიშნული განსხვავება მხოლოდ თეორიულ ხასიათს ატარებს, რადგან სსკ-ის 1182-ე მუხლი განსაზღვრავს მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებას.

¹³⁰ Parkinson P., Quantifying the Homemaker Contribution in Family Property Law, Federal Law Review, Vol. 31, 2003, 22.

¹³¹ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 52.

მოცემულ შემთხვევაში წარმოიშვება შემდეგი ორი პრობლემა - 1. როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს დამოუკიდებელი შემოსავლის არქონისათვის არასაპატიო მიზეზი გააჩნია, წარმოეშვება თუ არა თანასაკუთრების უფლება განსახილველ საერთო ქონებაზე და 2. როდესაც მეუღლე არ ასრულებს სსკ-ის 1182-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას, გამორიცხავს თუ არა აღნიშნული გარემოება მისთვის თანასაკუთრების უფლების წარმოშობას.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა მოვიშველიოთ ზემოთ ხსენებული ცნება - ოჯახის, როგორც ურთიერთზრუნვაზე დამყარებული პიროვნული ერთობის პარადიგმა, რომელზე დაყრდნობითაც სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება მიზანშეწონილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.ი. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების პირობებში, არასაპატიო მიზეზით დამოუკიდებელი შემოსავლის არქონამ ერთმნიშვნელოვნად უნდა გამორიცხოს შესაბამისი მეუღლისათვის თანასაკუთრების უფლების წარმოშობა. მოცემულ შემთხვევაში, მაქსიმალურად ფრთხილი მიდგომა შეიძლება იყოს მართებული, რადგან საერთო ქონება ოჯახის შენარჩუნების უმთავრესი წყაროა და ზემოთ აღნიშნული პიროვნული ერთობის პარადიგმისგან გადახვევა განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებშია გამართლებული. აღნიშნული მიმართულებით ქართული სასამართლო პრაქტიკა დღეის მდგომარეობით არ არის განვითარებული და შესაბამისად სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოცემულ კონტექსტში განმარტება, პრეცედენტული მნიშვნელობის მატარებელი იქნება.

მეორე საკითხთან დაკავშირებით, სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანასაკუთრების უფლების წარმოშობას განიხილავს მეუღლის მხრიდან დამოუკიდებელი შემოსავლის ქონა/არქონის კონტექსტში. შესაბამისად, მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლისათვის აღნიშნულ დახმარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი მხოლოდ სასამართლოს მიერ სარჩოს გადახდის ვალდებულების დაკისრებაში გამოიხატება და ეს საკითხი არ განეკუთვნება მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის პრობლემატიკას. შესაბამისად, მეუღლის პირადი საჭიროების გამო, მისთვის სარჩოს გადახდის ვალდებულების შესრულებაც, განსხვავებით ზემოთ აღნიშნული ევროპული მოდელისა, ქართულ საოჯახო

სამართალში ვერ იქნება მიჩნეული არაპირდაპირ წვლილად ოჯახის საჭიროებების სფეროში.

არაპირდაპირი წვლილის მნიშვნელობის აღიარების კონტექსტში, ქართული საოჯახო სამართალი იზიარებს არა მხოლოდ კონტინენტურ-ევროპულ, არამედ ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ კულტურაში არსებულ პოზიციასაც. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ კანადის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *MacLeod vs. MacLeod*. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ქმარი მნიშვნელოვანწილად დაკავებული იყო ფულის გამომუშავებით და ბევრს შრომობდა მის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) გაუმჯობესების მიზნით, ხოლო ცოლმა საკუთარი ძალისხმევით ხუთი შვილი გაზარდა. სასამართლოს განმარტების თანახმად, მცირე ან არავითარი რაციონალური განსხვავება არ შეიძლება არსებობდეს განსახილველ, ურთიერთშესაძარ გარემოებებს შორის, ორივე მეუღლის წვლილი თანაბრად უნდა იქნეს მიჩნეული და შესაბამისად ქონების გაყოფაც, შესაძლებლობის შემთხვევაში, თანასწორ წილად უნდა განხორციელდეს - აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით ორი სახის ეკონომიკური საქმიანობა (საბაზრო და საყოფაცხოვრებო), ყოველგვარი თვალსაზრისის მიხედვით ერთმანეთისგან განურჩეველი უნდა იყოს, მომდევნო გადაწყვეტილებებისათვის მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა.¹³²

სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილით აღიარებული არაპირდაპირი წვლილის მნიშვნელობა ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება ოჯახის, როგორც პიროვნული ერთობის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია სინგაპურის სააპელაციო სასამართლოს განმარტება საქმეზე *Lim Choon Lai vs. Chew Kim Heng*, რომლის თანახმად, ქორწინება არ მიიჩნევა ბიზნესად, სადაც მხარეები ფინანსურ მოგებას ნახულობენ მათი ეკონომიკური წვლილის შესაბამისად, არამედ ეს არის პიროვნული ერთობა, რომლის ფარგლებშიც მეუღლეები ერთობლივად მუშაობენ საერთო და შვილების კეთილდღეობისთვის.¹³³ გასათვალისწინებელია, რომ ამავე გადაწყვეტილებაში ნახსენები ისეთი სამართლებრივი

¹³² *Knetsch J.L.*, Some Economic Implications of Matrimonial Property Rules, *University of Toronto Law Journal*, 34, 1984, 268.

¹³³ *Ling Ong D.S., Thean V.*, *Family Law*, Singapore Academy of Law Annual Review of Singapore Cases, 2001, 235.

კატეგორიები, როგორიცაა „ოჯახის საერთო კეთილდღეობაში წვლილის სტაბილურად“ (*Contributions are made consistently*) და „ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განხორციელება“ (*Over a long period of time*) ქართული საოჯახო სამართალი პირდაპირ არ იცნობს, თუმცა სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტში არსებული ჩანაწერები - „ეწეოდა საოჯახო საქმიანობას“ და „უვლიდა შვილებს“ ზემოთ ხსენებული კატეგორიის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. ორივე მათგანი არაერთჯერად, სტაბილურ ხასიათს უნდა ატარებდეს იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ შესაძლებელი იყოს ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან განხორციელებული წვლილის არაპირდაპირად (შესაბამისად, დასაშვებად) მიჩნევა და მისი გათვალისწინება საერთო ქონების გაყოფის პროცესში.

7. მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვა

სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე „დადგენილია მხოლოდ იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, როდესაც განკარგვითი გარიგება ნამდვილია არაგანმკარგავი მეუღლის პროტესტის მიუხედავად“. ¹³⁴ კერძოდ, სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში, მართალია სახელდებით მოხსენიებული არ არის „ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების კრიტერიუმი“, თუმცა გასაზიარებელია პოზიცია, რომლის მიხედვით „აუცილებელია გერმანულ სამართალში არსებული კრიტერიუმის გადმოტანა საქართველოში პრინციპის დონეზე“. ¹³⁵

სამართლებრივი შედეგის სახით, ხსენებული კრიტერიუმის შემოღება ნიშნავს შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე მეორე მეუღლის ინფორმირებისა და

¹³⁴ *რუსიაშვილი გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, „შედარებითი სამართლის ჟურნალი“, 10/2020, 12; სსკ-ის 1160-ე მუხლის ერთგვაროვან განმარტებებთან დაკავშირებით იხ., *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, 158-159; *შენგელია რ., შენგელია ე.*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2019, 121-122; *ნინუა ე.*, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, № 03(34), 2012, 50; *ბიჭია მ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, № 01(61), 2019, 90; *ფხალაძე ნ.*, მეუღლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 14, 2020, 168; *ქანთარია გ., ჯგერენია ვ.*, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, № 8, 2018, 88.

¹³⁵ *რუსიაშვილი გ., ქავშიშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 87.

თანხმობის გარეშე განკარგავს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას, მას გააჩნია ერთპიროვნული განკარგვის უფლებამოსილება იმ პირობით, რომ იგი ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით მოქმედებს და შესაბამისად, არ საჭიროებს მეორე მეუღლის ინფორმირებას/თანხმობას. ასეთ შემთხვევაში ის არის საერთო ქონების უფლებამოსილი განმკარგავი პირი. სწორედ აღნიშნულ გარემოებას უნდა გულისხმობდეს, სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერი, რომლის მიხედვით მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით მხოლოდ იმის გამო, რომ მან არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა მას. შესაბამისად, **დამატებით** აუცილებელია, რომ საერთო ქონების განმკარგავი მეუღლე არ უნდა მოქმედებდეს ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.¹³⁶

III. ცალკეული ქონების სამართლებრივი რეჟიმი

1. დაქორწინებამდე არსებული ქონება

ინდივიდუალური საკუთრების პირველ კატეგორიად აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ ის ქონება, რომელიც თითოეულ მეუღლეს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა. აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ არსებული პირდაპირი საკანონმდებლო რეგულაცია სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტის სახით, არამედ აღნიშნული დანაწესის შესაბამისი ისტორიული პირველწყაროს განვითარების შედეგად - კერძოდ, რუსეთის კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების რეგისტრაცია განაპირობებს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის წარმოშობას, რომელიც ვრცელდება მხოლოდ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების მიმართ, ხოლო დაქორწინებამდე არსებული ქონება რჩება მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში და შესაბამისად, ქორწინების რეგისტრაციას არ გააჩნია დასაქორწინებელ პირთა ინდივიდუალურ

¹³⁶ **შენიშვნა:** მეუღლეთა თანასაკუთრების მართვის პრინციპებთან დაკავშირებით იხ., დანართი N 1.

საკუთრებაში არსებული ქონების თანასაკუთრებად ტრანსფორმაციის ეფექტი.¹³⁷ ამ თვალსაზრისით ევროპული მართლწესრიგების რეგულირება იდენტურია - კერძოდ, კომისიის მიერ გამოკვლეულ ყველა იურისდიქციაში, ქორწინებამდე არსებული ქონება, მიუხედავად შეძენის წყაროებისა, განეკუთვნება თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას.¹³⁸ ერთადერთ გამონაკლისად მიიჩნეოდა ნიდერლანდების სახელმწიფო, სადაც უნივერსალური თანასაკუთრების რეჟიმი მოქმედებდა, თუმცა აღნიშნული რეჟიმი გაუქმდა 2018 წელს და ახალი აქტის შესაბამისად, ის შეიცვალა შეზღუდული თანასაკუთრების რეჟიმით, რომლის ფარგლებშიც ქორწინებამდე არსებული ქონება და ვალდებულებები გამოირიცხა მეუღლეთა თანასაკუთრებიდან, თუმცა გასათვალისწინებელია საგამონაკლისო წესი - მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალმა მეუღლეებმა ერთობლივად შეიძინეს სახლი ფაქტობრივი თანაცხოვრების პერიოდში და აღნიშნული ქონება დარეგისტრირდა ორივე მათგანის სახელზე, ქორწინების შემდგომ მასზე თანასაკუთრების რეჟიმი გავრცელდება.¹³⁹

ქონების შეძენის დროის მომენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტი სწორედ მოცემულ კატეგორიას ემყარება.

აღსანიშნავია საკასაციო სასამართლოს მიერ რამდენიმე საქმეზე გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმად *„ქორწინების შემდეგ საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების აღრიცხვით, სადავო ბინა ვერ ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, ვინაიდან ქონება შეძენილი უნდა იყოს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში ერთობლივი შრომითა და საერთო სახსრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დადგენილია, რომ სადავო ბინის ღირებულება ერთ-ერთმა მეუღლემ გადაიხადა ქორწინებამდე, სადავო ბინა უნდა ჩაითვალოს შესაბამისად მის ინდივიდუალურ საკუთრებად და მასზე ვერ გავრცელდება მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი“*.¹⁴⁰

¹³⁷ Aleksandrova M. A., Fedorova O. A., Features of the Legal Regime Governing the Personal Property of Spouses in Russia, Vestnik of Saint Petersburg University Law, 2021, 320.

¹³⁸ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 231.

¹³⁹ Schrama W., CEFL Report – Property Relations, Netherlands, 2021, 9.

¹⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 08 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-33-483-06; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის განჩინება № ას-438-2021.

კერძოდ, სასამართლოს პოზიციით, იმისათვის, რომ ქონება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად აუცილებელია ის შეძენილი იყოს ქორწინების განმავლობაში ერთობლივი შრომითა და საერთო სახსრებით. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს თანასაკუთრების წარმოშობას მაშინაც, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი. თუმცა სასამართლოს ზემოთ წარმოდგენილ განმარტებაში, მხოლოდ აღნიშნული წინააღმდეგობა არ იკითხება, რადგან მაშინაც კი როდესაც ორივე მეუღლეს გააჩნდა შემოსავალი, თუმცა განსახილველი ქონება მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მიერ იქნა შეძენილი, ამ შემთხვევაშიც შესაბამის ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოიშვება. რაც შეეხება სასამართლოს პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ბინა უნდა ჩაითვალოს იმ მეუღლის ინდივიდუალურ ქონებად, რომელმაც მისი ღირებულება გადაიხადა ქორწინებამდე, თუმცა საკუთრების უფლების რეგისტრაციას ადგილი ჰქონდა ქორწინების შემდგომ პერიოდში - დაქორწინებამდე არსებული ქონება (მოცემულ შემთხვევაში ფულადი თანხა) ერთმნიშვნელოვნად ინდივიდუალური საკუთრებაა. ქორწინების შემდგომ პერიოდში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან მხოლოდ უშუალოდ ქონების შემძენი მეუღლე არ უნდა ჩაითვალოს ქონების მესაკუთრედ, რადგან ქორწინების არსებობის პირობებში, მეუღლეებმა ერთმანეთს ქონებრივი ბედი დაუკავშირეს. შესაბამისად, სასამართლოს პოზიცია არ არის გასაზიარებელი იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ფინანსური მსხვერპლის გაღების მომენტი იქნეს გადამწყვეტ ფაქტორად მიჩნეული ცალკეული ქონების საკუთრებითი რეჟიმის განსაზღვრის პროცესში, არამედ მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის განმაპირობებელი საფუძველი საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი. ეს უკანასკნელი კი უძრავი ნივთების შემთხვევაში მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად წარმოიშვება, რომელსაც ზემოთ ხსენებული სასამართლო საქმეთა ფარგლებში, ქორწინების შემდგომ პერიოდში ჰქონდა ადგილი.

2. დაქორწინებამდე არსებული თანხის/ქონების განკარგვის შედეგი

აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც მეუღლემ ქონება შეიძინა დაქორწინების შემდგომ პერიოდში იმ სახსრებით, რაც მას ქორწინებამდე ეკუთვნოდა - ასეთ შემთხვევაში რუსეთის უმაღლესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრებად არ მიიჩნევა ის ქონება, რომელიც მართალია ქორწინების განმავლობაშია შეძენილი, მაგრამ ერთ-ერთი მეუღლის იმ პირადი სახსრებით, რაც მას დაქორწინებამდე ეკუთვნოდა.¹⁴¹

ხსენებულ საკითხთან აგრეთვე დაკავშირებულია ისეთი პრობლემური შემთხვევის გადაწყვეტა, როგორიცაა დაქორწინებამდე არსებული ე.ი. ინდივიდუალური სახსრების ერთ-ერთი მეუღლის მიერ განკარგვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლებრივი რეჟიმის იდენტიფიცირება, ასევე როდესაც მეუღლემ დაქორწინებამდე არსებული საკუთარი ქონება ქორწინების შემდგომ მესამე პირზე გაასხვისა, ხოლო მიღებული თანხით ახალი ქონება შეიძინა.

აღსანიშნავია ერთ-ერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს - ყაზახეთის სამართლის მკვლევარის პოზიცია, რომლის მიხედვით ქორწინების განმავლობაში მეუღლის მიერ დაქორწინებამდე არსებული სახსრებით შეძენილი ქონება ამ უკანასკნელის ინდივიდუალური საკუთრებაა და შესაბამისად გაყოფას არ ექვემდებარება.¹⁴² ამავე საკითხთან არის დაკავშირებული ე.წ. „მიკვლევადობის“ (*Tracing*) პრობლემა, რომელიც აქტუალურობით გამოირჩევა აშშ-ს იურისდიქციებში, მათ შორის მეუღლეთა თანასაკუთრების სისტემის მიმდევარ შტატებში. მაგალითად, ერთ-ერთმა მეუღლემ წინასაქორწინო პერიოდში შესაძლებელია თანხა განათავსოს საკუთარ საბანკო ანგარიშზე და ქორწინების შემდგომ გამოიყენოს აღნიშნული თანხა ქონების შესაძენად. აღნიშნული ნასყიდობის განხილვისას აშკარაა, რომ თანხა, რომლითაც ქორწინების განმავლობაში შეძენილი ახალი ქონება, შემძენი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნებოდა და შესაბამისად, მიკვლევადობის წესის გათვალისწინებით, ახალი

¹⁴¹ Aleksandrova M. A., Fedorova O. A., Features of the Legal Regime Governing the Personal Property of Spouses in Russia, Vestnik of Saint Petersburg University Law, 2021, 327.

¹⁴² Бексултанова Р.Т., Личные и Имущественные Правоотношения Супругов: Перспективы Развития, Законность и Правопорядок в Современном Обществе, 2010, 63.

ქონებაც ამავე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებაა.¹⁴³ აღნიშნული წესი აგრეთვე ცნობილია „სანივთო სუბროგაციის“ სახელწოდებით (ინგლისურ სამართალში - *Law of Tracing*).¹⁴⁴

რუსული სასამართლო პრაქტიკა გაკრიტიკებულია სამეცნიერო დოქტრინაში რამდენიმე არგუმენტზე დაყრდნობით, რომელთაგან აღსანიშნავია ძირითადი - ქორწინება გაგებულ უნდა იქნეს როგორც ქალისა და მამაკაცის ერთგვარი ეკონომიკური ერთობა, რის გამოც იმ შეთანხმების შინაარსი, რომლის მიხედვით მომავალი მეუღლეები ქორწინდებიან, საკუთარ თავში გულისხმობს, რომ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ყველა ქონება, როგორც წესი თანასაკუთრებას უნდა განეკუთვნებოდეს. შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრების თანდათანობითი ზრდა ინდივიდუალური ქონებრივი ბაზის შემცირების ხარჯზე, ყველაზე მეტად შეესაბამება ქორწინების, როგორც ეკონომიკური კავშირის იდეას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ხანგრძლივ ქორწინებაზე ვსაუბრობთ.¹⁴⁵

რიგ ევროპულ სახელმწიფოებში, ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების განმკარგავმა მეუღლემ სათანადოდ უნდა განაცხადოს (*Appropriate Declaration*) იმის თაობაზე, რომ ახალი ქონება, რომელსაც იგი იძენს, მის ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება. მაგალითად, ესპანურ სამართალში თითოეული მეუღლე ვალდებულია პერიოდულად შეატყობინონ ერთმანეთს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების თაობაზე, მათ შორის ინდივიდუალური ქონების ინვესტირების შემთხვევაშიც, ხოლო აღნიშნული ვალდებულების არსებითად და განმეორებითად დარღვევის შემთხვევაში, მეორე მეუღლეს წარმოეშვება უფლება მოითხოვოს თანასაკუთრების გაყოფა (ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1393-ე მუხლის მე-4 პარაგრაფი).¹⁴⁶ პორტუგალიური სამართალი უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს - კერძოდ, მეუღლის ინდივიდუალური ქონება ინარჩუნებს ასეთივე ხარისხს იმ შემთხვევაში თუ შესრულებულია შემდეგი ორი წინაპირობა: 1. ახალი ქონების რეჟიმი

¹⁴³ Oldham J. T., Tracing, Commingling, and Transmutation, Family Law Quarterly, Vol. XXIH, Number 2, 1989, 220.

¹⁴⁴ Aleksandrova M. A., Fedorova O. A., Features of the Legal Regime Governing the Personal Property of Spouses in Russia, Vestnik of Saint Petersburg University Law, 2021, 323.

¹⁴⁵ იქვე., 329.

¹⁴⁶ Beilfuss C.G., CEFL Report – Property Relations, Spain, 2008, 13.

კონკრეტულად უნდა იყოს მითითებული მისი წარმოშობის ან შესაბამის ეკვივალენტურ დოკუმენტში და 2. ასეთი მითითება გაკეთებული უნდა იყოს ორივე მეუღლის მონაწილეობით/ჩართულობით (პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 1723-ე მუხლი), ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ორი წინაპირობა არ იქნება შესრულებული, ქონება ჩაითვლება თანასაკუთრებად, რადგანაც ის ითვლება აქტივად, რომელიც შეძენილია ქორწინების შემდგომ პერიოდში.¹⁴⁷

ქართულ სამართალში არ არის დადგენილი რაიმე სახის სპეციალური წესი/წესები, რომელიც ზემოთ ხსენებული ევროპული რეგულირების მსგავსად, ქორწინების განმავლობაში ინდივიდუალური ქონების განკარგვის შედეგად ახლადშეძენილ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმს განსაზღვრავდა. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, გასაზიარებელია ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ქორწინების როგორც ეკონომიკური კავშირის იდეის შესახებ და ასეთი გზით შეძენილი ახალი ქონებაც მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა იქნეს მიჩნეული.

3. დაქორწინებამდე არსებული ქონების გამოყენების შედეგად მიღებული ნაყოფის (შემოსავლის, სარგებლის) სამართლებრივი რეჟიმი

მიუხედავად ქორწინების სამართლებრივი რეჟიმისა, „*მეუღლეებს, თითოეულს ცალ-ცალკე, მესამე პირებთან მიმართებით აქვთ იმ ნივთების თავისუფლად განკარგვის უფლება, რომლებიც სსკ-ის 1161-ე მუხლის საფუძველზე მათი ინდივიდუალური საკუთრებაა*“. ¹⁴⁸ აღსანიშნავია, რომ მსგავსად ინდივიდუალური საკუთრების განკარგვის სანაცვლოდ მოპოვებული ქონებისა (თანხისა), აგრეთვე დაქორწინებამდე არსებული ქონების გამოყენების შედეგად მიღებული ნაყოფის (შემოსავლის, სარგებლის) სამართლებრივი რეჟიმი კანონით დადგენილი არ არის. „*ნაყოფის მომტან*“ პირად აქტივებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: ნივთი, რომელიც გაქირავებულია ან იჯარის წესით არის გაცემული, აქციები/წილები სამეწარმეო იურიდიული პირის კაპიტალში,

¹⁴⁷ Oliveira G., Martins R., Vitor P., CEFL Report – Property Relations, Portugal, 2008, 10.

¹⁴⁸ ზარანდია თ., სანივთო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2016, 47.

შენატანები საკრედიტო ორგანიზაციებში, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგზე წარმოშობილი განსაკუთრებული უფლებები თუ სხვა. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ „ნაყოფის მომტან“ აქტივებს ერთი საერთო თვისება გააჩნიათ - მათგან შემოსავლის მიღება როგორც წესი შესაძლებელია პერიოდული გადახდების მეშვეობით და იშვიათად თანხის ერთჯერადი გადახდის გზით.

სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილავენ შემდეგ შემთხვევას, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალური ქონების გამოყენების შედეგად მიღებული ნაყოფის (შემოსავლის, სარგებლის) შესაბამისი გამოყენებული მეუღლის საკუთრებისადმი მიკუთვნება გაუმართლებლად არის მიჩნეული. კერძოდ, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სისტემატურად დაკავებულია დაქორწინებამდე არსებული უძრავი ქონების გაქირავებით (შემოსავალს იღებს ქირის სახით), ხოლო მეორე მეუღლე შრომითი ურთიერთობის ფარგლებში გამოიმუშავებს ხელფასს - პირველ შემთხვევაში ქირის ინდივიდუალურ საკუთრებად, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელფასის თანასაკუთრებად მიჩნევა უსამართლო იქნებოდა, რადგან მივიღებთ ისეთ შედეგს, როდესაც მხოლოდ მეორე მეუღლე ზრუნავს ოჯახის საერთო ინტერესებისათვის, ხოლო პირველი მეუღლე მიუხედავად შემოსავლის გენერირებისა, ოჯახის კეთილდღეობისთვის მაინც არაფერს აკეთებს, მით უფრო იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ დაქორწინება და ოჯახის შექმნა მისი არჩევანიც იყო.¹⁴⁹ გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში უსამართლო შედეგი დგება არა მხოლოდ ცალკე აღებული ოჯახისათვის, არამედ ინდივიდუალურად იმ მეუღლისთვისაც, რომლის მიერ მოპოვებულ ქონებაზე/გამომუშავებულ თანხაზე მისი მეუღლის თანასაკუთრება უნდა გავრცელდეს, თუმცა პირიქით, მისი თანასაკუთრება ვერ იქნება გავრცელებული მეორე მეუღლის მიერ მოპოვებულ შემოსავალზე, რადგან ამ უკანასკნელმა მხოლოდ ინდივიდუალური ქონება გამოიყენა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქორწინების, როგორც ეკონომიკური კავშირის იდეას. ქართულ საოჯახო სამართალში კანონმდებლის მიერ გაკეთებული არჩევანი მეუღლეთა თანასაკუთრების,

¹⁴⁹ Aleksandrova M. A., Fedorova O. A., Features of the Legal Regime Governing the Personal Property of Spouses in Russia, Vestnik of Saint Petersburg University Law, 2021, 324.

როგორც პირველადი (ავტომატური) კანონისმიერი რეჟიმის სასარგებლოდ, ემყარება იმ გარემოებას, რომ ქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში მეუღლეები როგორც წესი ვარაუდობენ შემდეგს: 1. მათ ექნებათ საერთო ბიუჯეტი; 2. ერთმანეთს მატერიალურად დაეხმარებიან და 3. ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტენ ოჯახისათვის ეკონომიკურად მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნულ ჰიპოთეტურ დაშვებას სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიც ამყარებს - საპატიო მიზეზის გამო ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან დამოუკიდებელი შემოსავლის არქონის მიუხედავად, დასაქმებული მეორე მეუღლის შემოსავალზე ორივე მათგანის საკუთრების უფლება ვრცელდება და სწორედ ამ გზით ხდება თანასაკუთრების დაგროვება. შესაბამისად, ამავე რეგულაციაში შეიძლება ამოვიკითხოთ ქართველი კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის მქონე არჩევანი, რომელიც მნიშვნელოვანწილად მეუღლეთა ინდივიდუალური რესურსების გაერთიანების სასარგებლოდ არის გაკეთებული. ბუნებრივია, ასეთი მსოფლმხედველობა დამახასიათებელია სწორედ შეზღუდული თანასაკუთრების რეჟიმის მქონე სახელმწიფოებისთვის, რომელთა რიგებსაც საქართველოც განეკუთვნება და პირიქით, არ არის დამახასიათებელი იმ ქვეყნების მართლწესრიგებისთვის, რომლებმაც პირველად კანონისმიერ რეჟიმად გადავადებული თანასაკუთრების ან მით უფრო, ქონებრივი სეპარაციის რეჟიმი აირჩიეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „როგორც საერთო ქონების, აგრეთვე ინდივიდუალური ქონების ნაყოფი მეუღლეთა საერთო ქონებას განეკუთვნება“.¹⁵⁰ გარდა აღნიშნულისა, „არაგადაცემადი სიკეთეების გამოყენების შედეგად მიღებული ნაყოფიც მეუღლეთა თანასაკუთრების სფეროშია მოქცეული იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი თავის მხრივ გადაცემადი უნდა იყოს“.¹⁵¹

¹⁵⁰ *რუსიაშვილი გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, № 10, 2020, 10.

¹⁵¹ იქვე., 14.

4. ჩუქებით მიღებული ქონება

ჩუქებით მიღებული ქონება ზოგადად ინდივიდუალური საკუთრების ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევა, თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა მჩუქებლის ნებას ენიჭება.¹⁵² აღნიშნულიდან გამომდინარე, მჩუქებლის ნების შინაარსს მაკვალიფიცირებელი დანიშნულება გააჩნია - თუ იგი მიმართულია მხოლოდ უშუალოდ დასაჩუქრებული მეუღლის მიმართ, მაშინ ნაჩუქარი ქონება ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც აღნიშნული ნება მიზნად ისახავს ორივე მეუღლის ე.ი. მთლიანობაში ოჯახის დასაჩუქრებას, ასეთ დროს განსახილველი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრების საგანია. აღსანიშნავია გსკ-ს 1418-ე პარაგრაფი, რომელიც განსაზღვრავს გამოყოფილი ქონების კატეგორიას და აღნიშნული სფერო მოიცავს როგორც მემკვიდრეობით, ასევე ჩუქებით მიღებულ ქონებასაც. თუმცა ქართული და გერმანული მოწესრიგების ურთიერთშედარებისას დგინდება შემდეგი განსხვავება - სსკ-ის 1161-ე მუხლის „ბ“ პუნქტი არ ითვალისწინებს დათქმას მჩუქებლის ნების რაიმე ფორმით გათვალისწინებასთან დაკავშირებით მაშინ როდესაც მისი გერმანული ანალოგის თანახმად, „*გამოყოფილ ქონებას მიეკუთვნება საგნები, თუ მამკვიდრებელმა საანდერძო განკარგულებაში, ხოლო მესამე პირმა – ქონების გადაცემისას განსაზღვრეს, რომ შენაძენი უნდა ჩაითვალოს გამოყოფილ ქონებად*“.¹⁵³ აღსანიშნავია, რომ მჩუქებლის მხრიდან ერთ-ერთი მეუღლისათვის ქონების გადაცემისას შენაძენის გამოყოფილ ქონებად განსაზღვრა შესაძლებელია არაოფიციალურად (მათ შორის დუმილით) უშუალოდ ჩუქების განხორციელების მომენტში, ასევე უფრო ადრეც თუ შესაბამისი განზრახვა ჩუქების წერილობით ხელშეკრულებაში პირდაპირ ან ირიბად მითითებულია, და არც ერთ შემთხვევაში ჩუქების განხორციელების შემდგომ.¹⁵⁴ მიუხედავად ხსენებული ჩანაწერის არარსებობისა ქართულ კანონმდებლობაში, გერმანულ სამართალში ჩამოყალიბებული პოზიცია გასაზიარებელია და ჩუქების სამართლებრივი ბედი მჩუქებლის ნების

¹⁵² *რუსთაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 94.

¹⁵³ *ჭეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 359.

¹⁵⁴ *MiKoBGB/Münch.*, 9. Aufl. 2022, BGB § 1418 Rn. 7.

შესაბამისად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. გამოყოფილი ქონების დადგენის მიზნით არ არის აუცილებელი მხარეებმა სახელშეკრულებო ურთიერთობის პროცესში გამოიყენონ ტერმინი „გამოყოფილი ქონება“, არამედ საკმარისია დადგინდეს მჩუქებლის ნება იმის თაობაზე, რომ გაჩუქებული ნივთი ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად უნდა იქცეს.¹⁵⁵ გასათვალისწინებელია, რომ მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით, წინასწარ გამორიცხონ გამოყოფილი ქონების ფორმირების შესაძლებლობა მესამე პირთა მხრიდან ნივთის გაჩუქების მეშვეობით - ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი გარიგება არანამდვილი იქნება, მიუხედავად ერთ-ერთი მეუღლის დასაჩუქრების განზრახვის არსებობისა.¹⁵⁶

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ დავის განხილვისას არ არის გამართლებული ერთ-ერთი მეუღლისათვის ნაჩუქარი ქონების ავტომატურად ინდივიდუალურ საკუთრებად მიჩნევა, არამედ აუცილებელია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მჩუქებლის ნების დადგენა. საკასაციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე უარყოფილ იქნა მოთხოვნა უძრავ ნივთზე თანასაკუთრების რეჟიმიდან გამომდინარე საკუთრების უფლების ცნობის ნაწილში, ვინაიდან საჩუქრად მიღებულ ქონებაზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმი გამოირიცხებოდა.¹⁵⁷ აღნიშნული განმარტება პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ არ იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა საჩუქრად მიღებულ ქონებაზე თანასაკუთრების სამართლებრივი რეჟიმის გამორიცხვა - კონკრეტულ განსახილველ საქმეში მჩუქებლის მხრიდან შესაბამისი ნების არსებობა/არარსებობამ თუ ზოგადად ნაჩუქარ ქონებაზე ავტომატურად თანასაკუთრების გამორიცხვამ, მჩუქებლის ნების გამოკვლევისა და დადგენის გარეშე. ცალკე განხილვის საგანია თუ როგორ უნდა წარმართოს სასამართლოს მიერ მჩუქებლის ნების დადგენის პროცესი. ამ მხრივ აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი საქმე, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ განმარტა, რომ საჩუქრად გადაცემული საცხოვრებელი სახლი დასაჩუქრებულის ინდივიდუალურ საკუთრებად ვერ იქნებოდა მიჩნეული,

¹⁵⁵ იქვე., 10.

¹⁵⁶ *Langenfeld/Milzer*, Eheverträge und Scheidungsvereinbarungen, 8. Auflage 2019, Rn. 407.

¹⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინება № ას-733-733-2018.

რადგან „ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ საჩუქრად მიღებული ნივთის საკუთრების ფორმის განსაზღვრისათვის, არსებითი მნიშვნელობისაა, დადგინდეს მჩუქებლის ნება, ხოლო განსახილველ შემთხვევაში, მჩუქებლის ნება მიმართული იყო დასაჩუქრებულის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვისკენ და ოჯახის საერთო მიზნებს ემსახურებოდა, რაც დასტურდება იმ გარემოებით, რომ სახლის მშენებლობის დასრულებისთანავე დასაჩუქრებული მეუღლე ოჯახით - მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად საცხოვრებლად აღნიშნულ სახლში გადავიდა. ამდენად, სადავო საცხოვრებელი სახლი განკუთვნილი იყო მთლიანი ოჯახისათვის და როგორც საჩუქარი, მოკლებული იყო ინდივიდუალური მოხმარების ხასიათს“.¹⁵⁸ განსახილველ საქმეში ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება გამორიცხული მჩუქებლის ნების ოჯახის საერთო ინტერესების სასარგებლოდ განმარტება, თუმცა სასამართლოს არგუმენტი ვფიქრობთ ნაწილობრივ არ არის გასაზიარებელი. კერძოდ, მჩუქებლის ნების დადგენის კრიტერიუმად გამოყენებულია - 1. ნივთის სამეურნეო დანიშნულება და 2. დასაჩუქრებული პირისა და მისი ოჯახის წევრთა ჩუქების შემდგომი მოქმედება. პირველ კრიტერიუმთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ შემთხვევებში მჩუქებლის ნების დადგენა ნივთის სამეურნეო დანიშნულების მიხედვით გამართლებულია, რადგან ის შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდეს ჩუქების ინდივიდუალურ (მაგალითად, სამკაული) ან საერთო ხასიათზე (მაგალითად, საოჯახო დანიშნულების მქონე ნივთები).¹⁵⁹ თუმცა საცხოვრებელი სახლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე საერთო დანიშნულებით, რის გამოც მისი აპრიორულად მიკუთვნება რომელიმე კატეგორიისადმი მხოლოდ სამეურნეო დანიშნულებაზე დაყრდნობით არ არის დამაჯერებელი. რაც შეეხება სასამართლოს მიერ საქმეში გამოყენებულ მეორე კრიტერიუმს - ამ შემთხვევაში აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით მჩუქებლის ნების განმარტება ოჯახის ინტერესების სასარგებლოდ გამართლებულია, რადგან მართალია ერთი მხრივ რთული დასადგენია, თუ როგორ შეიძლება გამომდინარეობდეს დასაჩუქრებულის ქმედება (რომელიც ჩუქების შემდგომ არის განხორციელებული)

¹⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016.

¹⁵⁹ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 94.

მჩუქებლის ნებიდან ანუ რამდენად შეიძლება დასაჩუქრებულის ქმედება განპირობებული იყოს მჩუქებლის ნების შინაარსით, თუმცა სსკ-ის 1162-ე მუხლის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს საცხოვრებელი სახლით ორივე მეუღლე სარგებლობს თუ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩუქების საგანი მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ის საერთო და არა ინდივიდუალური სარგებლობის ნივთია. გასაზიარებელია სასამართლოს ის პოზიცია, რომლის მიხედვით *„ერთ-ერთი მეუღლისათვის ნაჩუქარი ფულით საერთო საცხოვრებლის შეძენისას, ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს მიჩნეული ამავე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად“*.¹⁶⁰

ჩუქებით მიღებული ქონების სამართლებრივი რეჟიმის შემდგომი შესაძლო ცვლილების კონტექსტში აღსანიშნავია ვისკონსინის შტატის სააპელაციო სასამართლოს საქმე.¹⁶¹ აღნიშნული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლე ქორწინების განმავლობაში დასაჩუქრდა სახლით, რომლის ღირებულებაც 6 000 დოლარს შეადგენდა და მთელი ქორწინების განმავლობაში აღნიშნული ქონების ერთადერთ მესაკუთრედ იყო რეგისტრირებული. განქორწინების მომენტისათვის აღნიშნული სახლის ღირებულება გაიზარდა 27 500 დოლარამდე, ხოლო არამესაკუთრე მეუღლე ქორწინების განმავლობაში მუდმივად იხდიდა იმ გადასახადებს, რომელიც დაკავშირებული იყო ხსენებულ ქონებასთან. აგრეთვე, არამესაკუთრე მეუღლე ამავე სახლში პერიოდულად ახორციელებდა ტექნიკურ მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში რემონტსაც ატარებდა. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ უძრავი ქონების ღირებულების ზრდა განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული ინფლაციის მზარდი დონით (ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობით). აღნიშნული პოზიცია გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც, რომელმაც დაადგინა და განმარტა, რომ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების ზრდის შემთხვევაში, მაშინ როდესაც აღნიშნული ზრდა არ არის მიღწეული არამესაკუთრე მეუღლის

¹⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის განჩინება № ას-963-2018.

¹⁶¹ საქმე პლახტა პლახტას წინააღმდეგ (*Plachta vs. Plachta*, 118 Wis. 2d 329, 331 (Wis. Ct. App. 1984)).

ქმედებით (წვლილით), არამედ ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესებით ან უძრავი ქონების ღირებულების ბუნებრივი ზრდით, შესაბამისი ქონება არ უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად.

აგრეთვე, აღსანიშნავია ვისკონსინის შტატის უზენაესი სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე - ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ერთ-ერთ მეუღლეს ქორწინების განმავლობაში აჩუქეს საწარმოში წილი, რაც თავისთავად ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება. დროთა განმავლობაში საწარმოს ღირებულება გაიზარდა, თუმცა აღნიშნული ზრდა არ იყო განპირობებული რომელიმე მეუღლის (როგორც წილის მესაკუთრის, ისე არამესაკუთრის) მიერ. კერძოდ, საწარმოს ღირებულების ზრდა მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული საბაზრო პირობებთან და იმ მომსახურებასთან, რომელიც მჩუქებლის მიერ ჩუქების შემდგომ იქნა გაწეული, როგორც დამატებითი საჩუქარი. შესაბამისად, სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ საწარმოს ღირებულების ზრდა ქორწინებისგან (უფრო ზუსტად მეუღლეთა თანაცხოვრებისგან) სრულიად დამოუკიდებელი მიზეზებით იყო განპირობებული და მათ შორის, მჩუქებლის, როგორც ბიზნესის მენეჯერის მიერ გაწეული ფასეული პირადი სერვისები დაკვალიფიცირდა საკუთარი ქალიშვილისთვის გაკეთებულ დამატებით საჩუქრად (საწარმოში წილის ჩუქების შემდგომ განხორციელებული).¹⁶²

ზემოთ ხსენებული სასამართლო განმარტებები ქართულ სამართალშიც გასაზიარებელია. კერძოდ, დასახელებულ შემთხვევებში ვერ იქნება გამოყენებული სსკ-ის 1163-ე მუხლი, რადგან აღნიშნული რეგულაცია აწესრიგებს იმ შემთხვევებს, როდესაც მეორე მეუღლის მიერ გაწეული ხარჯების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ქონების ღირებულება. შესაბამისად, ორივე მეუღლის მიერ განსახორციელებელი ქმედებებისგან დამოუკიდებელი მიზეზების არსებობის შემთხვევებში (მაგალითად, ინფლაცია (1), უძრავი ქონების ღირებულების ბუნებრივი ზრდა (2), მესამე პირის მიერ განხორციელებული მომსახურება/გაწეული ხარჯები, როგორც ერთ-ერთი მეუღლისათვის თავდაპირველად გაკეთებულ საჩუქარზე შემდგომში დამატებული საჩუქარი (3) თუ სხვა), განსახილველი ქონება იმ მეუღლის

¹⁶² საქმე ვიერმანი ვიერმანის წინააღმდეგ (*Wierman vs. Wierman*, 130 Wis. 2d 425, 440 (Wis. 1986)).

ინდივიდუალურ საკუთრებაში დარჩება, რომელმაც ის დაქორწინებამდე ან ქორწინების განმავლობაში ჩუქებისა თუ მემკვიდრეობის საფუძვლით შეიძინა.

5. მეუღლეთა შორის ჩუქება

გერმანიის ფედერალური სასამართლო არ მიიჩნევს მეუღლეთა შორის ჩუქებას კლასიკური გაგებით ჩუქებად (ქართულ სამართალში სსკ-ის 524-ე მუხლი), არამედ მას მოიხსენიებს „*უსახელო*“ საჩუქრად.¹⁶³ აღნიშნული სახელდება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ როგორც წესი, მეუღლეები ერთმანეთის მიმართ ჩუქების განხორციელებისას არ მოქმედებენ იმ მოტივით, რომ ისინი უსასყიდლოდ გადასცემენ ქონებას, არამედ მოცემულ შემთხვევაში ქონების გადაცემა ემსახურება მეუღლეთა თანასაკუთრებას.¹⁶⁴ ასეთი საჩუქარი ემყარება იმ იდეას ან მოლოდინს, რომლის მიხედვით მეუღლეთა თანაცხოვრებამ გარკვეული ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა გასტანოს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეუღლეთა შორის ჩუქება როგორც წესი ქორწინების სახელით კეთდება და წარმოადგენს ერთგვარ წვლილს (კონტრიბუციას) მათი თანაცხოვრების რეალიზაციის, შენარჩუნების, განვითარებისა და უსაფრთხოების სფეროებში, რომელთაც ქონებრივი საფუძველი ესაჭიროებათ.¹⁶⁵ აღნიშნული შემთხვევა აღწერილია, როგორც „*ქორწინებასთან დაკავშირებული თავისებური სამართლებრივი გარიგება*“.¹⁶⁶ „*უსახელო*“ საჩუქარი დღეის მდგომარეობით დამოუკიდებელი სამართლებრივი კატეგორიაა, რომლის მეშვეობით ის სასამართლო დავები წყდება, სადაც ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში მეუღლეთა შორის ქონებრივი ნაკადების ურთიერთგადაცემის საკითხი განიხილება.¹⁶⁷

მეუღლეთა შორის ჩუქების საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის ნათესავი მეორე მეუღლეს ჩუქნის გარკვეულ ნივთს ან ფულად თანხას. ასეთ შემთხვევაში, გერმანიის ფედერალური სასამართლოს

¹⁶³ BGH NJW 1992, 564.

¹⁶⁴ იქვე.

¹⁶⁵ BGH NJW-RR 1990, 386.

¹⁶⁶ BGH NJW 1982, 2236.

¹⁶⁷ BGH NJW 1992, 564.

განმარტების თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის მშობლის მიერ სიძისთვის გაკეთებული საჩუქარი, რომელიც საკუთარი შვილის დაქორწინების გამო კეთდება, არ უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული როგორც „უსახელო“, არამედ იგი მიიჩნევა ჩვეულებრივ ჩუქებად.¹⁶⁸ ცხადია, ასეთ შემთხვევაში გაჩუქებული ნივთი ჩაითვლება დასაჩუქრებული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად და არა მეუღლეთა თანასაკუთრებად. არგუმენტაცია, რომელიც საფუძვლად დაუდო გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთი მეუღლის მშობლის მიერ მეორე მეუღლისათვის გაკეთებული საჩუქრის ინდივიდუალურ საკუთრებად კვალიფიკაციას, შემდეგია - განსხვავებით „უსახელო“ ჩუქებისგან, რომელიც მეუღლეთა შორის ურთიერთობის ფარგლებში გვხვდება, მშობლის მიერ გაკეთებული საჩუქრისას, ეს უკანასკნელი კარგავს გაჩუქებულ ნივთზე საკუთრების უფლებას და შესაბამისად საბოლოოდ ემშვიდობება მას.¹⁶⁹ მეუღლეთა შორის ჩუქების შემთხვევაში მჩუქებელი მეუღლე ოჯახის ერთობის განმტკიცების მიზნით მოქმედების გამო, სრულად არ კარგავს გაჩუქებულ ნივთზე საკუთრების უფლებას, არამედ საჩუქარი განეკუთვნება მეუღლეთა თანასაკუთრებას და მასაც შეეძლება ისარგებლოს აღნიშნული ქონებით.¹⁷⁰

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ისევე როგორც ჩვეულებრივი ჩუქებისას, აგრეთვე მეუღლეთა შორის ჩუქების შემთხვევაშიც, მაკვალიფიცირებელი (გადამწყვეტი) გარემოება მჩუქებელი მეუღლის ნების დადგენაა. მართალია, როგორც წესი ივარაუდება, რომ „მეუღლე ოჯახის სიმყარის მიღწევის/შენარჩუნების მიზნით ასაჩუქრებს მეორე მეუღლეს, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შედეგად დადგინდება, რომ რაიმე ქონებრივი სიკეთის გადაცემა ხდება მეორე მეუღლის უსასყიდლოდ დაჯილდოების მიზნით, მაშინ ჩვეულებრივი ჩუქება გვაქვს მოცემული“.¹⁷¹ ამ თვალსაზრისით, არ არის გასაზიარებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიცია ერთ-ერთ საქმეზე, სადაც ის საერთოდ შეფასების გარეშე ტოვებს კასატორის არგუმენტაციას ჩუქების მიზანთან დაკავშირებით - კერძოდ, „კასატორი უთითებდა იმ

¹⁶⁸ BGH NJW 2010, 2202.

¹⁶⁹ იქვე.

¹⁷⁰ BGH NJW 2008, 3277.

¹⁷¹ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 96.

გარემოებაზე, რომ სადავო უძრავი ქონების ჩუქება საქორწინო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული და მან ჩუქება მეუღლესთან მშვიდობიანი საქორწინო ურთიერთობის გაგრძელების მოტივით განახორციელა, რადგან ის იმედოვნებდა, რომ მეუღლეები გაჩუქებულ სახლში იცხოვრებდნენ და ერთ საოჯახო მეურნეობას გააგრძელებდნენ“.¹⁷² აღნიშნული შემთხვევის საპირისპირო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გარემოება, როდესაც ერთი მეუღლე მეორეს, განქორწინების პროცესში ჩუქნის გარკვეულ ნივთს იმ მიზნით, რომ განქორწინების შემდგომაც აღნიშნული ნივთი დასაჩუქრებულ მეუღლეს სამახსოვროდ დარჩეს.

როგორც აღინიშნა, ზოგადად მეუღლეთა შორის ჩუქება არ ატარებს უსასყიდლო ხასიათს, თუმცა ნასყიდობის საფუძველზე ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალური ქონების მეორე მეუღლეზე განკარგვისას, ეს უკანასკნელი მოიპოვებს ერთპიროვნულ საკუთრებას აღნიშნულ ქონებაზე, რის გამოც გამყიდველი მეუღლე ნასყიდობის საგანზე საკუთრების უფლებას კარგავს.¹⁷³ რაც შეეხება თანასაკუთრებაში არსებული ქონების მეორე მეუღლისთვის მიყიდვას - ცხადია ამ შემთხვევაშიც გამყიდველი მეუღლე უარს ამბობს მის წილ საკუთრების უფლებაზე და მეორე მეუღლე ნასყიდობის საგნის ინდივიდუალური მესაკუთრე ხდება, თუმცა აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში (მაგალითად, სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის ე.ი. მოჩვენებითობის საფუძველით), გამყიდველი მეუღლის თანასაკუთრების უფლება უნდა აღდგეს ქონების არა 1/2 ნაწილზე, არამედ სრულად, რის გამოც არ არის გასაზიარებელი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ფარგლებშიც ხელშეკრულების ბათილად ცნობა მხოლოდ ქონების 1/2 ნაწილზე მოხდა და კრედიტორის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.¹⁷⁴

ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის ასევე არ არის უცხო, ერთ-ერთი მეუღლის მშობლის მიერ მეორე მეუღლისათვის გაკეთებული საჩუქრის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის საკითხიც. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის დედამ მეორე მეუღლეს აჩუქა ბეჭედი, რომელიც საკასაციო სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ საკუთრებად იქნა

¹⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განჩინება № ას-1183-2018.

¹⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება № ას-960-1162-08.

¹⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინება № ას-259-2019.

მიჩნეული.¹⁷⁵ აღნიშნული გადაწყვეტილება შედეგის თვალსაზრისით გასაზიარებელია, თუმცა მასში არ არის წარმოდგენილი რაიმე სახის დასაბუთება, რომელიც საკითხის ამგვარად გადაწყვეტას გასაგებს და დამაჯერებელს გახდიდა. მოცემულ შემთხვევაში გასაზიარებელია ის არგუმენტი, რომელიც გერმანულ სამართალში არსებობს პირველადი კანონისმიერი რეჟიმის (*ნამატი ქონების კომპენსაციის რეჟიმის*) ფარგლებში - კერძოდ, „*ნაჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება შეიძლება წარმოიშვას ქონების განაწილების მოთხოვნის დადგენამდეც (გსკ-ის 1384-ე პარაგრაფი), რაც შეამცირებდა დასაჩუქრებული მეუღლის ქონებრივ ნამატს და არაპირდაპირი გზით შეამცირებდა მეორე მეუღლის მოთხოვნის უფლებას, რის გამოც მშობლის საჩუქარი ისევ მის შვილს დააზარალებდა*“.¹⁷⁶ შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლის მშობლის მიერ გაჩუქებული ნივთი უნდა მიემატოს დასაჩუქრებული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას და არა მეუღლეთა საერთო ქონებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაჩუქრებულ მეუღლეს შეიძლება ერთიდაიგივე ქონებისთვის ორჯერ მოუხდეს პასუხისგება - „*ერთხელ მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის პროცესში (სსკ-ის 1168-ე მუხლი), ხოლო მეორეჯერ ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძველზე (სსკ-ის 529-ე, 530-ე მუხლები)*“.¹⁷⁷ აღნიშნული შედეგის თავიდან არიდების მიზნით, გამართლებულია, რომ ხსენებული ქონება ჩაითვალოს დასაჩუქრებული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული მეუღლეთა საერთო ქონების მასაში და შესაბამისად მონაწილეობას არ მიიღებს თანასაკუთრების გაყოფის პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები ერთ-ერთი მშობლის მიერ განხორციელებული ჩუქების მომენტიდან მალევე განქორწინდებიან, აღნიშნული გარემოება ჩუქების ხელშეკრულების საფუძვლის მოშლას და სსკ-ის 398-ე მუხლის (გსკ-ის 313-ე პარაგრაფის) გამოყენებას განაპირობებს.¹⁷⁸

¹⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 აპრილის განჩინება № 33/446-03.

¹⁷⁶ *რუსიაშვილი გ.*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, 72.

¹⁷⁷ იქვე., 71.

¹⁷⁸ *Mießig U.*, Ehebezogene Zuwendungen als Schenkungen unter Ehegatten, FPR, Heft 5, 2007, 194.

6. მემკვიდრეობით მიღებული ქონება

კომისიის მიერ გამოკვლეულ ყველა ევროპულ იურისდიქციაში, ზოგადად, მემკვიდრეობით შეძენილი ქონება მიიჩნევა იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელმაც ეს ქონება შეიძინა.¹⁷⁹ მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია იშვიათი გამონაკლისებიც. მაგალითად, ავსტრიული სამართლის მიხედვით მეუღლე, რომელმაც ქონება მემკვიდრეობის გზით შეიძინა, როგორც წესი მასზე არ მოიპოვებს ინდივიდუალური საკუთრების უფლებას, რადგან მხოლოდ მეუღლეთა შეთანხმებით არის შესაძლებელი ცალკეული ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა. კერძოდ, მესამე პირს (განსახილველ შემთხვევაში მამკვიდრებელს ანდერძის საფუძველზე) არ აქვს უფლება განსაზღვროს, თუ რომელ ქონებრივ კატეგორიას (საერთოს ან ინდივიდუალურს) უნდა განეკუთვნებოდეს მის მიერ მემკვიდრეობის საფუძველზე ერთ-ერთი მეუღლისათვის გადაცემული ქონება, თუმცა ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 709-ე პარაგრაფით გათვალისწინებულია მესამე პირის უფლება დაავალდებულოს ქონების მიმღები მეუღლე, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარ მეუღლესთან მიაღწიოს შეთანხმებას შეძენილი ქონებისთვის ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმის მინიჭების თაობაზე.¹⁸⁰

მსგავსად ჩუქებისა, მემკვიდრეობით მიღებული ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრის პროცესშიც შესაძლებელია ყურადღება მიექცეს მის სამეურნეო დანიშნულებას. მაგალითად, პოლონეთის საოჯახო და სამეურვეო კოდექსის 34-ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებიც ორივე მეუღლეს შეიძლება მოემსახუროს, ნებისმიერ შემთხვევაში განეკუთვნებიან თანასაკუთრებას, თუმცა როგორც მამკვიდრებელს, აგრეთვე მჩუქებელს უფლება აქვთ მიუთითონ შესაბამისი ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.¹⁸¹ განსხვავებით პოლონური კანონმდებლობისა, ქართული რეგულაცია არაფერს ამბობს ქონების სამეურნეო დანიშნულების გათვალისწინების თაობაზე, როგორც

¹⁷⁹ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 231.

¹⁸⁰ Roth M., CEFL Report - Property Relations, Austria, 2008, 18.

¹⁸¹ Auteur N., CEFL Report - Property Relations, Poland, 2008, 9.

მემკვიდრეობის, ასევე ჩუქების შემთხვევაში. ჩუქების და მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმების შედარებისას, აშკარა განსხვავება ვლინდება: 1. ჩუქება მხოლოდ გარიგებისმიერი აქტია და აბსოლუტურად ქონების განმკარგავი პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული გარიგების საგნის ბედი; 2. მემკვიდრეობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კანონისმიერი, ასევე ანდერძისმიერი (გარიგებისმიერი) საფუძველით. ამასთან, ჩუქება შეიძლება დაიდოს ზეპირი ფორმითაც (მოძრავი ნივთის განკარგვისას), ხოლო სსკ-ის 1357-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ანდერძისთვის განსაზღვრულია სავალდებულო წერილობითი ფორმა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნების განმარტების პროცესზე. გარიგებით ქონების განკარგვის პირობებში, უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს განმკარგავი პირის (მემკვიდრეობის ან მჩუქებლის) ნების შინაარსი. განმკარგავი პირის ნების განმარტების პროცესში, თუ სხვა გარემოებების არსებობა არ დგინდება, შესაძლებელია ქონების სამეურნეო დანიშნულება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი. ის გარემოება, რომ ქართული კანონმდებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით არაფერს ადგენს, ცხადია, ვერ გაათავისუფლებს მოსამართლეს გარიგებაში მონაწილე პირის ნების სწორად განმარტების ვალდებულებისგან. ცხადია, აქ არ იგულისხმება კანონით მემკვიდრეობის შემთხვევა, როდესაც ქონების სამართლებრივი ბედი განისაზღვრება არა გარიგების მონაწილის, არამედ კანონმდებლის ნების საფუძველზე. შესაძლებელია პრაქტიკაში არსებობდეს შემთხვევები, რომლის დროსაც მოსამართლისთვის საბოლოო ჯამში შეუძლებელია ანდერძის შინაარსის დადგენა მარტოდენ მასში არსებული ტექსტის მიხედვით და სამკვიდრო ქონების მიკუთვნება მხოლოდ ერთ-ერთი ან ორივე მეუღლისათვის ერთობლივად. თუმცა ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სსკ-ის 53-ე მუხლი, რომლის თანახმად, გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.¹⁸² შესაბამისად იმ შემთხვევაში, როდესაც გარეგნული გამოხატვიდან (მოცემულ შემთხვევაში ანდერძის ტექსტის შინაარსიდან) ვერ დგინდება

¹⁸² აღნიშნული ნორმა თანაბრად ვრცელდება როგორც წერილობითი, აგრეთვე ზეპირი ფორმით დადებულ გარიგებებზე - იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-650-943-05.

სამკვიდრო ქონების საკუთრებითი ბედი, მოსამართლემ უნდა განსაზღვროს თუ რომელია ის სხვა გარემოებები, რომელზე დაყრდნობითაც მამკვიდრებლის ნების სწორად განმარტება იქნება შესაძლებელი - ერთ-ერთ ასეთ გარემოებას სამკვიდრო ქონების სამეურნეო დანიშნულება უნდა წარმოადგენდეს.

7. საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხა

ქორწინების განმავლობაში მეუღლეები ხშირად აერთიანებენ სხვადასხვა წყაროდან მიღებულ შემოსავლებს საბანკო ანგარიშზე. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის საბანკო ანგარიშზე დაქორწინებამდე პერიოდის განმავლობაში განთავსებულ თანხებს შეიძლება შეერიოს ხელფასი, რომელიც მან ქორწინების განმავლობაში გამოიმუშავა, ასევე ამავე პერიოდში მემკვიდრეობით მიღებული თანხებიც. მოცემულ შემთხვევაში განსახილველია შემდეგი საკითხები - მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის პროცესში: 1. როგორ უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხები (გაუნაღდებელი) სასამართლოს მიერ. 2. როგორ უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული სასამართლოს მიერ ის თანხები, რომელიც ქორწინების განმავლობაში შერეული საბანკო ანგარიშიდან (სადაც გაერთიანებული იყო ინდივიდუალური და საერთო თანხები) იქნა განაღდებული და შემდგომ კონკრეტული მიზნით გამოყენებული.

ამერიკული იურისდიქციისთვის ცნობილია ე.წ. „შერწყმის წესი“ (*Commingle*). აღნიშნული წესის თანახმად, იმ შემთხვევაში როდესაც ინდივიდუალური და საერთო ქონება ერთმანეთს ერწყმის იმგვარად, რომ მათი გამოცალკევება შეუძლებელია, ქონების გაერთიანებული მასა მთლიანად უნდა ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად.¹⁸³ მაგალითად, არკანზასის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით - მეუღლემ საკუთარ საბანკო ანგარიშზე განათავსა თანხები, რომელიც სხვადასხვა წყაროებიდან (ინდივიდუალური და საერთო) მოიპოვა.¹⁸⁴ იმის გათვალისწინებით, რომ განქორწინების მომენტიდან საბანკო ანგარიშზე

¹⁸³ *Oldham J. T.*, Tracing, Commingling, and Transmutation, *Family Law Quarterly*, Vol. XXIX, Number 2, 1989, 222.

¹⁸⁴ საქმე რიიდი რიიდის წინააღმდეგ (*Reed vs. Reed*, 24 Ark. App. 85, 89 (Ark. Ct. App. 1988)).

განთავსებული არც ერთი თანხა არ იყო განაღდებული, აღნიშნული თანხების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრა საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. მაგალითად, საბანკო ანგარიშზე განთავსებული იყო 1,155.07 დოლარის ოდენობით ხელფასი, 100 დოლარის ოდენობით სტიპენდია, 3,372.56 დოლარის ოდენობით მემკვიდრეობით მიღებული თანხა და სხვა. ერთ-ერთი მეუღლის ხელფასი და სტიპენდია, რომელიც ქორწინების განმავლობაში მის მიერვე იქნა გამომუშავებული, მეუღლეთა თანასაკუთრებად ჩაითვალა, ხოლო მემკვიდრეობით მიღებული თანხა ამავე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების სფეროში დარჩა. აღნიშნულ კონცეფციასთან დაკავშირებულ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ილინოისის სააპელაციო სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ავეჯი, რომელიც მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებაა, განთავსებული იქნება თანასაკუთრებაში არსებულ სახლში (უფრო ზუსტად იმ ოთახში, რომელიც თანასაკუთრებაში არსებული ნივთებით არის გარემოცული), ის მაინც შესაბამისი მეუღლის ინდივიდუალურ ქონებად განიხილება.¹⁸⁵

უმრავლეს შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს შერეული საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდებას ინვესტიციის ან ქონების გაუმჯობესების მიზნით, ქონების გაყოფის პროცესში შეიძლება წამოიშვას საკითხი განაღდებული თანხის სამართლებრივი ბუნების შესახებ. ამერიკული იურისდიქციის მქონე სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ ასეთი ტიპის თანხა განეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას.¹⁸⁶ აღნიშნული გადაწყვეტა ემყარება იმ არგუმენტაციას, რომლის თანახმად მეუღლის მხრიდან წინდაუხედავი (*Reckless*) ქმედების გამო (რაც საერთო ქონების ინდივიდუალურთან შერევაში გამოიხატება), სწორედ ამ უკანასკნელმა უნდა იწვნოს მისგან მომდინარე უარყოფითი შედეგი (გაერთიანებული ქონებრივი მასის თანასაკუთრებად კვალიფიკაცია).¹⁸⁷ თუმცა ამერიკული სასამართლო პრაქტიკა ასევე იცნობს „*საოჯახო ხარჯების დოქტრინას*“, რომლის თანახმად შერეული საბანკო ანგარიშიდან განაღდებული თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ ის გამოყენებული იქნება

¹⁸⁵ საქმე დიიმი დიიმის წინააღმდეგ (*Deem vs. Deem*, 123 Ill. App. 3d 1019, 1021 (Ill. App. Ct. 1984)).

¹⁸⁶ *Oldham J. T.*, Tracing, Commingling, and Transmutation, *Family Law Quarterly*, Vol. XXIH, Number 2, 1989, 231.

¹⁸⁷ იქვე.

ოჯახისთვის განკუთვნილი ხარჯების დასაფარად.¹⁸⁸ მაგალითად, საბანკო ანგარიშზე განთავსებულია თანხა 1000 დოლარის ოდენობით, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება და ასევე 1000 დოლარის ოდენობით, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებაა. იმ შემთხვევაში თუ 500 დოლარი ანგარიშიდან იქნება განაღდებული და ამავე თანხით დაიფარება ხარჯები ოჯახური საჭიროებებისთვის, მაშინ საბანკო ანგარიშზე დარჩება ერთ-ერთ მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება 1000 დოლარის ოდენობით და 500 დოლარი, რომელიც საერთო ქონებას განეკუთვნება.¹⁸⁹

ამავე დოქტრინის შებრუნებული ვარიანტი მოცემულია კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს საქმეში, რომლის ფარგლებშიც განვითარებულია შემდეგი მსჯელობა: ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება საერთო საკუთრებად მიიჩნევა და აღნიშნული პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი იმ მეუღლეს ეკისრება, რომელმაც მისი ინდივიდუალური ხასიათი უნდა დაამტკიცოს. პრეზუმფცია ავტომატურად მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეუღლე ქორწინების განმავლობაში ქონებას იძენს გაურკვეველი ან სადავო წყაროდან მომდინარე სახსრების მეშვეობით, როგორცაა მაგალითად საბანკო ანგარიში ან ფონდი, სადაც მან საკუთარი ინდივიდუალური სახსრები საერთო თანხებს შეურია. ასეთ შემთხვევაში მეუღლეს შეუძლია გააქარწყლოს საერთო ქონების პრეზუმფცია იმის საფუძველზე, რომ საერთო ხარჯები სადავო ქონების შეძენის მომენტისათვის აღემატებოდა საერთო შემოსავალს. შესაბამისად, თუ მეუღლე დაამტკიცებს, რომ ქონების შეძენის მომენტისათვის, ოჯახის საერთო შემოსავლით საოჯახო ხარჯები იყო დაფარული, მაშინ დადგინდება, რომ ქონება შეძენილი იყო ინდივიდუალური სახსრებით.¹⁹⁰ იდენტური პოზიცია განვითარებულია ტეხასის სააპელაციო სასამართლოს საქმეშიც.¹⁹¹

გერმანული სამართლის მიხედვით, ერთმანეთისგან გამიჯნულია ინდივიდუალური და საერთო საბანკო ანგარიში. ინდივიდუალური საბანკო ანგარიშის

¹⁸⁸ იქვე., 224.

¹⁸⁹ იქვე., 225.

¹⁹⁰ საქმე სიი სიის წინააღმდეგ (*See vs. See*, 64 Cal. 2d 778, 783 (Cal. 1966)).

¹⁹¹ საქმე კოგინი კოგინის წინააღმდეგ (*Coggin vs. Coggin*, 738 S.W.2d 375, 377 (Tex. App. 1987)).

შემთხვევაში, ის გახსნილია მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის სახელზე, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია მასზე განთავსებული თანხის განკარგვა, ხოლო საერთო საბანკო ანგარიშის დროს მეუღლეები ამავე ანგარიშის მფლობელებად გვევლინებიან და მათ მხოლოდ ერთობლივად შეუძლიათ შესაბამისი თანხის განკარგვა.¹⁹² საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი საბანკო ანგარიშების მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს იცნობს. კერძოდ, 221-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულ მეუღლეს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, საკუთარ სახელზე შეუძლია ბანკში გახსნას სადეპოზიტო ან/და ფასიანი ქაღალდების ანგარიში, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თითოეული მეუღლე უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანხები ან/და ფასიანი ქაღალდები - აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს საბანკო ანგარიშების მარტივ ფუნქციონირებას და ამასთან ერთად, თითოეული მეუღლის დამოუკიდებლობას განამტკიცებს.¹⁹³ ანალოგიურად, საბანკო ანგარიშების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით გამოირჩევა ბულგარეთის სამართალიც. კერძოდ, იმ მეუღლეს, რომლის სახელზეც საბანკო ანგარიშია გახსნილი შეუძლია მასზე განთავსებული თანხები დამოუკიდებლად განკარგოს, მათ შორის უფლება აქვს მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე დახუროს აღნიშნული ანგარიში, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც საკუთარ ანგარიშზე განთავსებული თანხების განკარგვა საფრთხეს უქმნის ოჯახის ან მეორე მეუღლის ინტერესებს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს იმ მიზნით, რომ მან გამოსცეს დადგენილება, რომლის თანახმად ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული თანხის განმკარგავ მეუღლეს, განკარგვის ნამდვილობისთვის მეორე მეუღლის თანხმობა უნდა დასჭირდეს (ბულგარეთის საოჯახო კოდექსის 22-ე მუხლის მე-5 ნაწილი).¹⁹⁴

ქართული საოჯახო სამართალი არ იცნობს საბანკო ანგარიშების ან/და მათზე განთავსებული თანხების რაიმე სპეციალური რეგულირების წესს, რომელიც განსაკუთრებით აქტუალური იქნებოდა შერეული საბანკო ანგარიშების განხილვისას. შესაბამისად, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ მიზანშეწონილი იქნება შემდეგი

¹⁹² *Münch C.*, Streit um Bankkonten und Wertpapierdepots nach Trennung und Scheidung, FPR, Heft 12, 2006, 481.

¹⁹³ *Ferrand F., Braat B.*, CEFL Report – Property Relations, France, 2008, 18.

¹⁹⁴ *Todorova V.*, CEFL Report – Property Relations, Bulgaria, 2008, 21.

პოზიციის განვითარება: 1. გაუნაღდებელი შერეული საბანკო ანგარიშის შემთხვევაში უნდა დადგინდეს ცალკეული ოდენობის თანხის წარმომავლობის საკითხი და აღნიშნულის მიხედვით განისაზღვროს თითოეულის საკუთრებითი რეჟიმი. 2. შერეული საბანკო ანგარიშიდან თანხის განაღდება შემთხვევაში გამოსაყენებელია ამერიკული იურისდიქციისთვის ცნობილი, ზემოთ ხსენებული „საოჯახო ხარჯების დოქტრინა“, რომელიც თავისი შინაარსით არ განსხვავდება საოჯახო საჭიროებების დაკმაყოფილების კრიტერიუმისგან (სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული კრიტერიუმი თავის მხრივ ცნობილია გერმანული სამართლისთვის და ქართული სამართლის ფარგლებში მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის, აგრეთვე ქონებრივი ვალდებულებების შესრულების კონტექსტში. შესაბამისად, ერთიანი მიდგომის განმაპირობებელი იქნება, თუ იგივე კრიტერიუმს გამოიყენებენ ქართული სასამართლოები შერეული საბანკო ანგარიშიდან განაღდებული თანხის სამართლებრივი რეჟიმის გადასაწყვეტად და ამავე თანხას ავტომატურად არ მიიჩნევენ მეუღლეთა თანასაკუთრებად.

8. წილი სამეწარმეო საზოგადოებაში

სამეწარმეო საზოგადოებაში ერთ-ერთი მეუღლის არსებულ წილზე ქონებრივი რეჟიმის განსაზღვრის ფარგლებში შემდეგი პრობლემური საკითხები შეიძლება დასახელდეს: 1. არის თუ არა საჭირო არაპარტნიორი მეუღლის თანხმობა საწარმოში არსებული წილის გასხვისებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ ერთი მეუღლე გახდა ამავე საწარმოს პარტნიორი (საზოგადოების წესდების შესაბამისად წილის მესაკუთრე) ქორწინების განმავლობაში? 2. აქვს თუ არა უფლება არაპარტნიორ მეუღლეს, თანასაკუთრების გაყოფისას, საწარმოში არსებული შესაბამისი წილის ნახევრის მისთვის მიკუთვნება მოითხოვოს და ამ გზით საწარმოს პარტნიორი გახდეს თუ მას მხოლოდ შესაბამისი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გააჩნია?

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის თანახმად, „წილი არის უფლება, რომელიც გულისხმობს სამეწარმეო საზოგადოების კაპიტალში პირის

მონაწილეობას და რომელთანაც დაკავშირებულია უფლებები და მოვალეობები. წილი საკუთრების საგანია.“ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „წილის განსხვისება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით წილის გასხვისების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება ცალკეული საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებული დანაწესებით“.¹⁹⁵ აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია ზემოთ ხსენებული საკითხების გადასაწყვეტად.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ რა სახის განსხვავებას გულისხმობს საკასაციო სასამართლო, როდესაც ცალკეული საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ინსტიტუტებით გათვალისწინებულ დანაწესებზე მიუთითებს, მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ სპს-ს და შპს-სთვის განკუთვნილი რეგულაციები. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პარტნიორს შეუძლია ყველა სხვა პარტნიორის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში გაასხვისოს თავისი წილი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აღნიშნულისგან განსხვავებით, ამავე კანონის 141-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, რომელიც შპს-ს წილის გადაცემას შეეხება, განსაზღვრულია შემდეგი - პარტნიორს შეუძლია გადასცეს (გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს) თავისი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და პარტნიორთა თანხმობის გარეშე. განსხვავება თვალსაჩინოა - პირველ შემთხვევაში კანონისმიერი რეგულაცია ადგენს ყველა პარტნიორის თანხმობის სავალდებულობას, ხოლო მეორე შემთხვევაში იგივე რეგულაცია წილის განკარგვას არ ხდის დამოკიდებულს სხვა პარტნიორთა თანხმობაზე. ორივე შემთხვევაში წესდების საფუძველზე შესაძლებელია კანონით დადგენილი წესის ცვლილება. აღნიშნულ ურთიერთშედარებასთან დაკავშირებით, პარალელი შეიძლება გავავლოთ კომანდიტური საზოგადოების პარტნიორებთან - კომპლემენტარები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს უშუალოდ და შეუზღუდავად, როგორც სოლიდარული მოვალეები. ისინი პასუხს აგებენ სპს-ს მომწესრიგებელი ნორმების

¹⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის განჩინება № ას-97-93-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინება № ას-521-494-2014.

საფუძველზე („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი მე-2 პუნქტი). კომანდიტების პასუხისმგებლობა კომანდიტური საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია შესაბამისი საგარანტიო თანხის ოდენობით და აგრეთვე კომანდიტმა თავისი წილი შეიძლება გაასხვისოს ან მემკვიდრეობით გადასცეს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შესაბამისად, კონკრეტულ სამეწარმეო საზოგადოებაში წილის თავისუფალი განკარგვის საკითხი უნდა გადაწყდეს ან კანონის ან პარტნიორთა წესდების საფუძველზე. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პარტნიორის მიერ წილის განკარგვა შეიძლება იყოს სხვა პარტნიორთა თანხმობაზე დამოკიდებული ან იყოს თავისუფალი ასეთი თანხმობის მოპოვების აუცილებლობისგან.

ზოგადი თავისებურების სახით უნდა აღინიშნოს, რომ „*კაპიტალური ტიპის საზოგადოების სამართალში დადგენილია წევრობის უფლების თავისუფალი გადაცემის პრინციპი*“.¹⁹⁶ თუმცა აქვე აღსანიშნავია საწესდებო თავისუფლების პრინციპიც, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ პარტნიორებს. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები შეთანხმდებიან ცალკეული პარტნიორის წილის განკარგვასთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის სავალდებულობაზე, მაშინ აღნიშნული წილი ვინკულირებულია. „*ვინკულირება ნიშნავს, რომ აქცია მხოლოდ საზოგადოების თანხმობის საფუძველზე შეიძლება გასხვისდეს*“.¹⁹⁷ შესაბამისად, საკითხი იმის თაობაზე, სამეწარმეო საზოგადოებაში არსებული, ქორწინების განმავლობაში შეძენილი წილის მიმართ ვრცელდება თუ არა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი და აღნიშნულიდან გამომდინარე, არის თუ არა საჭირო არაპარტნიორი მეუღლის თანხმობა ამავე წილის მისი მეუღლე პარტნიორის მიერ გასხვისებასთან დაკავშირებით, შემდეგი, არგუმენტაციის საფუძველზე უნდა გადაწყდეს: შიდა სამეწარმეო ურთიერთობები წარმოიშვება იურიდიულ პირსა და მის წევრებს შორის, რის გამოც არც თუ იშვიათად აღნიშნული ურთიერთობები მოხსენიებულია, როგორც შიდა ხასიათის მქონედ.¹⁹⁸ შესაბამისად,

¹⁹⁶ ბურდული ი., სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010, 318.

¹⁹⁷ იქვე.

¹⁹⁸ სააქციო საზოგადოებაში არსებული შიდა ურთიერთობების მაგალითად დასახელებულია ქონებრივი შესატანები, დამფუძნებელთა ვალდებულებები, ქონების მიღება საზოგადოების მხრიდან,

სამეწარმეო სამართლებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების პარტნიორებისთვის მნიშვნელოვანია თუ ვინ იქნება მათი პარტნიორი (რაც გამომდინარეობს კანონის ან წესდების საფუძველზე), მაშინ მეუღლეთა თანასაკუთრება, ქორწინების განმავლობაში შეძენილ წილზე არ წარმოიშვება და მისი გასხვისებაც არ დაექვემდებარება მეორე მეუღლის თანხმობას. აღნიშნული მოცემულობის მაგალითებად დასახელებულია შემთხვევები, როდესაც წილი სამეწარმეო საზოგადოებაში არაგადაცემად სიკეთედ ითვლება - 1. ვინკულირებული წილი. 2. კომპლემენტარის წილი. 3. წილი სპს-ში.¹⁹⁹ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც წილის განკარგვა არ საჭიროებს პარტნიორთა თანხმობას, მაშინ მათთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა თუ ვინ იქნება ამავე წილის მესაკუთრე და მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებაც არ იარსებებს.

საგულისხმოა, რომ რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის (შემდგომში - „რფსკ“) 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი სანიმუშო ჩამონათვალს იცნობს იმ აქტივებისა, რომელთა მიმართ, ქორწინების განმავლობაში შეძენის შემთხვევაში, მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი გავრცელდება. კერძოდ, ამავე ჩამონათვალში მოცემულია შემდეგი სახის ქონება - საკრედიტო ინსტიტუტებში ან სხვა კომერციულ ორგანიზაციებში შეტანილი კაპიტალის წილები.²⁰⁰ განსხვავებით აღნიშნული რეგულაციისგან, ქართული საოჯახო კანონმდებლობა არ იცნობს ანალოგიურ საორიენტაციო ჩამონათვალს და შესაბამისად სსკ-ის 1158-ე მუხლის პირველი ნაწილი ერთადერთი ნორმატიული საფუძველია, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს მეუღლეთა პირველადი კანონისმიერი რეჟიმი ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების მიმართ, რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე, არის თუ არა წილი ვინკულირებული კანონის ან წესდების საფუძველზე.

დამფუძნებელ-პარტნიორთა ურთიერთობანი, იხ., *ბურდული ი.*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008, 51.

¹⁹⁹ *რუსთაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 97.

²⁰⁰ *Меликова Э. К.*, Особенности Осуществления Режима Совместной Собственности Супругов, Молодой Учёный, № 46 (232), 2018, 162.

იმ საკითხთან დაკავშირებით, აქვს თუ არა უფლება არაპარტნიორ მეუღლეს, თანასაკუთრების გაყოფისას, საწარმოში არსებული წილის ნახევრის მისთვის მიკუთვნება მოითხოვოს და ამ გზით საწარმოს პარტნიორი გახდეს თუ მას მხოლოდ შესაბამისი ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება გააჩნია, პასუხი შემდეგია: იმ შემთხვევაში, როდესაც წილი არაგადაცემად სიკეთედ მიიჩნევა, საერთო ქონება ვერ წარმოიშვება და მისი ნატურით გაყოფაც გამორიცხულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში ზედმეტია იმის განხილვა, არაპარტნიორმა მეუღლემ წილის ნახევარი უნდა მიიღოს ნატურით თუ მისი ღირებულების ნახევარი. იმ შემთხვევაში, როდესაც წილის განკარგვა მეუღლე პარტნიორის მიერ თავისუფლად შესაძლებელია და სხვა პარტნიორები არც კანონის და არც შეთანხმების საფუძველზე არ ზღუდავენ ამავე წილის განკარგვის შესაძლებლობას, მაშინ მეუღლეთა თანასაკუთრება ამავე წილზე წარმოიშვება - ეს უკანასკნელი დაექვემდებარება საოჯახო სამართლებრივი დანაწესების მოქმედებას, მათ შორის წილის გაყოფის ნაწილშიც. აღსანიშნავია, რომ მეუღლის ინდივიდუალური ქონების ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია არაგასხვისებადი წილი საზოგადოებაში.²⁰¹

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ მიღწეული იყოს სამეწარმეო სამართლის მიზანი, რომელიც საზოგადოების პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს, ხოლო მეორე მხრივ, საოჯახო სამართლებრივი პერსპექტივიდან გამომდინარე, მხედველობაში იქნეს მიღებული არაპარტნიორი მეუღლის ქონებრივი ინტერესის დაცვის საჭიროება.

²⁰¹ *რუსიაშვილი გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, № 10, 2020, 14.

9. სუბროგაცია

მეუღლეთა ინდივიდუალურ ქონებრივ მასას, ასევე განეკუთვნება სუბროგაციის გზით მიღებული ქონებაც. თავის მხრივ ხსენებული კატეგორია მაგალითად მოიცავს შემდეგი სახის აქტივებს: 1. განადგურებული/დაზიანებული ინდივიდუალური ქონების სანაცვლოდ მიღებული სადაზღვევო ანაზღაურება; 2. ინდივიდუალური ქონების გაცვლის შედეგად შეძენილი ქონება თუ სხვა.²⁰² აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლებელია მისი განვრცობა სხვა სახის შემთხვევებზეც - მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ქონების ჩამორთმევის (ექსპროპრიაციის) სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურება.²⁰³ იმისათვის, რომ გასაცვლელი ქონება იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოექცეს, რომელშიც გაცვლილი ქონება იმყოფებოდა, აუცილებელია გამოიკვეთოს ქონებათა ჩანაცვლებადობის ხარისხი. კერძოდ, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დასადგენია საკითხი იმის თაობაზე - განხორციელებული ქონებრივი ცვლილების შედეგად შეძენილია არსებითად ახალი ქონება თუ რეალურად ადგილი აქვს გაცვლილი ქონების ერთგვარ „გაგრძელებას“ ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ადგილის დაკავებას სხვა ქონების მიერ (ჩანაცვლებას). ამ უკანასკნელ შემთხვევაში საუბარი არ არის ახალი ქონების მოპოვებაზე არსებული ოჯახის ფარგლებში (ქორწინების განმავლობაში).

მსოფლიოს იურისდიქციები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით თუ როგორია სუბროგაციის შემთხვევის მოწესრიგების ხარისხი მათი კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, ავსტრიაში, უნგრეთში, რუსეთსა და სლოვაკეთში არ არსებობს სპეციალური რეგულირება, რომლის მიზანიც სუბროგაციის საკითხის მოწესრიგება იქნებოდა.²⁰⁴ ანალოგიური ვითარებაა საქართველოშიც, რადგან სსკ-ს მარეგულირებელი არც ერთი ნორმა არ განსაზღვრავს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების ფარგლებში სუბროგაციით მოპოვებული ქონების სამართლებრივ რეჟიმს. შესაბამისად, ამ საკითხის

²⁰² Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 238.

²⁰³ Pintens W., CEFL Report – Property Relations, Belgium, 2008, 13.

²⁰⁴ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 237.

გადაწყვეტა მთლიანად დათმობილია სასამართლო პრაქტიკისთვის. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფრანგული საოჯახო სამართალი მიიჩნევა განსაკუთრებით გამორჩეულ მაგალითად, რადგან ის ერთადერთი ევროპული სახელმწიფოა, რომელიც სუბროგაციის შემთხვევის დეტალურ მოწესრიგებას გვთავაზობს და ქართული სამართლისთვისაც სრულად გასაზიარებელია მასში არსებული მიდგომები. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს სუბროგაციის შემდეგ შემთხვევებს:

1. მოთხოვნები და კომპენსაციები, რომლებიც ცვლიან ინდივიდუალურ ქონებას. აღნიშნულ კატეგორიაში შეიძლება მოვიაზროთ მოთხოვნის უფლებები, რომლებიც მიმართულნი არიან სადაზღვევო ანაზღაურების, ასევე ექსპროპრიაციის სანაცვლო ანაზღაურების მიმართ და 2. ინდივიდუალური ქონების გაცვლის შედეგად შეძენილი ქონება - ეს უკანასკნელი ასევე ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება, თუმცა ასეთ შემთხვევაში საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ დათქმას აკეთებს მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ.²⁰⁵ კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არა უბრალოდ ორი ქონების ერთმანეთში გაცვლას, არამედ ამავე გაცვლის პირობებში დამატებითი ანაზღაურების გადახდასაც. ასეთ დროს ერთ-ერთი მეუღლისა და მესამე პირის სახელშეკრულებო ურთიერთობაში შემდეგი ორი ოპერაცია ხორციელდება: 1. ინდივიდუალური ქონების გაცვლა მესამე პირის ქონებაზე და ამასთან ერთად 2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული თანხიდან დამატებით იმ ოდენობის თანხის გადახდა, რომელიც ტოლია ან აღემატება ჩანაცვლებული ქონების ღირებულებას. მეუღლის მიერ საბოლოოდ შეძენილი ქონება თანასაკუთრებას განეკუთვნება შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით: ჩამნაცვლებელი ქონება უნდა განეკუთვნებოდეს იმ ქონებრივ მასას, საიდანაც უმეტესი ხარჯი იქნა გაწეული, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც ინდივიდუალური და საერთო ქონება თანაბრად იხარჯება, არჩევანი მეუღლეთა თანასაკუთრების სასარგებლოდ უნდა იქნეს გაკეთებული.²⁰⁶ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულია კომპენსაციის წესი, რომლის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ჩამნაცვლებელი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება, საერთო ქონების

²⁰⁵ Ferrand F., Braat B., CEFL Report – Property Relations, France, 2008, 27.

²⁰⁶ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 239.

გაყოფის პროცესში, იმ მეუღლეს, რომლის ინდივიდუალური ქონების გაცვლაც მოხდა, უნდა მიეცეს ამავე ქონების ღირებულების ტოლი კომპენსაცია.²⁰⁷

10. ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები

მეუღლეთა პირადი ქონებრივი სფეროს მომდევნო კატეგორია ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებია, რომლის შინაარსიც სსკ-ის 1162-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრება. კანონით დადგენილია გამონაკლისი ძვირფასეულობის სახით, თუმცა მიუხედავად ამისა, ის არ გვთავაზობს აღნიშნული ცნების დეფინიციას. ქართულ ლიტერატურაში არსებობს გარკვეული სანიმუშო ჩამონათვალი იმისა, თუ რა ჩაითვლება ძვირფასეულობად. კერძოდ, ასეთ კატეგორიას განეკუთვნება „*ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარული ნივთები, ორიგინალი და ფასეული მხატვრული ნაწარმი და სხვა*“.²⁰⁸ მიუხედავად აღნიშნული ჩამონათვალისა, აუცილებელია გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ცალკეული ქონების სამართლებრივი რეჟიმის ბედი - კერძოდ, განსახილველი ქონება ძვირფასეულობის (მეუღლეთა თანასაკუთრების) ნაწილია თუ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთია. მოცემულ შემთხვევაში, ქართულ დოქტრინაზე დაყრდნობით შესაძლებელია იდენტიფიცირებულ იქნეს სამი კრიტერიუმი: 1. ქონების შეძენის მიზანი - ცალკეული ქონების შეძენისას ისახავდნენ თუ არა მეუღლეები მიზნად ინვესტიციის განხორციელებას საოჯახო კაპიტალის ფორმირების პროცესში; 2. კონკრეტული ოჯახის მატერიალური მდგომარეობა (დაგროვილი დოვლათი) - იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განსხვავდება ცალკეული ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, შესაძლებელია ერთიდაიგივე ღირებულებისა და დანიშნულების ნივთი მდიდარი ოჯახის შემთხვევაში ინდივიდუალური სარგებლობის ნივთს განეკუთვნებოდეს, ხოლო დარიბი ოჯახის შემთხვევაში ძვირფასეულობას ე.ი. მეუღლეთა თანასაკუთრებას. 3. ნივთის ფუნქციური დატვირთვა - ცალკეულ შემთხვევებში

²⁰⁷ Pintens W., CEFL Report – Property Relations, Belgium, 2008, 13.

²⁰⁸ გვარაკიძე ნ., მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებული თანასაკუთრების რეჟიმი, თბილისი, 2019, 24.

შესაძლებელია ნივთი სამეურნეო დანიშნულების გათვალისწინებით მიეკუთვნებოდეს კონკრეტული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას.²⁰⁹ აღსანიშნავია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქონების შეძენის მიზანსა და ნივთის ფუნქციურ დატვირთვას, თუმცა კონკრეტული ოჯახის მატერიალური მდგომარეობა ჯერჯერობით არ გამხდარა შეფასების საგანი სსკ-ის 1162-ე მუხლის განმარტების პროცესში. რაც შეეხება არსებულ სასამართლო პრაქტიკას - მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის ნათლობის ჯვარი თავისი ჯაჭვით, ამ უკანასკნელის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალა.²¹⁰ სხვა საქმეზე, სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ ხერხემლის გასავარჯიშებელი მოწყობილობა ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნებოდა, რადგან მხოლოდ ეს უკანასკნელი საჭიროებდა მის გამოყენებას.²¹¹ პირველ შემთხვევაში სასამართლომ იხელმძღვანელა ნივთის ფუნქციური დატვირთვით, რადგან ნათლობის ჯვარი ერთმნიშვნელოვნად იძლევა იმ პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რომელსაც მონათვლისას ჯვარი მიაკუთვნეს, ხოლო მეორე შემთხვევაში სასამართლომ გაითვალისწინა ნივთის (ხერხემლის გასავარჯიშებელი მოწყობილობის) შეძენის მიზანი - ის ესაჭიროებოდა მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს და აქედან გამომდინარე ნივთის შეძენაც თავიდანვე კონკრეტულად მისთვის განხორციელდა. გარდა აღნიშნულისა, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიერ დადგენილია მტკიცების ტვირთის განაწილებისა და საკმარისობის სტანდარტი - კერძოდ, „იმ გარემოების დამტკიცება განეკუთვნება თუ არა ნივთი ინდივიდუალური სარგებლობის საგანს, ამავე გარემოებაზე მიმთითებელ მეუღლეს ეკისრება, თუმცა ამავდროულად არ არის საკმარისი მხოლოდ მითითება ნივთის ინდივიდუალური სარგებლობის ფაქტზე, არამედ აუცილებელია აღნიშნული ფაქტის არსებობა დადგინდეს სათანადო მტკიცებულებებით“.²¹²

აღსანიშნავია ისეთი სამართლებრივი კატეგორია, როგორიცაა „პირადი ხასიათის ქონება“ (*Assets Personal by Nature*). აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება

²⁰⁹ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 100.

²¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 აპრილის განჩინება № 3ვ/446-03.

²¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის განჩინება № ას-964-922-2013.

²¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის განჩინება № ას-963-2018.

ინტელექტუალური საკუთრების უფლება (1), არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (2) და არაგადაცემადი სიკეთე (3).²¹³ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ქართული კანონმდებლობისთვის ცნობილია ყველა ზემოთ აღნიშნული „პირადი ხასიათის ქონება“. ინტელექტუალური საკუთრების უფლებებში უპირველეს ყოვლისა მოიაზრება საავტორო უფლებები, რომელიც თითქმის ყველა ევროპულ იურისდიქციაში, გარდა ნიდერლანდებისა,²¹⁴ შესაბამისი ავტორი-მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების სფეროს ექვემდებარება, თუმცა მისი გამოყენების სანაცვლოდ მიღებული შემოსავალი მეუღლეთა თანასაკუთრებაა, რადგან ინდივიდუალური ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნაყოფის მეუღლეთა თანასაკუთრებისადმი მიკუთვნების წესი მოცემულ შემთხვევაშიც ძალაში რჩება. რაც შეეხება უშუალოდ ინტელექტუალური საკუთრების უფლებას - მაშინაც კი თუ მას მივაკუთვნებდით მეუღლეთა თანასაკუთრებას, საავტორო უფლებების სფეროს ბევრი მიმდევარი მიიჩნევს, რომ თანასაკუთრების ერთობლივი მართვისა და კონტროლის წესები არ უნდა იქნეს გამოყენებული საავტორო უფლების მიმართ, რადგან ისინი ხელს შეუშლიან ავტორის შესაძლებლობას გამოიყენოს საკუთარი ნაწარმოები კომერციული მიზნებისათვის.²¹⁵ ამერიკული სამეცნიერო დოქტრინისთვის ცნობილია სამი მოდელი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრებისა და მეუღლეთა თანასაკუთრების ურთიერთმიმართების ამსახველია. კერძოდ: 1. აბსოლუტური კონტროლის მოდელი - მეუღლე გამოხატავს თანხმობას, რომ ნაწარმოების ავტორს (მეორე მეუღლეს) გააჩნდეს საავტორო უფლების აბსოლუტური (ერთადერთი) მართვისა და კონტროლის შესაძლებლობა, იმის სანაცვლოდ, რომ ეს უკანასკნელი გამოთქვამს თანხმობას ამავე ნაწარმოებზე გავრცელდეს მისი მეუღლის შეზღუდული საკუთრება. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლე დაწერს პიესას, მას უფლება აქვს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური წესით მოახდინოს მისი ლიცენზირება მესამე პირზე, ამ უკანასკნელს

²¹³ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 234.

²¹⁴ მოცემულ შემთხვევაში ინტელექტუალური საკუთრების უფლება მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება და მეუღლეს, რომელმაც თავდაპირველად მოიპოვა აღნიშნული უფლება, არ შეუძლია მოითხოვოს ამავე უფლების ინდივიდუალურად მისთვის გადაცემა, იხ., Boele-Woelki K., Schonewille F., Schrama W., CEFL Report – Property Relations, Netherlands, 2008, 14.

²¹⁵ Wong P. J., Asserting the Spouse's Community Property Rights in Copyright, Idaho Law Review, Vol. 31, 1995, 1108.

დაუთმოს საავტორო უფლება ან სხვაგვარად განკარგოს იგი. თავის მხრივ მეორე მეუღლე არ არის უფლებამოსილი რაიმე ფორმით განკარგოს საავტორო უფლება, თუმცა მას შეუძლია (საკუთარი წილის შესაბამისად) მიიღოს და ისარგებლოს იმ შემოსავლით (ნაყოფით), რომელიც ავტორი-მეუღლის მიერ საავტორო უფლების გამოყენების შედეგად არის მოპოვებული. 2. საავტორო უფლების წილობრივი საკუთრების მოდელი - თითოეული მეუღლე უფლებამოსილია თავისუფლად განკარგოს საკუთარი წილი საავტორო უფლების ფარგლებში, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის უფლებამოსილი განკარგოს მეორე მეუღლის შესაბამისი წილი ან ამავე წილზე ექსკლუზიური ლიცენზია გასცეს ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე. 3. საავტორო უფლების თანასაკუთრების მოდელი - თითოეული მეუღლე უფლებამოსილია სრულად მართოს და გააკონტროლოს საავტორო უფლებები. აქედან გამომდინარე, თითოეულ მათგანს შეუძლია მესამე პირს გადასცეს საავტორო უფლება ან გასცეს შესაბამისი ლიცენზია, მეორე მეუღლის თანხმობის შესაბამისად.²¹⁶ ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ აბსოლუტური კონტროლის მოდელი არის ის კონსტრუქცია, რომელიც აღიარებულია ევროპულ საოჯახო სამართლებრივ სივრცეში. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი უნდა იქნეს გაზიარებული ქართული სამართლის მიერაც.

არამატერიალური (მორალური) ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული შესაბამისი არაქონებრივი უფლებების მატარებელ სუბიექტთან. აქედან გამომდინარე, თუ სუბიექტი უშუალოდ არ განიცდის სულიერ ტანჯვას, სხვა პირი მის მაგივრად ვერ შეძლებს იმის განსაზღვრას, თუ რა სახით ჩამოაყალიბოს მოთხოვნა სასამართლოში.²¹⁷ არაგადაცემად სიკეთეებში მოიაზრებიან გადაცემაუუნარო უფლებები.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სარგებლობის ნივთებს აგრეთვე განეკუთვნება საპატიო ჯილდო (1), დიპლომი (2) და გარკვეული კოლექცია, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის მიერ არის შეგროვებული (3). მაგალითად, მწერების

²¹⁶ იქვე., 1110-1111.

²¹⁷ *ჯორბენაძე ს.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 158.

ენტემოლოგიური კოლექცია, რომელიც ინდივიდუალურად შეგროვდა ერთ-ერთი მეუღლის მიერ.²¹⁸

11. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები

ერთ-ერთი მეუღლის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების რეგულირების საკითხი გათვალისწინებულია სსკ-ის 1165-ე მუხლის მე-3 წინადადების საფუძველზე. თავის მხრივ, აღნიშნული მუხლი, მიუხედავად მისი სათაურისა, აწესრიგებს მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის საფუძვლებს - დასახელებულია ერთი მხრივ მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო მეორე მხრივ სასამართლოს მიერ საერთო ქონების გაყოფის შესაძლებლობა. შესაბამისად, განსხვავებით ზემოთ განხილული ინდივიდუალური ქონებრივი კატეგორიებისა (დაქორწინებამდე არსებული ქონება, ჩუქებით, მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ასევე ინდივიდუალური სარგებლობის ნივთები), პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების რეგულირების საკითხი მნიშვნელოვანი თავისებურებით გამოირჩევა, რის გამოც ქართველი კანონმდებლის მიერ მისი გათვალისწინება საერთო ქონების გაყოფის კონტექსტში მოხდა. აღნიშნული თავისებურება დაკავშირებულია ე.წ. „გადაბარების უფლების“ კატეგორიასთან, რომელიც გერმანული სამართლისთვის არის ცნობილი და შესაბამისად, სიახლეა ქართული სამართლებრივი სივრცისთვის.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, თუ როგორ განიმარტება პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთის ცნება ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, *„კასატორისთვის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, სადაც შემოქმედებითი სახელოსნო უნდა განთავსებულიყო, არამედ მხოლოდ აუცილებელი ნივთები, რაც მას დასჭირდებოდა არქიტექტორ-დიზაინერის სამუშაოს შესასრულებლად, მაგალითად, ფუნჯი, საღებავები, მოლბერტი და სხვა, ისევე როგორც მეცნიერის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთად შეიძლება*

²¹⁸ Ferrand F., Braat B., CEFL Report – Property Relations, France, 2008, 25.

მიჩნეულ იქნეს სპეციალური ლიტერატურა მისი კვლევის სფეროში და არა სამუშაო კაბინეტი, სადაც ეს ლიტერატურაა განთავსებული, სტომატოლოგიის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთად - საექიმო მოწყობილობა და არა კაბინეტი, სადაც ეს მოწყობილობა დგას და ა.შ.²¹⁹ შესაბამისად, ფართი (უძრავი ქონება), რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო შემოქმედებითი სახელოსნოს გასახსნელად, არ იქნა მიჩნეული ერთ-ერთი მეუღლის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთად, რაც გასაზიარებელი პოზიციაა.

გსკ-ის 1477-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი ის ნორმატიული დანაწესია, რომლითაც გათვალისწინებულია „თითოეული მეუღლის უფლება ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ თან წაიღოს ის ნივთები, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ მისი პირადი სარგებლობისათვის, მათ შორისაა ტანსაცმელი, სამკაული და შრომის იარაღები. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ საგნების მიმართ, რომლებიც მეუღლემ მეუღლეთა საერთო ქონებაში შეიტანა ან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს მიიღო მემკვიდრეობით, საანდერძო დანაკისრით ან მომავალი მემკვიდრეობის უფლების გათვალისწინებით, ჩუქებით ან გამოყოფილი აქტივის სახით“.²²⁰ ზემოთ ხსენებული „შრომის იარაღების“ კატეგორიაში მოიაზრება მეუღლის პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთები, თუმცა აქვე აღსანიშნავია, მოცემული ნორმატიული დანაწესის არსებითი განსხვავება ქართული რეგულირებისგან - კერძოდ, სსკ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას ცალკე გამოყოფს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების საკითხს, ხოლო სხვა სახის პირად ქონებას შესაბამისი ნორმების საფუძველზე არეგულირებს (სსკ-ის 1161-ე და 1162-ე მუხლები). აღნიშნულის საპირისპიროდ, გსკ-ის 1477-ე პარაგრაფი, რომელიც საერთო ქონების განაწილების განხორციელებას შეეხება, მეუღლის ყველა სახის ინდივიდუალურ ქონებას ჩამოთვლის და გადაბარების უფლებას უქვემდებარებს. ზემოთ აღნიშნულ ნორმათა ურთიერთშედარების საფუძველზე აშკარად დგინდება შემდეგი გარემოება, რომ ქართულ საოჯახო სამართალში (განსხვავებით გერმანული სამართლის რეგულაციისგან) გადაბარების უფლებას შეიძლება

²¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 23 სექტემბრის განჩინება № ას-414-738-05.

²²⁰ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე.*, და *დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 372.

დაექვემდებაროს მხოლოდ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების ბედი, რაც თავის მხრივ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესში გაითვალისწინება. გერმანული სამართლის მაგალითზე, გადაბარების უფლება გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნივთების მიმართ, რომელიც პირადი სარგებლობისთვის არის გამიზნული.²²¹

აღსანიშნავია, რომ პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების სამართლებრივი რეჟიმი განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა გერმანულ სამართალშიც, რადგან ასეთ შემთხვევაში საუბრობენ მეუღლეთა მხრიდან თანამფლობელობისა და თანამმართველობის უფლებებზე, რომელიც ძალაშია საერთო ქონების გაყოფის შესახებ დავის საბოლოო დასრულებამდე.²²² იმის გათვალისწინებით, რომ გადაბარების უფლების რეალიზაციის შემდეგ, შესაძლებელია გადაბარებული ნივთის ღირებულება აღემატებოდეს მეუღლის კუთვნილ წილს, ასეთ შემთხვევაში ნივთის გადამბარებელი მეუღლე ვალდებულია მეორე მეუღლეს შესაბამისი კომპენსაცია გადაუხადოს, რომლის ოდენობაც უნდა შეესაბამებოდეს ნივთის უშუალოდ გადაბარების მომენტისათვის არსებულ საბაზრო ღირებულებას.²²³ ქართულ სამართალში აღნიშნული წესი გათვალისწინებულია სსკ-ის 1166-ე მუხლის საფუძველზე (წილის კომპენსაცია საკუთრების გაყოფისას), რომლითაც დადგენილია ფულადი და სხვაგვარი კომპენსაცია. ამ უკანასკნელში მოიაზრება ნივთობრივი კომპენსაცია, რომელიც შეიძლება გაღებულ იქნეს გადამბარებელი მეუღლის მიერ როგორც საერთო (მეორე მეუღლის სასარგებლოდ უარი თქვას ნივთის დატოვებაზე), აგრეთვე ინდივიდუალური ქონებიდან.²²⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების სამართლებრივი რეჟიმი შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს - მოცემული კატეგორიის ნივთები მეუღლეთა საერთო ქონების მასაში გაითვალისწინება და ამავდროულად შესაბამის მეუღლეს გააჩნია გადაბარების უფლება, რომლის გამოყენებაც საერთო ქონების გაყოფის პროცესშია შესაძლებელი. იმ შემთხვევაში თუ მას გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა

²²¹ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1477 Rn. 3.

²²² OLG Hamm FamRZ 1979, 810.

²²³ იქვე.

²²⁴ *რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 118.

შესაბამისი კომპენსაცია. აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში მეორე მეუღლეს გააჩნია ნივთის დაკავების უფლება (სსკ-ის 369-ე მუხლი), რომელიც შეუძლია დაუპირისპიროს გადაბარების მოთხოვნას.²²⁵

გადაბარების უფლება გერმანულ სამართალში დახასიათებულია რიგი თვისებების მიხედვით. კერძოდ, აღნიშნული უფლების ძირითადი თვისებებია: 1. გარდაქმნითი - თანასაკუთრებაში არსებულ ნივთს გარდაქმნის ინდივიდუალურ საკუთრებად; 2. ცალმხრივი - უფლების გამოყენება შესაძლებელია ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მეორე მეუღლის თანხმობის მიუხედავად; 3. არაფორმასავალდებულო - უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ზეპირი, აგრეთვე წერილობითი ფორმით; 4. მიღებასავალდებულო - მეორე მეუღლეს წარმოეშვება შესაბამისი ნივთის გადაცემის ვალდებულება, უფლების გამოყენების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე; 5. გამოუხმობადი - მეორე მეუღლის ან მისი მემკვიდრის მიმართ ნების გამოხატვის შემდგომ, მისი უკან გამოხმობა დაუშვებელია.²²⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სტრუქტურის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც იკითხება კანონმდებლის არჩევანი, გაზიარებულ უნდა იქნეს გერმანული სამართლებრივი კონსტრუქცია გადაბარების უფლებასთან დაკავშირებით.

12. ინდივიდუალური ქონების გადაქცევა თანასაკუთრებად

მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის განსახილველი საფუძველი, ცნობილი იყო საბჭოთა საოჯახო სამართლისთვისაც, თუმცა მას ყოველთვის ის შინაარსი არ გააჩნდა, რომელიც დღეის მდგომარეობით სსკ-ის 1163-ე მუხლით არის გათვალისწინებული. კერძოდ, საბჭოთა საოჯახო სამართლის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ასეთი ტრანსფორმაციისთვის აუცილებელი იყო ინდივიდუალური ქონების მესაკუთრე მეუღლის თანხმობა, ხოლო ქონების ღირებულების ზრდაში მოიაზრებოდა

²²⁵ Blank M., Brambring G., Chancellor R., BGH: Vorzeitige Übernahme eines in die Gütergemeinschaft eingebrachten Grundstücks vor Auseinandersetzung, DnotZ, Heft 9, 2007, 694.

²²⁶ BeckOK BGB/Spernath, 66. Ed. 1.5.2023, BGB § 1477 Rn. 5.

არა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი გადიდება, არამედ საწყისი ღირებულების მიმართ გადაჭარბების არსებობა.²²⁷

მოცემული წესისთვის დამახასიათებელი პირველი ნიშანი ხარჯების გაწევაში გამოიხატება. ხარჯების გაწევის გამოკვლევისას მნიშვნელოვანია დადგინდეს იმ მეუღლის ვინაობა, რომელმაც აღნიშნული ხარჯი გასწია. თუმცა გაწეული ხარჯების ოდენობა არ განსაზღვრავს მეუღლეთა წილობრივ განაწილებას განსახილველი ქონების მიმართ. უპირველეს ყოვლისა აღნიშნული გადაწყვეტა გამორიცხულია იმის გათვალისწინებით, რომ მეუღლეთა თანასაკუთრება თანაზიარი და არა წილობრივი ხასიათის მატარებელია, თუმცა იმ შემთხვევაშიც თუ საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეთა წილობრივი თანასაკუთრება იქნება დადგენილი (სსკ-ის 1176-ე მუხლის მე-3 ნაწილი), გაწეული ხარჯების ოდენობა ავტომატურად ვერ განსაზღვრავს მეუღლეთა წილთა სიდიდეს განსახილველი ქონების მიმართ. ამ შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი წესის (გაწეული ხარჯების პროპორციულად წილთა დადგენის) შეთანხმება საქორწინო ხელშეკრულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომლის თანახმად „*მეუღლეთა თანასაკუთრებაში წილების განსაზღვრისათვის საჭიროა გაირკვეს თუ რომელმა მეუღლემ რა ხარჯი გასწია ქონების ტრანსფორმაციისათვის*“.²²⁸ გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის თანახმად „*გარემოება იმის თაობაზე, თუ რომელმა მეუღლემ რა ხარჯი გასწია, განსაზღვრავს ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ქონების საერთო თანასაკუთრებად აღიარების საფუძველს*“.²²⁹

რუსული სამართლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ გაწეული შრომის შედეგად, მეორე მეუღლის ინდივიდუალური ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა, მიიჩნევა ქონების საკუთრებითი რეჟიმის ტრანსფორმაციისათვის საკმარის საფუძვლად.²³⁰ როგორც წესი, მოცემული ნორმა შეეხება უძრავ ქონებას (მაგალითად,

²²⁷ Vasiliev I., The Law of Property of Spouses, Soviet Law and Government, Vol. 5, No.1, 1966, 50.

²²⁸ ნინუა ე., მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, № 03(34), 2012, 49.

²²⁹ გაბუნია მ., მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი სტანდარტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა N1(3), 2015, 31.

²³⁰ Косова О. Ю., Семейное Право, Иркутск, 2016, 193.

ბინას, საცხოვრებელ სახლს), რომლის ღირებულების ზრდაც შეიძლება განხორციელდეს კაპიტალური რემონტის, რეკონსტრუქციის ან გადაკეთების შედეგად.²³¹ ორივე აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია ქართული სამართლის მიერ - კერძოდ, სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული „ხარჯები“ ასევე უნდა მოიცავდეს არამატერიალურ დანახარჯებსაც შრომითი ძალის სახით, ხოლო ნორმაში სახელდებით მოხსენიებული ქმედებები (გადაგეგმარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება) როგორც წესი, მიუთითებენ უძრავ ქონებაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხარჯების გაწევაში არ მოიაზრება აუცილებლად ქორწინების განმავლობაში მოპოვებული ქონების გამოყენება, არამედ შესაძლებელია ხარჯის სახით გაღებულ იქნეს ქორწინებამდე არსებული ან ნებისმიერი სხვა ინდივიდუალური ქონებაც. ამ თვალსაზრისით არ არის გასაზიარებელი სასამართლოს ის პოზიცია, რომლის მიხედვით საერთო საკუთრებად არ იქნა მიჩნეული სადავო ქონება, რადგან „შესაბამის მეუღლეს სარემონტო და სხვა სახის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალა დაქორწინებამდე ჰქონდა შეძენილი“.²³²

სსკ-ის 1163-ე მუხლში ნახსენები ტერმინი - „ხარჯების გაღება“ არ გულისხმობს დანახარჯების კონდიქციის შემადგენლობის არსებობას, რომელიც სსკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზეა გათვალისწინებული. შესაბამისად, ხარჯების გამწევი მეუღლე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების შედეგად მეორე მეუღლისგან გამდიდრების ღირებულების ანაზღაურება, რადგან სსკ-ის 1163-ე მუხლი ქმედების განხორციელების კანონისმიერი საფუძველია, რაც გამორიცხავს რაიმე სახის კონდიქციური მოთხოვნის არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის გასაზიარებელი სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ შემთხვევაში ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სსკ-ის 987-ე მუხლზე მითითება.²³³

გაღებული ხარჯების გარდა, განსახილველი ნორმის ფარგლებში, აუცილებლად გასათვალისწინებელი ელემენტია ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც ხარჯების გაღების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. კანონი არ განსაზღვრავს თუ

²³¹ იქვე.

²³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 მარტის განჩინება № ას-1094-1336-04.

²³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 02 ივლისის განჩინება № ას-870-816-2012.

რა ჩაითვლება ქონების მნიშვნელოვან ზრდად და ამ თვალსაზრისითაც ქართული რეგულირება მსგავსია რუსული სამართლის შესაბამისი დანაწესისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობის მატარებელია იმ გარემოების დადგენა, თუ როგორი სხვაობაა ხარჯების გაღებამდე არსებულ ღირებულებასა და მისი გაღების შემდგომ შეცვლილ ღირებულებას შორის.²³⁴ იმისდა მიხედვით რაც უფრო მეტად აღემატება ქონების გაზრდილი ღირებულება მისსავე საწყის მონაცემს, მით უფრო მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი ზრდა.

აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა მონაწილეობა იმ ქონების (ან მისი ნაწილის) კაპიტალური რემონტისა და გაუმჯობესების პროცესში, რომელიც მესამე პირს ეკუთვნის, არ წარმოშობს საკუთრების უფლებას აღნიშნულ ქონებაზე (ან მის ნაწილზე). ასეთ შემთხვევაში ხარჯების გამწევ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ან არსებული გამდიდრების ღირებულების ანაზღაურება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი სასამართლო საქმე, რომლის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ქორწინების განმავლობაში ერთ-ერთმა მეუღლემ სახლის სხვენი გააფართოვა და მისი იზოლირება მოახდინა, ხოლო მოგვიანებით საკუთარი სახსრებით მიიღო მონაწილეობა სახლის სახურავის შეცვლაში.²³⁵ აღნიშნული სახლი წარმოადგენდა არა მისი მეუღლის ინდივიდუალურ, არამედ მამამთილის ერთპიროვნულ საკუთრებას. მოსკოვის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმის განმარტებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებები, საოჯახო კანონმდებლობის საფუძველზე საკუთრების უფლების აღიარებას განაპირობებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარჯები გაწეული იქნებოდა ქორწინების განმავლობაში და მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა იმ ქონების ღირებულება, რომელიც ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრებაა. შესაბამისად, მოცემული საქმის ფარგლებში, ქონება ეკუთვნოდა არა მოსარჩელის ქმარს, არამედ ამ უკანასკნელის მამას, რის გამოც საოჯახო კოდექსის 37-ე მუხლი (ქართული ანალოგი სსკ-ის 1163-ე მუხლი) ვერ იქნებოდა გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დანახარჯების კონდიქციის მომწესრიგებელი სსკ-ის 987-ე მუხლი, იმ დათქმით, რომ არ უნდა

²³⁴ *Слепко Г.Е., Стражевич Ю.Н., Правовое Регулирование Имущественных Отношений Супругов, Монография, Москва, 2015, 66.*

²³⁵ *Толчеев Н., Настольная книга судьи по гражданским делам, Издательство Проспект, Москва, 2006, 270.*

დგინდებოდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წინაპირობები (სსკ-ის 969-ე და მომდევნო მუხლები).²³⁶

აღსანიშნავია, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ ქონებაზე ჩატარებული მიმდინარე რემონტი არ მიიჩნევა მეუღლეთა თანასაკუთრების აღიარებისათვის საკმარის საფუძვლად, ხოლო ასეთი სახის რემონტის მაგალითებად სასამართლო მიიჩნევს სახურავის გამოცვლას, ფანჯრების გამოცვლას, სახლის კედლების შეღესვას და სხვა ისეთ სარემონტო მოქმედებებს, რომელთა შედეგად ქონების გაბარიტები არ იცვლება, არ ხდება მისი გადაგეგმარება ან გადაკეთება“. ²³⁷ რაც შეეხება პირიქით შემთხვევებს, როდესაც ინდივიდუალური საკუთრების თანასაკუთრებად გარდაქმნა დასაშვებია, სასამართლოს პოზიციით მათ განეკუთვნება „ოთახების გადატიხვრა, იატაკის და ჭერის გაკეთება, რომლითაც ქონება კარკასული მდგომარეობიდან საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში გადავიდა“. ²³⁸

IV. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლები

1. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების საფუძვლები

მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების ყველაზე გავრცელებული საფუძვლებია: 1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება (ასევე, გარდაცვლილად გამოცხადება, უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება); 2. ქორწინების ბათილად ცნობა; 3. განქორწინება; 4. ოჯახური ერთობის ჩაშლა; 5. მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება; 6. საქორწინო ხელშეკრულების დადება;²³⁹ 7. სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში ქონების მიკუთვნება, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. გარდა აღნიშნულისა, ცალკეულ იურისდიქციებში ნაკლებად

²³⁶ რუსიაშვილი გ., უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი, 2020, 100.

²³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის განჩინება № ას-1078-1345-09.

²³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 აპრილის განჩინება № ას-72-2019.

²³⁹ აღნიშნული საფუძველი წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა განხილული ცალკე ნაწილის სახით.

გავრცელებული საფუძვლებია: 1. ერთ-ერთი მეუღლის გადახდისუნარობა; 2. კრედიტორის მიერ საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა; 3. ქონების ჩამორთმევა.^{240 241}

1.1. ოჯახური ერთობის ჩაშლა

რიგი სამართლებრივი სისტემების მიერ დღესაც გათვალისწინებულია გერმანული კანონმდებლობისთვის წარსულში ცნობილი კატეგორია „მაგიდისა და საწოლის გაყოფის“ შესახებ, რომელიც აუქმებს მეუღლეთა თანაცხოვრების ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება ფორმალურად მაინც არსებობს.²⁴² აღნიშნული სახელწოდება თავის მხრივ სათავეს იღებს რომაული ფრაზიდან - *A mensa et thoro* (მაგიდა და საწოლი). აღნიშნული ფრაზა აღწერს გარემოებას, როდესაც მეუღლეებისათვის რთულია სრული და საბოლოო განქორწინების მიღწევა, თუმცა მათი ოჯახური კავშირის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, სამი წელი) დარღვევის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ.²⁴³ მეუღლეთა დაშორება ქორწინების შეწყვეტის გარეშე ნიშნავს ოჯახური კავშირის დასუსტებას კონსტიტუტიური აქტის მეშვეობით.²⁴⁴ ოჯახური კავშირის დასუსტება გამოიხატება იმაში, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების ვალდებულება უქმდება. იმის გათვალისწინებით, რომ ცოლ-ქმრული სიყვარული (*affectio maritalis*) აღარ არსებობს, მეუღლეთა თანაცხოვრების შეწყვეტა (მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი - Legal Separation და არა Factual Separation, რაც მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტას გულისხმობს) თავის მხრივ განაპირობებს თანასაკუთრების გაუქმებას. აღნიშნული შედეგი რიგ ევროპულ იურისდიქციებში კანონის ავტომატური

²⁴⁰ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 305 და მომდევნო გვერდები.

²⁴¹ წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების მხოლოდ ის საფუძვლები, რომელთა გამოკვლევაც ქართული სამართლისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანია.

²⁴² *MüKoBGB/Mohrenfels W.*, 8. Aufl. 2020, Rom III-VO Art. 1 Rn. 19.

²⁴³ ვებ-გვერდი: <www.hetronadvocaten.nl> [ბოლო ნახვის თარიღი: 01.09.2023].

²⁴⁴ *Hauffleiter/Gomille*, FamFG, Buch 1. Allgemeiner Teil Anhang V nach § 110: Das Kollisionsrecht der Ehescheidung gem. der Rom III-VO, 2 Aufl. 2017, Rn.11.

მოქმედებით (*ex lege*) მიიღწევა - ბელგია, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი.²⁴⁵

ქართული სამართლისთვის ზემოთ განხილული შემთხვევა ცნობილია ოჯახური ერთობის ჩაშლის სახელწოდებით, ხოლო საკანონმდებლო სივრცეში აღნიშნული კატეგორიის არსებობა დგინდება სსკ-ის 1127-ე მუხლის შინაარსიდან, რომელიც სასამართლოს მიერ მეუღლეთა შესარიგებლად ვადის განსაზღვრას შეეხება.²⁴⁶ აღსანიშნავია, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული - „*ქორწინების ფაქტობრივი შეწყვეტა*“, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ოჯახური ერთობის ჩაშლის შემთხვევაზე მიუთითებს. ოჯახური ერთობის ჩაშლის შემთხვევა შეიძლება მრავალგვარად დახასიათდეს. მაგალითად, ასეთ შემთხვევაში მეუღლეები ემოციურად გაუწონასწორებელნი ხდებიან, ნაკლებად ყურადღებიანები ერთმანეთის მიმართ, მოუთმენლები, მატყუარები და ერთმანეთისთვის გაუგებარი ქცევებით ხასიათდებიან, რაც საბოლოო ჯამში ფსიქოლოგიურ დისტანცირებასა და ფიზიკურ არამიმზიდველობას განაპირობებს.²⁴⁷ მოცემულ შემთხვევაში მეუღლეთა შორის ოჯახური ერთობა შეუქცევადად არის ჩაშლილი.

ქართული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია იმ ვადის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც მეუღლეთა შორის ურთიერთობის დასუსტება ოჯახური ერთობის ჩაშლად დაკვალიფიცირდება. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კანონის ანალოგიის სახით მიუთითა ამავე კოდექსის 1341-ე მუხლზე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის მიხედვით, „*მეუღლის ქონებრივი უფლების გაქარწყლებისათვის კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს მეუღლეთა შორის ქორწინების ფაქტობრივ შეწყვეტას და მათ ცალ-ცალკე ცხოვრებას სულ ცოტა 3 წლის განმავლობაში*“.²⁴⁸ მოცემულ შემთხვევაში

²⁴⁵ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 307.

²⁴⁶ რუსიაშვილი გ., ბიგვაა თ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 30.

²⁴⁷ Sahithya G., The Effect of Divorce and Separation on Family Relationships, Indian Journal of Law and Legal Research, Vol. V, Issue II, 2023, 1.

²⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 იანვრის განჩინება № ას-1155-1084-2012.

სასამართლოს განმარტება გასაზიარებელია ზემოთ განხილული საუკეთესო ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით.

აგრეთვე აღსანიშნავია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, რომლის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მეუღლეთა შორის ქორწინება შეწყდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.²⁴⁹ მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს განქორწინება რეგისტრაციის ორგანოში არ დაურეგისტრირებიათ, მათი ოჯახის აღდგენა აღარ მომხდარა და სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო. სასამართლოს განმარტებით, „შემდგომი პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის მიერ ორ სხვადასხვა საწარმოში შეძენილ წილებზე მეორე მეუღლეს თანასაკუთრების უფლება არ წარმოეშვებოდა, რადგან აღნიშნული წილების შეძენას ადგილი ჰქონდა მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის პერიოდში“. სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით გასაზიარებელია სასამართლოს განმარტება, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტას, არამედ ქორწინება ისედაც შეწყვეტილი იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

1.2. მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრება

განსახილველი შემთხვევა გერმანულ სამართალში სამი ელემენტის მეშვეობით არის დახასიათებული. კერძოდ: მეუღლეთა შორის არ უნდა არსებობდეს ოჯახური თანამეგობრობა (1), სულ მცირე ერთ-ერთ მეუღლეს აშკარად არ უნდა სურდეს ოჯახური ურთიერთობის გაგრძელება (2) და ამასთან ერთად, ერთ-ერთი მეუღლე უნდა ეწინააღმდეგებოდეს (უარყოფდეს) მეუღლეთა თანასაკუთრების მოქმედებას (3). სამივე ელემენტი კუმულატიურად უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი დადგინდეს.²⁵⁰ გერმანული სამართლის მიხედვით, „თუ მეუღლეები

²⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება № 28/500-09.

²⁵⁰ *MüKoBGB/Weber*, 9. Aufl. 2022, BGB § 1567 Rn. 10.

განცალკევებულად ცხოვრობენ ერთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, მაშინ განქორწინება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლის პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზებით განმცხადებლისათვის ქორწინების გაგრძელება დაუშვებლად მძიმე იქნებოდა.²⁵¹ თუმცა „უდავოდ ივარაუდება, რომ ქორწინება დაირღვა, თუ: 1. მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ ერთი წლის განმავლობაში და ორივე მეუღლე წარადგენს განქორწინების შესახებ განცხადებას ან განცხადების მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე ან 2. მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ სამი წლის განმავლობაში“ (გსკ-ის 1565-ე და 1566-ე პარაგრაფები).²⁵² შესაძლებელია მეუღლეები ერთიდაიგივე საცხოვრებელ კორპუსში ცხოვრობდნენ, თუმცა აუცილებელია მათი სხვადასხვა ბინაში ცხოვრების ფაქტის დადგენა.²⁵³ აგრეთვე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია არა მხოლოდ ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტის დადგენა, არამედ შესაბამისი განზრახვის არსებობაც. ხსენებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, თუ მეუღლეები ფიზიკურად დაშორებულნი იყვნენ ქორწინების განმავლობაში, მაგალითად სამსახურის, ციხეში პატიმრობის, საავადმყოფოში ან მოხუცებულთა თავშესაფარში ყოფნის გამო - ასეთ შემთხვევებში განცალკევებულად ცხოვრების დაწყების მომენტად ჩაითვლება ერთ-ერთი მეუღლის მიერ შესაბამისი განზრახვის გამოხატვის მომენტი (მისი გაცხადება არ არის აუცილებელი მეორე მეუღლის მიმართ), მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური განცალკევება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდებოდა.²⁵⁴ სწორედ განხილულ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების ფაქტი და მხოლოდ ამის შემდგომ სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თითოეული მეუღლის საკუთრებად ცნოს ის ქონება, რომელიც შეძენილია თითოეული მათგანის მიერ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში. ზემოთ განხილული, გერმანულ სამართალში არსებული პოზიცია/მოსაზრებები მეუღლეთა „ცალ-ცალკე ცხოვრების“ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით არსებითად გასაზიარებელია ქართული სამართლის

²⁵¹ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე.*, და *დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 384.

²⁵² იქვე.

²⁵³ *HK-BGB/Rainer Kemper*, 11. Aufl. 2021, BGB § 1567 Rn. 2.

²⁵⁴ იქვე., Rn. 3.

მიერ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც, მსგავსად ოჯახური ერთობის ჩაშლისა, მეუღლეთა ცალ-ცალკე ფაქტობრივი ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ქონება, უშუალოდ შემძენი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას უნდა განეკუთვნებოდეს, რადგან ამავე პერიოდის განმავლობაში აღარ ვრცელდება საერთო ქონების რეჟიმი. თუმცა სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს გარემოება საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობას, რაც იმის მანიშნებელია, რომ კანონის ძალით, ავტომატურად ე.წ. *Ex Lege* ეფექტით შესაბამისი შედეგი ვერ დადგება და მსგავსად ოჯახური ერთობის ჩაშლისა, 3 (სამი) წელი ის აუცილებელი პერიოდი უნდა იყოს, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლოს შეეძლება ცალკეული ქონების უშუალოდ შემძენი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად აღიარება, ცხადია ზემოთ განხილული პირობების გათვალისწინებით.

1.3. სასამართლოს მიერ საერთო ქონების მიკუთვნება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას

განსახილველი უფლებამოსილება ქართულ სასამართლოს, მხოლოდ ოჯახური ერთობის ჩაშლისა და ცალ-ცალკე ცხოვრების საფუძვლებზე დაყრდნობით წარმოეშვა (სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილი), თუმცა ე.წ. *მნიშვნელოვანი საფუძვლის* არსებობა ევროპულ საოჯახო სამართალში არ ამოიწურება აღნიშნული შემთხვევებით. მთავარი საფუძველი, რომელსაც სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება შეიძლება დაეფუძნოს, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების არასწორი მართვაა (*Maladministration*), რაც ზიანს აყენებს/ზიანის მიყენების საშიშროებას უქმნის ამავე თანასაკუთრებას ან მეორე მეუღლის უფლებებს.²⁵⁵ ქართულ სამართალში, ცალკეულ შემთხვევათა პირდაპირი ნორმატიული მოწესრიგების არარსებობის პირობებში (გარდა სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დაუშვებელია, რომ სასამართლოს გააჩნდეს ერთ-ერთი მეუღლის თანასაკუთრების უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რადგან ეს მექანიზმი რადიკალურ ზომას განეკუთვნება

²⁵⁵ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 310.

(*Ultimum Remedium*).²⁵⁶ თანასაკუთრების უფლების ჩამორთმევის აღნიშნული საფუძველი (*Judicial Separation*) პირდაპირ არის გათვალისწინებული რიგი ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობით - მაგალითად, ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ესპანეთი (ყველა დასახელებულ სახელმწიფოში კომისიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის ფარგლებში, რიგით 43-ე შეკითხვაზე გაცემული პასუხების თანახმად, საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის საფუძველებს შორის დასახელებულია სასამართლოს მიერ მეუღლეთა თანასაკუთრების განცალკევება).²⁵⁷ აღნიშნულის საპირისპიროდ, რუსულ სამართალში განსახილველი საფუძვლის არსებობა არ დგინდება და მის ფარგლებში დასახელებული საფუძველები (1. განქორწინება. 2. საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე ქონებრივი რეჟიმის ცვლილება. 3. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადება) ანალოგიურად არსებობს საქართველოშიც.²⁵⁸ გარდა ამისა, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოწესრიგება ანალოგიურია რუსეთის საოჯახო კოდექსის 38-ე მუხლის დანაწესისა. შესაბამისად, ქართულ სასამართლოს არ გააჩნია ერთ-ერთი მეუღლის თანასაკუთრების უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი, მათ შორის არც ევროპაში ყველაზე გავრცელებული მნიშვნელოვანი საფუძვლის - ერთ-ერთი მეუღლის მიერ საერთო ქონების არასწორი (არაეფექტური) მართვის შემთხვევაშიც. ცხადია, აღნიშნული არ უკარგავს სასამართლოს უფლებამოსილებას იმისა, რომ სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება. აგრეთვე, შესაძლებელია, რომ ევროპული საოჯახო სამართლისთვის ცნობილი ე.წ. *მნიშვნელოვანი საფუძვლის* კონცეპტი გამოყენებული იყოს სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში დასახელებული - *ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესის* გათვალისწინებისას. კერძოდ, ქართულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილში დაფიქსირებული ცნების - „*ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესის*“ კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ფართოდ

²⁵⁶ Pintens W., CEFL Report – Property Relations, Belgium, 2008, 24.

²⁵⁷ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 309.

²⁵⁸ Antokolskaia M., CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 17.

განმარტებასთან დაკავშირებით.²⁵⁹ სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე აღიარებული კეთილსინდისიერების პრინციპი მოცემულ შემთხვევაში კანონის ხარვეზის შევსების ფუნქციას ასრულებს, რადგან მისი განმარტების მეშვეობით შესაძლებელია შეივსოს ის საკანონმდებლო სივრცე, რომელიც პირდაპირ არ ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებს.²⁶⁰ მაგალითად, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს ან მუდმივად თამაშობს აზარტულ თამაშებს.²⁶¹ მსგავსი შემთხვევები უნდა დარეგულირდეს კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებით და სასამართლოს უნდა გააჩნდეს სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა - სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მთლიანი კონსტრუქცია დაფუძნებულია კეთილსინდისიერების პოსტულატზე, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში, სოციალური ურთიერთობები ერთმნიშვნელოვნად დაზარალდებოდა.²⁶² ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს, როგორც რაოდენობრივ, აგრეთვე ხარისხობრივ კრიტერიუმებს, ხოლო ამ უკანასკნელის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ მეუღლის მონაწილეობის დონე საერთო ქონების შეგროვებასა და შენარჩუნებაში.²⁶³

1.4. მეუღლის გადახდისუუნარობა

მეუღლეთა თანასაკუთრების თანაზიარი ბუნება განაპირობებს თითოეული მათგანის საკუთრების უფლების მთლიან ქონებაზე გავრცელებას, რის გამოც აღნიშნული ქონება სრულად ექცევა ერთ-ერთი მეუღლის გადახდისუუნარობის მასაში. მოცემულ შემთხვევაში, მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესი დარღვევის საფრთხის წინაშე

²⁵⁹ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 127.

²⁶⁰ *ხუნაშვილი ნ.*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016, 103-105.

²⁶¹ *Вишнякова А. В.*, Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 33.

²⁶² *Buda C.*, Good Faith and Abuse of Law in Civil Legal Acts, *Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia*, Vol. 24, 2021, 217.

²⁶³ *Králíčková Z.*, On the Family and Family Law in the Czech Republic, *Ferenc Mádl Institute of Comparative Law*, 2021, 89.

აღმოჩნდება - მას არ უკისრია ვალდებულების შესრულება და შესაბამისად არც დაურღვევია, თუმცა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გადახდისუუნარობის მასაში შეყვანის შემთხვევაში, მან შეიძლება დაკარგოს ამავე ქონებაზე არსებული საკუთრების უფლება. მოცემულ შემთხვევაში რუსულ სამართალში არამოვალე მეუღლის ქონებრივი ინტერესის დაცვის შემდეგ გზებს განიხილავენ: 1. ზოგადად საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ცვლილება სხვა რეჟიმით ან 2. იმ შემთხვევაში თუ ერთ-ერთი მეუღლის მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოება დაწყებულია, მაშინ მეორე მეუღლეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თანასაკუთრების გაყოფის მოთხოვნით.²⁶⁴ აღნიშნულის საპირისპიროდ, კანონის ძალით თანასაკუთრების რეჟიმის გაუქმების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ პოლონეთის სამართალი. კერძოდ, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საერთო ქონების რეჟიმი კანონის ძალით უქმდება ერთ-ერთი მეუღლის ქმედუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.²⁶⁵ თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დანაწესი შეეხება მეუღლის გაკოტრებულად გამოცხადებას და არა გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას.

ქართული სამართლის ფარგლებში, მოვალე-მეუღლის გადახდისუუნარობა არ მიიჩნევა მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების საფუძვლად. უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ფიზიკურ პირთა გადახდისუუნარობის მომწესრიგებელი ნორმა“.²⁶⁶ კერძოდ, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებზე. შესაბამისად, აღნიშნული პირების მიმართ ვერც გადახდისუუნარობის საქმე ვერ დაიწყება და ვერც მათ გაკოტრებულად გამოცხადებას ექნება ადგილი. აქედან გამომდინარე, ქართულ სამართალში ერთ-ერთი მეუღლის გადახდისუუნარობა ვერ იქნება მიჩნეული მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების საფუძვლად.

²⁶⁴ ვებ-გვერდი: <www.advgazeta.ru> [ბოლო ნახვის თარიღი: 12.09.2023].

²⁶⁵ ვებ-გვერდი: <www.ilo.org> [ბოლო ნახვის თარიღი: 12.09.2023].

²⁶⁶ *მესხიშვილი ქ.*, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი, 2021, 28.

1.5. კრედიტორის მიერ საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა

ქართული კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული ნორმა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა კრედიტორის მიერ საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა. მოცემულ შემთხვევაში განიხილება თითოეული მეუღლის ინდივიდუალური ვალდებულებების შესრულების საკითხი. ექსპლიციტური დანაწესი, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, ასევე არ არის გავრცელებული ევროპულ იურისდიქციებშიც, თუმცა რამდენიმე მათგანი საკანონმდებლო დონეზე მაინც ითვალისწინებს შესაბამის სამართლებრივ საფუძველს. მაგალითად, ბულგარეთის საოჯახო კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კრედიტორის მიერ ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ვალის ამოღება თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან, ამავე ქონებაზე თანასაკუთრების რეჟიმის შეწყვეტის საფუძველია.²⁶⁷ აგრეთვე, პირდაპირი საკანონმდებლო დანაწესი გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 38-ე მუხლის პირველი პუნქტით. კერძოდ, ამავე პუნქტის თანახმად, საერთო ქონება შეიძლება გაიყოს ნებისმიერი მეუღლის ან თითოეული მათგანის კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია მოვალე-მეუღლის კუთვნილი წილის შესაბამისი ქონების გამოყოფა საერთო ქონებიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ქონებიდან ვალის ამოღება შეუძლებელი იქნება.²⁶⁸ ანალოგიური ნორმა ცნობილია ლიეტუვის კანონმდებლობის ფარგლებშიც. კერძოდ, ლიეტუვის სამოქალაქო კოდექსის 3.116-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრება შეიძლება გაიყოს ერთ-ერთი მეუღლის ან მათი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, კანონით დადგენილ შემთხვევებში.²⁶⁹

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია დააყადოს მოვალე მეუღლის საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა, კერძოდ, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის

²⁶⁷ ვებ-გვერდი: <www.mlsp.government.bg> [ბოლო ნახვის თარიღი: 12.09.2023].

²⁶⁸ Вишнякова А. В., Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 31.

²⁶⁹ ვებ-გვერდი: <www.ilo.org> [ბოლო ნახვის თარიღი: 12.09.2023].

საფუძველზე - მოვალის მოთხოვნაზე შეიძლება ყადაღის დადება, თუ კანონმდებლობა არ ზღუდავს მათ გადაცემას ან მათზე ყადაღის დადებას. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც არ ექვემდებარება ყადაღის დადებას, ხოლო ამავე ჩამონათვალში არ არის მოცემული მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ყადაღის დადებას.

1.6. *ქონების ჩამორთმევა*

მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების მომდევნო საფუძვლად ქონების ჩამორთმევა არის დასახელებული - მოცემულ შემთხვევაში განიხილება სისხლის სამართლებრივი პროცესის ფარგლებში, ბრალდებულისათვის სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევის საკითხი.²⁷⁰ ეს უკანასკნელი, სასჯელის ერთ-ერთ სახედ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 40-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის საფუძველზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, მხოლოდ იმ ქონების ჩამორთმევის შესაძლებლობას, რომელიც შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით. შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმზე გაუქმდება მხოლოდ აღნიშნული ქონების მიმართ, ხოლო დანარჩენი ქონების ნაწილში, შესაბამისი რეჟიმი შენარჩუნდება.²⁷¹²⁷²

²⁷⁰ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 311.

²⁷¹ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 ივლისის განჩინება № ას-569-540-2015; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება № 28/6774-14.

²⁷² **შენიშვნა:** მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის ლიკვიდაციის ეტაპთან დაკავშირებით იხ., დანართი N 2.

V. მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები

1. ქონებრივი ვალდებულებების დიქტომია

სსკ-ის 1170-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გათვალისწინებული კრიტერიუმი - „ვალის აღება ოჯახის საერთო ინტერესებისათვის“ იმეორებს სსკ-ის 1160 მუხლის განმარტებისას გამოსაყენებელ „ოჯახური საჭიროებების“ ცნებას.²⁷³ „ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალის შემთხვევაში, არ პრეზუმირდება ამგვარ ვალდებულებაზე მეორე მეუღლის სოლიდარული პასუხისმგებლობა მხოლოდ ვალის ქორწინების განმავლობაში წარმოშობის დადგენის საფუძველით, ამდენად, კრედიტორის წინაშე პასუხისმგებელია მოვალე მეუღლე, აღნიშნული ვალის მეუღლეთა საერთო ვალად აღიარებამდე“.²⁷⁴

აღსანიშნავია, რომ ქართული რეგულირების საპირისპიროდ, ბელგიური კანონმდებლობა იცნობს მეუღლეთა ინდივიდუალური ვალდებულებების შესახებ ამომწურავ ჩამონათვალს (ბელგიის სამოქალაქო კოდექსის 1406-ე და 1407-ე მუხლები).²⁷⁵

ქართული რეგულირების მსგავსად, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში გავრცელებულია ის დიქტომიური ხასიათის მიდგომა, რომელიც მეუღლეთა საერთო და ინდივიდუალური ვალდებულებების ერთმანეთისგან გამიჯვნას გულისხმობს.²⁷⁶ ზოგადი პრინციპის თანახმად, მეუღლეთა საერთო ვალისათვის პასუხისმგებლობის

²⁷³ იქვე., 88.

²⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის განჩინება № ას-516-489-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ივლისის განჩინება № ას-1029-964-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინება № 1334-1254-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის განჩინება № ას-1646-2018; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განჩინება № ას-315-300-2016; „ოჯახის საერთო ინტერესის“ ცნების იდენტიფიცირების შესახებ იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება № 3კ/519-01; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება № ას-981-922-2012; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის განჩინება № ას-516-489-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 იანვრის განჩინება № ას-372-356-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება № 3კ/990-01.

²⁷⁵ Verbeke A., Marital Property Planning in a Belgian Nutshell, Based on a Lecture at the Annual Conference of the International Academy of Estate and Trust Law (2005), New Mexico, 2006, 5.

²⁷⁶ Baideldinova Dalpane M., Matrimonial Property and Its Contractual Regulation in Kazakhstan, The International Survey of Family Law, London, 2011, 249; Вишнякова А.В., Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 33.

ობიექტად საერთო ქონება მიიჩნევა, ხოლო მეუღლეთა ინდივიდუალური ქონება, ასეთ შემთხვევაში, სუბსიდიარულ როლს ასრულებს.²⁷⁷

ინდივიდუალური ვალდებულების შესრულების რიგითობის თვალსაზრისით აღსანიშნავია შემდეგი - „როგორც კომისიის მიერ შემუშავებული პრინციპების, ასევე მაგალითად, ესპანური სამართლის შესაბამისად (ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1373-ე მუხლი) დადგენილია, რომ მოვალე მეუღლის ინდივიდუალური ვალდებულება უპირველესად უნდა შესრულდეს მისი ინდივიდუალური ქონებით“.²⁷⁸ აქედან გამომდინარე, „იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი ქონება არ იქნება საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის შესასრულებლად, გადახდევინება უნდა მიეცეს საერთო ქონებაში არსებულ მოვალე მეუღლის წილზე“.²⁷⁹

2. მეუღლის ინდივიდუალური ვალის დაფარვის წესი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული სწორი მოსაზრების მიხედვით, „მეუღლის პირადი ვალისათვის გადახდევინება ხდება არა საერთო საკუთრებაში არსებული აბსტრაქტული წილიდან, არამედ საერთო საკუთრების გაყოფასთან (სსკ-ის 1164-ე მუხლი) და კონკრეტული წილის მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნიდან“.²⁸⁰

განსახილველ შემთხვევაში შესაძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ფრანგული და შვეიცარული მოდელი. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი კომპენსაციის პრინციპს ემყარება - იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ვალი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან დაიფარება, მოვალე მეუღლემ კომპენსაცია უნდა გადაუხადოს

²⁷⁷ *Власова М.В.*, Постатейный Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2013, 151.

²⁷⁸ *მელაძე გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 89; *Redondo P. Q.*, Spanish Matrimonial Property Regimes and CEFL Principles regarding Property Relations between Spouses, European Journal of Law Reform, Vol.17, Joint Edition, 2015, 338.

²⁷⁹ *მელაძე გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 89.

²⁸⁰ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 133; მეუღლის ინდივიდუალური ვალის დაფარვის შესახებ დეტალური სქემა იხ., *მელაძე გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 89-91.

არამოვალე მეუღლეს.²⁸¹ აღნიშნულისგან განსხვავებით, შვეიცარული მოდელის მიხედვით, თანასაკუთრებიდან ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ვალის დაფარვისას, საერთო ქონების გაყოფა შესაძლებელია.²⁸² „ქართულ საოჯახო სამართალშიც გასათვალისწინებელია აღნიშნული მიდგომა, საკანონმდებლო დონეზე მსგავსი რეგულირების შემოღების გზით, რომლითაც კრედიტორი აღჭურვილი იქნება შესაბამისი მოთხოვნის უფლებებით (საერთო ქონების დაყადაღება, გაყოფა და მოვალე მეუღლის წილს მიკუთვნებული ქონების იძულებითი რეალიზაცია), თუმცა ამავე შედეგის მიღწევა, არსებული მოწესრიგების პირობებშიც, სასამართლოს მიერ ნორმათა განმარტების მეშვეობითაც შესაძლებელია“. ²⁸³

თანასაკუთრების სისტემის არსებობისას, ოჯახის საერთო ინტერესი უპირატესობით სარგებლობს კრედიტორთა ინტერესებთან შედარებით და შესაბამისად იმისათვის, რომ ოჯახის ერთობა შენარჩუნდეს, დაქორწინებამდე აღებული ინდივიდუალური ვალისათვის გადახდევინების მიქცევა მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ დაუშვებელია.²⁸⁴ ლუიზიანას შტატის სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „ვალდებულება, რომლის შესრულებაც სარჩელით იყო მოთხოვნილი, ერთ-ერთი მეუღლის მიერ დაქორწინებამდე აღებულ ვალს განეკუთვნებოდა და ამის გამო ის ინდივიდუალურად იქნა მიჩნეული (მიუხედავად იმისა, რომ ბინის ქირავნობა მეუღლეთა საერთო ქონებრივ ინტერესს ემსახურებოდა და ასევე ქირის თანხას საერთო ქონებიდან იხდიდნენ)“. ²⁸⁵ ქართული საოჯახო სამართლის პოლიტიკის შესაბამისად, დაქორწინებამდე პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის მიერ როგორც პირადი,

²⁸¹ Izquierdo A.O., Rodriguez A.M.O., Izquierdo A.M.O., Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018, 334.

²⁸² იქვე., 841; შვეიცარიაში საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლება აღსრულების ეროვნულ ბიუროს გააჩნია, იხ., ვებ-გვერდი: <www.fedlex.admin.ch> [ბოლო ნახვის თარიღი: 30.09.2023].

²⁸³ მელაძე გ., მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 91.

²⁸⁴ The Antenuptial Obligation and Arizona Community Property Law, Law and Social Order, Vol. 1970, Issue 4, 1970, 614.

²⁸⁵ მელაძე გ., მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 92; საქმე კეისერი ჯეიმსის წინააღმდეგ (Keyser vs. James, 153 So. 2d 97 (La. Ct. App. 1963)). აგრეთვე მაგალითისთვის იხ., საქმე ინკორპორირებული კომერციული საკრედიტო გეგმა პერის წინააღმდეგ (Commercial Credit Plan, Incorporated vs. Perry, 186 So. 2d 900 (La. Ct. App. 1966)); საქმე ბომონტის ამერიკული ეროვნული ბანკი რათბერნის წინააღმდეგ (American National Bank of Beaumont vs. Rathburn, 264 So. 2d 360 (La. Ct. App. 1972)); განსხვავებულ სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით იხ., Traynor R. J., Weinberg vs. Weinberg 67 Cal.2d, Hastings College of the Law UC Hastings Scholarship Repository, University of California, 1967, 557.

აგრეთვე საოჯახო ინტერესისთვის აღებული ვალდებულების მიმართ მეუღლეთა თანასაკუთრება არ უნდა წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის ობიექტს. კანონმდებლის ნება უნდა დადგინდეს სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტის დანაწესიდან - კერძოდ, იმ არჩევანის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით დაქორწინებამდე არსებული ქონება მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია, „ქორწინებამდელი ვალდებულებაც ანალოგიურად მოვალე მეუღლის ინდივიდუალურ ვალდებულებას უნდა განეკუთვნებოდეს“.²⁸⁶

VI. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა

1. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის შესახებ შეთანხმება

საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმება თავისთავად არ იწვევს თანასაკუთრების გაყოფას, რადგან ის მაინც საჭიროებს შესრულებას - ცალკეული საგნების განკარგვა/გადაცემას, შესაბამისად, როგორც ყოველთვის, ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების არსებობა არ გულისხმობს იმას, რომ ის შესრულებულია.²⁸⁷ აქედან გამომდინარე, გამიჯვნის პრინციპის მიხედვით, რომელიც დომინირებს გსკ-ში (ისევე როგორც ქართული სამოქალაქო სამართალი აღიარებს აღნიშნული პრინციპის მოქმედებას), საერთო ქონების გაყოფის ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება უნდა შესრულდეს ნივთების რეალური გადაცემის აქტის საფუძველზე (სანივთო გარიგება) და ამასთან ერთად, განკარგვა უნდა გავრცელდეს მთლიან ნივთზე და არა მხოლოდ იმ თანაზიარ წილზე, რომელსაც თანამესაკუთრე კარგავს.²⁸⁸

²⁸⁶ *მელაძე გ.*, მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 94; ანალოგიური პოზიცია გასაზიარებელია ერთ-ერთი მეუღლის იმ საალიმენტო ვალდებულებების მიმართაც, რომელიც პირველი ქორწინებიდან წარმოიშვა.

²⁸⁷ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1474 Rn. 5.

²⁸⁸ *BeckOK BGB/Spernath*, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1474 Rn. 3.

საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმება ზოგადად დისპოზიციურ ხასიათს ატარებს და მეუღლეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ მათთვის სასურველ ნებისმიერ საკითხზე (მაგალითად, წილების თანაბარი ან განსხვავებული წესით დადგენაზე), თუმცა მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია იმპერატიული ნორმა, რომელიც დადგენილია გსკ-ის 1480-ე პარაგრაფის საფუძველზე. ეს უკანასკნელი რეგულაცია მიზნად ისახავს კრედიტორის ინტერესის დაცვას და მისი შეცვლა მეუღლეთა შეთანხმებით დაუშვებელია.²⁸⁹ აღნიშნული საკითხი შეეხება მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულების შესრულებამდე, ამავე ქონების გაყოფას. კერძოდ, იმ შემთხვევაში როდესაც საერთო ქონება გაიყოფა კრედიტორის წინაშე ნაკისრი საერთო ვალდებულების შესრულებამდე, ეს უკანასკნელი წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გსკ-ის 1480-ე პარაგრაფის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა თანასაკუთრება გაიყოფა საერთო ვალდებულების შესრულებამდე, თითოეული მეუღლე პასუხს აგებს საერთო ვალდებულებისათვის, როგორც სოლიდარული მოვალე. თავის მხრივ აღნიშნული პასუხისმგებლობა იმ მეუღლისათვის, რომელიც საერთო ქონების გაყოფამდე პასუხს არ აგებდა, შემოიფარგლება უშუალოდ იმ ქონებით, რომელიც მან საერთო ქონების გაყოფის შედეგად მიიღო.²⁹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართალი გერმანულისგან განსხვავებით საერთო ქონების გაყოფის კონტექსტში არ იცნობს კრედიტორთა ინტერესების დაცვის სპეციალურ ნორმას, ზემოთ განხილული საკითხი ასევე გასათვალისწინებელია სასამართლოების მიერ საერთო ქონების მართვის პრინციპების განმარტების პროცესში.

2. თანასაკუთრების გაყოფის წესი

სსკ-ის 1168-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს თანასაკუთრების გაყოფის წესს მეუღლეთა წილთა თანაბრობის პრინციპის გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმა დისპოზიციურ ხასიათს ატარებს და ის განსაზღვრავს მეუღლეთა შესაძლებლობას

²⁸⁹ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1474 Rn. 2.

²⁹⁰ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1480 Rn. 1.

საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების გზით დაადგინონ წილთა განსხვავებული განაწილება (პროპორცია). თუმცა ამავე ნორმიდან არ დგინდება თანასაკუთრების გაყოფის პროცესის მიმდინარეობის მარეგულირებელი წესები და შესაბამისად იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული საკითხი არ არის მოწესრიგებული ქართული კანონმდებლის მიერ. ხსენებული შთაბეჭდილება მცდარია და მოცემულ შემთხვევაშიც ქართულმა სამართალმა უნდა გაიზიაროს გერმანულ სამართალში არსებული ცალსახა პოზიცია საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმების გამოყენების თაობაზე (სსკ-ის 963-ე და მომდევნო მუხლები).

კერძოდ, მეუღლეთა საერთო ვალდებულებების შესრულების შემდეგ თანასაკუთრების გაყოფა უნდა განხორციელდეს საზიარო უფლებების მომწესრიგებელი ნორმათა კომპლექსის შესაბამისად (გსკ-ის 752-757-ე პარაგრაფები), იმ გამონაკლისის გათვალისწინებით, რომლის მიხედვით გსკ-ის 1475-ე პარაგრაფი, როგორც სპეციალური ნორმა, განდევნის ამავე კანონის 755-ე პარაგრაფის პირველ ნაწილს.²⁹¹ აღნიშნული დანაწესების ურთიერთშედარების საფუძველზე დგინდება შემდეგი განსხვავება -

1. გსკ-ის 755-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, *„თუ მოწილეები, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ იმ ვალდებულებისათვის, რომელიც მათ, გსკ-ის 748-ე პარაგრაფის (ვალდებულებებისა და ხარჯების კისრების ტვირთი) თანახმად, უნდა შეასრულონ თავიანთი წილების პროპორციულად, ან რომელიც მათ იკისრეს ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ საზიარო უფლების გაუქმებისას თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ვალის დაფარვა საზიარო საგნიდან“.*²⁹²

2. გსკ-ის 1475-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის საფუძველზე, *„მეუღლეებმა პირველ რიგში უნდა შეასრულონ მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები. თუ ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი ან იგი სადავოა, მაშინ მეუღლეებმა უნდა შეინარჩუნონ ის ქონება, რაც საჭიროა აღნიშნული ვალდებულების შესრულებისათვის“.*²⁹³ შესაბამისად, ნორმათა შორის არსებული შინაარსობრივი

²⁹¹ BeckOK BGB/Spernath, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1477 Rn. 2.

²⁹² ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 238.

²⁹³ იქვე., 372.

განსხვავება შემდეგია - მოწილეებს საზიარო უფლების გაუქმებისას (თითოეულ მათგანს) მხოლოდ შეუძლიათ მოითხოვონ ჯერ საერთო ვალდებულების შესრულება საერთო საგნიდან და შემდგომ საზიარო უფლების გაუქმება, ხოლო მეუღლეთა შორის ურთიერთობის შემთხვევაში, გერმანელი კანონმდებელი კატეგორიულ ფორმულირებას იყენებს, რომლის მიხედვით პირველ რიგში საერთო ვალდებულებები უნდა შესრულდეს, ასევე საჭიროების შემთხვევაში საერთო ქონება უნდა შენარჩუნდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ მოვლენათა განვითარების რიგითობა იმთავითვე იმპერატიულად არის დადგენილი. გერმანული სამართლის გავლენით ქართული სამართლის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 1169-ე მუხლი განდევნის ამავე კანონის 965-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედებას, თუმცა აუცილებელია დაზუსტდეს მნიშვნელოვანი გარემოებები: 1. სსკ-ის 1169-ე მუხლი აწესრიგებს მეუღლეთა გაყოფადი საერთო ვალდებულების გაყოფის წესს და შესაბამისად, განუყოფელი საერთო ვალდებულების შემთხვევაში, ჯერ ისინი უნდა შესრულდნენ და შემდგომ განხორციელდეს საერთო ქონების გაყოფა. 2. სსკ-ის 1169-ე მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს საერთო ვალდებულებების შესრულების პრიმატს საერთო ქონების გაყოფის მიმართ. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მეუღლეთა საერთო ვალდებულებების სფეროს, თუნდაც მხოლოდ მათი გაყოფის კონტექსტში, ზემოთ აღნიშნული მუხლი აწესრიგებს, შესაბამისად, ამავე მუხლის ფარგლებში დგინდება ხსენებული რიგითობაც. 3. სსკ-ის 965-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს ამავე კანონის მე-600 მუხლზე, რაც კანონმდებლის შეცდომით უნდა აიხსნას, რადგან ეს მუხლი შეეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ფარგლებში აღდებული მოსავლის ანაზღაურების წესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გსკ-ის 755-ე პარაგრაფის ქართულ ანალოგად, მისი შინაარსის გათვალისწინებით, უნდა განვიხილოთ სსკ-ის 960-ე მუხლი (საზიარო საგნის მოვლის ხარჯები).²⁹⁴ ყველა დასახელებული არგუმენტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ ქართულ სამართალშიც, მსგავსად გერმანულისა, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესში გამოყენებულ იქნეს საზიარო

²⁹⁴ სსკ-ის 960-ე მუხლის შინაარსისა და მისი მოქმედების სფეროს შესახებ იხ., ზარანდია თ., საზიარო საგნის მართვა და განკარგვა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, № 7, 2022, 22-24.

უფლებების მარეგულირებელი ნორმები ანალოგიის წესით, გარდა სსკ-ის 965-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 968-ე მუხლის დანაწესისა.

ზემოთ აღნიშნული პოზიციის საფუძველზე, შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს: 1. თანასაკუთრების გაყოფა პირველ რიგში ნატურით უნდა განხორციელდეს (გსკ-ის 752-ე პარაგრაფი); 2. ნატურით გაყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო ქონება აუქციონის წესით უნდა გაიყიდოს, ხოლო ამონაგები თანხა განაწილდეს მეუღლეთა შორის მათი წილების პროპორციულად (გსკ-ის 753-ე პარაგრაფი).²⁹⁵

3. წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა

ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულია მეუღლეთა წილთა თანაბრობის პრეზუმფციიდან სასამართლოს მიერ გადახვევის საფუძვლები, რომელიც ორ ზოგად კატეგორიად იყოფა: 1. არასრულწლოვანი შვილების და 2. მეუღლის ყურადსაღები ინტერესები. აღსანიშნავია, რომ თითოეული საფუძვლის გამოყენება შესაძლებელია როგორც ცალკე, ასევე ერთობლივად.²⁹⁶ „სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების თანადამთხვევა არ არის საჭირო, რადგან ერთ-ერთი მათგანის არსებობაც საკმარისია საერთო ქონების არათანაბარი გაყოფისათვის“.²⁹⁷

3.1. არასრულწლოვანი შვილის ინტერესები

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, არასრულწლოვანი შვილის ინტერესების გათვალისწინებით, მეუღლეთა წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა

²⁹⁵ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB §§ 1474-1477 Rn. 5.

²⁹⁶ Панова А.В., Отступление от Принципа Равенства Долей при Разделе Общего Имущества Супругов, Журнал Наука, Образование и Культура, 2017, 60.

²⁹⁷ ლობჯანიძე დ., მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 2, 2013, 26.

შემდეგნაირადაა დასაბუთებული - „მეუღლესთან ცხოვრობდა მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ, თუმცა ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს“. ²⁹⁸ „ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართი და სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვანის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის - ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი“. ²⁹⁹ არასრულწლოვანი შვილის ინტერესების ერთ-ერთ მაგალითად ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ასევე დასახელებულია ჯანმრთელობის მდგომარეობა.³⁰⁰

არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტის დამტკიცება იმისათვის, რომ ამ უკანასკნელის წილი გაიზარდოს საერთო ქონების გაყოფის პროცესში, არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია არასრულწლოვანი შვილის იმ კონკრეტული ინტერესის არსებობის დასაბუთება, რის გამოც მან ერთ-ერთ მშობელთან ერთად უნდა იცხოვროს. როგორც წესი მოცემული საკითხი უძრავი ქონების (ბინის ან სახლის) გაყოფის შემთხვევაში წარმოიშევა - მაგალითად, სინგაპურის სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეზე, მართალია ამ უკანასკნელმა კონკრეტულად არ მიუთითა არასრულწლოვანი შვილების საჭიროებებზე, თუმცა აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის მიხედვით სახლი უნდა დარჩენოდა ცოლს, რომელიც შვილებზე ზრუნვით (*Custody*) იყო დაკავებული.³⁰¹

²⁹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განჩინება № ას-752-703-2017.

²⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განჩინება № ას-752-703-2017.

³⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინება № ას-733-733-2018.

³⁰¹ *Crown B. C.*, Property Division on Dissolution of Marriage, *Malaya Law Review*, N 30, 1988, 52.

აღსანიშნავია ლიეტუვის სასამართლოს საქმე, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთმა მომჩივანმა სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, ამ უკანასკნელს გადაეხვია წილთა თანაბრობის საწყისისგან იმ გარემოებაზე დაყრდნობით, რომ მისმა მეუღლემ დაარღვია არასრულწლოვანი შვილის რჩენის ვალდებულება. სასამართლომ განმარტა, რომ არასრულწლოვანი შვილის რჩენის ვალდებულების დარღვევა მნიშვნელოვანი გარემოებაა შესაბამისი საალიმენტო ვალდებულების განსაზღვრის ნაწილში, თუმცა ამავე საფუძველზე წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა გამართლებული არ არის.³⁰² ანალოგიური მიდგომა აქვს გაზიარებული ქართველ კანონმდებელსაც, რომელმაც ზემოთ აღნიშნული გარემოება სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში არ მიიჩნია წილთა თანაბრობისგან გადახვევის საფუძველად. აგრეთვე, ანალოგიურად ლიეტუვური სამართლისა, ქართული სამართალიც არ ითვალისწინებს წილთა თანაბრობისგან გადახვევის საფუძველად ისეთ გარემოებას, თუ რამდენი შემოიტანა თითოეულმა მეუღლემ ქორწინებაში.³⁰³

აღსანიშნავია, რომ საერთო ქონების გაყოფისას მხოლოდ მეუღლეებისა და მათი საერთო არასრულწლოვანი შვილების ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც გამორიცხავს იმ მესამე პირთა ინტერესების მხედველობაში მიღებას, რომლებსაც არავითარი კავშირი აქვთ მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ, მაგალითად, სხვა ქორწინებიდან არასრულწლოვანი შვილების ან შრომისუუნარო მშობლების ინტერესები.³⁰⁴

აღსანიშნავია, საკასაციო სასამართლოს განმარტება არასრულწლოვანი შვილების რაოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ფორმულირება - „*არასრულწლოვანი შვილები*“, რაც მრავლობით რიცხვზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, „*ნორმაში სიტყვა „შვილები“ არ უნდა იქნეს სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობით გაგებული, რადგან ერთი შვილის შემთხვევაშიც მითითებული ნორმა სასამართლოს*

³⁰² Grigienė J., Cerka P., Stukyte-Skuzinskiene M., Unequal Contributions: Problems within the Division of Shares in Joint Community Property, Baltic Journal of Law and Politics, Vol. 13, N 1, 38.

³⁰³ იქვე., 39.

³⁰⁴ Панова А.В., Отступление от Принципа Равенства Долей при Разделе Общего Имущества Супругов, Журнал Наука, Образование и Культура, 2017, 61.

საშუალებას აძლევს გაითვალისწინოს არასრულწლოვანი შვილის ინტერესი და ერთ-ერთ მეუღლეს მიაკუთვნოს მეტი წილი მეუღლეთა თანასაკუთრებიდან³⁰⁵ აღნიშნული ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის სასამართლო მიუთითებს სსკ-ის სხვა ნორმებზეც, რომლებითაც არასრულწლოვანი შვილების უფლებებია დარეგულირებული. მაგალითად, „არასრულწლოვანი შვილები“ მითითებულია ასევე სსკ-ის 1212-1222 მუხლებშიც, მაგრამ ამ ნორმებით დადგენილი არასრულწლოვანი შვილების უფლებები თანაბრად ვრცელდება არასრულწლოვან შვილზეც³⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განმარტება სრულად გასაზიარებელია.

საინტერესოა, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მსჯელობის საგნად ასევე იქცა საკითხი არასრულწლოვანი შვილის მიმართ არსებული საალიმენტო მოვალეობის და მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის ურთიერთმიმართების შესახებ. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „კონკრეტულ შემთხვევაში, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლები არ არსებობდა, რადგან სასამართლომ, ალიმენტის სახით, მოსარჩელეს დაუნიშნა სოლიდური თანხა, რაც სრულად უზრუნველყოფდა ბავშვების აღზრდა-განვითარებას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის მაკვალიფიცირებელი გარემოება და უძრავი ქონება მეუღლეთა შორის თანაბრად უნდა გაყოფილიყო“³⁰⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ალიმენტის გამოანგარიშებისას და შემდგომ მისი ერთ-ერთი მშობლისთვის დაკისრებისას, სრულად არის გათვალისწინებული არასრულწლოვანი შვილის ხარჯები და მატერიალური მოთხოვნილებები, ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „არასრულწლოვანი შვილების ინტერესების“ კონტექსტში გამოყენებისათვის ადგილი აღარ რჩება. შესაბამისად, სასამართლოს მიერ ალიმენტის განსაზღვრის შემდგომ, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს: 1. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესის არსებობის შემთხვევაში ან/და 2. არასრულწლოვანი შვილების

³⁰⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-708-1000-05.

³⁰⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-708-1000-05.

³⁰⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება № ას-605-579-2016.

ისეთი ინტერესების არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ არის მოცული მშობლისთვის დაკისრებული საალიმენტო მოვალეობით.

3.2. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები - შრომისუუნარობა

სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში დაფიქსირებული „ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები“ ინტერესების ცნება კანონმდებლის მიერ მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკონკრეტებული და მის ერთ-ერთ მაგალითად მეუღლის შრომისუუნარობას მიიჩნევს. აღნიშნული ტერმინი არ არის განმარტებული საკანონმდებლო დონეზე, თუმცა მისი შინაარსის ფორმირებისთვის მიზანშეწონილია საოჯახო სამართალმა გარკვეულწილად გაითვალისწინოს შრომის სამართალში დამკვიდრებული შეხედულებები დასაქმებულის შრომისუუნარობის განმარტებასთან დაკავშირებით. მაგალითად, „დასაქმებულის შრომისუუნარობა მისი სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველია, რომელიც პიროვნებასთან დაკავშირებულ გარემოებებს განეკუთვნება და ამ უკანასკნელის ძირითადი მაგალითია“.³⁰⁸ მიუხედავად ამისა, არ იქნება გამართლებული თუ შრომისუუნარობის საოჯახო სამართლებრივი კატეგორია მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე იქნება დაყვანილი როგორიცაა, მაგალითად ხანგრძლივი ავადმყოფობა, უნარშეზღუდულობა, არამედ აღნიშნული ცნება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და მოიცვას ე.წ. დეკვალიფიკაციის შემთხვევაც, როდესაც მეუღლე საოჯახო საქმეების გაძღოლის მიზეზით ვერ ახერხებს სამსახურის შოვნას.³⁰⁹

რუსული სამართლის ფარგლებში დაშვებულია მეუღლეთა წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საჭიროებს კონკრეტულ ღირებულ ქონებას (მაგალითად, ავტომობილს).³¹⁰ მოცემულ შემთხვევაში არ არის საუბარი ჯანმრთელობის იმგვარ მდგომარეობაზე, რომელმაც აუცილებლად მეუღლის შრომისუუნარობის დაკარგვა უნდა

³⁰⁸ ბორონი ა., საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2016, 359.

³⁰⁹ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 125.

³¹⁰ Antokolskaia M., CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 21.

გამოიწვიოს, თუმცა ის მაინც განიხილება წილთა თანაბრობისგან გადახვევის საკმარის საფუძვლად. აგრეთვე, აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს არ გააჩნია შემოსავალი (დატოვა სამსახური) მეორე მეუღლის მხრიდან მოთხოვნის გამო, ასეთ დროს მეორე მეუღლეს არ აქვს უფლება ხსენებული გარემოება არასაპატიო მიზეზად მიიჩნიოს და თანასაკუთრების გაყოფისას მიუთითოს, რომ მის მეუღლეს არ გააჩნია წილის გაზრდის მოთხოვნის უფლება.³¹¹

ლიეტუვეური სამართლის მიხედვით, მეუღლეთა წილთა თანაბრობის პრინციპისგან გადახვევის ერთ-ერთ საფუძვლად ასევე მიიჩნევა მეუღლის შრომისუუნარობა. ლიეტუვის უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, სასარჩელო მოთხოვნის საპირისპიროდ, მოპასუხე მხარს უჭერდა წილთა თანაბრობის პრინციპისგან გადახვევას და ის ითხოვდა საცხოვრებელი სახლის სამი მეოთხედი (3/4) ნაწილის საკუთრებაში მიღებას სხვადასხვა საფუძვლებით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ სიმსივნით იყო დაავადებული და საკუთარი შრომისუუნარიანობის მხოლოდ 15% ჰქონდა შენარჩუნებული. აღნიშნული სამედიცინო დაავადების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში იყო წარდგენილი და სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე იმყოფებოდა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაში, რამაც ეს უკანასკნელი შრომისუუნარიანობის დაკარგვამდე მიიყვანა. შესაბამისად, მას მხოლოდ ნაწილობრივ შეეძლო შემოსავლის გამომუშავება. გარდა აღნიშნულისა, წილთა თანაბრობის პრინციპისგან გადახვევა საპროცესო წესით იყო მოთხოვნილი მოპასუხის მიერ და შესაბამისად, ამავე მეუღლის ინტერესის დაცვის მიზნით საცხოვრებელი ბინა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არათანაბარ წილებად გაიყო, საიდანაც ქონების 3/4 ნაწილი ერგო მოპასუხეს.³¹²

მეუღლის შრომისუუნარობის კონტექსტში, აღსანიშნავია, ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში არსებული მნიშვნელოვანი საქმე, რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა საკითხი ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის მცდელობით გამოწვეული შრომისუუნარობის შესახებ. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სისხლის სამართლებრივი წესით

³¹¹ Антокольская М.В., Семейное Право: Учебник, Москва, 2002, 153.

³¹² Grigiene J., Cerka P., Stuikyte-Skuzinskiene M., Unequal Contributions: Problems within the Division of Shares in Joint Community Property, Baltic Journal of Law and Politics, Vol. 13, N 1, 37.

დადგენილი იყო, რომ ქმარმა ჩაიდინა ცოლის მკვლელობის მცდელობა, რის გამოც მას 12 წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ცოლმა ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა განიცადა, რამაც მას წაართვა უნარი, რომ პოლიციაში გაეგრძელებინა საკუთარი კარიერა, თუმცა ამასთან ერთად მას წართმეული ჰქონდა საკუთარი შრომის უნარის (*Earning Capacity*) დიდი ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების გაყოფის პროცესში, სასამართლომ ცოლს ქმართან შედარებით ბევრად მეტი მიაკუთვნა.³¹³ ხსენებული საქმე წარმოაჩენს თუ რამდენად არსებითი ხასიათი შეიძლება გააჩნდეს მეუღლის რადიკალურ ქმედებებს განქორწინებათა რეგულირების პროცესში, რაც თავის მხრივ მეუღლეთა აქტივების განაწილების პროცესზეც ახდენს გავლენას.

3.3. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესები - საერთო ქონების გაფლანგვა

მეუღლეთა წილთა თანაბრობის პრინციპისგან გადახვევის განსახილველ საფუძველთან დაკავშირებით საინტერესოა როგორ ვითარდებოდა ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად ახდენდა გავლენას ერთ-ერთი მეუღლის მიერ განხორციელებული ბრალეული ქმედებები საერთო ქონების გაყოფის პროცესზე (წილთა განაწილებაზე). კერძოდ, ამერიკული სამართალი მეუღლის ბრალეული ქმედებების შემდეგ კატეგორიზაციას იცნობდა: 1. მეუღლის მკვლელობა ან მკვლელობის მცდელობა. 2. საერთო ქონების გაფლანგვა. 3. მეუღლის მიმართ ძალადობა, განსაკუთრებით ფიზიკური ხასიათის. 4. ასევე მეუღლის ბრალეულობის ერთ-ერთ შემთხვევად ხანგრძლივი ქორწინების კაპრიზული დასასრული მიიჩნეოდა.³¹⁴ აღნიშნული მიდგომა ასევე გაზიარებულია ე.წ. „არაბრალეულობის კონცეპტის“ მქონე შტატებშიც, მაგალითად, არიზონაში, ილინოისში, ინდიანაში, მეინსა და ოჰაიოში, სადაც სასამართლოები როგორც წესი საერთო ქონების გაყოფის საკითხის გადაწყვეტისას არ ითვალისწინებენ მეუღლეთა მიერ განხორციელებულ ქმედებებს - თუმცა ე.წ. „ეკონომიკური ბრალეულობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა და

³¹³ Conway H. L., Key Cases: Family Law, London, 2007, 34.

³¹⁴ Weinraub S., Dividing the Marital Property in the Face of Egregious Fault, Family Advocate, Vol. 10, No. 2, 1987, 20.

შეფასება ზემოთ აღნიშნული შტატების სასამართლოებშიც ხორციელდება.³¹⁵ აღსანიშნავია, რომ კანადაში, კერძოდ ალბერტას პროვინციაში, 1979 წელს მიღებული აქტის ფარგლებში, სასამართლოები ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც ერთ-ერთმა მეუღლემ გაფლანგა საერთო ქონება, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მეუღლემ ხელი შეუშალა მეორე მეუღლეს საერთო ქონების შეძენაში.³¹⁶ ცხადია, საერთო ქონების ყოველგვარი განკარგვა არ უნდა საჭიროებდეს ორივე მეუღლის თანხმობას, რაც გამომდინარეობს „ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების“ კრიტერიუმიდან. შესაბამისად, სასამართლომ, რომელმაც ტერმინი „გაფლანგვა“ (ქართული სამართლის მიხედვით - „საერთო ქონების დახარჯვა ოჯახის ინტერესების საზიანოდ“) უნდა განმარტოს, ამავე განმარტების პროცესში ზღვარი უნდა გაავლოს ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ ნორმალურ და არანორმალურ რისკებს შორის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე საერთო ქონებას განკარგავს პირადი ინიციატივის საფუძველზე და ამასთან ერთად, არ დადგინდება „ოჯახური საჭიროებების დაკმაყოფილების“ მიზნის არსებობა, მაშინ განმკარგავი ქმედება ვერ შეიძენს გარკვეული აზრით ნეიტრალურ მნიშვნელობას და ის უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ოჯახის ინტერესების საზიანოდ განხორციელებული, რაც მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისას გაითვალისწინება.

ტერმინი „საერთო ქონების გაფლანგვა“ განმარტებულია მაგალითად, კანადის ასევე ერთ-ერთი პროვინციის - მანიტობას აქტის საფუძველზე, რომელიც 70-იანი წლების მიწურულს იქნა მიღებული. კერძოდ, ამავე აქტის თანახმად, აღნიშნული შემთხვევა გულისხმობს, ოჯახის აქტივების ფინანსური უსაფრთხოების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას, რომელიც გამოწვეულია მათი უხეში და უპასუხისმგებლო დახარჯვით.³¹⁷ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამოიყენება ტესტი, რომლის მიხედვით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების ფაქტს, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება ორი მთავარი ფაქტორის გათვალისწინებით: 1.

³¹⁵ იქვე.

³¹⁶ Lown P. J. M., Bendiak F. L., Matrimonial Property - The New Regime, Alberta Law Review, Vol. XVII, No. 3, 1979, 401.

³¹⁷ McClean A. J., Matrimonial Property - Canadian Common Law Style, Toronto Law Journal, Vol. 31, 1981, 365.

განკარგული ქონების მოცულობა და 2. ქონების განკარგვის მიზანი.³¹⁸ განსახილველი საკითხის ფარგლებშიც აღსანიშნავია, რომ რუსული სამართალი, მსგავსად ქართულისა, მეუღლეთა წილთა თანაბრობისგან გადახვევის ერთ-ერთ საფუძვლად საერთო ქონების ოჯახის ინტერესების საზიანოდ დახარჯვას მიიჩნევს.³¹⁹ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საერთო ქონების განკარგვის სანაცვლოდ ტოლფასი სუროგატის შეძენა, არ უნდა იქნეს მიჩნეული საერთო ქონების გაფლანგვად, რადგან ასეთ შემთხვევაში ადგილი არ აქვს მეუღლეთა თანასაკუთრების შემცირებას, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ შეძენილი სუროგატი შესაძლოა შემდგომი ქმედებით დაზიანდეს ან განადგურდეს.³²⁰

მნიშვნელოვანია საკითხი იმის თაობაზე, რომ რუსული სამართალი ათანაბრებს თანასაკუთრების გაფლანგვის შემთხვევას, ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან არასაპატიო მიზეზით საერთო ქონების შეგროვებაზე უარის თქმასთან. კერძოდ, რფსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირდაპირ არის გათვალისწინებული საფუძველი, რომლის მიხედვით ერთ-ერთი მეუღლის მიერ არასაპატიო მიზეზით შემოსავლის მიუღებლობა, საერთო ქონების გაფლანგვის მსგავსად, თანასაკუთრების თანაბარი გაყოფის პრინციპისგან გადახვევის საფუძველია. გარდა ამისა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ რფსკ-ით გათვალისწინებული „მეუღლის ყურადსაღები ინტერესების“ ცნება, რომელიც სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსად ჩამონათვალის სახითაა წარმოდგენილი, არ არის ამომწურავი ხასიათის, რაც სასამართლოს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ საერთო ქონებაში მეუღლის წილის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომელიც არ არის ექსპლიციტურად კანონში დაფიქსირებული - მაგალითად, სწავლა, ავადმყოფობა, სამხედრო სამსახურში მსახურება, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნა, დასაქმების შეუძლებლობა თუ სხვა.³²¹ შესაბამისად, ქართული სამართლის მიხედვითაც, ზემოთ ხსენებული გარემოებები შემოსავლის მიუღებლობის საპატიო მიზეზებს განეკუთვნებიან

³¹⁸ იქვე., 373.

³¹⁹ *Нестерова Н. В.*, Актуальные Особенности Порядка Раздела Общего Имущества Супругов по Закону, Право: История, Теория, Практика, III Международная Научная Конференция, 2015, 84.

³²⁰ *რუსთაშვილი გ., ქავშიაი ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 126.

³²¹ *Пчелинцева Л. М.*, Семейное Право России, Москва, 2004, 200.

და წილის ოდენობის განსაზღვრაზე ახდენენ გავლენას - კერძოდ, შემოსავლის მიუღებლობის საპატიო მიზეზის არსებობისას შესაბამისი მეუღლის წილი ბუნებრივია იმაზე უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში შემოსავლის მიუღებლობისას. ცალკე საკითხია მეუღლეთა შორის წილთა თანაფარდობა, თუმცა ამ მიმართულებითაც ვერ იქნება გამართლებული მხოლოდ სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფუძვლებით საერთო ქონების გაყოფის საკითხის შემოსაზღვრა, არამედ „შესაძლებელია წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საერთო ქონების ამგვარი განაწილება შეუთავსებელი იქნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპთან“.³²²

4. მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის წესი

მეუღლეთა საერთო ვალის სასამართლო წესით გაყოფის მოთხოვნა, არამართებულად დაკვალიფიცირებულია როგორც აღიარებითი სარჩელი.³²³ „ხსენებული სარჩელი განეკუთვნება არა აღიარებით, არამედ გარდაქმნით მოთხოვნას, რადგან ასეთ დროს მეუღლე რეალურად არ ითხოვს გარკვეული ვალდებულების არსებობა/არარსებობის დადგენას, არამედ ის ითხოვს არსებული ვალდებულების გაყოფას“.³²⁴ საერთო ვალის გაყოფა არ გულისხმობს მის შინაარსობრივ ცვლილებას.³²⁵ აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო ვალის გაყოფისას, ვალდებულების შინაარსის უცვლელად, მეუღლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა ტრანსფორმირდება მათ ინდივიდუალურ ვალდებულებებად.

სსკ-ის 1169-ე მუხლის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ვალის გაყოფის წინარე ეტაპი თანასაკუთრებაში მათი წილების დადგენას გულისხმობს. იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი რეგულაცია სავალდებულო წინაპირობად

³²² რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 127.

³²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება № 28/6774-14.

³²⁴ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 128.

³²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება № ას-605-579-2016.

კრედიტორის თანხმობას არ განსაზღვრავს, მისი ინტერესი შესაძლებელია დაზარალდეს, რადგან „ცალკეულ შემთხვევაში ვალდებულების სოლიდარული წესით შესრულება უფრო მეტ გარანტიას იძლევა მოთხოვნის სარეალიზაციოდ, ვიდრე ვალდებულების შეუსრულებლობისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა“.³²⁶ მეუღლეთა საერთო ვალის გაყოფის მიზნით, სასამართლოს შეუძლია სსკ-ის 204-ე მუხლის ანალოგიის საფუძველზე დაადგინოს კრედიტორის თანხმობის სავალდებულოება, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს კრედიტორის თანხმობა საერთო ვალის გაყოფაზე, მაშინ ნებისმიერი მეუღლე უფლებამოსილი უნდა იყოს მისი გაყოფა სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს.³²⁷

ერთმანეთისგან გამიჯნულია გაყოფადი და განუყოფადი საერთო ვალები. ხსენებული ვალდებულებები, მათი საერთო ხასიათის გათვალისწინებით, ორივე მეუღლის მიერ სოლიდარული წესით უნდა შესრულდეს. მეუღლეთა საერთო ვალის გაყოფადობის საკითხის გადაწყვეტა ურთიერთგანსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს. კერძოდ, მეუღლეთა საერთო გაყოფადი ვალდებულება უნდა გაიყოს თანასაკუთრების გაყოფის პროცესში, ხოლო მეუღლეთა საერთო განუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს სოლიდარული წესით და მხოლოდ ამის შემდეგ გაიყოს მეუღლეთა თანასაკუთრება.³²⁸

5. საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მეუღლეთა შორის მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტს არ აქვს მნიშვნელობა, რის გამოც ქორწინების რეგისტრაციამდე წარმოშობილი მოთხოვნის უფლებების მიმართ ხანდაზმულობის ვადა უნდა შეჩერდეს.³²⁹

³²⁶ მელაძე გ., მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 95.

³²⁷ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 129.

³²⁸ მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფადობის საკითხთან დაკავშირებით იხ., მელაძე გ., მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022, 96.

³²⁹ *MüKoBGB/Grothe*, 9. Aufl. 2021, BGB § 207 Rn. 3.

აგრეთვე, ხანდაზმულობის ვადა იმ შემთხვევაშიც შეჩერდება, როდესაც ქორწინების განმავლობაში მესამე პირმა ერთ-ერთ მეუღლეს მოთხოვნის უფლება დაუთმო მეორე მეუღლის წინააღმდეგ.³³⁰ საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც მეორე მეუღლის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება მესამე პირს გადაეცემა, ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება.³³¹

გერმანულ სამართალში მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლებაზე, ქართულის მსგავსად, სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება, თუმცა მიუხედავად აღნიშნული მსგავსებისა, არსებითად განსხვავებულია ის არგუმენტაცია, რომელზე დაყრდნობითაც გერმანული კანონმდებლობა მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნაზე ზემოთ ხსენებულ ხანდაზმულობის ვადას ავრცელებს. კერძოდ, გსკ-ის 195-ე პარაგრაფის თანახმად, „*ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა შეადგენს სამ წელს*“.³³² ხანდაზმულობის სტანდარტული სამწლიანი ვადის გარდა, გსკ იცნობს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებსაც, რომელთაც განეკუთვნება ექვსთვიანი, ორწლიანი, ოთხწლიანი, ხუთწლიანი, ათწლიანი და ოცდაათწლიანი ვადები.³³³ ნორმები, რომლებიც აღნიშნულ ვადებს განსაზღვრავენ, შინაარსობრივად არ არიან დაკავშირებულნი მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნასთან. შესაბამისად, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უნდა შეადგენდეს სტანდარტულად სამ წელს.

სსკ-ის 1171-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში, გამოკვეთას საჭიროებს ორი საკითხი: 1. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის ათვლის მომენტი და 2. ვრცელდება თუ არა იგივე ხანდაზმულობის ვადა რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის პირობებში მყოფი მეუღლეების ანალოგიური მოთხოვნის უფლებაზე. ორივე საკითხთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მიხედვით, „*სსკ-ის 1171-ე მუხლის*

³³⁰ იქვე.

³³¹ Jauernig/Mansel, 19. Aufl. 2023, BGB §§ 205-209 Rn. 4.

³³² ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 44.

³³³ BeckOK BGB/Henrich, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 195 Rn. 2.

საფუძველზე, ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ობიექტური მომენტი განქორწინების რეგისტრაცია, ვინაიდან, განქორწინებული მეუღლეებისათვის იმთავითვე ცნობილი უნდა იყოს მოთხოვნის უფლების არსებობის თაობაზე, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეებს შორის ქონებრივი დავის არსებობა-არარსებობა ერთ-ერთი კრიტერიუმია, რაც განსაზღვრავს განქორწინების საკითხის გადაწყვეტის წესს“. ³³⁴ აგრეთვე აღსანიშნავია საქმე, რომლის ფარგლებშიც საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ „ხანდაზმულობის ვადის ათვლა უკავშირდება არა განქორწინების მოწმობის აღებას, არამედ განქორწინების რეგისტრაციის შესახებ დაინტერესებული პირის მიერ შეტყობას, ვინაიდან განქორწინების მოწმობის აღება მხარის სურვილზეა დამოკიდებული და საჭიროების არარსებობის შემთხვევაში შეიძლება არც იქნეს აღებული“. ³³⁵ რაც შეეხება მეორე საკითხს, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ „მოსარჩელე და პირველი მოპასუხე ფაქტობრივად ერთ ოჯახად აღარ ცხოვრობდნენ, თუმცა მათ შორის განქორწინება რეგისტრირებული არ იყო. მოსარჩელე შვილებთან ერთად ცხოვრობდა სადავო უძრავ ქონებაში, ხოლო პირველი მოპასუხე, შვილებთან ურთიერთობის მიზნით, პერიოდულად მიდიოდა მითითებულ ბინაში და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მის საცხოვრებელ მისამართადაც სწორედ აღნიშნული ბინის მისამართი ფიქსირდებოდა“. ³³⁶ საკასაციო სასამართლოს პოზიციით, „გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის განქორწინება რეგისტრირებული არ არის, საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულებით არ ბათილდება, რაც საფუძველს აცლის კასატორის პრეტენზიას მითითებული დავის მიმართ სსკ-ის 1171-ე მუხლის გამოყენების თაობაზე“. ყოველივე აღნიშნულიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს - სსკ-ის 1171-ე მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მეუღლეთა შორის ქორწინება მართალია წლების განმავლობაშია ფაქტობრივად შეწყვეტილი, თუმცა თავის მხრივ განქორწინება არ არის რეგისტრირებული.

³³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-531-505-2013; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინება № ას-934-2022.

³³⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება № ას-704-659-2010.

³³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინება № ას-545-2020.

სასამართლოს განმარტებები გასაზიარებელია, როგორც ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტის განსაზღვრის, ასევე ფაქტობრივად შეწყვეტილი ქორწინების პირობებში სსკ-ის 1171-ე მუხლის გამოყენებლობის თვალსაზრისით.

სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა აითვლება არა ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან (მოცემულ შემთხვევაში განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან), არამედ იმ მომენტიდან როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო საკუთარი უფლების დარღვევის შესახებ.³³⁷ ასევე, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში, განსახილველი საერთო ქონება ავტომატურად არ გადაიქცევა იმ მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად, რომელიც ფაქტობრივად ფლობს აღნიშნულ ქონებას, რადგან აუცილებელია გაყოფის მოთხოვნის რეალიზაცია ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან. თუმცა სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ მოპასუხე მეუღლე მიუთითებს აღნიშნულ გარემოებაზე, სასამართლომ უარი უნდა უთხრას მომჩივანს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც შედეგად გამორიცხავს საერთო ქონების გაყოფას.³³⁸

ქართული სამართლის მიხედვით, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორის საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის რეალიზაციისას ვერ იქნება გამოყენებული სსკ-ის 1171-ე მუხლის დანაწესი, რომელიც მხოლოდ განქორწინებულ მეუღლეებს შეეხება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის ზოგადი დანაწესების მიხედვით - კერძოდ, სსკ-ის 133-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, რაც ნიშნავს იმას, რომ მეუღლეთა შორის ნებისმიერი მოთხოვნის უფლებაზე (შესაბამისად, მათ შორის, ქორწინების განმავლობაში საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლებაზეც) ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერებულია და ნებისმიერ დროს შეიძლება შესაბამისი მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. სსკ-ის 133-ე მუხლი შეეხება მხოლოდ იმ პირთა ურთიერთობებს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანია საოჯახო მშვიდობის შენარჩუნება, რაც დამყარებული უნდა იყოს

³³⁷ Крашенинников П.В., Постатейный комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, Федеральному закону «Об опеке и попечительстве» и Федеральному закону «Об актах гражданского состояния, Москва, 2012, 47.

³³⁸ იქვე.

ურთიერთპატივისცემაზე. აღნიშნული სიკეთის დაცვა წარმოადგენს ამავე რეგულაციის მიზანს.³³⁹

VII. საქორწინო ხელშეკრულება

1. ქონებრივი რეჟიმის მოწყობის კერძო ავტონომიური ინსტრუმენტი

საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის წარმოშობა ქართულ სამართალში შეფასებულია როგორც „*ნოვაცია, რომლის ფარგლებშიც ნაწილობრივ გაზიარებულია დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება*“.³⁴⁰ განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ნორმის შემდეგმა ელემენტებმა: 1. „*მეუღლეებს შეუძლიათ*“ - ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 1172-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი ეწინააღმდეგება სსკ-ის 1173-ე მუხლის პირველი ნაწილის მოწესრიგებას, რადგან ეს უკანასკნელი, საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას დასაქორწინებელ პირებსაც აკუთვნებს. 2. „*მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების რეგლამენტაციის საკითხი*“ - კერძო სამართალში მოქმედი ზოგადი პრინციპის („*ნებადართულია ის, რაც აკრძალული არ არის*“) და სსკ-ის 1179-ე მუხლის რეგულირების სფეროს გათვალისწინებით, არ მიიჩნევა მართებულად, რომ მეუღლეებს საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება გააჩნდეთ მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობების მოწესრიგების შესაძლებლობა.³⁴¹ მოცემულ შემთხვევაში გასაზიარებელია ავტორის პირველი მოსაზრება სსკ-ის 1172-ე მუხლის პირველ ნაწილში „*დასაქორწინებელი პირების*“ კატეგორიის დამატებასთან დაკავშირებით, თუმცა არ არის გასაზიარებელი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართულ სამართალში საქორწინო ხელშეკრულებით შესაძლებელია მეუღლეთა არაქონებრივი უფლება-მოვალეობების მოწესრიგებაც. კერძოდ:

1. საქართველო განეკუთვნება პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა რიცხვს, რომელმაც

³³⁹ MüKoBGB/Grothe, 9. Aufl. 2021, BGB § 207 Rn. 1.

³⁴⁰ ნაჭყებია ნ., მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, მართლმსაჯულება, N 3, 2008, 75.

³⁴¹ თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, 2010, 13-14.

მსგავსად სხვა ანალოგიური ტიპის ქვეყნებისა გაიზიარა ევროპული სივრცისთვის დამახასიათებელი მოდელი - საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ერთადერთი საგამონაკლისო ქვეყანა არის ბელორუსიის რესპუბლიკა, რომელმაც ამერიკული მოდელი შემოიღო. აღნიშნული გარემოება დასტურდება ბელორუსიის სანოტარო პალატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციით, სადაც მითითებულია, რომ საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მეუღლეებს შეუძლიათ როგორც ქონებრივი, ასევე პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობების მოწესრიგება.³⁴² 2. მოცემული ჩანაწერი, მსგავსად ქართული რეგულირებისა, არ გვხვდება ნებისმიერ სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს კანონმდებლობაში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ რფსკ-ის მე-40 მუხლი, რომელიც ქართული მოწესრიგებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მასში ასევე დასახელებულნი არიან დასაქორწინებელი პირები. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც რუსულ საოჯახო სამართალში (მსგავსად სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისა, გარდა ბელორუსიისა) მიიჩნევა, რომ ევროპული მოდელის სასარგებლოდ არის არჩევანი გაკეთებული³⁴³ - გაურკვეველია, თუ რატომ არ უნდა იქნეს იგივე დასკვნა გამოტანილი ქართული სამართლის ფარგლებშიც. 3. გერმანულ სამართალშიც მიიჩნევა, რომ საქორწინო ხელშეკრულება განსაკუთრებული სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც მეუღლეთა *ქონებრივ* ურთიერთობებს არეგულირებს.³⁴⁴ ის სამართლებრივი პრინციპი და ნორმა, რომელზეც ავტორი მიუთითებს, ანალოგიურად არსებობს და მოქმედებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების კანონმდებლობაში, თუმცა მიუხედავად ამისა, შესაბამის სამეცნიერო წრეებში მაინც ევროპული მოდელის გაზიარებაზე საუბრობენ.³⁴⁵

იმისათვის, რომ საქორწინო ხელშეკრულება გავმიჯნოთ სხვა ქონებრივი ურთიერთობებისგან, გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევა შემდეგი გარემოების დადგენა -

³⁴² ვებ-გვერდი: <www.belnotary.by> [ბოლო ნახვის თარიღი: 18.11.2023].

³⁴³ Antokolskaia M. V., The New Aspects of Russian Family Law, California Western International Law Journal, Vol. 31, 2000, 31.

³⁴⁴ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 2.

³⁴⁵ Анцух Н. С., Отношения Супругов в Сравнительном и Международном Семейном Праве, Актуальные Проблемы Международного Публичного и Международного Частного Права, Вып. 6, 2014, 46.

მოიაზრებს თუ არა მხარეთა შორის დადებული გარიგება ქორწინების არსებობის საჭიროებას თუ ის ჩვეულებრივ შეიძლება დაიდოს სხვა მესამე პირებს შორისაც.³⁴⁶ საქორწინო ხელშეკრულების ერთ-ერთი საგანი მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის ცვლილება შეიძლება იყოს, რაშიც მოიაზრება უპირველეს ყოვლისა კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის შეცვლა ერთ-ერთი ფაკულტატური რეჟიმის არჩევის გზით (გაყოფილი ქონების, საერთო ქონების ან ფრანკო-გერმანული არჩევითი სისტემის შემოღებით).³⁴⁷ აგრეთვე, შესაძლებელია პირველადი კანონისმიერი რეჟიმის გაუქმება, სხვა რეჟიმის არჩევის გარეშე, რა დროსაც გაყოფილი ქონების რეჟიმი ავტომატურად (კანონის ძალით - გსკ-ის 1414-ე პარაგრაფის შესაბამისად) ამოქმედდება.³⁴⁸ საქორწინო ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი.³⁴⁹

2. საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობაში მხარდაჭერის მიმღების ინტერესის დაცვა

მხარდაჭერის დაწესების მიზანი მოწყვლადი პირების დაცვაა იმ ზიანისგან, რომელიც საკუთარ თავს შეიძლება მიაყენონ - ეს უკანასკნელი გარემოება სასამართლოსთვის მყარ საფუძველს ჰქმნის იმისათვის, რომ ასეთ პირებს განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები შეუზღუდოს.³⁵⁰

ქორწინების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და შესაბამის სფეროში სახელმწიფოს ჩარევა მაქსიმალურად შეზღუდული უნდა იყოს, კერძოდ:

1. პირადი არჩევანის უფლება ინდივიდუალური ავტონომიისათვის თანდაყოლილია.
2. ქორწინება მხარს უჭერს ორი ადამიანის კავშირს, რაც თავისი მნიშვნელობით აღემატება ადამიანთა შორის არსებულ სხვა სახის კავშირებს.
3. ქორწინება იცავს ბავშვებს, ოჯახებს და დაკავშირებულია სხვა საოჯახო სამართლებრივ უფლებებთან.
4. ქორწინება

³⁴⁶ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1408 Rn. 9.

³⁴⁷ HK-BGB/Rainer Kemper, 11. Aufl. 2021, BGB § 1408 Rn. 2.

³⁴⁸ იქვე.

³⁴⁹ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 1.

³⁵⁰ David M. S., Legal Guardianship of Individuals Incapacitated by Mental Illness: Where Do We Draw the Line, Suffolk University Law Review, Vol. XLV:465, 2012, 467.

სოციალური წესრიგის ქვაკუთხედი.³⁵¹ მოცემული პრინციპები იმის დემონსტრირებას ახდენენ, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება განეკუთვნება ადამიანის ინტიმურ სფეროს.³⁵² საქართველოში „სახელმწიფოს ჩარევის ფარგლებს განსაზღვრავს სსკ-ის 1120-ე მუხლი, რომელიც ეხება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, ხოლო აღნიშნული აკრძალვა ძირითადად ემსახურება მომავალი თაობების ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნებას“.³⁵³

ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს შორის გვხვდება ისეთი გარემოება, რომლის თანახმად დაქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდაჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ ამ კოდექსის 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულება (სსკ-ის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტი). აღნიშნული ნორმა ემყარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.³⁵⁴

2015 წელს განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, განსახილველმა ნორმამ, მხარდამჭერის მიმღების ქორწინების უფლების რეალიზაცია დამოკიდებული გახადა საქორწინო ხელშეკრულების დადებაზე.

გასაზიარებელია პოზიცია, რომლის თანახმად „საქორწინო ხელშეკრულების დადების სავალდებულობის პირობებში, შესაძლებელია ექვის ქვეშ დადგეს მხარდაჭერის მიმღები პირის ქონებრივი ინტერესების დაცვის საკითხი, რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულების დადების იძულებით კანონი მხარეებს უბიძგებს მისგან განსხვავებულად მოაწესრიგონ ქონებრივი საკითხები და მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების დადების ეტაპზე, სავალდებულოა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსა და მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესები უპირობოდ

³⁵¹ საქმე ობერგეფელი ჰოდგის წინააღმდეგ (*Obergefell vs. Hodges*, 576 U.S. (2015)).

³⁵² *Quasius J.*, The Next Step in Marriage Equality: Indiana Restrictions on Marriage for Individuals under Adult Guardianship, *Civil Rights Law Journal*, Vol. 31:2, 2021, 143.

³⁵³ *ქანთარია ბ.*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 447.

³⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532, 533.

დაცული მაინც არ არის“.³⁵⁵ შესაბამისად, განსახილველი ნორმა ეწინააღმდეგება საკანონმდებლო რეფორმის მიზანს, რომელიც მხარდაჭერის ადეკვატური ფარგლების დადგენისას პირის ინდივიდუალური საჭიროების იდენტიფიცირებას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაუმართლებლად მიიჩნევა ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც „*ბლანკეტურად, ინდივიდუალური შეფასების გარეშე ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღების საქორწინო ხელშეკრულების დადების სავალდებულოობას იმ შემთხვევაშიც, თუ პირს გარიგებების დადების ნაწილში მხარდამჭერი არ ჰყავს დანიშნული*“.³⁵⁶ გასაზიარებელია აღნიშნული პოზიცია და სსკ-ის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის სამომავლო რედაქცია უნდა ჩამოყალიბდეს განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის მიზნის გათვალისწინებით.

3. საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობაში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ინტერესის დაცვა

საქორწინო ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები ითვალისწინებენ არა მხოლოდ მხარდამჭერის მიმღების უფლებრივ მდგომარეობას შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობაში, არამედ სსკ-ის 1175-ე მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე. სსკ-ის 1175-ე მუხლი არ აწესრიგებს ისეთ შემთხვევას, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მეუღლე ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ გადაწყვეტს საქორწინო ხელშეკრულების დადებას. ბუნებრივია, ქორწინების რეგისტრაციის შემდეგაც შეიძლება წარმოიშვას პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი (სსკ-ის მე-16 მუხლი). ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მზრუნველობა უწესდება სრულწლოვან პირს, რომელიც უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს

³⁵⁵ გვიშაიანი ლ., ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2016, 30.

³⁵⁶ იქვე., 54.

ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა. ზოგიერთი მეცნიერის პოზიციით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულების დადება, რადგან მათ მხოლოდ ყოფითი წვრილმანი გარიგების დადება ხელეწიფებათ, ხოლო საქორწინო ხელშეკრულება ასეთ კატეგორიას არ განეკუთვნება - თუმცა გაზიარებულია ის მოსაზრება, რომლის თანახმად კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში ასეთი გარიგების დადება შესაძლებელია.³⁵⁷ ქართულ სამართალში აღნიშნული პოზიცია საკანონმდებლო დონეზეა გათვალისწინებული, თუმცა ის მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციამდე პერიოდს შეეხება, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას განაპირობებს, რადგან ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ პერიოდშიც დაშვებული უნდა იყოს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე შესაბამისი პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადება.

სსკ-ის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. შესაბამისად, სსკ-ის 1175-ე მუხლი ვრცელდება არასრულწლოვანზეც. საქართველოში საქორწინო ასაკთან დაკავშირებით განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმის ფარგლებში გაუქმდა სსკ-ის 1108-ე მუხლის დანაწესები არასრულწლოვანი პირის დაქორწინების შესახებ მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობის, ასევე საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს ნებართვის გაცემის თაობაზე. შესაბამისად, *„არასრულწლოვნის დაქორწინება დაუშვებელია და ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს“*.³⁵⁸ თუმცა აქვე აღსანიშნავია „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის საფუძველზე დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით, შესაძლებელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე არასრულწლოვანმა პირმა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე იქორწინოს. ხსენებული წესის უგამონაკლისოდ მოქმედებასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ „სსკ-ის 1142-ე

³⁵⁷ *Ибрагимова Г. Ш.*, Брачный Договор: Проблемы Правового Регулирования, Актуальные Вопросы Юридических Наук, Третья Международная Научная Конференция, 2017, 96.

³⁵⁸ *რუსთაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 143.

მუხლის მე-3 ნაწილის ამოღება კანონმდებელს გამორჩა³⁵⁹ თუმცა ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს სსკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა. მსგავსად სსკ-ის 1142-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ამ შემთხვევაშიც უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელს სსკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის ამოღებაც გამორჩა - ცხადია, არსებული რეგულირების პირობებში, შემთხვევა, როდესაც პირმა 18 წლის ასაკის მიღწევამდე შეიძლება იქორწინოს და ამის საფუძველზე ქმედუნარიანობა მოიპოვოს, ვერ იარსებებს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება შემდეგი მოცემულობა - არასრულწლოვანი პირის დაქორწინება დაუშვებელია გამონაკლისის გარეშე (გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევისა), ხოლო მის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადება დაშვებულია სსკ-ის 1175-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, არასრულწლოვან პირს შეუძლია დაქორწინებამდე დადოს საქორწინო ხელშეკრულება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე, ხოლო სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ დაქორწინდეს ამავე თანხმობის გარეშე.

გერმანულ სამართალში არსებული მოწესრიგება (გსკ-ის 1411-ე პარაგრაფი) ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების მაღალ პერსონალურ ბუნებას, რომლის დადების უფლებასაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს უტოვებს, თუმცა ზოგადად მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას და განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, მზრუნველობის საქმეთა სპეციალიზირებული სასამართლოს თანხმობასაც.³⁶⁰

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რა მიმართება არსებობს სსკ-ის 1175-ე მუხლის მოქმედების სფეროსა და მასთან შინაარსობრივად დაკავშირებულ სხვა სამოქალაქო სამართლებრივ რეგულაციებს შორის. კერძოდ, სსკ-ის 1175-ე მუხლით გათვალისწინებული კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მიმართ ჩვეულებრივ გამოიყენება სსკ-ის 63-ე (გსკ-ის 108-ე პარაგრაფი) და 99-ე (გსკ-ის 182-ე პარაგრაფი) მუხლები.³⁶¹ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აღნიშნული თანხმობა სავალდებულოა

³⁵⁹ იქვე., 11.

³⁶⁰ HK-BGB/Rainer Kemper, 11. Aufl. 2021, BGB § 1411 Rn. 1.

³⁶¹ Erman/Bearbeiter, BGB, 15. Aufl., § 1411 Rn. 2.

სამართლებრივი სარგებლის მომტანი საქორწინო ხელშეკრულების მიმართაც - მოცემულ შემთხვევაში, გსკ-ის 107-ე პარაგრაფი და 1903-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება და აგრეთვე, თანხმობა არ საჭიროებს იმ ფორმის დაცვას, რომელიც საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობისთვისაა დადგენილი (გსკ-ის 1410-ე პარაგრაფი).³⁶² შესაბამისად, საქართველოშიც საქორწინო ხელშეკრულების მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი სამართლებრივი სარგებლის მომტანი გარიგების ძალაში დატოვების შესახებ.

4. საქორწინო ხელშეკრულების დადება და ფორმა

საქორწინო ხელშეკრულების დადების, მათ შორის ძალაში შესვლის მომენტს განსაზღვრავს სსკ-ის 1173-ე მუხლი. თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია კანონმდებლის მიერ დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები სახელშეკრულებო ფორმის დაცვასთან დაკავშირებით (სსკ-ის 1174-ე მუხლი, ხოლო შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადებისას სსკ-ის 1175-ე მუხლი). ანალოგიურად, გერმანულ სამართალში საქორწინო ხელშეკრულების დადება დამყარებულია 1410-ე (ფორმა) და 1411-ე პარაგრაფებზე (შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე და ქმედუნარო პირების საქორწინო ხელშეკრულებები), რაც გულისხმობს იმას, რომ საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის მიმართ არ გამოიყენება რაიმე სახის სპეციალური რეგულაციები, არამედ ამ შემთხვევაში მოქმედია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმები, საიდანაც განსაკუთრებით აქტუალურია 134-ე პარაგრაფი (ქართული ანალოგი სსკ-ის 54-ე მუხლი), 138-ე პარაგრაფი (ქართული ანალოგი სსკ-ის 54-ე და 55-ე მუხლები) და 139-ე პარაგრაფი (ქართული ანალოგი სსკ-ის 62-ე მუხლი).³⁶³ ასევე გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, თუ ერთ-ერთმა მეუღლემ საქორწინო ხელშეკრულება დადო იმის გამო, რომ მეორე მეუღლემ ამ მიზნით თვითმკვლელობის ინსცენირება მოახდინა, აღნიშნული

³⁶² იქვე., Rn. 2.

³⁶³ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1408 Rn. 5.

გარემოება საქორწინო ხელშეკრულების შეცვლების უფლებას წარმოშობს თაღლითური მოტყუების საფუძველზე (გსკ-ის 123-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი).³⁶⁴ საქორწინო ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ასევე ქორწინების განმავლობაში ნებისმიერ დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა ხანგრძლივობის დროა გასული ქორწინების რეგისტრაციიდან.³⁶⁵

შესაძლებელია წინარე საქორწინო ხელშეკრულების დადებაც, რომელზეც უნდა გავრცელდეს ძირითადი საქორწინო ხელშეკრულების ფორმა.³⁶⁶ საქორწინო ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს მხოლოდ მეუღლეებს ან დანიშნულ პირებს შორის, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გარიგება ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.³⁶⁷ საქორწინო ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც აპელირებს აღნიშნულ გარემოებაზე.³⁶⁸

„საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს სანოტარო წესით, ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით“ (გსკ-ის 1410-ე პარაგრაფი).³⁶⁹ მართალია ქართული კანონმდებლობა (სსკ-ის 1174-ე მუხლი) არაფერს ამბობს ორივე მეუღლის თანდასწრების თაობაზე საქორწინო ხელშეკრულების დადებისას, თუმცა მსგავსად გერმანული რეგულაციისა, აღნიშნული ნორმაც ამგვარად უნდა იქნეს განმარტებული. სანოტარო დადასტურების მიზანია ორივე მეუღლის ინფორმირება საქორწინო ხელშეკრულების შედეგების შესახებ, ასევე სანოტარო დადასტურება უზრუნველყოფს მათთვის კვალიფიციური კონსულტაციის გაწევას (დაცვითი ფუნქცია): საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში არსებით ინტერვენციას ახდენს, ირიბად შეეხება მათ პირად ურთიერთობებსაც და ძირითადად გააჩნია ხანგრძლივი შედეგები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქორწინების შეწყვეტის მომენტისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული შედეგები - ამიტომ მნიშვნელოვანია მეუღლეთა დაცვა სახელშეკრულებო რეგულირების შედეგებისგან, ასევე აღნიშნული დაცვის საკითხი

³⁶⁴ BGH NJW-RR 1996, 1281.

³⁶⁵ Рузакова О.А., Семейное Право, Москва, 2003, 35.

³⁶⁶ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1408 Rn. 5.

³⁶⁷ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB §§ 1408, 1409 Rn. 17.

³⁶⁸ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 5.

³⁶⁹ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 357.

უნდა განვიხილოთ დამოუკიდებლად თითოეული მეუღლის მიმართაც, რომ მისი ინტერესები არ იქნეს ბოროტად გამოყენებული მეორე მეუღლის მიერ.³⁷⁰ სანოტარო დადასტურებას ასევე გააჩნია ისეთი დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა: მხარეთა ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისგან დაცვა (1), მხარეთა გაფრთხილება ცალკეული სამართლებრივი პირობების მნიშვნელობის შესახებ (2), შეთანხმების არსებობის მტკიცების გამარტივების (3), ასევე მიღწეული შეთანხმების ნამდვილობის უზრუნველყოფა (4) - აქ ჩამოთვლილი ფუნქციები, გსკ-ის 1410-ე პარაგრაფის ფარგლებში თავისი მნიშვნელობით უკან იხევენ დაცვით ფუნქციასთან მიმართებით.³⁷¹

გარდა სანოტარო დადასტურებისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია მეუღლეთა თანდასწრება საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში, რასაც ასევე თავისი ფუნქცია გააჩნია - კერძოდ, ნოტარიუსთან სავალდებულო თანდასწრება გამორიცხავს ე.წ. *ეტაპობრივ დამოწმებას (Sukzessiven Abschluss)*, რაც გულისხმობს ჯერ ოფერტის, ხოლო შემდგომ აქცეპტის სანოტარო წესით დამოწმებას.³⁷² მხარეთა გამოვლენილი ნების რიგ-რიგობითი დადასტურების ზოგადი წესი არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით გათვალისწინებულია ერთდროულად თანდასწრება.³⁷³ საქორწინო ხელშეკრულების გარდა, მხარეთა ერთდროული თანდასწრების სხვა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ, რომლის დადების დროსაც „საჭიროა გამსხვისებლისა და შემძენის ნება გაცხადებულ იქნეს ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე (გსკ-ის 925-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი)“.³⁷⁴ მეუღლეთა ერთდროული თანდასწრების მოთხოვნის მიუხედავად, დასაშვებია საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში წარმომადგენლობის ინსტიტუტის გამოყენება და მისი დადება წარმომადგენლის

³⁷⁰ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1410 Rn. 1.

³⁷¹ იქვე., Rn. 2.

³⁷² იქვე., Rn. 8.

³⁷³ კროპპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანიას თ., და ჭეჭელაშვილის ზ., თარგმანი, *ჩაჩანიძის ე., დარჯანიას თ., და თოთლაძის ლ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2014, 56.

³⁷⁴ *ჭეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 271.

მეშვეობით.³⁷⁵ შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი პოზიცია, რომლის თანახმად საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში მეუღლეთა პირადი მონაწილეობა აუცილებელია.³⁷⁶

ფორმის დაუცვლელად დადებული საქორწინო ხელშეკრულება ბათილია და აღნიშნული მოთხოვნა კატეგორიულ ხასიათს ატარებს, კერძოდ, დაუშვებელია ფორმის ნაკლის გამოსწორება ფაქტობრივი შესრულების გზით, მიუხედავად ბათილობის პოტენციურად მძიმე შედეგებისა.³⁷⁷ საქორწინო ხელშეკრულების ფორმის მიმართ დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება მეუღლეთა შორის დასაძებ სხვა ტიპის ხელშეკრულებებზე, მაგალითად, მეუღლეთა შორის ჩუქებაზე, შრომით ხელშეკრულებაზე და სხვა. მეუღლეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებები პირდაპირ გავლენას არ ახდენენ მათ ქონებრივ უფლებებზე, ასევე მეუღლეთა შორის ჩუქებაც არ ახდენს გავლენას მეუღლეთა ქონებრივ რეჟიმზე და შესაბამისად, მათზე არ ვრცელდება გსკ-ის 1410-ე პარაგრაფის მოთხოვნები.³⁷⁸ გერმანული სამართლის მაგალითზე განხილული პოზიციები გასაზიარებელია ქართულ სამართალშიც.

5. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსი

საქორწინო ხელშეკრულების ცენტრალურ საგნად მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის ცვლილება მიიჩნევა, რასაც ადასტურებს კომისიის მიერ შემუშავებული 4:10 პრინციპი, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან და დასათაურებულია სახელწოდებით - „შინაარსი“ (*Concept*). კერძოდ, აღნიშნული პრინციპის პირველი ნაწილის თანახმად, ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მომავალ მეუღლეებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის სასურველი ქონებრივი რეჟიმი, ხოლო ამავე პრინციპის მეორე ნაწილის მიხედვით, ქორწინების განმავლობაში მეუღლეებს შეუძლიათ მოახდინონ მათი ქონებრივი რეჟიმის მოდიფიცირება ან შეცვალონ მოქმედი რეჟიმი სხვა

³⁷⁵ BGH NJW 1998, 1857.

³⁷⁶ Косова О. Ю., Семейное Право, Иркутск, 2016, 196.

³⁷⁷ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1410 Rn. 11.

³⁷⁸ Scholz/Kleffmann FamR-HdB, Teil T Vertragsgestaltung im Familienrecht, Rn. 9.

რეჟიმით.³⁷⁹ შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ერთი მხრივ, არსებული ქონებრივი რეჟიმის მოდიფიცირება და მეორე მხრივ, ამავე რეჟიმის სხვა რეჟიმით შეცვლა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი აქვს მეუღლეთა მოქმედი ქონებრივი რეჟიმის სრულ ცვლილებას - მაგალითად, თანაზიარი საკუთრების რეჟიმის ნაცვლად მთელი ქონების გაერთიანება (1), წილობრივი საკუთრების (2) ან განცალკევებული საკუთრების (3) დადგენა. თუმცა რაც შეეხება არსებული ქონებრივი რეჟიმის მოდიფიცირებას - ასეთ შემთხვევაში მოქმედი ქონებრივი რეჟიმი ჩვეულებრივ ძალაში რჩება, თუმცა მის ფარგლებში ცალკეული საკითხების კანონისგან განსხვავებული წესით რეგლამენტაციას აქვს ადგილი. კერძოდ, მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი საკითხები: 1. ქონების მართვა - მეუღლეებს ზოგადად შეუძლიათ გადაუხვიონ საერთო ქონების მართვის კანონით დადგენილ წესს. „საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს კანონისმიერი ქონებრივი რეჟიმის ფარგლებში საერთო ქონების მართვის განსხვავებული წესი“.³⁸⁰ თუმცა მაგალითად, რუსულ სამართალში თუ საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ ერთი მეუღლე უნდა იყოს საერთო ქონების მართვაზე უფლებამოსილი პირი, აღნიშნული გარემოება თანასწორობის პრინციპთან შეუთავსებლად მიიჩნევა.³⁸¹ ესპანურ სამართალში საკამათოა საკითხი იმის თაობაზე ეწინააღმდეგება თუ არა თანასწორობის პრინციპს შემთხვევა, როდესაც საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე მხოლოდ ერთი მეუღლე ექსკლუზიურად არის უფლებამოსილი განკარგოს საერთო ქონება - მართალია არ არსებობს გადამწყვეტი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა გაბატონებული მოსაზრების თანახმად, მეუღლეთა შორის ამგვარი შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა მხარდაჭერილია.³⁸² კატეგორიული მიდგომით გამოირჩევა უნგრული და პორტუგალიური სამართალი, რადგან ორივე შემთხვევაში იმპერატიულად აკრძალულია საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე ცვლილების განხორციელება საერთო ქონების მართვის სფეროში იმ განსხვავებით, რომ უნგრული სამართლის

³⁷⁹ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 99.

³⁸⁰ რუსთაშვილი გ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 145.

³⁸¹ Antokolskaia M., CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 24.

³⁸² Beilfuss C.G., CEFL Report - Property Relations, Spain, 2008, 37.

ფარგლებში დაშვებულია საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებული ხარჯების რეგლამენტაციის საკითხი.³⁸³ 2. ქონების გაყოფა - მაგალითად, ავსტრიული სამართლის მიხედვით სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მეუღლეებს აძლევს შესაძლებლობას იმისა, რომ საერთო ქონების გაყოფის კანონით დადგენილი წესისგან განსხვავებული წესი დაადგინონ.³⁸⁴ ქართულ სამართალში აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელია როგორც საქორწინო ხელშეკრულების, ასევე საერთო ქონების გაყოფის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. რუსულ სამართალში ზოგიერთი მეცნიერ-იურისტი მიიჩნევს, რომ მეუღლეებს არ აქვთ უფლება საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ ქორწინებამდელი ქონების რეჟიმი, რადგან ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს ის შესაბამისი ნორმა, სადაც მხოლოდ მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის წესია განსაზღვრული - მიუხედავად ამისა, აღნიშნული პოზიცია დამაჯერებელი კრიტიკის საგნად იქცა.³⁸⁵ ქართულ სამართალშიც შესაძლებელია მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრონ ქორწინებამდელი ქონების რეჟიმი, რომელიც სსკ-ის 1161-ე მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე ცალკეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად მიიჩნევა. მეუღლეთა არსებული ქონებრივი რეჟიმის მოდიფიცირების შესაძლებლობას სსკ-ის 1176-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები არ შეეხება მხოლოდ ნივთებს, შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს რიგი საკითხებისა:³⁸⁶ 1. ურთიერთრჩენასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები - მაგალითად, ქმარი იღებს ვალდებულებას ყოველთვიურად გადაუხადოს ცოლს შეთანხმებული ოდენობის თანხა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ ის უნდა განვასხვავოთ სსკ-ის 1182-ე მუხლის რეგულირებისგან, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში რჩენის ვალდებულება წარმოიშვება მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლესთან მიმართებით, ხოლო დასახელებულ

³⁸³ Weiss E., Szeibert-Erdős O., CEFL Report - Property Relations, Hungary, 2008, 24; Oliveira G., Martins R., Vitor P., CEFL Report - Property Relations, Portugal, 2008, 28.

³⁸⁴ Roth M., CEFL Report - Property Relations, Austria, 2008, 56.

³⁸⁵ Antokolskaia M., CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 24.

³⁸⁶ Вишнякова А. В., Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 34.

შემთხვევაში საუბარია ზოგადად ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის სარჩენად ვალდებულების საკუთარი ნებით კისრებაზე. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის მოწესრიგების ფარგლებში ეს საკითხი არ არის ცალკე განსაზღვრული, თუმცა ზოგადად სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპისა და ამასთან ერთად, სსკ-ის 1179-ე და 1181-ე მუხლების გათვალისწინებით, ამგვარი შეთანხმების მიღწევა მეუღლეთა შორის დასაშვები უნდა იყოს. 2. შემოსავლებში მონაწილეობის პირობები - მაგალითად, ცოლი კისრულობს ვალდებულებას ქმარს დაეხმაროს ამ უკანასკნელის ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობაში, რაც გამოიხატება კლიენტების შეკვეთების მიღებაში, აუცილებელი საბუღალტრო გაანგარიშების მომზადებაში და სხვა. 3. საოჯახო ხარჯების გაწევის წესი - საოჯახო ხარჯების გაწევის მაგალითად დასახელებულია იმ სახლის კომუნალური გადასახადების გადახდა, რომელშიც მეუღლეები ცხოვრობენ.³⁸⁷ 4. ქონების ჩამონათვალი, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას. 5. ნებისმიერი ქონებრივი ხასიათის სხვა საკითხები - მაგალითად, ცოლს შეიძლება მიენიჭოს უფლება, რომ მან ნებისმიერ დროს ისარგებლოს აგარაკით, რომელიც ქმრის ინდივიდუალურ საკუთრებაში იმყოფება.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საქორწინო ხელშეკრულება არ სარგებლობს პოპულარობით, რაც ამავე სახელმწიფოებში მცხოვრებ მოსახლეობასთან დაკავშირებული შემდეგი მიზეზებით არის განპირობებული - 1. მენტალიტეტი და 2. მართლშეგნების დაბალი დონე.³⁸⁸ მიუხედავად ამისა, რუსული სამართლის მაგალითზე შესაძლებელია დასახელდეს საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული შემთხვევები: 1. დაქორწინებამდე არსებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებული შემოსავლით შეძენილი ახალი ქონება, შესაბამისი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვლება. 2. საქორწინო საჩუქრები მეუღლეებს ქორწინების განმავლობაში თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნით, ხოლო ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში აღნიშნულ საჩუქრებზე იმ მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება გავრცელდება, რომლის მეგობრების ან/და

³⁸⁷ Косова О.Ю., Семейное Право, Иркутск, 2016, 198.

³⁸⁸ Ченцов С.Д., Цуканов О.В., Брачный Договор: Особенности Правовой Природы, Научный Альманах, N 11-3(37), 2017, 80.

ნათესავების მიერ ზემოთ ხსენებული საჩუქრები გაკეთდა. 3. საბანკო შენატანები, რომელიც მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში განხორციელდა, აგრეთვე მათზე დარიცხული პროცენტები იმ მეუღლის საკუთრებად ჩაითვლება, რომლის სახელზეც შეტანილ იქნა შესაბამისი შენატანები; ანალოგიურად აქციები და სხვა სახის ფასიანი ქაღალდები, რომელიც მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაშია შეძენილი, აგრეთვე მათგან მიღებული შემოსავლები იმ მეუღლის საკუთრებად განისაზღვრება, რომლის სახელზეც მათი შეძენა განხორციელდა. 4. ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში, ქმარი კისრულობს ვალდებულებას, რომ მან მეუღლეს გადაუხადოს განსაზღვრული ჯილდო ერთობლივად გატარებული თითოეული წლის გამო.³⁸⁹

საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინების შემთხვევაში, ისევე როგორც არსებული ქონებრივი რეჟიმი ახალი საქორწინო ხელშეკრულების დადების ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე უქმდება.³⁹⁰ თუმცა აგრეთვე შესაძლებელია საქორწინო ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებშიც მეუღლეების უფლება-მოვალეობათა შეზღუდვა განსაზღვრული ვადით ან/და ამა თუ იმ პირობების დადგომით, რადგან საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება არ ეწინააღმდეგება მოქმედების ვადის განსაზღვრას, ისევე როგორც პირობის დადგომაზე დაკავშირებას.³⁹¹ კერძოდ, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს: 1. უვადოდ - აქ იგულისხმება, რომ საქორწინო ხელშეკრულება ძალაშია მანამ სანამ მისი მოქმედება არ შეწყდება კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა საფუძვლის არსებობის შედეგად. 2. განსაზღვრული ვადით - ასეთ შემთხვევაში, ვადის გასვლასთან ერთად ავტომატურად ამოქმედდება მეუღლეთა თანასაკუთრების კანონით დადგენილი რეჟიმი. 3. პირობითი გარიგების სახით - ასეთ დროს საქორწინო ხელშეკრულება ძალაში შევა ან მისი მოქმედება შეწყდება განსაზღვრული პირობის განხორციელების შედეგად. მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება დადგენილი იყოს, რომ ის ძალაში შევა და ამოქმედდება პირველი ბავშვის დაბადების მომენტიდან, ასევე, მაგალითად, ბავშვის

³⁸⁹ Каменецкая М.С., Семейное Право России, Москва, 2007, 138.

³⁹⁰ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1408 Rn. 6.

³⁹¹ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 4.

დაბადების შემდგომ ცოლის მიერ სამსახურში გასვლის შემთხვევაში.³⁹² შესაბამისად, როდესაც საქორწინო ხელშეკრულების მოქმედება დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის დადგომაზე, ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 90-98-ე მუხლები გამოიყენება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მაგალითად, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს, რომ საოჯახო ხარჯების გაწევა განსაზღვრული ვადის განმავლობაში განხორციელდება - ნახევარი წლის განმავლობაში ერთ-ერთი მეუღლის, ხოლო დარჩენილი ნახევარი წლის ფარგლებში მეორე მეუღლის მიერ, ასევე არ არის გამორიცხული თანხის გადახდის გრაფიკის განსაზღვრის შესაძლებლობაც.³⁹³ საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს გაუქმების, ასევე გადადების პირობით.³⁹⁴ თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართალში, კერძოდ, სსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, ნებაზე დამოკიდებული პირობით დადებული გარიგება ბათილია და ხსენებული ზოგადი ნორმა საქორწინო ხელშეკრულებაზეც ვრცელდება.

გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია მეუღლეებმა ქონებრივი საკითხების სამართლებრივი ბედის გადაწყვეტა დამოკიდებული გახადონ ისეთი არამატერიალური ხასიათის წინაპირობებზე, როგორიცაა ცოლ-ქმრული ღალატი, ლოთობა, ხულიგნობა და ა.შ. იმ საკითხის გადასაწყვეტად, არის თუ არა აღნიშნული შესაძლებლობა ნებადართული კანონმდებლის მიერ, უნდა დასახელდეს ორი არგუმენტი: 1. შესაბამისი სამოქალაქო კანონმდებლობა არ ადგენს რაიმე სახის აკრძალვას იმასთან დაკავშირებით, რომ მეუღლეებს არ გააჩნიათ უფლება ქონებრივი საკითხები გადაწყვიტონ არამატერიალური ხასიათის ქმედებების გათვალისწინებით. საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის მაკონტროლებელი ორი დანაწესიდან - სსკ-ის 1179-ე და 1181-ე მუხლები, არც ერთი მათგანი არ იცნობს განსახილველი მიმართულებით რაიმე სახის აკრძალვას. ის გარემოება, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მხოლოდ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგება არის შესაძლებელი, არ ვრცელდება მოცემულ

³⁹² Вишнякова А. В., Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 34.

³⁹³ Крашенинников П.В., Постатейный комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, Федеральному закону «Об опеке и попечительстве» и Федеральному закону «Об актах гражданского состояния», Москва, 2012, 116.

³⁹⁴ Каменецкая М.С., Семейное Право России, Москва, 2007, 138.

შემთხვევაზე, რადგან აქ არ განიხილება პირადი არაქონებრივი ხასიათის მქონე ურთიერთობების რეგლამენტაციის საკითხი. 2. სსკ-ის 1184-ე მუხლი იცნობს ისეთ ცნებას, როგორიცაა „უღირსი საქციელი“ და ეს უკანასკნელი მეუღლის რჩენის მოვალეობისგან სასამართლოს მიერ გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძველად მიიჩნევა. შესაბამისად, კანონმდებლის პოზიციით, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს არამატერიალური ხასიათის გარემოებებზე დაყრდნობით. მართალია, ხსენებული საკანონმდებლო დანაწესი მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობის კონტექსტში გამოიყენება, თუმცა ის ირიბად მიუთითებს იმ შესაძლებლობის არსებობაზე, რომელიც არამატერიალური შინაარსის მქონე გარემოებების გათვალისწინებით, საქორწინო ხელშეკრულების დადების საფუძველზე ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას გულისხმობს.

საქორწინო ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისებურებებზე მსჯელობისას, აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება ერთ-ერთ საქმეზე, რომლის ფარგლებშიც მეუღლეთა შორის ამავე ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული იყო არასრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულება კონკრეტულად განსაზღვრული თანხის ოდენობის მიხედვით. ერთ-ერთი მეუღლის მიერ სასამართლოში მოთხოვნილი იყო საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ოდენობის დაკისრება მეორე მეუღლეზე არასრულწლოვანი შვილის რჩენის მიზნებისათვის. სასამართლომ მართებულად არ გაიზიარა შესაბამისი მეუღლის მოთხოვნა შემდეგ არგუმენტაციაზე დაყრდნობით - „*ალიმენტის გონივრული ოდენობა, უნდა დადგინდეს მშობელთა ქონებრივი მდგომარეობისა და ბავშვის საჭიროებების ურთიერთშეჯერებით, ხოლო გონივრულობის აღნიშნული სტანდარტის განსასაზღვრად კი სასამართლო ხელმძღვანელობს შესაბამისი ნორმებით - სსკ-ის 1212-ე, 1221-ე, 1234-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 1198-ე მუხლების საფუძველზე*“.³⁹⁵ გასაზიარებელია სასამართლოს განმარტება, რადგან ალიმენტის ოდენობის გონივრულობას განსაზღვრავს არა მეუღლეთა შორის არსებული შეთანხმება, არამედ უპირველეს ყოვლისა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

³⁹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის განჩინება № ას-767-2021.

6. მოძღვრება დაცული ბირთვული სფეროს შესახებ და საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის სუბიექტური ელემენტი

საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ემყარება, თუმცა აღნიშნული თავისუფლება შეზღუდულია იმ საკითხების რეგულირების მეშვეობით, რომლებიც მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობებს შეეხება, განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში.³⁹⁶ აშშ-ში თითქმის ყველა შტატშია შესაძლებელი ნამდვილი საქორწინო ხელშეკრულების დადება ქორწინების რეგისტრაციამდე, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანში არსებობს კონცეფცია ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ საქორწინო ხელშეკრულების დადების თაობაზე.³⁹⁷ ინგლისის სასამართლოები ჩვეულებრივ მიიჩნევენ, რომ ქორწინების რეგისტრაციამდე დადებული საქორწინო ხელშეკრულება ბათილია და არ ექვემდებარება აღსრულებას, რადგან ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა ქონებრივ სფეროში სასამართლოსთვის მინიჭებული უფლებამოსილებები შეიზღუდება.³⁹⁸

საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებათა რეგულირების პარალელურად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა იურისდიქციის საკანონმდებლო სფეროში ასევე შემუშავებულია ხელშეკრულების შინაარსის მაკონტროლებელი ნორმები. საქართველოში ასეთ მოწესრიგებას უპირველეს ყოვლისა განეკუთვნება სსკ-ის 1179-ე მუხლი, რომელიც კონსტრუირებულია გერმანულ სამართალში არსებული „*დაცული ბირთვული სფეროს შესახებ მოძღვრების*“ შინაარსობრივი მნიშვნელობის მსგავსად.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში მეუღლეთა საქორწინო ხელშეკრულების ფარგლებში სხვადასხვა პირობის გათვალისწინება არ არის შეზღუდული თანასწორობის პრინციპით, რადგან აღნიშნული პრინციპი არ გამოირიცხავს

³⁹⁶ Gregory S. A., The New Marriage Contract and the Limits of Private Ordering, Indiana Law Journal, Vol. 73:503, 1998, 509.

³⁹⁷ Judiasih S.D., Yuanitasari D., Inayatillah R., Salim E.F., Postnuptial Agreement: A Comparison of Legal Systems in Indonesia and Other Countries, Journal of Legal, Ethical and Regulatory Issues, Vol. 24, Issue 5, 2021, 5.

³⁹⁸ იქვე., 6.

ნების ავტონომიური გამოვლენის შედეგად სახელშეკრულებო კონტრაქტის დაქვემდებარებას არათანაბარი რეგულაციებისადმი.³⁹⁹ შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულების შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია სხვა სახის ფორმალური და შინაარსობრივი მოთხოვნებით. კერძოდ, ფორმალური მოთხოვნების ნაწილში გსკ-ის 1410-ე პარაგრაფის გარდა, აღსანიშნავია ამავე კოდექსის 1409-ე პარაგრაფიც, რომლის თანახმად „*მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი არ შეიძლება დადგინდეს იმ სამართალზე მითითებით, რომელიც უკვე აღარ მოქმედებს, ან უცხო ქვეყნის სამართალზე*“⁴⁰⁰ - აღნიშნული რეგულაცია სპეციალურ შეზღუდვას ითვალისწინებს, რომელიც შეეხება არა საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივ მხარეს, არამედ მეუღლეთა ქონებრივი ხასიათის შეთანხმებების მხოლოდ ფორმალურ სტრუქტურას.⁴⁰¹ საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივი რეგულირების თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მართალია ზოგადად შესაძლებელია განქორწინების სამართლებრივი შედეგების გამორიცხვა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ამავე შედეგების მარეგულირებელი ნორმების დაცვითი მიზნის ჩაშლა.⁴⁰² საქორწინო ხელშეკრულების შინაარსობრივი შეზღუდვის უმთავრესი მიზანი ვალდებულებათა ერთ-ერთი მეუღლისათვის ისეთი მაღალი ტვირთის დაკისრების აკრძალვაში გამოიხატება, რაც ვერ იქნება გამართლებული ოჯახური თანაცხოვრების გაუმჯობესების მოტივით.⁴⁰³ იმ მიზნით, რომ შეფასდეს ერთ-ერთი მეუღლისათვის ცალმხრივად დასაკისრებელი ვალდებულების ტვირთის სიმძიმე, აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს მეუღლეთა ინდივიდუალური გარემოებები - კერძოდ, მათი შემოსავლები და ქონებრივი მდგომარეობა, დაგეგმილი ან/და რეალიზებული ცხოვრების დონე, მისაღწევი შეთანხმების სავარაუდო გავლენა მეუღლეებსა და მათ შვილებზე.⁴⁰⁴

³⁹⁹ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 11.

⁴⁰⁰ *ჭეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 357.

⁴⁰¹ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 12.

⁴⁰² *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB §§ 1408, 1409 Rn. 9.

⁴⁰³ იქვე., Rn. 9.

⁴⁰⁴ BGH NJW 2004, 930.

რაც უფრო პირდაპირ ხასიათს ატარებს საქორწინო ხელშეკრულების მეშვეობით დაცულ ბირთვულ სფეროში ჩარევა, მით უფრო მკაცრი სტანდარტები უნდა გამოიყენებოდეს ამავე ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის განხორციელებისას - აღნიშნულის გათვალისწინებით, მოძღვრება დაცული ბირთვული სფეროს შესახებ, უპირველეს ყოვლისა ვრცელდება მშობლების უფლება-მოვალეობებზე შვილების მიმართ და რიგით მომდევნო ეტაპზე, იმგვარი რჩენის ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიშვებიან მოხუცებულობის, ასევე ავადმყოფობისა და ფიზიკური ნაკლის გამო.⁴⁰⁵ მოძღვრება დაცული ბირთვული სფეროს შესახებ გვთავაზობს რანჟირებას, რომელიც კონსტრუირებულია შემდეგი სახით:⁴⁰⁶

- პირველი დონე - მშობლების უფლება-მოვალეობანი შვილების მიმართ, განსაკუთრებით ბავშვთა რჩენის ვალდებულებები (გსკ-ის 1570-ე პარაგრაფი);
- მეორე დონე - რჩენა მოხუცებულობის, ავადმყოფობისა და ფიზიკური ნაკლის გამო (1), სოციალური უზრუნველყოფის მიზნით წილების გათანაბრება (*Versorgungsausgleich*) (2) (გსკ-ის 1571-ე და 1572-ე პარაგრაფები, აგრეთვე 1408-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი);
- მესამე დონე - რჩენა უმუშევრობის გამო (გსკ-ის 1573-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი);
- მეოთხე დონე - რჩენა შემოსავლებისა და სრულ სარჩოს შორის სხვაობის სახით (1), ზოგადი განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება ან გადამზადება (2) (გსკ-ის 1573-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილი, აგრეთვე 1575-ე პარაგრაფი).

მოცემული რანჟირების მიხედვით, ყოველ მომდევნო საფეხურზე მდგომი საკითხი უფრო მეტად ექვემდებარება მეუღლეთა დისპოზიციას. შესაბამისად საკითხი, რომელიც არ არის წარმოდგენილი ზემოთ ხსენებულ საფეხურებზე, დაცული ბირთვული სფეროს მიღმაა დარჩენილი და მოქცეულია სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მოქმედების ფარგლებში. ამგვარ საკითხს განეკუთვნება მაგალითად, საერთო ქონების გაყოფასთან დაკავშირებული წესები.⁴⁰⁷

მოძღვრება დაცული ბირთვული სფეროს შესახებ, რომელიც ერთგვაროვანი წესით არის შემოღებული უმაღლესი რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკაში, დღემდე

⁴⁰⁵ OLG Hamm, FamFR 2013, 310.

⁴⁰⁶ Stöhr A., Die Inhaltskontrolle von Eheverträgen, Aufsatz, JuS 2022, 805.

⁴⁰⁷ იქვე.

მასობრივი კრიტიკის საგანია ლიტერატურაში - კერძოდ, პოზიციები ორ ბანაკადაა გაყოფილი, რომელთაგან მეცნიერთა პირველი ჯგუფი მოძღვრებას შეუთავსებლად მიიჩნევს რჩენის შესახებ ახალ რეგულაციებთან მიმართებით, რადგან ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს და ამასთან ერთად ამავე ჯგუფის მოსაზრებით, ხსენებული მოძღვრება ეწინააღმდეგება გერმანიის ფედერალური სასამართლოს არაერთგზის გაკეთებულ განმარტებას იმის თაობაზე, რომ არ არსებობს განქორწინების შედეგების მომწესრიგებელი სავალდებულო მინიმალური დონე. აღნიშნულის საპირისპიროდ, მეცნიერთა მეორე ჯგუფი ეყრდნობა მეუღლეთა წილთა თანაბრობის პრინციპს, რის გამოც შედარებით სუსტი მეუღლის დაცვის საკითხს პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს და აკრიტიკებს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპისათვის პრივილეგირებული პოზიციის მინიჭებას მეუღლეთა ქონებრივი საკითხების მოწესრიგების სფეროში.⁴⁰⁸

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაცული ბირთვული სფეროს მთლიანი ან ნაწილობრივი გამორიცხვა შესაძლებელია გამართლებულ იქნეს იმ პირობით, რომ შესაბამის მეუღლეს საკომპენსაციოდ დამატებითი სარგებელი მიენიჭება.⁴⁰⁹

გერმანიის ფედერალური სასამართლო ზემოთ განხილული ობიექტური ელემენტის გარდა მნიშვნელობას ანიჭებს ე.წ. სუბიექტურ ელემენტსაც - თუ ობიექტური ელემენტი ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ რა არის მეუღლეთა შეთანხმების საგანი და რა მოცულობით განიცდის აღნიშნული საგანი ამავე შეთანხმების გავლენას, სუბიექტური ელემენტი ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომლის ფარგლებშიც საქორწინო ხელშეკრულება დაიდო, მათ შორის მეუღლეთა მიზნებს, ინტერესებსა და სხვა მამოძრავებელ მოტივებს.⁴¹⁰ ხსენებული სუბიექტური ელემენტი ცნობილია ქართული სამართლისთვისაც - კერძოდ, სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი ღია დათქმის სახით იმპერატიულ დანაწესს გვთავაზობს და ერთ-ერთი მეუღლის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას შესაბამისი სახელშეკრულებო პირობის ბათილობის საფუძვლად აცხადებს.

⁴⁰⁸ *Johannsen/Henrich/Althammer/Milzer*, 7. Aufl. 2020, BGB § 1413 Rn. 44.

⁴⁰⁹ *რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 153.

⁴¹⁰ *Stöhr A.*, Die Inhaltskontrolle von Eheverträgen, Aufsatz, JuS, 2022, 805.

მართალია გერმანულ სამართალში ხსენებული ქართული ნორმის ანალოგი არ მოიპოვება, თუმცა ფედერალური სასამართლო აღნიშნული საკითხის მოწესრიგებისას განვითარდა გსკ-ის 138-ე (ამორალური გარიგება; მევახშეობა) და 242-ე (ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად) პარაგრაფების განმარტების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში სახელშეკრულებო კონტროლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს: პირველ ეტაპზე სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს არის თუ არა საქორწინო ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილი ამორალურობის საფუძველით (ნამდვილობის კონტროლი). იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება (მთლიანად ან შესაბამის ნაწილში) არ არის ბათილი, მომდევნო ეტაპზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს ეწინააღმდეგება თუ არა განსახილველი სახელშეკრულებო პირობა/პირობები კეთილსინდისიერების პრინციპს.⁴¹¹ ასეთ შემთხვევაში აღარ განიხილება საკითხი ხელშეკრულების ნამდვილობის თაობაზე, არამედ გამოსაკვლევი შესაბამის მხარეს შეუძლია თუ არა გამოიყენოს სახელშეკრულებო ჩანაწერი საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ თუ აუცილებელია მეუღლეთა შეთანხმებაში ცვლილების განხორციელება.⁴¹² აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, იშვიათად შეგვხვდება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლის ფარგლებში სასამართლომ ამორალურობის საფუძველით საქორწინო ხელშეკრულება ბათილად ცნო. მიუხედავად ნამდვილობის კონტროლის განხორციელების შესაძლებლობისა, სასამართლოსთვის პრიორიტეტულია კონტროლის განხორციელება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით.⁴¹³

სსკ-ის 1179-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული „ერთ-ერთი მეუღლის მიმღე მდგომარეობაში ჩაყენება“ (ანალოგიურად გერმანულ სამართალში „ამორალურობა“) გულისხმობს, რომ შეთანხმების არათანაბარი (არადაბალანსებული) შინაარსი ასახავს ერთ-ერთი მეუღლის ცალმხრივ დომინანტურ მდგომარეობას მეორე მეუღლესთან მიმართებით, რაც დამყარებულია მოლაპარაკებაში არსებულ არათანაბარ

⁴¹¹ Sarres E., Fortschreibung der Kernbereichslehre in der aktuellen Rechtsprechung des BGH zur Inhaltskontrolle von Eheverträgen, FPR, Heft 1/2, 2006, 4.

⁴¹² იქვე.

⁴¹³ Sarres E., Fortschreibung der Kernbereichslehre in der aktuellen Rechtsprechung des BGH zur Inhaltskontrolle von Eheverträgen, LSK 2006.

პოზიციებზე და ამავე პროცესში დარღვეულ პარიტეტზე.⁴¹⁴ ცალმხრივად დამამძიმებელი სახელშეკრულებო პირობა ზემოთ აღნიშნული გარემოებების ინდიკატორია, თუმცა ასევე აუცილებელია დგინდებოდეს ისეთი დამხმარე ფაქტორების არსებობაც, როგორიცაა ერთ-ერთი მეუღლის მძიმე მდგომარეობის ექსპლუატაცია, სოციალური ან ეკონომიკური დამოკიდებულების, ასევე ინტელექტუალური უპირატესობის საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება.⁴¹⁵ აგრეთვე გასათვალისწინებელია, შეძლეს თუ არა მეუღლეებმა გასცნობოდნენ საქორწინო ხელშეკრულების პროექტს (ე.წ. დრაფტს) ამ უკანასკნელი დოკუმენტის ნოტარიულ დამოწმებამდე საკმარისი დროის განმავლობაში; საქორწინო ხელშეკრულება დაიდო ქორწინებამდე თუ განქორწინების თარიღის მოახლოების ზეგავლენის შედეგად (*Last-Minute Contract*); იყო თუ არა ცოლი ორსულად საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტში; იყო თუ არა ნოტარიული დამოწმება სამართლიანი ანუ რამდენად განუმარტა ნოტარიუსმა მეუღლეებს თავიანთი უფლება-მოვალეობების შინაარსი.⁴¹⁶ აგრეთვე გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ამორალურად და აქედან გამომდინარე ბათილად მიიჩნევა საქორწინო ხელშეკრულების ის პირობა/პირობები, რომელიც შეთანხმებულია იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთ მეუღლეს საზღვარგარეთ ექსტრადიცია ემუქრება, რის გამოც ეს უკანასკნელი დამოკიდებულია ქორწინების არსებობაზე და მოლაპარაკებების პროცესში არათანაბარ პოზიციაზე იმყოფება.⁴¹⁷

ქართულ სამართალთან შედარების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ამორალურობის საფუძვლით ხელშეკრულების შინაარსობრივი კონტროლის გერმანული სამართლის მსგავს მარეგულირებელ ნორმად, გარდა სსკ-ის ზოგადი 54-ე მუხლისა, ასევე უნდა მივიჩნიოთ ზემოთ ხსენებული სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სახელშეკრულებო პირობის ბათილობის შემადგენლობაზე, შემდეგი ჩანაწერით - „არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები“, ხოლო რაც შეეხება კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედებას, ამ შემთხვევაშიც, გარდა

⁴¹⁴ BGH NJW 2014, 1101 Rn. 39.

⁴¹⁵ BGH NJW 2013, 380 Rn. 24.

⁴¹⁶ Stöhr A., Die Inhaltskontrolle von Eheverträgen, Aufsatz, JuS, 2022, 805.

⁴¹⁷ BGH NJW 2018, 1015.

სსკ-ის ზოგადი მე-8 მუხლის მე-3 ნაწილისა, უნდა დასახელდეს სსკ-ის 1181-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არა სახელშეკრულებო ნორმის ბათილობის, არამედ სასამართლოს მიერ საქორწინო ხელშეკრულების პირობების ცვლილების შესაძლებლობას დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე.

აღსანიშნავია საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორი მიმართება არსებობს დასახელებულ ნორმებს შორის - კერძოდ: 1. სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი სახელშეკრულებო პირობის ამორალურობას არ მიიჩნევს მისი ბათილობის საფუძველად, რადგან მოცემული შემთხვევის მომწესრიგებელი სსკ-ის 54-ე მუხლი ისედაც ვრცელდება საქორწინო ხელშეკრულების მიმართ. შესაბამისად, ლოგიკურია, თუ სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც სსკ-ის 54-ე მუხლის ასამოქმედებლად შესაბამისი წინაპირობების არსებობა არ დგინდება, ხოლო ამასთან ერთად, ერთ-ერთი მეუღლე მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. 2. სსკ-ის 1181-ე მუხლი თავისი იდეით მსგავსია სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ რეგულაციისა. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული კეთილსინდისიერების პრინციპი მოცემულ შემთხვევაში შესწორების ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, *„კეთილსინდისიერების პრინციპით შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობების შეცვლილ გარემოებებზე მისადაგება (გსკ-ის 313-ე პარაგრაფი)“*.⁴¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე მიმართება სსკ-ის 1181-ე და 398-ე მუხლებს შორის შემდეგია - *„როდესაც ადგილი არ აქვს გარიგების საფუძველად მდებარე გარემოების ცვლილებას ან მხარეთა ორმხრივი წარმოდგენების გაცულებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა სსკ-ის 398-ე მუხლით მისადაგებისათვის, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლომ მეუღლეთა საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობა დაარეგულიროს სსკ-ის 1181-ე მუხლის შესაბამისად“*.⁴¹⁹

პრეზუმფცია, რომელიც აგრეთვე დამახასიათებელია მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმისათვის - არასათანადო ზეგავლენის (*Undue Influence*) სახელწოდებით არის

⁴¹⁸ კროპკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანიას თ., და ჭეჭელაშვილის ზ., თარგმანი, ჩაჩანიძის ე., დარჯანიას თ., და თოთლაძის ლ., რედაქტორობით, თბილისი, 2014, 113.

⁴¹⁹ რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 157.

ცნობილი.⁴²⁰ აღნიშნული პრეზუმფცია ამოქმედდება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე შეიძენს უპირატესობას მეორეზე, ამ უკანასკნელთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შედეგად, რა დროსაც ივარაუდება, რომ აღნიშნული უპირატესობა მოპოვებულ იქნა არასათანადო ზეგავლენის განხორციელების გამო, ხოლო მოცემული ვარაუდის გაქარწყლების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც საპირისპირო გარემოებაზე ე.ი. მისი მეუღლის მხრიდან თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმების არსებობაზე აპელირებს.⁴²¹

აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლისათვის ზემოთ ხსენებული პრეზუმფცია შემუშავებული არ არის. თუმცა რეგულაცია, რომელიც შეიძლება დასახელდეს მის ანალოგად სსკ-ის 1179-ე მუხლია (მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქორწინო ხელშეკრულებით დაუშვებელია), განსაკუთრებით კი არასათანადო ზეგავლენის კონცეფცია აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარეობს, რომელიც მსგავსად პირველი ნაწილისა, იმპერატიული ხასიათისაა და დაუშვებლად მიიჩნევს საქორწინო ხელშეკრულებით ისეთი პირობების დაწესებას, რაც ერთ-ერთ მეუღლეს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა მოცემული ნორმის განმარტებასთან დაკავშირებით, დღეის მდგომარეობით არ არსებობს, რის გამოც ხსენებული პრეზუმფციის შინაარსის იდენტიფიცირება მისთვის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება დასახელდეს.

მოცემული კონცეფციის შინაარსობრივ დაზუსტებას გვთავაზობს ავსტრალიის უმაღლესი სასამართლოს განმარტება.⁴²² სასამართლომ განავითარა ჰოლისტური მიდგომა, რომლის თანახმად კონკრეტული შემთხვევის არასათანადო ზეგავლენად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია მტკიცებულებათა ერთობლიობის შეფასება.⁴²³ კერძოდ, სასამართლომ დაადგინა ისეთი ექვსი გარემოების არსებობის აუცილებლობა, რომელიც ერთობლიობაში იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ დადგინდეს ერთ-ერთი

⁴²⁰ *Flicker, Kerin, Kruger & Bissada LLP, The Presumption of Undue Influence in Interspousal Transactions*, ვებ-გვერდიდან: <www.fkkblaw.com> [ბოლო ნახვის თარიღი: 03.02.2023].

⁴²¹ *Newcombe C. B., The Origin and Civil Law Foundation of the Community Property System, Why California Adopted It and Why Community Property Principles Benefit Women*, *University of Maryland Law Journal of Race, Religion, Gender and Class*, Vol. 11, 2011, 6.

⁴²² საქმე თორნი კენედის წინააღმდეგ (*Thorne vs. Kennedy* [2017] HCA 49; 263 CLR 85).

⁴²³ *Fee J., Undue Influence Inspirations from Australia*, *Hong Kong Law Journal*, Vol.48, 2018, 382.

მეუღლის მხარეზე არჩევანის არარსებობა ან მისი სუსტ მდგომარეობაში ყოფნა:⁴²⁴

1. მეუღლესთან მიმართებით ფინანსური უთანასწორობა; 2. უცხო ქვეყანაში (მოცემულ საქმეში, ავსტრალიაში) მუდმივი სტატუსის არ ქონა; 3. მეუღლეზე დამოკიდებულება ყველა საკითხთან მიმართებით; 4. მეუღლის მჭიდრო ემოციური კავშირი ურთიერთობის მიმართ და დედობის პერსპექტივა (მოცემულ საქმეში გარემოებები ცოლის პერსპექტივიდან დადგინდა); 5. ემოციური მზაობა ქორწინებისთვის და 6. მოსალოდნელი ქორწინების საჯარო ხასიათი. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, სასამართლოს მსჯელობა იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც წინასაქორწინო და საქორწინო ხელშეკრულებების მომზადების პროცესში შეიძლება არსებობდეს და სამართლებრივ შეფასებას საჭიროებდეს სავარაუდო არასათანადო ზეგავლენის დადგენის მიზნით. სასამართლო პრაქტიკის მიერ რელევანტურ გარემოებებზე დასახელდა შემდეგი:⁴²⁵ 1. ერთ-ერთი მეუღლის მიერ სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში იყო თუ არა შეთავაზებული ისეთი პირობა, რომელიც განხილვას არ ექვემდებარებოდა; 2. ის ემოციური გარემოებები, რომლის ფარგლებშიც შეთანხმება იქნა მიღწეული, მათ შორის ხომ არ არსებობდა აშკარა ან ფარული მუქარა ქორწინების ან ნიშნობის შეწყვეტასთან დაკავშირებით; 3. სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში არსებობდა თუ არა დრო მოსაფიქრებლად; 4. რა შინაარსის მატარებელია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ბუნება; 5. როგორ გამოიხატება მხარეთა ფინანსური მდგომარეობა; 6. სახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში იქნა თუ არა მესამე პირის მხრიდან დამოუკიდებელი რჩევა მიღებული შესაბამისი მეუღლის მიერ და ჰქონდა თუ არა მას დრო აღნიშნულ რჩევაზე დასაფიქრებლად.

⁴²⁴ იქვე.

⁴²⁵ საქმე თორნი კენედის წინააღმდეგ (*Thorne vs. Kennedy* [2017] HCA 49; 263 CLR 85, 60); საქმე კოვაჩი კოვაჩის წინააღმდეგ (*Kovacs vs. Kovacs* [2022] FedCFamC2F 188, 63); საქმე ლანგერი ლანგერის წინააღმდეგ (*Langer vs. Langer* [2021] FedCFamC2F 40, 226); საქმე ისმაელი ისმაელის წინააღმდეგ (*Ismael vs. Ismael* [2021] FCCA 1581, 143); საქმე კოცისი კოცისის წინააღმდეგ (*Cotsis vs. Cotsis* [2021] FCCA 673, 30).

7. ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა, როგორც საქორწინო ხელშეკრულების ცვლილების საფუძველი

საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობის კონტროლის დასრულების შემდეგ, თუ შესაბამისი სახელშეკრულებო პირობა/პირობები ძალაში რჩება, მომდევნო ეტაპზე, გერმანიის ფედერალური სასამართლო ახორციელებს კონტროლს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე (*Ausübungskontrolle*) - მოცემულ სტადიაზე უნდა შემოწმდეს შემდეგი გარემოება: ეკრძალება თუ არა სახელშეკრულებო პირობის ბენეფიციარ მეუღლეს დაეყრდნოს აღნიშნულ პირობას, იმის გათვალისწინებით, რომ ამავე პირობის საფუძველზე სამართლებრივი ტვირთების აშკარად ცალმხრივი განაწილება მიიღწევა, რაც თავის მხრივ გაუმართლებლად ზღუდავს მეორე მეუღლეს, მაშინაც თუ ამავე მეუღლის ინტერესები ადეკვატურად არის გათვალისწინებული და მას გააჩნია ნდობა ხელშეკრულების ნამდვილობის მიმართ, რადგან ასეთ შემთხვევაში განსახილველი სახელშეკრულებო პირობა ოჯახური სოლიდარობის პრინციპთან აბსოლუტურად შეუთავსებელია.⁴²⁶

სასამართლომ მისთვის მინიჭებული სახელშეკრულებო კონტროლის განხორციელების პროცესში უნდა გაითვალისწინოს ორივე მეუღლის ლეგიტიმური ინტერესი დაბალანსებული ფორმით.⁴²⁷ აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ სასამართლომ სახელშეკრულებო პირობის ცვლილების შემთხვევაში არ უნდა გადააჭარბოს კანონით დადგენილ სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, ერთი მხრივ სასამართლოს მიერ განხორციელებული კორექციის შედეგი არ უნდა გასცდეს ერთ-ერთი მეუღლის არახელსაყრელი მდგომარეობით გამოწვეული ნაკლოვანი პოზიციის გამოსწორების მიზანს და მეორე მხრივ ის მეუღლე, რომელიც კორექციის შედეგად სარგებელს ნახავს, არ უნდა აღმოჩნდეს იმაზე უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული როლების განაწილების გარეშე.⁴²⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო კონტროლი, რომელიც

⁴²⁶ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 44.

⁴²⁷ BGH NJW 2015, 52 Rn. 25.

⁴²⁸ იქვე., Rn. 26.

კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება, მაღალი სამართლებრივი მოქნილობით გამოირჩევა, რადგან ერთი მხრივ ის არ ასახავს კანონით დადგენილ პირდაპირ სამართალს, ასევე არ ართმევს ხელშეკრულებას ყოველგვარ საფუძველს, ხოლო მეორე მხრივ სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს სამართლებრივი შედეგი ხელშეკრულების მისადაგების მეშვეობით.⁴²⁹

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ერთმანეთთან შედარებულ იქნეს გსკ-ის 138-ე და 242-ე პარაგრაფების ფუნქციური დატვირთვა, რადგან აღნიშნული შედარება არსებითია ქართული სამართლისთვისაც - სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილისა („ერთ-ერთი მეუღლის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება“) და 1181-ე მუხლების („ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება“) ურთიერთმიმართების დასადგენად. უპირველეს ყოვლისა ორივე რეგულაციას აერთიანებს ის ფაქტორი, რომ კერძო ავტონომია, რომელიც სახელმწიფოს კონსტიტუციით არის დაცული, ექვემდებარება სათანადო ეკონომიკურ შეფასებებს, რის გამოც სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით ჩაერიოს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების სახელშეკრულებო სფეროში. გერმანიის ფედერალური სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით შემდეგი დასკვნაა გაკეთებული - ამორალურობის კონცეპტი, რომელიც გათვალისწინებულია გსკ-ის 138-ე პარაგრაფის საფუძველზე, გამოიყენება „ნამდვილად ცუდ შემთხვევებში“ (*ganz miese Fälle*) ან მეუღლეთა სოლიდარობის სრულად დაკარგვის შემთხვევაში, ხოლო აღნიშნულის საპირისპიროდ, სახელშეკრულებო კონტროლი, რომელიც გსკ-ის 242-ე პარაგრაფის საფუძველზე ხორციელდება, უფრო კომპლექსურ ინსტიტუტად ითვლება, ვიდრე გარიგების ამორალურობა ან მისი საფუძვლის ჩაშლა (გსკ-ის 313-ე პარაგრაფი), რადგან გერმანიის ფედერალური სასამართლო ხელშეკრულების შინაარსობრივ კონტროლს შესაძლებლად მიიჩნევს ერთ-ერთი მეუღლის მიერ შესაბამისი რისკის გაცნობიერებულად საკუთარ თავზე აღებისას იმ პირობებშიც, როდესაც გარიგების საფუძვლის ჩაშლის ინსტიტუტი გამოყენებული ვერ იქნება.⁴³⁰

⁴²⁹ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1408 Rn. 50.

⁴³⁰ *Münch C.*, Funktionsäquivalenz als Einbahnstraße – Ausübungskontrolle beim Verzicht auf Versorgungsausgleich, *Neue Juristische Wochenschrift*, Heft 5, 2015, 288.

ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების კონსტრუქცია ასევე არ არის უცხო კომისიის მიერ შემუშავებული პრინციპებისთვისაც. კერძოდ, 4:15 პრინციპის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტში არსებული, ასევე დადების შემდგომ წარმოშობილი გარემოებების გათვალისწინებით, კომპეტენტურ ორგანოს „განსაკუთრებული სირთულის“ (*Exceptional Hardship*) შემთხვევაში, უფლება აქვს ბათილად ცნოს ან შეცვალოს სახელშეკრულებო პირობები სრულად ან ნაწილობრივ.⁴³¹ ქართულ სამართალთან შედარების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ხსენებული პრინციპი აერთიანებს პირობების ბათილად ცნობისა და მათი შეცვლის უფლებამოსილებებს, რის გამოც ამ თვალსაზრისით, სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე სსკ-ის 1181-ე მუხლი გარკვეულწილად მოდიფიცირებული სახით წარმოდგებიან.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმები გარიგების ბათილობის, ასევე შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების შესახებ, ჩვეულებრივ გამოიყენება საქორწინო ხელშეკრულების მიმართ, თუმცა მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შეკითხვას, თუ რითია განპირობებული სპეციალური საოჯახო სამართლებრივი ნორმების არსებობა, რომლებიც გავლენას ახდენენ ნაწილობრივ საქორწინო ხელშეკრულების ნამდვილობაზე, ხოლო ნაწილობრივ ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ცვლილებაზე. მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობისაა საკითხი იმის თაობაზე თუ როგორ უნდა იქნეს გამიჯნული საქორწინო ხელშეკრულება სხვა სამოქალაქო სამართლებრივი სახის გარიგებებისგან - გამიჯვნის კრიტერიუმები კი შემდეგია:⁴³² 1. საქორწინო ხელშეკრულების მხარეები ერთმანეთის მიმართ ემოციურად არიან დამოკიდებულნი და განსაკუთრებული ნდობა გააჩნიათ მომავლის მიმართ, რის გამოც არსებობს რისკი, რომ ისინი ვერ შეძლებენ შეთანხმების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების გათვალისწინებას. 2. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეუღლეთა ურთიერთობების მიმართ ოჯახის სხვა წევრებისგან მომდინარე ზეგავლენა. 3. ივარაუდება, რომ საქორწინო ხელშეკრულებამ ხანგრძლივი

⁴³¹ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 135.

⁴³² იქვე., 138.

დროის განმავლობაში უნდა იარსებოს, რის გამოც ხშირად არ ხდება იმის გათვალისწინება, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიონ სამომავლო ფაქტობრივმა ცვლილებებმა მეუღლეთა ურთიერთობებზე, განსაკუთრებით როდესაც საკითხი შეეხება შვილების აღზრდას ან ოჯახის წევრის გაუთვალისწინებელ ავადმყოფობას, რამაც შეიძლება ერთ-ერთი მეუღლე (როგორც წესი, ცოლი) აიძულოს დატოვოს შრომითი ბაზარი ან შეზღუდოს მომგებიანი საქმიანობა, რომელსაც ოჯახის კეთილდღეობისთვის ეწეოდა. აღნიშნული არგუმენტაცია განასხვავებს საქორწინო ხელშეკრულებას სხვა ტიპის ხელშეკრულებებისგან, რის გამოც გამართლებულია სპეციალური დამცავი საოჯახო სამართლებრივი ნორმების არსებობა.

გასათვალისწინებელია, რომ „სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი წინადადებით შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განსაზღვრული სამართლებრივი წინაპირობების არსებობას უკავშირდება“.⁴³³ იმის გათვალისწინებით, რომ საქორწინო ხელშეკრულების მოქმედება განსაკუთრებული ხანგრძლივობითა და პერსონალური ბუნებით გამოირჩევა, მას ესაჭიროება უფრო მოქნილი მექანიზმი, როგორც ცვლილებების განხორციელების, აგრეთვე ბათილად ცნობის მიმართულებით - მაგალითად, სახელშეკრულებო პირობის ცვლილების აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსურად დამოუკიდებელი, დასაოჯახებელი წყვილი საქორწინო ხელშეკრულების ფარგლებში ქონების სეპარაციის რეჟიმზე შეთანხმდა, თუმცა მათ მოგვიანებით შეეძინათ ინვალიდი შვილი, რის გამოც ცოლი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური და ქმარზე ფინანსურად დამოკიდებული გამხდარიყო.⁴³⁴ ასეთ შემთხვევაში ის სახელშეკრულებო პირობა, რომლის საფუძველზეც ქონებრივი სეპარაციის რეჟიმი იქნა შემოღებული, ამ მეუღლისათვის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩამაყენებელი შეიძლება აღმოჩნდეს. მართალია საქორწინო ხელშეკრულების დადების მომენტში აღნიშნული გარემოება არ არსებობდა, თუმცა მოგვიანებით მისი წარმოშობა, შესაბამის სახელშეკრულებო პირობას, მეუღლისათვის დამამძიმებელ ფაქტორად გარდაქმნის.

⁴³³ *ჩიტაშვილი ნ.*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015, 154.

⁴³⁴ *Antokolskaia M.*, CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 25.

რუსული სამართლისთვისაც ცნობილია „ერთ-ერთი მეუღლისათვის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების“ საკითხი, რომელსაც რფსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 და 44-ე მუხლის მე-2 ნაწილები იცნობენ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში შედეგობრივი თვალსაზრისით განსაზღვრულია არა ხელშეკრულების შესაბამისი პირობის/პირობების ცვლილება, არამედ ბათილობა. კერძოდ, რფსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია ბათილად ცნოს საქორწინო ხელშეკრულება სრულად ან ნაწილობრივ ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე, თუ შესაბამისი სახელშეკრულებო პირობა/პირობები ამავე მეუღლეს უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ. შესაბამისად, საქორწინო ხელშეკრულების (პირობის/პირობების) ბათილად ცნობა ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენების საფუძველზე, რუსული სასამართლოებისთვის ერთგვარი ჩამნაცვლებელი საშუალებაა იმ მოქნილი მექანიზმისა, რომელიც შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას გულისხმობს.⁴³⁵

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 1179-ე და 1181-ე მუხლებს შორის შემდეგი არსებითი ხასიათის განსხვავება დგინდება - სსკ-ის 1179-ე მუხლი გარიგების უცილოდ ბათილობის საფუძვლებს განამტკიცებს, ხოლო სსკ-ის 1181-ე მუხლის გამოყენება პირდაპირ დამოკიდებულია დაინტერესებული მეუღლის განცხადებაზე. აღნიშნული მიდგომა ნაწილობრივ შეესაბამება რუსულ სამართალში არსებულ მოწესრიგებას, რომლის მიხედვით სსკ-ის 1179-ე მუხლით გათვალისწინებული მსგავსი საფუძვლების არსებობისას, გარიგება უცილოდ ბათილია, რადგან ასეთ შემთხვევაში კანონი არავითარი სახით არ მიუთითებს სახელშეკრულებო პირობების სადავო ხასიათზე.⁴³⁶ თუმცა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ სსკ-ის 1181-ე მუხლით გათვალისწინებული მსგავსი საფუძვლების არსებობისას, რფსკ-ის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს სადავო სახელშეკრულებო პირობა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 1179-ე

⁴³⁵ იქვე., 27.

⁴³⁶ Крашенинников П.В., Постатейный комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, Федеральному закону «Об опеке и попечительстве» и Федеральному закону «Об актах гражданского состояния», Москва, 2012, 120.

მუხლი მიემართება აკრძალვას, რომელიც საქორწინო ხელშეკრულების დადების ეტაპზე უნდა იქნეს მეუღლეთა მიერ დაცული (ტერმინებით - „არ შეიძლება შეიცვალოს“ და „არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს“), ხოლო სსკ-ის 1181-ე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს ისეთი პირობების მიმართ, რომლებიც საქორწინო ხელშეკრულების დადების შემდეგ ე.ი. მოგვიანებით შეცვლილი გარემოებების გამო, ერთ-ერთი მეუღლისათვის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობას ჰქმნიან.

გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის 1181-ე მუხლის გამოყენებისათვის არ არის საკმარისი დაინტერესებული მეუღლის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში ყოფნა, არამედ დამატებით აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს პატივსაღები მიზეზი საქორწინო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის/პირობების შესაცვლელად.

8. საქორწინო ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები მესამე პირთა მიმართ

გსკ-ის 1412-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის ფარგლებში საქორწინო ხელშეკრულების რეესტრის შემოღება ემსახურებოდა კეთილსინდისიერ მესამე პირთა ინტერესების დაცვას, რომლებიც „რეესტრის დუმილზე“ (*Vertraut*) დაყრდნობით იღებდნენ გადაწყვეტილებებს.⁴³⁷ მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმები პირდაპირ გავლენას ახდენენ ამ უკანასკნელთა უფლებამოსილებაზე დადონ გარიგებები მესამე პირებთან როგორც ქონების განკარგვის, ასევე ვალდებულებების აღების მიმართულებით. შესაბამისად, თუ მეუღლეები თანხმდებიან მოქმედ ქონებრივ რეჟიმთან დაკავშირებით განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე ან აუქმებენ შეთანხმებულ ცვლილებებს, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს მესამე პირთა ინტერესები.⁴³⁸ გსკ-ის 1412-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის შესაბამისად, მეუღლეებს შეუძლიათ გამოიყენონ საქორწინო ხელშეკრულება მესამე პირთა წინააღმდეგ შესაგებლის წარდგენის მიზნით, როგორც გარიგების, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფარგლებში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირმა იცოდა

⁴³⁷ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1412 Rn. 1.

⁴³⁸ *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB § 1412 Rn. 1.

ან სულ მცირე, მისთვის უხეში გაუფრთხილებლობის გამო ცნობილი არ იყო საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ გსკ-ის 1412-ე პარაგრაფის ფარგლებში, 2023 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა ცვლილება, რომლის საფუძველზე გაუქმდა საქორწინო ხელშეკრულებების რეესტრში რეგისტრაციის შესაძლებლობა.⁴³⁹ საკანონმდებლო ცვლილება ემყარება ევროპის საბჭოს 2016 წლის 24 ივნისის დამტკიცებულ რეგლამენტს (2016/1103), რომელიც მიზნად ისახავს მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმების სფეროში სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოებას იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობა/აღსრულების საკითხებთან დაკავშირებით.⁴⁴⁰ კერძოდ, გსკ-ის 1412-ე პარაგრაფი დაემყარა ზემოთ აღნიშნული რეგლამენტის 28-ე მუხლს, სრულებით გამოირიცხა საქორწინო ხელშეკრულების რეგისტრაციის შესაძლებლობა და ხსენებული პარაგრაფი ჩამოყალიბდა მხოლოდ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ნორმად, რომლის ფარგლებშიც შეფასების ცენტრალურ საგნად მესამე პირის მხრიდან ცოდნის საკითხი განისაზღვრა. ამ თვალსაზრისით ის დაემსგავსა რეგლამენტის 28-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლის თანახმად მესამე პირსა და ერთ-ერთ ან ორივე მეუღლეს შორის დავის შემთხვევაში, მეუღლეს არ შეუძლია დაეყრდნოს ქონებრივი რეჟიმის მარეგულირებელ უფლებებს მესამე პირის წინააღმდეგ, იმ გამონაკლისების გარდა, როდესაც მესამე პირმა იცოდა ან მისთვის სათანადო გამოკვლევის შედეგად ცნობილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი უფლების არსებობის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეებმა გამორიცხეს ან გააუქმეს კანონით გათვალისწინებული რეჟიმი და ამასთან ერთად, მათ არ შეუთანხმებიათ მისგან განსხვავებული რეგულაცია, კანონის ძალით ავტომატურად ამოქმედდება ქონების სეპარაციის რეჟიმი, თუმცა ეს უკანასკნელი არ იწვევს რაიმე უფლებამოსილების შეზღუდვას, რის გამოც აუცილებელი იქნებოდა მესამე პირთა დაცვა - შესაბამისად გსკ-ის 1412-ე პარაგრაფის მოქმედების სფერო არ ვრცელდება ასეთ შემთხვევაზე და იგივე

⁴³⁹ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1412.

⁴⁴⁰ European Regulation on Matrimonial Property Regimes Council Regulation (EU) 2016/1103 of 24 June 2016.

დასკვნის გაკეთება შესაძლებელია მაშინაც, როდესაც მეუღლეთა მიერ შეთანხმებულია ქონების სეპარაციის რეჟიმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გსკ-ის 1412-ე პარაგრაფს მხოლოდ საერთო ქონების რეჟიმის მოქმედების პირობებში გააჩნია სამართლებრივი დატვირთვა.⁴⁴¹ აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ხსენებული რეგულაცია არ გამოიყენება იძულებითი აღსრულების საფუძველზე უფლებათა შეძენის ფარგლებში, ასევე იმ გარიგებების მიმართ, რომელიც დადებულია მეუღლეებს ან მესამე პირებს შორის (მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლისგან შეძენილი ნივთის შემდგომი გადაყიდვა).⁴⁴²

გსკ-ის 1412-ე პარაგრაფის დამცავი ეფექტი მესამე პირთა მიმართ შემდეგი მაგალითის საფუძველზე ვლინდება - მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის მოქმედების პირობებში შეთანხმებული იყო ერთობლივი მართვის პრინციპი. ერთ-ერთმა მეუღლემ მესამე პირთან დადო გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება ბათილია გსკ-ის 1460-ე პარაგრაფის საფუძველზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, *„მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა იმ გარიგებიდან გამომდინარე, რომელსაც მეუღლე დებს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს, დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამ გარიგების დადებაზე თანახმაა ან თუ გარიგება მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მისი თანხმობის გარეშე“*.⁴⁴³ თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელმა არ იცოდა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის არსებობის შესახებ, მასთან მიმართებით ქირავნობის ხელშეკრულება ნამდვილია.⁴⁴⁴ შესაბამისად, მესამე პირთან დადებული გარიგების მიმართ, საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე შესაგებლის წარდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ ამ უკანასკნელის არსებობის შესახებ ცნობილი იყო მესამე პირისთვის გარიგების დადების მომენტში ან აღნიშნული გარემოება მისთვის უცნობი იყო უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

⁴⁴¹ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB § 1412 Rn. 4.

⁴⁴² იქვე., Rn. 7.

⁴⁴³ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 369.

⁴⁴⁴ BeckOK BGB/Scheller/Sprink, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1412 Rn. 11.1.

მესამე პირის მხრიდან საქორწინო ხელშეკრულების ზუსტი შინაარსის ცოდნა სავალდებულო არ არის, არამედ საკმარისია მან იცოდეს მეუღლეთა ქონებრივი რეჟიმის ცვლილების ფაქტის შესახებ (მაგალითად, იმ ფაქტის შესახებ, რომ მეუღლეთა შორის საერთო ქონების რეჟიმი შეთანხმდა) - შესაბამისად, თუ მესამე პირმა იცის, რომ მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულება დადეს ან იცის ისეთი გარემოებების შესახებ, საიდანაც გამომდინარეობს საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შესახებ ვარაუდი, მაშინ სათანადო ზომების მიუღებლობა იმის გასარკვევად იყო თუ არა მეუღლეთა შესაბამისი უფლებამოსილებები შეზღუდული საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე, მხოლოდ მისი რისკის სფეროში ექცევა.⁴⁴⁵ კრედიტორის პოზიტიური ცოდნის, ასევე მისი მხრიდან უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის შესახებ გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ მეუღლეს, რომელიც დაინტერესებულია ქონებრივ რეჟიმში განხორციელებული ცვლილებების შედეგად წარმოშობილი შესაგებლის წარდგენით.⁴⁴⁶

გერმანული რეგულაციისგან განსხვავებულ მოდელს გვთავაზობს რუსული სამართალი. ხსენებული მართლწესრიგი განეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელიც არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულებების რაიმე ფორმით რეგისტრაციის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში, რფსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეუღლე ვალდებულია საკუთარ კრედიტორს (კრედიტორებს) შეატყობინოს საქორწინო ხელშეკრულების დადების, ცვლილების ან შეწყვეტის შესახებ. კრედიტორის შეუტყობინებლობის შემთხვევაში, მეუღლე პასუხს აგებს მის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებისათვის, მიუხედავად საქორწინო ხელშეკრულების შინაარსისა. მოცემულ შემთხვევაში მოვალე-მეუღლე ვალდებულია კრედიტორს შეატყობინოს არა მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულების დადების, ცვლილების ან შეწყვეტის ფაქტის შესახებ, არამედ გაამჟღავნოს მისი შინაარსი იმ ნაწილში, რომელიც საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის ცვლილებას შეეხება.⁴⁴⁷ მაგალითად, მეუღლეებმა

⁴⁴⁵ *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB § 1412 Rn. 8.

⁴⁴⁶ იქვე., Rn. 8.

⁴⁴⁷ *Кецко Е.В.*, Некоторые Вопросы Реализации Гарантий Прав Кредиторов при Заключении, Изменении и Расторжении Брачного Договора, Вестник РГГУ, № 9 (131), Москва, 2014, 87.

საქორწინო ხელშეკრულებაში შეიტანეს ცვლილება, რომლის თანახმად, თავდაპირველად არსებული საერთო ვალდებულება გარდაიქმნება ერთ-ერთი მათგანის ინდივიდუალურ ვალდებულებად და მიუხედავად ამ ცვლილებისა, მეუღლეებს შესაბამისი შეტყობინება კრედიტორისთვის არ გაუკეთებიათ. ასეთ შემთხვევაში, აღსრულება მიექცევა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების მიმართ, ხოლო თუ აღნიშნული ქონება არ აღმოჩნდება საკმარისი – მაშინ თითოეული მეუღლის ინდივიდუალური ქონების მიმართ, რადგან საქორწინო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება კრედიტორისთვის ვერ იქნება ნამდვილი.⁴⁴⁸ ზემოთ ხსენებული რეგულაციის მიზანია კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაცვა - კანონმდებელი შეეცადა მოეწესრიგებინა შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე სესხის სახით დიდი ოდენობის თანხას იღებს, დროულად არ უბრუნებს კრედიტორს აღნიშნულ თანხას და სასწრაფოდ დებს საქორწინო ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც საკუთარ ინდივიდუალურ ქონებას სრულად გადაუფორმებს მეორე მეუღლეს, რის გამოც კრედიტორი კარგავს შესაძლებლობას მოვალე მეუღლის ინდივიდუალურ ქონებაზე აღსრულების მიქცევის მეშვეობით დაიბრუნოს სესხად გაცემული თანხა.⁴⁴⁹

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ წარმოიშვა საქორწინო ხელშეკრულების სავალდებულო რეგისტრაციის შემოღების შესახებ საკითხი, რომლის მიზანი კრედიტორთა ინტერესების დაცვა და მათი ინფორმირება უნდა ყოფილიყო. თუმცა ცალკე დისკუსიის საგანია კონკრეტულად რა უნდა იქნეს დარეგისტრირებული რეესტრში - საქორწინო ხელშეკრულება სრულად თუ განსაზღვრულ ქონებასთან დაკავშირებული მხოლოდ ის უფლებრივი ცვლილება/ცვლილებები, რომელიც მიმდინარე შეთანხმების საგანია.⁴⁵⁰ გარდა იმისა, რომ რუსეთის კანონმდებლობით დადგენილი არ არის მოვალე-მეუღლის მიერ შეტყობინების ფორმა (ზეპირი ან წერილობითი), აგრეთვე განუსაზღვრელია საკითხი იმის თაობაზე არის თუ არა აღნიშნული მეუღლე ვალდებული კრედიტორს გააცნოს საქორწინო ხელშეკრულების

⁴⁴⁸ იქვე.

⁴⁴⁹ *Шершень Т.В.*, Брачный Договор и Гарантии Прав Кредитора Супруга-Должника, Вестник Пермского Университета, Выпуск 8 (13), 2007, 87.

⁴⁵⁰ *Потапова Н. В.*, Брачный Договор - Информационное Обеспечение Интересов Кредиторов и Иных Третьих Лиц, Вестник Омского Университета, Серия «Право», № 3 (36), 2013, 103.

შინაარსი სრულად.⁴⁵¹ აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებია გამოთქმული - კერძოდ, *ანტოკოლსკაიას* პოზიციით, მეუღლის მიერ შეტყობინების ვალდებულება ჯეროვნად შესრულებდა იმ შემთხვევაში თუ ის კრედიტორს საქორწინო ხელშეკრულების შინაარსს გააცნობს, რადგან კრედიტორებს უნდა გააჩნდეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ არის მეუღლეთა შორის ქონება განაწილებული, ვინაიდან აღნიშნულ გარემოებაზეა დამოკიდებული იმ ქონების მოცულობა, რომლის მიმართაც მოთხოვნის აღსრულება შესაძლებელი იქნება. განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული *საველიევს*, რომელიც აღნიშნავს, რომ გადახდისუუნარობის ინსტიტუტის ფარგლებს მიღმა, კანონმდებლობა არ იცნობს კრედიტორთა ინფორმირების ვალდებულებას მოვალის ქონების შემადგენლობის შესახებ.⁴⁵²

ქართული სამართალი არ ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების გასაჯაროების შესაძლებლობას, ისევე როგორც მოვალე-მეუღლეს არ აკისრებს შესაბამისი შეტყობინების ვალდებულებას კრედიტორის მიმართ. მოქმედი რეგულაციის გათვალისწინებით, „*პუბლიკაციის მომენტის გარეშე, მეუღლეთა შორის შეთანხმებას ვერ ექნება ძალა მესამე პირთა წინაშე და ამ პირთა მიმართ ისევ კანონისმიერი პარადიგმა უნდა დარჩეს ძალაში*“.⁴⁵³

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მეუღლეთა საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობას შეუძლია არა მხოლოდ შეამციროს განქორწინების ინტენსივობა, არამედ ასევე გაამყაროს მეუღლეთა ურთიერთგაგება ქორწინების ეკონომიკურ ელემენტებთან დაკავშირებით - აღნიშნული წარმოადგენს მიზანს, რომელიც ხშირად ოჯახებს მხედველობის მიღმა რჩებათ.⁴⁵⁴

⁴⁵¹ *Шумкова А. С.*, К вопросу о Гарантиях Прав Кредиторов при Заключении, Изменении и Расторжении Брачного Договора в России, Молодой Учёный, № 37 (223), 2018, 81.

⁴⁵² იქვე.

⁴⁵³ *რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 139.

⁴⁵⁴ *Parley L. I.*, Post-Marital Agreements, Journal of the American Academy of Matrimonial Lawyers, Vol. 8, 1992, 136.

VIII. მეუღლეთა საალიმენტო ურთიერთობები

1. სარჩოს დაკისრების საფუძველი - მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე მეუღლის შრომისუუნარობა

სსკ-ის არსებული სტრუქტურის გათვალისწინებით, მეუღლის შრომისუუნარობა სარჩოს მოთხოვნის უფლების წარმომშობი ერთ-ერთი გარემოებაა, რომელსაც კონსტიტუტიური მნიშვნელობა გააჩნია როგორც ქორწინების სრული პერიოდის (სსკ-ის 1182-ე მუხლის მე-2 წინადადების „ა“ პუნქტი), აგრეთვე განქორწინების დღიდან ერთი წლის განმავლობაში (სსკ-ის 1183-ე მუხლი). ქართული კანონმდებლობის ფარგლებში სარჩოს დაკისრების ერთ-ერთ საფუძველად მეუღლის შრომისუუნარობის გათვალისწინება ე.წ. *არაბრალეულობის პრინციპის* გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, რასაც თანამედროვე საალიმენტო სამართალი ეფუძნება. მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს აიოვას შტატის სასამართლო პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც მეუღლის ბრალეული ქმედება აღარ მიიჩნევა სარჩოს დაკისრების ფაქტორად - მეუღლის ბრალეულობა იურისდიქციათა უმრავლესობაში გაუქმებულია, როგორც სარჩოს დაკისრების კონტექსტში გასათვალისწინებელი კატეგორია.⁴⁵⁵ საალიმენტო სამართლის ისტორიული განვითარების მომდევნო ეტაპზე ჩამოყალიბდა „*საჭიროების პრინციპი*“, რომელმაც არსებითად (თუმცა არა სრულებით) ჩაანაცვლა ბრალეულობის კატეგორია.⁴⁵⁶ ხაზგასასმელია, რომ მატერიალური დახმარების საჭიროების დასადგენად მეუღლის შრომისუუნარობის ფაქტის არსებობა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია მას ესაჭიროებოდეს ამგვარი დახმარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მკაფიოდ დგინდება ერთ-ერთი მეუღლის შრომისუუნარობის შემთხვევაში მეორე მეუღლისათვის სარჩოს დაკისრების მიზანი - კერძოდ, თუ მეუღლის შრომისუუნარობასთან დაკავშირებულ

⁴⁵⁵ Sackett R. S., Munyon C. K., Alimony: A Retreat from Traditional Concepts of Spousal Support, Drake Law Review, Vol. 35, 1985, 304.

⁴⁵⁶ O'Kelly M., Entitlements to Spousal Support after Divorce, North Dakota Law Review, Vol. 61:225, 1985, 237.

რეგულაციას განქორწინების კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ მისი მიზანი განქორწინების შემდგომი ქონებრივი და ფინანსური შედეგების მოწესრიგება იქნება, ეს უკანასკნელი კი ოჯახური ერთობის ჩაშლისა და განქორწინების გამომწვევი მიზეზებისგან განცალკევებულად გაითვალისწინება.⁴⁵⁷

აღსანიშნავია, რომ მეუღლის შრომისუუნარობა წარმოადგენს როგორც სასამართლოს მიერ სარჩოს დაკისრების, აგრეთვე თანასაკუთრების გაყოფის პროცესში წილთა თანაბრობის საწყისისგან გადახვევის განმაპირობებელ ერთ-ერთ გარემოებას. ზოგადად, არსებითად განსხვავდება მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფისა და ურთიერთრჩენის მიზნები - პირველ შემთხვევაში საერთო ქონების გაყოფა არ ემსახურება მეუღლის საჭიროების იდენტიფიცირებასა და დაკმაყოფილებას, მაშინ როდესაც საალიმენტო ვალდებულების შინაარსი მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მატერიალური დახმარების საჭიროებას ემყარება. აქედან გამომდინარე, პირველ შემთხვევაში მიზანი საერთო ქონების გაყოფაა კანონის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მოქმედი რეჟიმის შესაბამისად, ხოლო საალიმენტო სამართალი სოციალურ მიზანს ემსახურება - მეუღლეთა და მათი შვილების საჭიროებების დაკმაყოფილებას.⁴⁵⁸ მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, მეუღლის შრომისუუნარობა ორივე შემთხვევაში გაითვალისწინება - საერთო ქონების გაყოფის პროცესში მხედველობაში მიიღება ისეთი ხარისხისა და სიმძიმის შრომისუუნარობა, რომელიც ვერ იქნება დაფარული მხოლოდ ალიმენტის გადახდის მეშვეობით.

ტერმინი „*შრომისუუნარობა*“ ფართოდ განიმარტება და მოიცავს მეუღლის დაუსაქმებლობას არა მხოლოდ შრომის უნარის არქონის, არამედ სათანადო სამუშაოს ვერ შოვნის შემთხვევაშიც. კერძოდ, სარჩოს მამიებელმა მეუღლემ სამართალწარმოების პროცესში უნდა ამტკიცოს, რომ მან საკმარისი ძალისხმევა გაიღო სათანადო სამუშაოს შოვნისათვის, რისი შეფასებაც ყოველი კონკრეტული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებსა და მომჩივანის შრომით ისტორიაზეა დამოკიდებული - საოჯახო საქმეთა

⁴⁵⁷ *L'Heureux-Dube C.*, Equality and the Economic Consequences of Spousal Support: A Canadian Perspective, University of Florida Journal of Law and Public Policy, Vol.7, 1994, 7.

⁴⁵⁸ *Semple N.*, In Sickness and in Health - Spousal Support and Unmarried Cohabitants, Canadian Journal of Family Law, Vol. 24, 2008, 371.

განმხილველმა სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს ხსენებული გარემოება მომჩივანის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.⁴⁵⁹ გარდა ამისა, შრომისუუნარობის კონტექსტში სარჩოს დაკისრების მიზანი ასევე შეიძლება ემსახურებოდეს შესაბამისი მეუღლის მიერ ზოგადი განათლების მიღებას, კვალიფიკაციის ამაღლებას ან გადამზადებას. ასეთ შემთხვევაში საუბრობენ სარჩოს „რეაბილიტაციურ“ ბუნებაზე.⁴⁶⁰ სარჩოს ცნება, რომელიც ხშირად განიხილებოდა ქორწინების შეწყვეტის შემდგომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეუღლის მხარდაჭერის საშუალებად, ჩანაცვლდა იმ კონცეფციით, რომლის თანახმად მისი მიზანი შესაბამისი მეუღლის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა.⁴⁶¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები დაექვემდებარა მეუღლეთა ურთიერთრჩენასთან დაკავშირებულ სფეროს იმის გათვალისწინებით, რომ სარჩოს გაცემამ უნდა უზრუნველყოს არა უშუალოდ შესაბამისი მეუღლისათვის სიცოცხლის, ჯანმრთელობის შენარჩუნება, არამედ მისთვის იმ შესაძლებლობის მოპოვება, რომელიც ამ უკანასკნელს საბოლოო ჯამში ეკონომიკურად დამოუკიდებელს გახდის. შესაძლებელია, ერთი შეხედვით ითქვას, რომ თითქოს ქართული სამართალი არ იცნობს სარჩოს დაკისრების ამგვარ საფუძველს, თუმცა ეს საკითხიც შრომისუუნარობის ფართო განმარტების სფეროში უნდა მოექცეს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ გსკ-ის 1575-ე პარაგრაფით საკანონმდებლო დონეზეა განმტკიცებული განქორწინებული მეუღლისათვის ზოგადი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით სარჩოს დაკისრების შესაძლებლობა, ხოლო ქართულ სამართალში იგივე შედეგი შრომისუუნარობის ცნების ექსტენსიური განმარტების მეშვეობით შეიძლება იქნეს მიღწეული. სარჩოს დაკისრებისათვის, სწავლების მიზანი მეუღლის მიერ სათანადო სამუშაოს შოვნა უნდა იყოს, რომელიც არსებობისათვის მყარი საფუძველი იქნება.⁴⁶² შესაბამისად, თუ სარჩოს მაძიებელ მეუღლეს გააჩნია პროფესიული მომზადება, რომელიც სათანადო სამუშაოს

⁴⁵⁹ Klinkhammer F., Rechtsprechung des BGH zum Unterhalt 2011 und 2012, FPR, Heft 4, 2013, 121.

⁴⁶⁰ Kisthardt M. K., Re-thinking Alimony: The AAML's Considerations for Calculating Alimony, Spousal Support or Maintenance, Journal of the American Academy of Matrimonial Lawyers, Vol. 21, 2008, 69.

⁴⁶¹ საქმე ობრაიენი ობრაიენის წინააღმდეგ (*O'Brien v. O'Brien*, 66 N.Y.2d 576, 585 (N.Y. 1985)).

⁴⁶² OLG Karlsruhe FamRZ 2009, 120.

შოვნის შესაძლებლობას ანიჭებს, მაშინ მას ვერ ექნება სარჩოს მოთხოვნის უფლება გსკ-ის 1575-ე პარაგრაფის საფუძველზე.⁴⁶³ სათანადო სამუშაოს კონცეფცია თავის მხრივ გათვალისწინებულია გსკ-ის 1574-ე პარაგრაფის მიხედვით. ხსენებული რეგულაცია ასახავს რთულ ბალანსს პირად პასუხისმგებლობასა და მეუღლეთა სოლიდარობას შორის, რომელსაც ასევე აქვს მნიშვნელობა განქორწინების შემდგომ. ნორმატიული ელემენტები, რომელიც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოს სათანადოობის შეფასების კონტექსტში, შემდეგია: 1. განათლება; 2. უნარები; 3. ასაკი; 4. ჯანმრთელობის მდგომარეობა; 5. წინა სამუშაო. აღნიშნული ელემენტების შემოწმების შემდეგ მოწმდება განსახილველი სამუშაოს სათანადო ხასიათი უსამართლობის კონტექსტში, მეუღლეთა ცხოვრების პირობების შესაბამისად. თავის მხრივ ამ უკანასკნელის დადგენისას, გასათვალისწინებელია „*ქორწინების და საერთო ბავშვის მოვლისა თუ აღზრდის ხანგრძლივობა*“.⁴⁶⁴ სამუშაოს სათანადო ხასიათს არ განსაზღვრავს ის გარემოება უზრუნველყოფს თუ არა განსახილველი სამუშაოდან მიღებული შემოსავლები მეუღლის სრულ რჩენას, რადგან შესაძლებელია მოთხოვნის უფლება განხორციელდეს საჭიროების სრულ ოდენობამდე შევსების მიმართულებითაც.⁴⁶⁵ თავის მხრივ, ორ ნახევარგანაკვეთიან სამუშაოზე დასაქმება სათანადოდ ითვლება.⁴⁶⁶ უმუშევრობის გამო დაკისრებული სარჩოს ვალდებულების მოქმედება დროში შეზღუდულია სათანადო სამუშაოს შოვნამდე.⁴⁶⁷ პირადი პასუხისმგებლობის მოქმედების შედეგად წარმოიშვება შრომის ზოგადი ვალდებულება, მათ შორის განქორწინების შემდგომი პერიოდისთვისაც, რის გამოც ბენეფიციარმა მეუღლემ უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმისათვის, რომ იშოვოს სამსახური - შეძლებს თუ არა ის სათანადო სამუშაოს პოვნას, დამოკიდებულია მის პირად გარემოებებსა (ასაკი, განათლება,

⁴⁶³ OLG Karlsruhe FamRZ 2012, 789.

⁴⁶⁴ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე. და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 388; *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1574 Rn. 3.

⁴⁶⁵ BGH NJW 1985, 1695.

⁴⁶⁶ BGH FamRZ 2007, 200.

⁴⁶⁷ *Niepmann/Kerscher.*, Die Rechtsprechung zur Höhe des Unterhalts, 15. Aufl. 2023, Rn. 508.

პროფესიული გამოცდილება და ჯანმრთელობის მდგომარეობა) და აგრეთვე შრომით ბაზარზე არსებულ ობიექტურ პირობებზე.⁴⁶⁸

2. სარჩოს დაკისრების საფუძველი - ცოლის ორსულობის და ბავშვის დაბადებიდან სამწლიანი პერიოდი

ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან 3 წლიანი პერიოდის საფუძველით სარჩოს დაკისრების უმთავრესი წინაპირობა საერთო შვილის არსებობაა, რაც სსკ-ის 1182-ე მუხლის დანაწესიდან პირდაპირ არ იკითხება, თუმცა გამომდინარეობს ოჯახური თანაცხოვრების მიზნიდან. შესაბამისად, მაგალითად, თუ ქმარმა სასამართლო წესით სადავო გახადა მამობის ფაქტი და მისი სარჩელი დაკმაყოფილდა, მაშინ ის გათავისუფლებული იქნება მეუღლის რჩენის მოვალეობისგან.⁴⁶⁹ აღნიშნული საფუძველით სარჩოს მოთხოვნის უფლება წარმოიშვება მიუხედავად იმისა, არის თუ არა შესაბამისი მეუღლე მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე ან/და შრომისუუნარო - გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ სარჩოს მომთხოვნ ცოლს საერთო შვილი ჰყავდეს მის მეუღლესთან (ან ყოფილ მეუღლესთან).⁴⁷⁰ აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში სარჩოს დაკისრებას ადგილი აქვს მაშინაც როდესაც ცოლი უზრუნველყოფილია ისეთი მატერიალური საშუალებებით, რაც საარსებო მინიმუმს აღემატება. კერძოდ, ორსულობის, ბავშვის ძუძუთი კვების, აგრეთვე მისი მცირეწლოვნობის გამო მრავალრიცხოვანი ხარჯები წარმოიშვება, რაც ორივე მეუღლემ უნდა გაიღოს.⁴⁷¹ აღსანიშნავია, რომ ცოლს სარჩოს მოთხოვნის იგივე უფლება განქორწინების შემდეგაც რჩება.

რუსული სამართლის მიხედვით სარჩოს მოთხოვნის უფლება აგრეთვე გააჩნია მატერიალური დახმარების საჭიროების მქონე იმ მეუღლეს, რომელიც ფაქტობრივად ზრუნავს საერთო შვილზე-ინვალიდზე, ამ უკანასკნელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე (რფსკ-ის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტი). გასათვალისწინებელია, რომ სსკ-ის

⁴⁶⁸ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1573 Rn. 5.

⁴⁶⁹ Вишнякова А. В., Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011, 70.

⁴⁷⁰ Косова О. Ю., Семейное Право, Иркутск, 2016, 391.

⁴⁷¹ Власова М.В., Постатейный Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2013, 272.

1182-ე მუხლი არ იცნობს აღნიშნულ საფუძველს სარჩოს დაკისრების წინაპირობად, თუმცა მაინც შესაძლებელი უნდა იყოს მოცემულ შემთხვევებშიც სასამართლოს მიერ ერთ-ერთ მეუღლეზე სარჩოს დაკისრება იმ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, რომ „სსკ-ის 1182-ე მუხლის მე-2 წინადადების „ბ“ პუნქტის ანალოგიითა და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, რჩენის ვალდებულება უნდა გაგრძელდეს, თუ ის, ბავშვზე ზრუნვის ხასიათიდან და ქორწინების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, სამართლიანობას შეესატყვისება“.⁴⁷² თავის მხრივ ხსენებული არგუმენტი გერმანულ სამართალში არსებულ მოწესრიგებას ემყარება - კერძოდ, გსკ-ის 1570-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის თანახმად, „რჩენის მოთხოვნის უფლების არსებობა გაგრძელდება, თუ ეს შეესაბამება სამართლიანობას ბავშვზე ზრუნვის წესისა და ქორწინებაში შრომითი საქმიანობის, ასევე ქორწინების ხანგრძლივობის გათვალისწინებით“.⁴⁷³

გსკ-ის 1570-ე პარაგრაფით განსაზღვრული ვალდებულება (რჩენა ბავშვზე ზრუნვის გამო) ქორწინების შედეგებზეა დამოკიდებული, რის გამოც აღნიშნული დანაწესიდან არ გამომდინარეობს მეუღლის უფლება მოითხოვოს სარჩოს გადახდა იმ საერთო შვილის ყოლის მიზეზით, რომელიც მართალია ყოფილ მეუღლესთან შეეძინა, თუმცა მისი ჩასახვა განქორწინების შემდეგ მოხდა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს გსკ-ის 1615ლ პარაგრაფი, რომელიც შეეხება „დედის ან მამის რჩენის მოთხოვნის უფლებას შვილის დაბადების გამო“.⁴⁷⁴

ბავშვზე ზრუნვის გამო რჩენის უფლების რეალიზაციისათვის არ არის აუცილებელი, რომ მეუღლეები ფაქტობრივ თანაცხოვრებაში იმყოფებოდნენ.⁴⁷⁵ „თუ ქორწინება შეწყდა ქმრის გარდაცვალების შედეგად და ბავშვი დაიბადა მისი შეწყვეტიდან

⁴⁷² რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 166.

⁴⁷³ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 387.

⁴⁷⁴ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 404.

⁴⁷⁵ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1570 Rn. 4.

300 დღის განმავლობაში, ასეთი ბავშვიც მეუღლეთა საერთო შვილად მიიჩნევა“.⁴⁷⁶ ანალოგიურად, ნაშვილებიც მეუღლეთა საერთო შვილად ითვლება.⁴⁷⁷ ამ უკანასკნელ შემთხვევაში „თუ ბავშვის შვილად აყვანას ახდენს დაქორწინებული წყვილი ან ერთ-ერთი მეუღლე შვილად აიყვანს მეორე მეუღლის შვილს, მაშინ ბავშვი იძენს მეუღლეთა საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას“ (გსკ-ის 1754-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი).⁴⁷⁸ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საერთო შვილად მიიჩნევა ბავშვი, რომელიც მართალია ქორწინებამდე დაიბადა, თუმცა მეუღლის მამობა აღიარებულია ან დადგენილია სასამართლოს მიერ.⁴⁷⁹

ქართული სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 1182-ე მუხლის „ბ“ პუნქტის ფარგლებში იცნობს მნიშვნელოვან განმარტებას. კერძოდ, „განსახილველი რჩენის მოთხოვნის უფლება რანგით უკან იხევს არასრულწლოვანი შვილისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულების წინაშე. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სსკ-ის 1214-ე მუხლის მიხედვით, ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში, ხოლო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას“.⁴⁸⁰ ხსენებული პოზიცია მართებულად გაზიარებულია საკასაციო სასამართლოს მიერაც. გასათვალისწინებელია, საკასაციო სასამართლოს შემდეგი განმარტებაც, რომლის თანახმად „გაუმართლებელია, მეუღლეს დაეკისროს სსკ-ის 1182-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სარჩოს გადახდა ცოლის სასარგებლოდ, თუ ეს, ყოველთვიურ ხელფასთან ამ ვალდებულების თანაფარდობის გათვალისწინებით, გაართულებს არასრულწლოვანი შვილების საალიმენტო

⁴⁷⁶ *ქეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 394.

⁴⁷⁷ BGH NJW 1984, 1538.

⁴⁷⁸ *ქეჭელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 428.

⁴⁷⁹ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1570 Rn. 17.

⁴⁸⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის განჩინება № ას-131-131-2018.

ვალდებულების შესრულებას“.⁴⁸¹ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს განმარტება შეესაბამება გერმანულ სამართალში არსებულ გადაწყვეტას.

3. მეუღლის შემოსავალი და ქონება

სარჩოს გადახდის ვალდებულების ერთ-ერთი მეუღლისათვის დაკისრების მიზნით, სასამართლომ უნდა დაადგინოს შემდეგი გარემოებების არსებობა - პოტენციური მარჩენალი მეუღლის: 1. შემოსავლების ოდენობა; 2. მოვალეობები, რომლებიც სხვა პირების რჩენასთანაა დაკავშირებული; 3. მოვალეობები, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავშირებულნი პირების რჩენასთან. შემოსავლების/ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება ის გარემოება, რომ მეუღლეს თავის მხრივ შეუძლია მოითხოვოს სარჩოს გადახდა საკუთარი ოჯახის წევრების მხრიდან, თუ მას არ დარჩება აუცილებელი სახსრები ყოფილი მეუღლისათვის სარჩოს გადახდის შემდეგ.⁴⁸²

მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრის მიზნებისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც თუ რა შემთხვევებში შეიძლება დაეკისროთ მეუღლეებს არსებული ქონების რეალიზაცია. როგორც მომჩივანი, აგრეთვე მოპასუხე არ არიან ვალდებულნი საკუთარი ძირითადი აქტივების რეალიზაცია მოახდინონ მაშინ, როდესაც აღნიშნული ოპერაცია მათთვის ეკონომიკურად წამგებიანი ან ორივე მეუღლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით უსამართლო იქნებოდა.⁴⁸³ იმის მიუხედავად, რომ „*ეკონომიკურად მომგებიანი სვლა შეიძლება მეტ დროს მოითხოვდეს, ის მაინც ყოველთვის სარგებლობს უპირატესობით*“.⁴⁸⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონების ცნება ფართო მნიშვნელობას იძენს, რადგან საკუთარი თავის რჩენაში მოიაზრება არა მხოლოდ შესაბამისი აქტივების ფლობა, არამედ მათი რეალიზაციის შესაძლებლობაც.

⁴⁸¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება № ას-806-2021.

⁴⁸² Antokolskaia M., CEFL Report - Grounds For Divorce and Maintenance Between Former Spouses, Russia, 2002, 35.

⁴⁸³ Kaesling K., Spousal Support after Divorce in Germany, Houston Journal of International Law, Vol. 41:3, 2019, 554.

⁴⁸⁴ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 164.

ორივე მეუღლის შემოსავლის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მათი მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა. მაგალითად სარჩოს გადამხდელი მეუღლის შემთხვევაში, არჩენს თუ არა იგი მოხუცებულ მშობლებს ან იხდის თუ არა ალიმენტს იმ ბავშვებისთვის, რომლებიც სხვა ქორწინებიდან ჰყავს შეძენილი. სარჩოს გადამხდელი მეუღლის მიერ აუცილებელი საშუალებების ფლობის შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს ნებისმიერი სახის ანაზღაურებასა და შემოსავალს, ნებისმიერი შემადგენლობის მქონე ქონებას, აგრეთვე დამატებით სასამართლო ადგენს თუ რომელი პირები იმყოფებიან მის კმაყოფაზე და რომელ პირთა რჩენის ვალდებულება აქვს დაკისრებული კანონის საფუძველზე.⁴⁸⁵ გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ როგორც რუსული, აგრეთვე ქართული საოჯახო სამართალი მეუღლისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულების დაკისრების წინაპირობად არ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ის აუცილებლად შრომისუნარიანი უნდა იყოს, რის გამოც შრომისუნარო მეუღლესაც შეიძლება დაეკისროს სარჩოს გადახდის ვალდებულება კანონით გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.⁴⁸⁶

შესაბამისად, სარჩოს ვალდებულების დაკისრების, მათ შორის მისი ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, უმთავრეს კრიტერიუმად მეუღლის შემოსავლები და ქონება მიიჩნევა. მართალია, ზოგადად სასამართლო ითვალისწინებს ნებისმიერი სახის შემოსავალსა და ქონებას, თუმცა მიუხედავად ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკით გარკვეულწილად განსაზღვრულია ის შემთხვევები, როდესაც განსახილველი შემოსავალი ან/და ქონება არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული შესაბამისი მეუღლის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისას. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება მაგალითად ფიქტიური შემოსავალი. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე დაადგინა - თუ ფერმერის შემოსავალი დაქორწინების შემდეგ მუდმივად მცირდება არასასურველი საბაზრო ცვლილებების შედეგად, ის ვალდებულია საკუთარი სამუშაო ძალა სხვა ადგილას გამოიყენოს, მაშინაც როდესაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე სრულად უარის თქმა მოუწევს.⁴⁸⁷ თუ ის არ შეასრულებს აღნიშნულ

⁴⁸⁵ Пчелинцева Л. М., Семейное право России, Москва, 2004, 394.

⁴⁸⁶ იქვე., 395.

⁴⁸⁷ BGH FamRZ 1993, 1304.

ვალდებულებას, მაშინ მას როგორც სარჩენ პირს შეერაცხება ფიქტიური შემოსავალი და ეს უკანასკნელი გამოიქვეითება სარჩოს მიღების მოთხოვნიდან, რადგან სარჩენი პირის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება არა მხოლოდ ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებით, არამედ მისი უნარით იმუშაოს და გამოიმუშავოს ანაზღაურება.⁴⁸⁸

არსებობს შემთხვევები, როდესაც სარჩოს გადამხდელი განზრახ ამცირებს საკუთარ შემოსავალს იმისათვის, რომ თავი აარიდოს სარჩოს გადახდას. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ამავე პირს დააკისროს სარჩოს გადახდის ვალდებულება იმ ოდენობით, რომელიც აღემატება მის შემოსავალს - მაგალითად, სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს სარჩოს გადამხდელი მეუღლის შემოსავალი გასული წლების განმავლობაში, იყო თუ არა ის უფრო მეტი ვიდრე ამჟამინდელი შემოსავალია და რამ განაპირობა მისი კლება, ასევე სასამართლოს შეუძლია შემოსავლის ოდენობა განსაზღვროს იმისდა მიხედვით, შეეძლო თუ არა სარჩოს გადამხდელ მეუღლეს მისი გამომუშავება იმ სამუშაოს შესრულების გზით, რომელიც მის შესაძლებლობებს შეესაბამება.⁴⁸⁹ აგრეთვე, „*მეუღლის ქონებაში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული „შავი დღისთვის“ გადანახული ფული ან სხვა ნივთები*“.⁴⁹⁰

4. გაუმართლებელი შემთხვევები

სსკ-ის 1184-ე მუხლი ამომწურავი სახით ითვალისწინებს მეუღლის რჩენის მოვალეობისგან გათავისუფლების, ასევე განსაზღვრული ვადით სასამართლოს მიერ ამავე მოვალეობის შეცვლის საფუძვლებს. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის სათაური მხოლოდ რჩენის მოვალეობისგან გათავისუფლებას შეეხება, მისი შინაარსის ფარგლებში, განსაზღვრული ვადით მოვალეობის შეცვლის შესაძლებლობაც დგინდება.

⁴⁸⁸ იქვე.

⁴⁸⁹ Ryznar M., Spousal Support (Spousal Maintenance), Marriage and Divorce in America: Issues, Trends, and Controversies, Jaimee L. Hartenstein ed., 2019, 2.

⁴⁹⁰ *რუსიამვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 164.

შემთხვევები, რომლებიც სარჩოს გადახდისგან გათავისუფლებასა და მისი განსაზღვრული ვადით შეცვლას შეეხებიან, შეიძლება გაერთიანდნენ საერთო ცნების ქვეშ - *გაუმართლებელი შემთხვევები*.

4.1. ხანმოკლე ქორწინება

იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ ხანმოკლე ქორწინების საფუძვლით შესაძლებელი იყოს სსკ-ის 1184-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ზომების მიღება, უპირველეს ყოვლისა უნდა განიმარტოს ქორწინების ხანმოკლე ხასიათი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ქორწინების ხანგრძლივობა განისაზღვრება იმისდა მიხედვით, თუ რამდენ ხანს იარსება სამართლებრივმა კავშირმა მეუღლეთა შორის და არა იმ დროის პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც მეუღლეები ფაქტობრივ თანაცხოვრებაში იმყოფებოდნენ.⁴⁹¹ ქორწინების დრო მოიცავს პერიოდს ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან განქორწინების დავის წამოწყებამდე (განცხადების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში შეტანამდე) და არა იმ მომენტამდე, როცა განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო გახდება. აღნიშნული გამომდინარეობს შემდეგი გარემოებიდან - ოჯახური თანაცხოვრების გეგმის ჩაშლა და მისი დასასრული მეუღლისათვის ცნობილი ხდება იმ მომენტიდან, როდესაც განქორწინების შესახებ განცხადება (ან სარჩელი) შესაბამის ორგანოში იქნება შეტანილი.⁴⁹² მეუღლეთა ხელახლა დაქორწინების შემთხვევაში პირველი ქორწინების ხანგრძლივობა არ გაითვალისწინება.⁴⁹³ გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, ქორწინების ხანმოკლე პერიოდად ორი წელი მიიჩნევა, თუმცა ქორწინება, რომელიც 43 თვე გრძელდება, ჩვეულებრივ აღარ არის ხანმოკლე.⁴⁹⁴ გარკვეულწილად ორწელიწად ნახევარი ზღვრულ ნიშნულად (*Ein Grenzfall*) ითვლება.⁴⁹⁵ მიუხედავად ამისა, კიოლნის უმაღლესი რეგიონალური

⁴⁹¹ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 14.

⁴⁹² იქვე.

⁴⁹³ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 4.

⁴⁹⁴ BGH FamRZ 1981, 140.

⁴⁹⁵ BGH NJW 1982, 2064.

სასამართლოს განმარტების თანახმად, ქორწინების ხანმოკლე ხასიათის შესახებ საკითხი შეიძლება წამოიჭრას ოთხი წლის შემდეგაც.⁴⁹⁶

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქორწინების ხანმოკლე ხასიათი თავისთავად არ განაპირობებს რჩენის მოვალეობისგან მეუღლის გათავისუფლებას ან ამავე მოვალეობის განსაზღვრული ვადით შეცვლას - უფრო მეტიც, აუცილებელია, რომ მოთხოვნა, რომელიც მიმართულია რჩენაზე ვალდებული პირის მიმართ, აშკარად უსამართლო იყოს (*Grob Unbillig*).⁴⁹⁷ მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ქორწინება უკიდურესად ხანმოკლეა, მხოლოდ მისი ხანმოკლე ხასიათი საკმარისია რჩენის მოთხოვნის უფლების აშკარად უსამართლოდ მიჩნევისათვის.⁴⁹⁸ ორ წლამდე ქორწინების შემთხვევაში, უფრო დაბალი მოთხოვნები წაეყენება რჩენის მოთხოვნის აშკარად უსამართლო ხასიათის დამტკიცებას, ხოლო ორ წელზე მეტ ხანს არსებული ქორწინების შემთხვევაში, შესაბამისი მტკიცების სტანდარტი იზრდება.⁴⁹⁹ მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტია არა ის, თუ როგორ მდგომარეობაში იქნებოდა სარჩოს მიმღები მეუღლე ქორწინების გარეშე, არამედ იქნება თუ არა ერთ-ერთი მეუღლისათვის დაკისრებული რჩენის მოვალეობა აშკარა წინააღმდეგობაში სამართლიანობასთან მიმართებით.⁵⁰⁰

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ორიდან სამ წლამდე პერიოდის განმავლობაში ქორწინების არსებობის შემთხვევაში, მისი ხასიათის შესაფასებლად გადამწყვეტი ფაქტორია მეუღლეთა ურთიერთობისა და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება საერთო ცხოვრებისეული მიზნის შესაბამისად.⁵⁰¹ აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, ქორწინება, რომელიც ორ წლამდე პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა შეიძლება არც იყოს მიჩნეული ხანმოკლედ.⁵⁰² ქორწინების ხანმოკლე ხასიათის გათვალისწინებით რჩენის ვალდებულებისგან გათავისუფლება ან მისი განსაზღვრული ვადით შეცვლა გამომდინარეობს იმ არგუმენტაციიდან, რომლის

⁴⁹⁶ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579.

⁴⁹⁷ Niepmann/Kerscher., Die Rechtsprechung zur Höhe des Unterhalts, 15. Aufl. 2023, Rn. 1110.

⁴⁹⁸ BGH NJW 1982, 2064.

⁴⁹⁹ Niepmann/Kerscher., Die Rechtsprechung zur Höhe des Unterhalts, 15. Aufl. 2023, Rn. 1111.

⁵⁰⁰ BGH NJW 1982, 2064.

⁵⁰¹ BGH FamRZ 1999, 710.

⁵⁰² Johanssen/Henrich/Althammer/Hammermann., Familienrecht, 7. Aufl. 2020, BGB § 1579 Rn. 13.

მიხედვით ყოფილი მეუღლეების ურთიერთრჩენის მოვალეობის საფუძველი ის საოჯახო კავშირია, რომელიც ქორწინების განმავლობაში ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ხანმოკლე ქორწინების შემთხვევაში, აღნიშნულმა საოჯახო კავშირმა ვერ შეძლო წარმოშობა და ერთ-ერთი მეუღლისათვის რჩენის მოვალეობის დაკისრების საფუძველი, სულ მცირე განუსაზღვრელი ვადით, პრაქტიკულად არ არსებობს.⁵⁰³

4.2. უღირსი საქციელი

სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-2 ვარიანტის ფარგლებში ნახსენები „უღირსი საქციელი“ ასევე ცნობილია გერმანული სამართლისთვის - კერძოდ, მის ანალოგად შეიძლება დავასახელოთ გსკ-ის 1579-ე პარაგრაფის (რჩენის თანხის შეზღუდვა ან მასზე აშკარა უარი უსამართლობის გამო) მე-7 ნაწილი, რომლის თანახმად „*რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უნდა ითქვას უარი, იგი უნდა შემცირდეს ან შეიზღუდოს ვადით, რამდენადაც ვალდებული პირისათვის სარჩოს გადახდის დაკისრება თუნდაც ზრუნვისა თუ აღზრდისათვის მიზარებული საერთო შვილის ინტერესების გათვალისწინებით აშკარად უსამართლო იქნებოდა, ვინაიდან უფლებამოსილ პირს შეეცდებოდა მისი მხრიდან აშკარად არსებითად არასწორი ქმედება ვალდებული პირის მიმართ*“.⁵⁰⁴ მოცემულ შემთხვევაში გერმანულ დანაწესში დაფიქსირებული ტერმინი „აშკარად არსებითად არასწორი ქმედება“ ატარებს ისეთივე შინაარსობრივ დატვირთვას, როგორიც მოცემულია ქართულ ანალოგში - „უღირსი საქციელი“.

„აშკარად არსებითად არასწორი ქმედების“ რეგულირების ცენტრში მოქცეულია ისეთი შემთხვევა, რომელიც მეუღლეთა მოვალეობების დარღვევას გულისხმობს, განსაკუთრებით საუბარია ერთგულების მოვალეობაზე, კერძოდ, სხვა პარტნიორთან ქორწინების გარეშე ურთიერთობაში შესვლაზე.⁵⁰⁵ გარდა აღნიშნული შემთხვევისა, გერმანული სამართლისთვის ასევე ცნობილია სხვა კატეგორიის შემთხვევებიც, რომელიც

⁵⁰³ Сленко Г.Е., Стражевич Ю.Н., Правовое Регулирование Имущественных Отношений Супругов, Монография, Москва, 2015, 225.

⁵⁰⁴ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორობით, თბილისი, 2019, 390.

⁵⁰⁵ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 73.

ასევე მოიაზრება „აშკარად არსებითად არასწორი ქმედების“ კონცეპტის ფარგლებში. მაგალითად, მარჩენალი მეუღლის უმიზეზოდ მიტოვება ასევე შეიძლება დაკვალიფიცირდეს სერიოზულ გადაცდომად. თუმცა ამგვარი ქმედების ცხადი მიზეზების არარსებობა არ არის საკმარისი, რადგან ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტა ცალკე აღებული, არ უნდა იწვევდეს რაიმე სახის შედეგებს მეუღლეთა რჩენის მიმართულებით.⁵⁰⁶ მოცემულ შემთხვევაში ქმედების შესაბამისი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა არა უბრალოდ ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტა, არამედ მეუღლის ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევა, რომლის მიხედვით ის არღვევს საქორწინო კავშირს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ სოლიდარობის პრინციპის დაცვას მოითხოვს.⁵⁰⁷

გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი ქმედების ჩადენისათვის არ არის დადგენილი რაიმე სახის დრო, რომლის განმავლობაშიც მისი განხორციელება ჩაითვლება სამართლებრივად მნიშვნელოვნად. შესაბამისად, განსახილველი ქმედება შეიძლება მეუღლეთა განქორწინების შემდეგაც განხორციელდეს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ შემთხვევაში, მეუღლეთა ვალდებულებების სტრუქტურა შესუსტებულია და დიდწილად აღარ არსებობს, ეს უკანასკნელი ფაქტორი გავლენას ახდენს ქმედების სიმძიმეზე.⁵⁰⁸ ქმედება, რომელიც განხორციელებულია დაქორწინებამდე, მნიშვნელოვნად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გავლენა აქვს ოჯახური თანაცხოვრების პირობებზე.⁵⁰⁹

„აშკარად არსებითად არასწორი ქმედების“ დახასიათებისას მნიშვნელოვანი კრიტერიუმია - ქმედების „ცალმხრივი“ ხასიათი. ხაზგასასმელია, რომ ცოლ-ქმრული ღალატი (ადიულტერი) ცალკე აღებული, არ არის საკმარისი, მაშინაც როდესაც ფუნდამენტურად ეს ქმედებაა გადაცდომის ფორმა.⁵¹⁰ გერმანიის ფედერალური სასამართლო მიუთითებს საქორწინო კავშირისგან იმდენად მნიშვნელოვან გადახვევაზე, რომელმაც მეორე მეუღლესთან არსებულ ურთიერთობას აშკარად უსამართლო ხასიათი

⁵⁰⁶ იქვე., Rn. 80.

⁵⁰⁷ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 23.

⁵⁰⁸ MüKoBGB/Maurer, 8. Aufl. 2019, BGB § 1579 Rn. 14.

⁵⁰⁹ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 24.

⁵¹⁰ Johannsen/Henrich/Althammer/Hammermann, 7. Aufl. 2020, BGB § 1579.

უნდა შესძინოს.⁵¹¹ ამის გათვალისწინებით, სასამართლო ერთჯერად ცოლ-ქმრულ ღალატს არ მიიჩნევს გადამწყვეტ ფაქტორად ამავე ქმედების უღირს საქციელად კვალიფიკაციისათვის, არამედ ამ უკანასკნელი გარემოების დასადგენად აუცილებელია არსებობდეს სარჩენი მეუღლის მხრიდან წინააღმდეგობრივი ქცევა - როდესაც ეს უკანასკნელი ცოლ-ქმრულ სოლიდარობას მოითხოვს, მიუხედავად მისი მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელებისა, რომლითაც საქორწინო უღელი ირღვევა, რადგან ის საკუთარი მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ ახალ პარტნიორთან იწყებს ურთიერთობას და ამ უკანასკნელის მიმართ გამოხატავს იმ მხარდაჭერასა და ზრუნვას, რომლის გამოხატვაც რეალურად საკუთარი მეუღლის მიმართ სულ მცირე მოვალეობის სახით ეკისრება.⁵¹²

„აშკარად არსებითად არასწორი ქმედების“ განსახორციელებლად არ არის აუცილებელი ქორწინების მსგავს ურთიერთობაში შესვლა, თუმცა საკმარისია.⁵¹³ ასევე საკმარისია, ინტიმური კავშირების არსებობა ცვალებად პარტნიორებთან, როგორც ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტამდე, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგაც.⁵¹⁴ აგრეთვე, ქმედების შესაბამისი კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი ახალ პარტნიორთან სექსუალური კავშირის არსებობა.⁵¹⁵ ინტიმური სატელეფონო ზარების კომერციული პრაქტიკის არსებობა, მეორე მეუღლის ცოდნის გარეშე, ასევე საკმარისი გარემოებაა ამავე ქმედების უღირს საქციელად შეფასებისათვის.⁵¹⁶ ქორწინების განმავლობაში, სხვა პარტნიორთან ახალი ურთიერთობის დაწყება, უღირს ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს მაშინაც, როდესაც აღნიშნულს ადგილი ექნება მეუღლეთა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის პერიოდში.⁵¹⁷

ნებისმიერ შემთხვევაში, უღირსი საქციელი ბრალეულად უნდა იქნეს განხორციელებული ე.ი. სარჩოს მიღებაზე უფლების მქონე მეუღლემ სულ მცირე

⁵¹¹ იქვე., Rn. 105.

⁵¹² იქვე., Rn. 104.

⁵¹³ BGH NJW 1989, 1083.

⁵¹⁴ BGH FamRZ 1983, 670.

⁵¹⁵ KG FamRZ 1989, 868.

⁵¹⁶ OLG Karlsruhe FamRZ 1995, 1488.

⁵¹⁷ BGH NJW 1981, 1214.

გაუფრთხილებლობით უნდა იმოქმედოს.⁵¹⁸ აღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩოს მიმღები მეუღლის ქცევითი პრობლემები, რომელიც გამოწვეულია ავადმყოფობით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უღირს საქციელად.⁵¹⁹

აუცილებელია, რომ „*არსებითად არასწორი ქმედება*“ იყოს „*აშკარა*“. იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს „*აშკარად არსებითად არასწორად*“, ასეთად უნდა ჩაითვალოს საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების შესაბამისად და არა ქორწინების ცალმხრივი გაგების მიხედვით. მაგალითად, არასპორტული პიროვნება ქორწინდება პირზე, რომელიც აქტიური ჩოგბურთელია. დაქორწინების შემდგომ, ჩოგბურთელმა მეუღლემ გაზარდა საკუთარი მონაწილეობის ხარისხი სპორტის ამ სახეობაში. არასპორტული მეუღლის გადმოსახედიდან, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უღირს საქციელს, თუმცა ის არ არის აშკარა, რადგან ცოლის მიერ ინტენსიური აქტივობა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში, აღარ მიიჩნევა საზოგადოების მხრიდან ამორალურ ქმედებად.⁵²⁰

უღირსი საქციელი მიმართული უნდა იყოს სულ მცირე მარჩენალი მეუღლის მიმართ, შესაბამისად, მისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ ამავე ქმედების განხორციელება არ არის საკმარისი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია იგივე ქმედება განხილულ იქნეს უშუალოდ მარჩენალ მეუღლესთან მიმართებით.⁵²¹ უღირსი საქციელის მაგალითად, შეიძლება დასახელდეს ერთ-ერთი მეუღლის მიერ შვილების აღზრდისა და რჩენის ვალდებულების, მათი უფლებებისა და ინტერესების დარღვევა.⁵²² მეუღლის მიერ განხორციელებული ქმედების უღირს საქციელად მიჩნევისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც არაქონებრივი, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის ურთიერთობები ოჯახის ფარგლებში, მაგალითად, მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს ის გარემოება, რომ სარჩენი მეუღლე თავს არიდებდა მეორე მეუღლის მატერიალურ

⁵¹⁸ HK-BGB/Kemper, 12. Aufl. 2023, BGB § 1579 Rn. 18.

⁵¹⁹ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 86.

⁵²⁰ იქვე., Rn. 88.

⁵²¹ იქვე., Rn. 89.

⁵²² Крашенинников П.В., Постатейный комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, Федеральному закону «Об опеке и попечительстве» и Федеральному закону «Об актах гражданского состояния», Москва, 2012, 224.

დახმარებას.⁵²³ აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ უღირს საქციელად შეიძლება ჩაითვალოს სარჩენი მეუღლის ქმედება, რომლის ფარგლებშიც ეს უკანასკნელი ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბოროტად იყენებდა, მაშინაც როდესაც ამგვარ ქმედებას შედეგად არ გამოუწვევია ამავე მეუღლის შრომისუუნარობა, რადგან ეს უკანასკნელი შემთხვევა სსკ-ის 1184-ე მუხლის ცალკე არსებული შემადგენლობაა.⁵²⁴ მოცემულ შემთხვევაში ივარაუდება ის გარემოება, რომ საზოგადოების მიერ ლოთი ან/და ნარკომანი მეუღლის ასოცირება მეორე მეუღლესთან, ამ უკანასკნელის მიმართ უღირს საქციელად შეიძლება ჩაითვალოს.

უღირსი საქციელის განსაზღვრა ამომწურავი სახით პრაქტიკულად შეუძლებელია და მისი განმარტება ყოველი ცალკეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. საორიენტაციოდ შესაძლებელია დამატებით რამდენიმე შემთხვევის დასახელება, რომელიც ასევე ცნობილია გერმანული სასამართლო პრაქტიკისთვის, მაგალითად, სხვა ურთიერთობიდან შეძენილი ბავშვის მეუღლის შვილად გასაღება (1), შვილთან ურთიერთობის შეზღუდვა (2), საერთო საცხოვრებლის მოწყობაზე უარის თქმა (3), შეურაცხყოფელი პუბლიკაციები ადგილობრივ პრესაში (4), მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ბრალდებები (5) თუ სხვა.⁵²⁵

ცალმხრივი ქმედების შესახებ ბრალდება, შეიძლება უკუგდებულ იქნეს ზუსტად იმავე ტიპის საპირისპირო ბრალდებით უღირსი საქციელის შესახებ.⁵²⁶ ასეთ შემთხვევაში სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-2 ვარიანტის გამოყენება გამორიცხულია.

4.3. საკუთარი თავის მიმდე მდგომარეობაში ჩაყენება

სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-3 ვარიანტი მიუხედავად მისი საკმარისად კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვისა მაინც განვრცობაუნარიანად მიიჩნევა.⁵²⁷ კერძოდ, აღნიშნული უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მისი გერმანული ანალოგი (გსკ-ის 1579-ე

⁵²³ Гонгало Б.М., Крашенинников П.В., Михеева Л.Ю., Рузакова О.А., Семейное Право, Москва, 2016, 195.

⁵²⁴ Косова О. Ю., Семейное Право, Иркутск, 2016, 393.

⁵²⁵ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB § 1579 Rn. 7.

⁵²⁶ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 27.

⁵²⁷ რუსთაშვილი გ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 172.

პარაგრაფის მე-4 ნაწილი) შემდეგნაირად არის ფორმულირებული - „*რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უნდა ითქვას უარი, იგი უნდა შემცირდეს ან შეიზღუდოს ვადით, რამდენადაც ვალდებული პირისათვის სარჩოს გადახდის დაკისრება თუნდაც ზრუნვისა თუ აღზრდისათვის მიბარებული საერთო შვილის ინტერესების გათვალისწინებით აშკარად უსამართლო იქნებოდა, ვინაიდან უფლებამოსილმა პირმა შეგნებულად ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში*“.⁵²⁸ მოცემულ შემთხვევაში არ არის საუბარი ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გზით შესაბამისი მეუღლის შრომისუუნარობის გამოწვევაზე, არამედ საუბარია შეგნებულად საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებაზე, რაც თავისთავად არ შემოიფარგლება მხოლოდ ქართული კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევით და მასში მოიაზრება ნებისმიერი საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მეუღლემ თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენოს საკუთარი ნებაყოფლობითი ქმედებით.

იმისათვის, რომ დადგინდეს განსახილველი შემადგენლობის არსებობა, აუცილებელია შესაბამისმა მეუღლემ უშუალოდ გამოიწვიოს საკუთარი მძიმე მდგომარეობა, რაც ცხოვრებისეული სიტუაციების ფართო სპექტრს მოიაზრებს. საორიენტაციო ჩამონათვალის სახით შეიძლება დასახელდეს შემდეგი შემთხვევები, რომლებზეც განსახილველი ნორმის მოქმედება ვრცელდება:⁵²⁹ 1. სათანადო დასაქმების მიზნით პროფესიული განათლების მიღებაზე ან შესაბამისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარის თქმა. 2. საკუთარი ქონების სრულად ან ნაწილობრივ გაფლანგვა, ასევე მისი ფუფუნების საგნებზე დახარჯვა, რაც აღარ შეესაბამება ოჯახური ცხოვრების პირობებს. 3. სასამართლოში არსებული სამართალწარმოების ფარგლებში საკუთარი უფლებების გამოყენებაზე ან სამართლებრივი ზომების მიღებაზე უარის თქმა. 4. თერაპიისათვის, მათ შორის მედიკამენტოზური მკურნალობისათვის განზრახ თავის არიდება. 5. სამსახურის დაკარგვა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენების შედეგად. 6. სხვა მამაკაცისგან დაორსულების შედეგად შეძენილი შვილის მეორე

⁵²⁸ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 390.

⁵²⁹ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 55.

მეუღლისადმი თავს მოხვევა ან ანალოგიური ქმედება მეუღლის ნების საწინააღმდეგოდ ხელოვნური (ინ-ვიტრო) განაყოფიერების შედეგად შვილის შეძენის შემთხვევაში.

ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევას აერთიანებს შემდგომი გარემოება - საკუთარი თავის ნებაყოფლობით მძიმე მდგომარეობაში ჩაყენება და ამასთან ერთად, რჩენის ანაზღაურების მოთხოვნა, რაც კეთილსინდისიერების პრინციპს ეწინააღმდეგება.⁵³⁰

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თუ როგორ განიმარტება მძიმე მდგომარეობაში საკუთარი თავის *ნებაყოფლობით* ჩაყენება. მაგალითად, ალკოჰოლზე დამოკიდებულებით, ასევე სამკურნალო აბებსა ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულებით, ისევე როგორც თვითმკვლელობის მცდელობით განპირობებული მძიმე მდგომარეობა, თავისთავად არ მიიჩნევა ნების შესაბამისად განპირობებულად, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საწინააღმდეგო ზომების მიუღებლობა მაშინ, როდესაც მეუღლეს ჯერ კიდევ გააჩნია საკუთარი მოქმედებისა და ამავე მოქმედებით განპირობებული შედეგის გაცნობიერების უნარი.⁵³¹ საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ნებაყოფლობით ჩაყენებად არ მიიჩნევა შიზოფრენიის განკურნების შეუძლებლობა, როდესაც ეს უკანასკნელი, ამავე ავადმყოფობითაა გამოწვეული.⁵³² გასათვალისწინებელია, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე მითითება და საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენების შემდგომ, მასზე აპელირება, არ ითვლება საპატიო მიზეზად.⁵³³

ბრალეულობის თვალსაზრისით, მოცემულ შემთხვევაში განზრახი ქმედების განხორციელება სავალდებულო არ არის, არამედ საკმარისია სულ მცირე გაუფრთხილებლობა, თუმცა მსუბუქი გაუფრთხილებლობა არ მიიჩნევა ბრალის სათანადო ფორმად.⁵³⁴ ზემოთ აღნიშნული „*ნებაყოფლობითობა*“ აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს რჩენის საჭიროებასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ საჭიროების მქონე მეუღლეს შესაბამისი ქმედების განხორციელების მომენტში გაცნობიერებული

⁵³⁰ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 12.

⁵³¹ BeckOK BGB/Beutler, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 15.

⁵³² იქვე., Rn. 15.

⁵³³ OLG Köln FamRZ 1985, 930.

⁵³⁴ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 56.

უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედების შედეგად რჩენის საჭიროება წარმოიშვება. შესაბამისად, მან სულ მცირე უხეში გაუფრთხილებლობით არ უნდა გაითვალისწინოს არასასურველი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ხოლო თავის მხრივ ნებისმიერი საშუალო გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირისათვის ცხადი უნდა იყოს ამავე შედეგის დადგომის რეალური ალბათობა.⁵³⁵

4.4. დანაშაული

სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-4 ვარიანტი ფორმულირებულია იმგვარად, რომ ის დაკავშირებულია მეუღლის შრომისუუნარობის გამოწვევასთან - „... ან მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენით“. ამავე დანაწესის გერმანული ანალოგი არსებითად განსხვავებულ ფორმულირებას გვთავაზობს - კერძოდ, გსკ-ის 1579-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში, „თუ უფლებამოსილმა პირმა ვალდებული პირის ან ამ უკანასკნელის ახლო ნათესავის მიმართ ბრალეულად ჩაიდინა დანაშაული ან სხვა განზრახი მძიმე გადაცდომა, აღნიშნული წარმოადგენს რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის, მისი შემცირების ან ვადით შეზღუდვის საფუძველს“.⁵³⁶ ერთმნიშვნელოვნად დგინდება შემდეგი განმასხვავებელი ნიშნების არსებობა ქართულ და გერმანულ მოწესრიგებას შორის: 1. ქართული რეგულაციის მიხედვით, სარჩოს მიმღები მეუღლის მიერ ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული უნდა იყოს ამ უკანასკნელის შრომისუუნარობა, ხოლო გერმანული რეგულაცია ასეთ წინაპირობას არ იცნობს. 2. ქართულ რეგულაციაში არ არის დაკონკრეტებული თუ ვის მიმართ შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაული, ხოლო გერმანული რეგულაცია კონკრეტულად განსაზღვრავს დაზარალებულ პირთა წრეს - ვალდებული პირი (მარჩენალი მეუღლე) ან ამ უკანასკნელის ახლო ნათესავი. 3. ქართული რეგულაცია მიუთითებს განზრახი დანაშაულის არსებობის აუცილებლობაზე, მაშინ როდესაც გერმანული რეგულაცია დანაშაულის ნაწილში არ აკონკრეტებს ბრალის ფორმას, რაც გულისხმობს როგორც

⁵³⁵ Johannsen/Henrich/Althammer/Hammermann, 7. Aufl. 2020, BGB § 1579 Rn. 63.

⁵³⁶ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ., რედაქტორებით, თბილისი, 2019, 390.

განზრახი, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი ფორმით დანაშაულის ჩადენას და დამატებით, იგივე რეგულაცია მიუთითებს *სხვა განზრახ მძიმე გადაცდომაზე*.

გერმანულ სამართალში, როგორც *დანაშაულის*, აგრეთვე *სხვა განზრახი მძიმე გადაცდომის* განმარტებისას გამოიყენება ორივე ტერმინის სისხლის სამართლებრივი გაგება და ორივე მათგანი ბრალეული ქმედების განხორციელებას გულისხმობს.⁵³⁷ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 პარაგრაფი განმარტავს დანაშაულისა და გადაცდომის ცნებებს - კერძოდ, ამავე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც დასჯადია სულ მცირე ერთწლიანი თავისუფლების აღკვეთით ან უფრო მეტით. ამავე პარაგრაფის მეორე ნაწილის თანახმად, გადაცდომა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც დასჯადია უფრო მცირე ვადის მქონე პატიმრობით ან ჯარიმით. შესაბამისად, ქართულმა სამართალმაც ჩვეულებრივ უნდა გაიზიაროს გერმანული სამართლის მიდგომა ტერმინის „*დანაშაულის*“ სისხლის სამართლებრივი ფორმით განმარტებასთან დაკავშირებით, თუმცა *სხვა განზრახ მძიმე გადაცდომაზე*, გარდა იმისა, რომ არ მიუთითებს სსკ-ის 1184-ე მუხლის დანაწესი, ის ასევე ცნობილი არ არის ქართული სისხლის სამართლის კოდექსისთვისაც და შესაბამისად მასზე აპელირება სსკ-ის 1184-ე მუხლის ფარგლებში არ უნდა იყოს გამართლებული.

ანალოგიურად, *ახლო ნათესავის* ცნების განმარტებისას გერმანულ სამართალში მიუთითებენ მის სისხლის სამართლებრივ განმარტებაზე (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფზე - პერსონალური და ფაქტობრივი პირობები). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ტერმინის „*ახლო ნათესავის*“ განმარტება წარმოდგენილია ამავე კოდექსის 109-ე მუხლის შენიშვნის სახით - „*ამ კოდექსში ახლო ნათესავად მიიჩნევა: მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე*“. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შენიშვნა თან ერთვის ერთ კონკრეტულ მუხლს (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), მასში მოცემული განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის

⁵³⁷ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 38.

კანონმდებლობას სრულად მიემართება.⁵³⁸ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ ეს განმარტება უნდა იქნეს გაზიარებული სსკ-ის 1184-ე მუხლის კონტექსტში „ახლო ნათესავის“ ტერმინის გამოყენების შემთხვევაშიც.

მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შემდეგი სახის ქმედებები იქნა განხილული რჩენის მოვალეობისგან მარჩენალი მეუღლის გათავისუფლების, ამავე მოვალეობის განსაზღვრული ვადით შეზღუდვის ან შესაბამისი ფულადი თანხის შემცირების კონტექსტში:⁵³⁹ - 1. სხეულის საშიში დაზიანებები. 2. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა. 3. გაუმართლებელი ბრალდებები ძალადობის შესახებ. 4. განგრძობადი ხასიათის მქონე მძიმე შეურაცხყოფა, ცილისწამება ან მძიმე ცრუ ბრალდებები, თუ მათ გააჩნიათ მავნე შედეგები პირად, პროფესიულ ან სოციალურ სფეროში.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას - იმისათვის, რომ მეუღლისათვის მიყენებულმა ფიზიკურმა დაზიანებამ რჩენის კუთხით შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგომა განაპირობოს, აუცილებელია, რომ დაზიანების ხარისხმა გადააჭარბოს მეუღლეთა შორის ჩვეულებრივი კამათისას სხეულის მსუბუქი დაზიანების ფარგლებს.⁵⁴⁰

განსახილველი ნორმის გამოყენების ცენტრალურ შემთხვევად შეიძლება დასახელდეს შემდეგი გარემოება - სარჩოს მიმღებმა მეუღლემ ცრუ ინფორმაცია მიაწოდა სასამართლოს რჩენის შესახებ მიმდინარე დავის ფარგლებში საკუთარი შემოსავლის ან დასაქმების შესაძლებლობის, ასევე ახალი პარტნიორის შესახებ.⁵⁴¹

გადაცდომა განზრახ მძიმე ხასიათს უნდა ატარებდეს იმისათვის, რომ შესაბამისი ნეგატიური სამართლებრივი შედეგების წარმოშობა განაპირობოს რჩენის ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ყველა სახის გადაცდომა გათვალისწინებული უნდა იქნეს განსახილველი ნორმის ქვეშ, მაშინ ხშირად ექნებოდა ადგილი ჩაშლილი ქორწინების შემთხვევაში ნებისმიერი სახის

⁵³⁸ დეტალურად იხ., *ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ.*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011, 50.

⁵³⁹ *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB § 1579 Rn. 5.

⁵⁴⁰ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 11.

⁵⁴¹ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 11.

მუქარის თუ შეურაცხყოფისას, რჩენის ვალდებულებისგან გათავისუფლების მოთხოვნას მარჩენალი მეუღლის მხრიდან, რადგან ზოგადად მეუღლეთა შორის კონფლიქტური სიტუაციები არ არის იშვიათი, განსაკუთრებით კრიზისულ ქორწინებაში.⁵⁴²

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, *დანაშაულის* ცნება განსხვავებით *გადაცდომისგან* ყოველთვის შესაბამისობაშია სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-4 ვარიანტით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან. აქედან გამომდინარე, ის მოიცავს როგორც *დანაშაულის* მცდელობის, ასევე მასში თანამონაწილეობის შემთხვევებსაც.⁵⁴³ დროითი მომენტის თვალსაზრისით, როგორც წესი მნიშვნელოვანია *დანაშაულის/შესაბამისი გადაცდომის* ჩადენის შემდგომ შესასრულებელ ვალდებულებებზე სამართლებრივი ზემოქმედება და ჩვეულებრივ, მანამდე წარმოშობილი საალიმენტო მოთხოვნები ძალაში რჩება. თუმცა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებშია შესაძლებელი *დანაშაულის/შესაბამისი გადაცდომის* ჩადენის მომენტისათვის წარმოშობილ რჩენის მოთხოვნებზეც უარის თქმა, კერძოდ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ *დანაშაულთან* დაკავშირებულმა განსაკუთრებულმა გარემოებებმა აუტანელი გახადოს დაზარალებულისთვის (მარჩენალი მეუღლისთვის) რჩენის ვალდებულებების შესრულება და მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოშობილნი არიან, მათი შესრულება სრულად შეუსაბამო უნდა იყოს სამართლიანობის შესახებ წარმოდგენებთან.⁵⁴⁴

5. ქართული სამართლის მიერ პირდაპირ გაუთვალისწინებელი შემთხვევები

გასათვალისწინებელია, რომ ქართული საოჯახო სამართალი არ იცნობს გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ ერთ-ერთი მეუღლის რჩენის მოვალეობისგან გათავისუფლების ან განსაზღვრული ვადით ცვლილების საფუძვლებს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გერმანული სამართლის მიერ აღიარებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და ის ღია დათქმა, რომელსაც გსკ

⁵⁴² Niepmann/Kerscher., Die Rechtsprechung zur Höhe des Unterhalts, 15. Aufl. 2023, Rn. 1119.

⁵⁴³ Johannsen/Henrich/Althammer/Hammermann, Familienrecht, 7. Aufl. 2020, BGB § 1579 Rn. 53.

⁵⁴⁴ იქვე., Rn. 55.

ითვალისწინებს: „1. უფლებამოსილი პირი ცხოვრობს მყარ საქორწინო კავშირში. 2. უფლებამოსილი პირი შეგნებულად არ უწყევდა ანგარიშს ვალდებული პირის არსებით ქონებრივ ინტერესებს. 3. უფლებამოსილი პირი დაშორებამდე ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უხეშად არღვევდა თავის ვალდებულებას, საკუთარი წვლილი შეეტანა ოჯახის რჩენაში. 4. არსებობს სხვა საფუძველი, რომელიც ისეთივე მძიმეა, როგორც №1-7-ში მოცემული საფუძველები“ (სსკ-ის 1579-ე პარაგრაფი).⁵⁴⁵ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჩამოთვლილი შემადგენლობებიდან არც ერთი მათგანი არ არის სახელდებით, პირდაპირ გათვალისწინებული სსკ-ის 1184-ე ან რომელიმე სხვა ნორმატიული დანაწესის ფარგლებში.

5.1. მყარი საქორწინო კავშირი

მიუხედავად იმისა, რომ საუბარია საქორწინო კავშირზე, მასში მაინც არ იგულისხმება ყოფილი მეუღლის ხელახალი დაქორწინება. ეს უკანასკნელი შემთხვევა გათვალისწინებულია სსკ-ის 1186-ე მუხლით და სარჩოს მიღების უფლების მოსპობის ერთ-ერთი საფუძველია. მოცემული საკანონმდებლო ჩანაწერის ფარგლებში, გერმანული სამართალი მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როგორიცაა განქორწინებული მეუღლის მიერ ახალ პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყება მასთან დაქორწინების გარეშე. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს არა ქორწინებას და შესაბამისად ოჯახის წარმოშობას, არამედ მის მსგავს თანაცხოვრების ფორმას, გერმანული სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს პარტნიორთა მყარ კოჰაბიტაციას, ჩვეულებრივი ურთიერთობისგან. კერძოდ, გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტების თანახმად, სარჩოს მიღების უფლება არ წყვეტს არსებობას ავტომატურად მას შემდეგ, რაც განქორწინებულმა მეუღლემ ხელახალი დაქორწინების გარეშე ახალ პარტნიორთან ურთიერთობა დაიწყო.⁵⁴⁶ გადაწყვეტი მნიშვნელობისაა, დაიწყო თუ არა ყოფილმა მეუღლემ (სარჩოს მიმღებმა) კონსოლიდირებული (ჩამოყალიბებული)

⁵⁴⁵ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 390.

⁵⁴⁶ BGH FamRZ 1980, 40.

ფორმით ახალ პარტნიორთან ურთიერთობა, რამაც საბოლოოდ უნდა დაარღვიოს ყოფილ მეუღლეთა შორის არსებული ცოლ-ქმრული სოლიდარობა და ერთმნიშვნელოვნად ცხადად აქციოს ის გარემოება, რომ ამავე მეუღლეს აღარ ესაჭიროება რაიმე სახის კავშირის ქონა ყოფილ მეუღლესთან.⁵⁴⁷ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყოფილ მეუღლესა და ახალ პარტნიორს შორის ფორმირებული იყოს მყარი სოციალური კავშირი. სოციალურ-ეკონომიკური, გრძელვადიანი სახის კავშირის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ იმ შემთხვევაში, თუ განქორწინებული მეუღლის ახალ პარტნიორს, ეკონომიკურად შეუძლია მისი რჩენა, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, გააჩნია თუ არა ამავე ახალ პარტნიორს საკმარისად სერიოზული მიზეზი განქორწინებულ მეუღლესთან ახლო მომავალში დასაქორწინებლად.⁵⁴⁸ გერმანული სასამართლო პრაქტიკის ფარგლებში ასევე გარკვეულწილად იდენტიფიცირებულია მყარ სოციალურ კავშირზე მიმანიშნებელი ფაქტორები, კერძოდ:⁵⁴⁹ საერთო საცხოვრებელი (1), შაბათ-კვირის ერთად გატარება (2), ერთად დასვენება (3), საერთო შვილის ყოლა ახალი ურთიერთობიდან (4), ნიშნობის ბეჭდების ტარება (5) თუ სხვა. განქორწინებულ მეუღლესა და ახალ პარტნიორს შორის ახალი თანაცხოვრების შეწყვეტის შემთხვევაში, სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლება კვლავ შეიძლება განახლდეს საერთო შვილების ინტერესების ან/და ქორწინების შემდგომი სოლიდარობის გათვალისწინებით.⁵⁵⁰

ქართულ სამართალში, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მსგავსი დანაწესი წარმოდგენილია სსკ-ის 1186-ე მუხლის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი შეეხება სარჩოს მიმღები მეუღლის ხელახლა დაქორწინების შემთხვევაში სარჩოს მიღების უფლების მოსპობას, გამართლებული უნდა იყოს კანონის ანალოგიის წესით მისი გამოყენება ზემოთ განხილული შემთხვევის მიმართ.

⁵⁴⁷ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 6.

⁵⁴⁸ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 6.

⁵⁴⁹ იქვე., Rn. 7.

⁵⁵⁰ BGH NJW 2011, 3089.

5.2. მარჩენალი მეუღლის არსებითი ქონებრივი ინტერესებისთვის ზიანის მიყენება

სარჩოს მიმღებმა მეუღლემ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რომელსაც შეუძლია გრძელვადიანი ზიანი მიაყენოს მარჩენალი მეუღლის ქონებრივ ინტერესებს და აღნიშნულის მეშვეობით გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს რჩენის მოვალეობის შესრულება.⁵⁵¹ მოცემულ შემთხვევაში დაცულია არა მხოლოდ ქონება ვიწრო გაგებით, არამედ მარჩენალი მეუღლის მიერ გამომუშავებული შემოსავალი და მისი გაზრდის რეალური შესაძლებლობაც.⁵⁵²

გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით შემდეგი შემთხვევები მიიჩნევა განსახილველი ნორმის შემადგენლობის სფეროში არსებულად:⁵⁵³ ქურდობა (1), შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდის დამალვა (2), ქონებრივი ნამატის (მოგების) გათანაბრებისთვის ხელის შეშლა (3) და სხვა. აგრეთვე, მანამ სანამ ერთ-ერთი მეუღლე საგადასახადო ორგანოში ნებაყოფლობით წარადგენს შევსებულ დეკლარაციას, ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ ვალდებულია წინასწარ გააფრთხილოს მეორე მეუღლე აღნიშნულის თაობაზე, იმისათვის, რომ მას მიეცეს შესაძლებლობა შეუერთდეს საგადასახადო დეკლარაციის ნებაყოფლობითი წარდგენის პროცედურას.⁵⁵⁴

ქართული სამართლის ფარგლებში არ დგინდება ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც მიუთითებდა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაზე. შესაბამისად, თავისი შინაარსით ყველაზე ახლოს მდგომი ვარიანტი, რომელიც სსკ-ის 1184-ე მუხლით არის გათვალისწინებული - *უღირსი საქციელია* და მისი ფართოდ განმარტების შედეგად, ამავე ცნებამ უნდა მოიცვას განსახილველი შემთხვევა.

⁵⁵¹ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 59.

⁵⁵² იქვე., Rn. 60.

⁵⁵³ *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB § 1579 Rn. 7.

⁵⁵⁴ OLG Schleswig NJW-RR 2013, 517.

5.3. ოჯახის რჩენაში საკუთარი წვლილის შეტანის ვალდებულების უხეში დარღვევა

მოცემულ შემთხვევაში ობიექტურად უნდა დადგინდეს რჩენის ვალდებულებების უხეში დარღვევა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქორწინების პირობებში, წყვილის ფაქტობრივ დაშორებამდე ე.ი. როდესაც „სარჩოს მიმღები მეუღლე, მარჩენალ მეუღლესთან ფაქტობრივ დაშორებამდე, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უხეშად არღვევდა ვალდებულებას, საკუთარი წვლილი შეეტანა ოჯახის რჩენაში“.⁵⁵⁵ კერძოდ, საუბარია გსკ-ის 1360-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობაზე - „მეუღლეები ვალდებული არიან ერთმანეთის მიმართ თავიანთი შრომითა და ქონებით უზრუნველყონ ოჯახის სათანადო რჩენა“.⁵⁵⁶ განსახილველი ნორმა არ შეეხება რჩენის ვალდებულების შეუსრულებლობას განცალკევებულად ცხოვრების შემთხვევაში (გსკ-ის 1361-ე პარაგრაფი).⁵⁵⁷

განსახილველი ნორმის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ის, რომ ოჯახის რჩენის ვალდებულების დარღვევა დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს, რაც ვერ იქნება განსაზღვრული წინასწარ, ზოგადად მიღებული მინიმალური ვადით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განცალკევებით ცხოვრების დაწყებამდე ქორწინების მთელი პერიოდის გათვალისწინებით - მაგალითად, თუ მეუღლეებმა ხანმოკლე დრო გაატარეს ქორწინებაში, როგორც წესი რჩენის ვალდებულების მნიშვნელოვან დარღვევებს ადგილი არ აქვს, რადგან მეუღლეები ჯერ კიდევ არ არიან ეკონომიკურად საკმარისად დაახლოებულნი.⁵⁵⁸ როგორც წესი ხანგრძლივ პერიოდად, მოცემულ შემთხვევაში, სულ მცირე ერთი წელი მიიჩნევა.⁵⁵⁹ ოჯახის რჩენის ვალდებულების უხეშად დარღვევისათვის ასევე აუცილებელია, რომ შესაბამისი ოჯახი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს მეუღლის მიერ რჩენის ვალდებულების დარღვევის გამო ან ამავე მძიმე მდგომარეობის დაძლევა შესაძლებელი უნდა იყოს მარჩენალი

⁵⁵⁵ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 390.

⁵⁵⁶ იქვე., 346.

⁵⁵⁷ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 67.

⁵⁵⁸ იქვე., Rn. 69.

⁵⁵⁹ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 21.

მეუღლის მიერ მხოლოდ განსაკუთრებული ძალისხმევის ხარჯზე იმ ამოცანების საკუთარ თავზე აღებით, რომელიც სარჩენ მეუღლეს უნდა შეესრულებინა.⁵⁶⁰

ქართული სამართლის ფარგლებში ასევე არ დგინდება ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც მიუთითებდა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაზე. შესაბამისად, თავისი შინაარსით ყველაზე ახლოს მდგომი ვარიანტი, რომელიც სსკ-ის 1184-ე მუხლით არის გათვალისწინებული - *უღირსი საქციელია* და მისი ფართოდ განმარტების შედეგად ამავე ცნებამ უნდა მოიცვას განსახილველი შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ ოჯახის რჩენის ვალდებულება, როგორც ასეთი, პირდაპირ არ არის განსაზღვრული რომელიმე ნორმის საფუძველზე, თუმცა გსკ-ის 1360-ე და 1360ა პარაგრაფებით გათვალისწინებულ ნორმატიულ შინაარსზე დაყრდნობით, ამავე ვალდებულების ამოკითხვა შესაძლებელია მაგალითად, სსკ-ის 1198-ე მუხლის მე-2 ნაწილის, (მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება) ასევე სსკ-ის 1212-ე მუხლის ფარგლებში (მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ).

5.4. ღია დათქმა

ღია დათქმის უმთავრესი ფუნქციაა, რომ მოიცვას ნებისმიერი სახის მძიმე გადაცდომა მეუღლეთა შორის ურთიერთობაში, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ბრალის დადგენა ვერ ხერხდება გსკ-ის 1579-ე პარაგრაფის მე-3 და მე-5 ნაწილების გაგებით, ასევე ვერ ხერხდება ცალმხრივი ქმედების დადგენა ამავე პარაგრაფის მე-7 ნაწილის შესაბამისად.⁵⁶¹ განსახილველი ნორმის გამოყენების მაგალითად, გერმანულ სამართალში დასახელებულია შემდეგი შემთხვევა - განქორწინებული მეუღლის მიერ ხელახლა დაქორწინებაზე უარის თქმა იმ მიზნით, რომ მან შეინარჩუნოს ყოფილი მეუღლისგან სარჩოს მიღების უფლება.⁵⁶² აგრეთვე, აღსანიშნავია ისეთი შემთხვევებიც, როგორიცაა

⁵⁶⁰ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 70.

⁵⁶¹ *BeckOK BGB/Beutler*, 68. Ed. 1.11.2023, BGB § 1579 Rn. 28.

⁵⁶² BGH NJW 1984, 2692.

მაგალითად, განცალკევებით ცხოვრების პერიოდი 10 წელზე მეტი ვადით (1), ცოლის მიერ ქმრისათვის ხელის შეშლა იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა დროულად სადავოდ გახადოს საერთო შვილის საოჯახო სტატუსი (2) და სხვა.⁵⁶³

ღია დათქმა მოიცავს როგორც იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც სარჩოს მიმღები მეუღლის ბრალით არის განპირობებული (სუბიექტური კომპონენტი), აგრეთვე იმ გარემოებებს და საერთო ცხოვრების დონის განვითარების მიმართულებით არსებულ ცვლილებებს, რომლის ფარგლებშიც მეუღლეთა დადანაშაულება გამორიცხულია (ობიექტური კომპონენტი).⁵⁶⁴ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გარკვეული ხარისხით გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის გამოყენების მართლზომიერებაც შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, არგუმენტაციის სისრულეზე, ზოგად საღ აზრსა და ემპირიულ პრინციპებზე დაყრდნობით.⁵⁶⁵

ქართული სამართლის ფარგლებში არ დგინდება ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც მიუთითებდა ზემოთ აღნიშნული ღია დათქმის გამოყენების შესაძლებლობაზე. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ ნორმის განმარტების ალტერნატიული მეთოდები: 1. ცალკეულ შემთხვევაში სსკ-ის 1184-ე მუხლის მე-3 ვარიანტით გათვალისწინებული ცნების - *უღირსი საქციელის* ფართოდ განმარტება და 2. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება/გამოყენება. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევებიც, რომელიც ვერ იქნება მოქცეული ვერც *უღირსი საქციელის* და ვერც კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედების ფარგლებში, მაგალითად განცალკევებით ცხოვრების პერიოდი 10 წელზე მეტი ვადით. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში არსებული ღია დათქმა მოიცავს როგორც ბრალზე დამოკიდებულ შემთხვევებს (გსკ-ის 1579-ე პარაგრაფის მე-3-მე-7 ნაწილები) აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როდესაც მარჩენალი მეუღლისათვის მისი მეუღლის რჩენა არაგონივრულია ობიექტური

⁵⁶³ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB § 1579 Rn. 8th.

⁵⁶⁴ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1579 Rn. 92.

⁵⁶⁵ იქვე., Rn. 93.

გარემოებებიდან გამომდინარე (გსკ-ის 1579-ე პარაგრაფის პირველი და მე-2 ნაწილები).⁵⁶⁶ ასეთ ობიექტურ გარემოებას მაგალითად, განეკუთვნება ხანმოკლე ქორწინება. ეს უკანასკნელი გარემოება ცნობილია სსკ-ის 1184-ე მუხლის პირველი ვარიანტისთვის. შესაბამისად, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე რჩენის ვალდებულებისგან მეუღლის გათავისუფლება ან მისი განსაზღვრული ვადით შეცვლა, უცნობი არ არის ქართული სამართლისთვისაც, თუნდაც ეს უკანასკნელი გარემოება არ იყოს დაკავშირებული კეთილსინდისიერების პრინციპთან. შესაბამისად, მაშინ როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, არაგონივრული ან/და უსამართლო იქნება მეუღლის მიმართ რჩენის ვალდებულების ძალაში დატოვება, ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით ურთიერთობის მოწესრიგებაზე მიუთითებს (სამართლის ანალოგია).⁵⁶⁷

⁵⁶⁶ *Niederl K.*, OLG Bamberg: Verwirkung von Trennungs-unterhalt bei Geltendmachung nach 10-jähriger Trennungszeit, NZFam, Heft 23, 2014, 1095.

⁵⁶⁷ **შენიშვნა:** სარჩოს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით იხ., დანართი N 3.

დასკვნა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში არსებული მსჯელობის გათვალისწინებით, მოცემულ თავში ჩამოყალიბებულია დასკვნითი დებულებები (თეზისების) სახით. მოცემული თავი შედგენილია ნაშრომის სტრუქტურის მიხედვით. შესაბამისად, ცალ-ცალკე, ინდივიდუალურ დონეზეა წარმოდგენილი და განხილული კვლევის შედეგები.

I. *ნაშრომის პირველ ნაწილთან მიმართებით:*

1. მეუღლეთა ქონებრივი სისტემების ფუნქციური დახასიათებისას ხაზგასასმელია ის საერთო თვისება, რომლის მატარებელიც მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული - გადავადებული და შეზღუდული თანასაკუთრების სისტემები არიან. აღნიშნული საერთო თვისებაა შედარებით სუსტი მეუღლის ე.ი. ცოლის ეკონომიკური დაცვა, განსაკუთრებით განქორწინების და ქორწინების შეწყვეტის შემთხვევებში.

2. მეუღლეთა ქონებრივი სისტემებისთვის დამახასიათებელ საერთო ნიშან-თვისებად მეუღლის არაპირდაპირი წვლილის უნივერსალური ხასიათი უნდა დასახელდეს, რაც გაითვალისწინება მეუღლეთა თანასაკუთრების შეძენისა და გაყოფის პროცესში.

3. მეუღლეთა თანასაკუთრების ქართული რეჟიმის ანალოგს გერმანული სამართლით გათვალისწინებული საერთო ქონების რეჟიმი წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ იცნობს შემდეგ ქონებრივ დიფერენციაციას - 1. საერთო ქონება; 2. პირადი ქონება და 3. გამოყოფილი ქონება.

4. ხსენებული ორი მართლწესრიგით გათვალისწინებული ქონებრივი რეჟიმები მეუღლეთა შორის ურთიერთობებში ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებით წარმოიშვება - გერმანული საერთო ქონების რეჟიმი სანოტარო წესით დამოწმებული საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით, ხოლო ქართული თანასაკუთრების რეჟიმი კანონის საფუძველზე ფორმირებული სისტემაა.

მიუხედავად წარმოშობის განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებისა, შესადარი სისტემების საერთო ნიშნები ძირითადად მსგავსია.

5. გერმანულ სამართალში პირადი ქონების კატეგორიის დახასიათების შედეგად, აღსანიშნავია, რომ ამავე სამართალში არსებული გადაწყვეტა გადაცემაუვნარო უფლებების ერთ-ერთი მეუღლის პირადი ქონებისადმი მიკუთვნებასთან დაკავშირებით, ქართული სამართლის მიერაც გასაზიარებელია. შესაბამისად, არაგადაცემადი ხასიათის გამო, ასეთი კატეგორიის ქონება ვერ გადაიქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად და აღნიშნულის გათვალისწინებით, მისგან მიღებული ნაყოფი, მეუღლეთა საერთო ქონებად მიიჩნევა.

6. გერმანიაში პირველადი კანონისმიერი რეჟიმი ქონებრივი სეპარაციის პრინციპს ემყარება, შესაბამისად, ქონებაზე, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებად არ გადაიქცევა და გამოყოფილი ქონების კატეგორიაში დარჩება, გავრცელდება ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების უფლება, თუმცა საპირისპიროდ, საქართველოში პირველადი კანონისმიერი კონსტრუქცია საერთო ქონების რეჟიმია და აღნიშნულიდან გამომდინარე, მეუღლის ინდივიდუალური ქონებიდან მიღებული ნაყოფი, აგრეთვე ამავე ქონების გასხვისების შედეგად შეძენილი ახალი ქონებაც, კანონის ძალით, ავტომატურად მოექცევა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმში.

II. *ნაშრომის მეორე ნაწილთან მიმართებით:*

1. ქართულ სამართალში მეუღლეთა თანასაკუთრება თანაზიარი ბუნების მქონეა. საერთო თანაზიარი საკუთრების შემთხვევაში, უფლებებისა და მოვალეობების მატარებლები მისი წევრები არიან და არა რაიმე სახის სამართლის სუბიექტი (მაგალითად, იურიდიული პირი), რომელიც მისი წევრებისგან კონცეპტუალურად დამოუკიდებელი იქნებოდა. განყენებული სახით მეუღლეთა ერთობას არ მიემართება ქმედუნარიანობის თვისება, რის გამოც ის ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება მიჩნეული სამართლის სუბიექტად.

2. მეუღლეთა თანასაკუთრებისთვის დამახასიათებელ უმთავრეს თავისებურებად წილთა განუსაზღვრელობა უნდა დასახელდეს. საერთო ქონების გაყოფამდე, არცერთი მეუღლის წილი არ არის წინასწარ განსაზღვრული.

3. ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების შეძენისას (უძრავი ქონების შემთხვევაში მხოლოდ საკუთარ სახელზე რეგისტრაციისას), ამავე ქონებასთან დაკავშირებით ავტომატურად წარმოიშვება თანასაკუთრება, მეუღლეთა მხრიდან ყოველგვარი შემდგომი ქმედებების გარეშე.

4. ქონების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისას მნიშვნელობა ენიჭება არა იმ გარემოებას, თუ რომელი მეუღლის სახელზე შეიძლება იყოს რეგისტრირებული ქონება, არამედ იმ გარემოებას, თუ რა იყო ის გზა (*Source*), რომლის მეშვეობითაც შესაბამისი ქონების შეძენა განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მხოლოდ ერთი მეუღლის სახელზე რეგისტრაციის შემთხვევაში, სსკ-ის 1158-ე მუხლიდან გამომდინარე მეორე მეუღლეს ჩასწორების მოთხოვნის უფლება წარმოეშვება.

5. არარეგისტრირებული მეუღლის მიერ რეესტრის ჩანაწერის ჩასწორების მოთხოვნის რეალიზაცია, წარმოადგენს არა თანასაკუთრების უფლების მოპოვების წინაპირობას, არამედ ამავე უფლების საკანონმდებლო დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს.

6. საქართველოში შესაბამისი ექსპლიციტური ნორმატიული საფუძვლის არარსებობის პირობებში, აუცილებელია სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრდეს ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილების კრიტერიუმი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორიცაა: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის ნამდვილობა (1), ერთ-ერთი მეუღლისათვის სარჩოს მინიჭების მოთხოვნის მასშტაბი (2) და მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის ფარგლები (3).

7. საერთო ქონების არაგამსხვისებელი მეუღლის თანხმობა, სასამართლოს მიერ სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევებში, როდესაც:

1. გამსხვისებელი მეუღლე ერთმნიშვნელოვნად პირადი მიზნებისთვის იყენებს საერთო

ქონებას. 2. შესაბამისი გარიგება „დიდი მოცულობის“ გამო ვერ ჩაითვლება ოჯახური საჭიროების დაფარვის მიზნით დადებულიად.

8. სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის განმარტება მიზანშეწონილია ოჯახის, როგორც ურთიერთზრუნვაზე დამყარებული პიროვნული ერთობის პარადიგმის ცნებაზე დაყრდნობით. საერთო ქონება ოჯახის შენარჩუნების უმთავრესი წყაროა და ზემოთ აღნიშნული პიროვნული ერთობის პარადიგმისგან გადახვევა განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებშია გამართლებული.

9. მეუღლის პირადი საჭიროების გამო, მისთვის სარჩოს გადახდის ვალდებულების შესრულება არ უნდა იქნეს მიჩნეული არაპირდაპირ წვლილად ოჯახის საჭიროებების სფეროში.

10. ქართული სამართლისთვის ცნობილია საერთო ქონების ერთობლივი მართვის პრინციპი, თუმცა მეუღლეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ დაადგინონ თითოეული მათგანის მიერ საერთო ქონების მართვის ინდივიდუალური უფლებამოსილება.

11. ქართული სამართალი მეუღლეთა ინფორმირების ვალდებულებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუმცა მისი არსებობა დგინდება „*ოჯახური ერთობის*“ ცნებიდან.

III. *ნაშრომის მესამე ნაწილთან მიმართებით:*

1. მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის განმაპირობებელი საფუძველი საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტი, რომელიც უძრავი ნივთების შემთხვევაში ამავე უფლების სულ მცირე ერთ-ერთი მეუღლის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან არის დაკავშირებული.

2. დაქორწინებამდე არსებული სახსრებით, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ახალ ქონებაზე, მეუღლეთა თანასაკუთრება უნდა გავრცელდეს. ანალოგიურად, ინდივიდუალური ქონების გასხვისების შედეგად შეძენილ თანხაზე, აგრეთვე ამ თანხის სანაცვლოდ შეძენილ ახალი ქონებაზეც, მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოიშევა.

3. სსკ-ის 1158-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსის გათვალისწინებით, დგინდება ქართველი კანონმდებლის სამართლებრივ-პოლიტიკური ხასიათის მქონე არჩევანი, რომელიც მნიშვნელოვანწილად მეუღლეთა ინდივიდუალური რესურსების გაერთიანების სასარგებლოდ არის გაკეთებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც საერთო ქონების, აგრეთვე ინდივიდუალური ქონების ნაყოფი მეუღლეთა საერთო ქონებას განეკუთვნება.

4. ჩუქების სამართლებრივი ბედი მჩუქებლის ნების შესაბამისად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. გარკვეულ შემთხვევებში, მჩუქებლის ნების დადგენა ნივთის სამეურნეო დანიშნულების მიხედვით გამართლებულია, რადგან ის შეიძლება ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდეს ჩუქების ინდივიდუალურ ან საერთო ხასიათზე.

5. ორივე მეუღლის ქმედებისგან დამოუკიდებელი მიზეზის არსებობის, მაგალითად, ინფლაციის გამო ინდივიდუალური ქონების საბაზრო ღირებულების ზრდის შემთხვევაში, განსახილველი ქონება მესაკუთრე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში დარჩება.

6. მეუღლეთა შორის ჩუქებისას, როგორც წესი, ივარაუდება, რომ მეუღლე ოჯახის სიმყარის მიღწევის/შენარჩუნების მიზნით ასაჩუქრებს მეორე მეუღლეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩუქება უსასყიდლოდ დაჯილდოების მიზანს ემსახურება.

7. ერთ-ერთი მეუღლის ნათესავის მიერ გაჩუქებული ნივთი, როგორც წესი, უნდა მიემატოს დასაჩუქრებული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას და არა მეუღლეთა საერთო ქონებას. თუმცა ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა მჩუქებლის ნების განმარტებას უნდა მიენიჭოს.

8. ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შემთხვევაში, სამკვიდრო ქონების სამართლებრივი ბედი, მამკვიდრებლის ნების შესაბამისად უნდა იქნეს გადაწყვეტილი. მამკვიდრებლის ნების განმარტების პროცესში, სამკვიდრო ქონების სამეურნეო დანიშნულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამავე ნების შინაარსის დასადგენად.

9. გაუნადგებელი შერეული საბანკო ანგარიშის შემთხვევაში უნდა დადგინდეს ცალკეული ოდენობის თანხის წარმომავლობის საკითხი და აღნიშნულის მიხედვით განისაზღვროს თითოეულის საკუთრებითი რეჟიმი.

10. შერეული საბანკო ანგარიშიდან განაღდებული თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ ის გამოყენებული იქნება ოჯახისთვის განკუთვნილი ხარჯების დასაფარად.

11. სსკ-ის 1158-ე მუხლით გათვალისწინებული მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი ვრცელდება საწარმოს კაპიტალში ერთ-ერთი მეუღლის წილზე, იმ შემთხვევაში, თუ წილი არ არის გასხვისებული.

12. ინდივიდუალური ქონების სუბროგაციის შედეგად შეძენილი ქონება, ცალკეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას განეკუთვნება.

13. იმ შემთხვევაში როდესაც ქონებათა გაცვლის გარდა, ადგილი აქვს დამატებითი თანხის გადახდასაც, მაშინ ჩამნაცვლებელი ქონება უნდა განეკუთვნებოდეს იმ ქონებრივ მასას (საერთოს ან ინდივიდუალურს), საიდანაც უმეტესი ხარჯი იქნა გაწეული, ხოლო როდესაც ინდივიდუალური და საერთო ქონება თანაბრად იხარჯება, არჩევანი მეუღლეთა თანასაკუთრების სასარგებლოდ უნდა იქნეს გაკეთებული.

14. ქონების ინდივიდუალური სარგებლობის ნივთად კვალიფიკაციისათვის, აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით საკითხის გადაწყვეტა - 1. ქონების შეძენის მიზანი. 2. ოჯახის მატერიალური მდგომარეობა (დაგროვილი დოვლათი). 3. ნივთის ფუნქციური დატვირთვა.

15. საავტორო უფლებები, შესაბამისი ავტორი-მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების სფეროს განეკუთვნება, თუმცა მისი გამოყენების სანაცვლოდ მიღებული შემოსავალი მეუღლეთა თანასაკუთრებაა, რადგან ინდივიდუალური ქონების ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნაყოფის მეუღლეთა თანასაკუთრებისადმი მიკუთვნების წესი მოცემულ შემთხვევაშიც ძალაში უნდა დარჩეს.

16. პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთების სამართლებრივი რეჟიმი შემდეგნაირად უნდა განისაზღვროს - მოცემული კატეგორიის ნივთები მეუღლეთა საერთო ქონების მასაში გაითვალისწინება და ამავდროულად შესაბამის მეუღლეს გააჩნია გადაბარების უფლება, რომლის გამოყენებაც საერთო ქონების გაყოფის პროცესშია შესაძლებელი. იმ შემთხვევაში თუ მას გადაეცემა ისეთი ნივთები, რომელთა ღირებულებაც მის კუთვნილ წილს აღემატება, მაშინ მეორე მეუღლეს მიეცემა შესაბამისი

კომპენსაცია. აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში მეორე მეუღლეს გააჩნია ნივთის დაკავების უფლება (სსკ-ის 369-ე მუხლი), რომელიც შეუძლია დაუპირისპიროს გადაბარების მოთხოვნას.

17. სსკ-ის 1163-ე მუხლის კონტექსტში, ის გარემოება, თუ რომელმა მეუღლემ რა ხარჯი გასწია ინდივიდუალურ ქონებაზე, განსაზღვრავს ამავე ინდივიდუალური ქონების საერთო თანასაკუთრებად აღიარების საფუძველს და არა თითოეული მეუღლის წილობრივ განაწილებას წარმოშობილი თანასაკუთრების ფარგლებში. ხარჯების გაწევაში არ მოიაზრება აუცილებლად ქორწინების განმავლობაში მოპოვებული ქონების გამოყენება, არამედ შესაძლებელია ხარჯის სახით გაღებულ იქნეს დაქორწინებამდე არსებული ან ნებისმიერი სხვა ინდივიდუალური ქონებაც.

18. სსკ-ის 1163-ე მუხლში დაფიქსირებული ტერმინი - „*ხარჯების გაღება*“ არ გულისხმობს დანახარჯების კონდიქციის შემადგენლობის არსებობას, რომელიც სსკ-ის 987-ე მუხლის საფუძველზეა გათვალისწინებული.

19. სსკ-ის 1163-ე მუხლში დაფიქსირებული ცნება - „*ქონების ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა*“ უნდა განიმარტებოდეს იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რამდენად განიცდის განსახილველი ქონების საბაზრო ღირებულება არსებით ზრდას, ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შედეგად.

IV. *ნაშრომის მეოთხე ნაწილთან მიმართებით:*

1. ოჯახური ერთობის ჩაშლა გამოიხატება იმაში, რომ მეუღლეთა თანაცხოვრების ვალდებულება უქმდება. იმის გათვალისწინებით, რომ ცოლ-ქმრული სიყვარული აღარ არსებობს, მეუღლეთა თანაცხოვრების შეწყვეტა თავის მხრივ განაპირობებს თანასაკუთრების გაუქმებას. ოჯახური ერთობის ჩაშლის პერიოდის განმავლობაში თითოეული მეუღლის მიერ შეძენილ ქონებაზე აღარ ვრცელდება საერთო ქონების რეჟიმი და თანასაკუთრების გაყოფის შემთხვევაშიც, ასეთი ქონება არ დაექვემდებარება გაყოფის პროცესს, თუმცა სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს გარემოება საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობას, რაც იმის მანიშნებელია,

რომ კანონის ძალით, ავტომატურად ე.წ. *Ex Lege* ეფექტით შესაბამისი შედეგი არ დადგება.

2. ოჯახური ერთობის ჩაშლის კვალიფიკაციისათვის გამართლებულია კანონის ანალოგიის სახით სსკ-ის 1341-ე მუხლის გამოყენება და იმ გარემოების განსაზღვრა, რომლის მიხედვით მეუღლის ქონებრივი უფლების გაქარწყლებისათვის აუცილებელია მეუღლეთა შორის ოჯახური ერთობის ჩაშლა სულ მცირე 3 (სამი) წლის განმავლობაში.

3. როგორც ოჯახური ერთობის ჩაშლის, აგრეთვე ცალ-ცალკე ცხოვრების კვალიფიკაციისათვის, 3 (სამი) წელი ის აუცილებელი პერიოდი უნდა იყოს, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლოს შეეძლება ცალკეული ქონების უშუალოდ შემძენი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად აღიარება, მეუღლეთა მხრიდან შესაბამისი განზრახვის არსებობის პირობებში.

4. სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლებში დაფიქსირებული ცნება - „ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესი“, ფართოდ უნდა განიმარტებოდეს კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით და მოიცავდეს ისეთ შემთხვევებსაც, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევად, მაგალითისთვის, შეიძლება დასახელდეს ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქონების არასწორი მართვა, რაც ზიანს აყენებს ოჯახის საერთო ან/და მეორე მეუღლის ქონებრივ ინტერესებს.

5. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის ფიზიკურ პირებზე გაუვრცელებლობის პირობებში, მეუღლეთა თანასაკუთრების გაუქმების ერთ-ერთ შესაძლო საფუძვლად ვერ ჩაითვლება მეუღლის გადახდისუუნარობა.

6. ქართულ სამართალში კრედიტორისათვის საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნის უფლების მინიჭებას, სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. თუმცა კრედიტორს შეუძლია დააყადაღოს მოვალე მეუღლის საერთო ქონების გაყოფის მოთხოვნა, რის შესაძლებლობასაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს.

7. მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი გაუქმდება დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სახსრებით შეძენილი ქონების მიმართ, ხოლო დანარჩენი ქონების ნაწილში, შესაბამისი რეჟიმი შენარჩუნდება.

8. საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგაც, აღნიშნული რეჟიმი გარკვეულწილად აგრძელებს საკუთარ არსებობას მანამ, სანამ საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება მეუღლეებს შორის არ იქნება განაწილებული და აგრეთვე, შესაბამისი მეუღლე ცალკეულ საგნებს თან არ წაიღებს, მაგალითად, გადაბარების უფლების საფუძველზე, პროფესიული ნივთების შემთხვევაში.

9. იმ შემთხვევაში, თუ საერთო ქონების რეჟიმის გაუქმებამდე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალურად იმართებოდა თანასაკუთრება, ლიკვიდაციის ეტაპზე მხოლოდ ერთობლივადაა შესაძლებელი მისი მართვა, გარდა ე.წ. *ორმაგი კეთილსინდისიერების* შემთხვევისა.

10. ზოგადი წესი, რომლის თანახმად ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება, ლიკვიდაციის ეტაპზე ახლად შეძენილი ქონების მიმართ აღარ გამოიყენება, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა.

11. საერთო ქონების სალიკვიდაციო ეტაპი მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საფეხურებს: 1. საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრა - საერთო ქონების შემადგენლობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი რეჟიმის დასრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით. საერთო ქონების რეჟიმის დასრულების მომენტი განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო რეჟიმის შეწყვეტის საფუძველი. 2. საერთო ქონების შემადგენლობის საბაზრო ღირებულების დადგენა - საბაზრო ღირებულების დასადგენად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს საერთო ქონების საბოლოო გაყოფის დღე.

12. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალური ქონების გამოყენების შედეგად თანასაკუთრების გაუმჯობესების შემთხვევაში, გამოყენებული პირადი ქონება, აგრეთვე მისი გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგი (ხარჯის გაწევის სანაცვლოდ ნივთის გაუმჯობესება), მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი

სანაცვლო ანაზღაურების გარეშე (მათ შორის, დანახარჯების კონდიქციის გამორიცხვით), თუ საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმებული არ არის ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.

13. საერთო ვალდებულებების შესრულებასა და მეუღლეთა კომპენსატორულ მოთხოვნებს თანაბარი რანგი უნდა მიენიჭოთ.

V. ნაშრომის მეხუთე ნაწილთან მიმართებით:

1. ერთ-ერთი მეუღლის მიერ ოჯახური საქიროებების დაკმაყოფილების მიზნით ვალდებულების აღება, ამავე ვალდებულების მეუღლეთა საერთო ვალად აღიარების საფუძველია.

2. მეუღლეთა საერთო ვალდებულების შესრულება შესაძლებელია მათი ინდივიდუალური ქონებითაც, როდესაც საერთო ქონება არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

3. ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური ვალდებულების შესრულებისას, როდესაც ინდივიდუალური ქონება არ არის საკმარისი კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აღნიშნული ვალდებულება ამავე მეუღლის იმ წილის მეშვეობით უნდა შესრულდეს, რომელიც მას საერთო ქონებაში გააჩნია.

4. ერთ-ერთი მეუღლის მიერ დაქორწინებამდე აღებული ვალდებულება, ამავე მეუღლის ინდივიდუალურ ვალს განეკუთვნება, რაც ქართული საოჯახო სამართლის პოლიტიკას შეესაბამება.

VI. ნაშრომის მეექვსე ნაწილთან მიმართებით:

1. იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლეთა თანასაკუთრება გაიყოფა საერთო ვალდებულების შესრულებამდე, თითოეული მეუღლე პასუხს აგებს საერთო ვალდებულებისათვის, როგორც სოლიდარული მოვალე. თავის მხრივ აღნიშნული პასუხისმგებლობა იმ მეუღლისათვის, რომელიც საერთო ქონების გაყოფამდე პასუხს არ აგებდა, შემოიფარგლება უშუალოდ იმ ქონებით, რომელიც მან საერთო ქონების გაყოფის შედეგად მიიღო.

2. სსკ-ის 1169-ე მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს საერთო ვალდებულებების შესრულების პრიმატს საერთო ქონების გაყოფის მიმართ. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ მეუღლეთა საერთო ვალდებულებების სფეროს, თუნდაც მხოლოდ მათი გაყოფის კონტექსტში, ზემოთ აღნიშნული მუხლი აწესრიგებს, შესაბამისად, ამავე მუხლის ფარგლებში დგინდება ხსენებული რიგითობაც.

3. მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პროცესში ანალოგიის წესით გამოყენებულ უნდა იქნეს საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმები, გარდა სსკ-ის 965-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 968-ე მუხლის დანაწესისა.

4. სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რეგულაცია უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ მეუღლეთა საერთო არასრულწლოვან შვილზე, არამედ ნაშვილებზეც. საერთო ქონების გაყოფისას მხოლოდ მეუღლეებისა და მათი საერთო არასრულწლოვანი შვილების ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც გამორიცხავს იმ მესამე პირთა ინტერესების მხედველობაში მიღებას, რომლებსაც არავითარი კავშირი აქვთ მეუღლეთა თანასაკუთრების მიმართ, მაგალითად, სხვა ქორწინებიდან არასრულწლოვანი შვილების ან შრომისუუნარო მშობლების ინტერესები.

5. სასამართლოს მიერ არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ საალიმენტო მოვალეობის განსაზღვრის შემდგომ, სსკ-ის 1168-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნეს: 1. ერთ-ერთი მეუღლის ყურადსადები ინტერესის არსებობის შემთხვევაში ან/და 2. არასრულწლოვანი შვილების ისეთი ინტერესების არსებობის შემთხვევაში, რომელიც არ არის მოცული მშობლისთვის დაკისრებული საალიმენტო მოვალეობით.

6. მეუღლის შრომისუუნარობის ცნება ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული და მოიცვას ე.წ. დეკვალიფიკაციის შემთხვევაც, როდესაც მეუღლე საოჯახო საქმეების გაძღოლის მიზეზით ვერ ახერხებს სამსახურის შოვნას.

7. „მეუღლის ყურადსადები ინტერესების“ ცნება სასამართლოს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ საერთო ქონებაში მეუღლის წილის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ისეთი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომელიც არ

არის ექსპლიციტურად კანონში დაფიქსირებული. ამავე ცნების შინაარსის გაფართოება კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

8. მეუღლეთა საერთო ვალის გაყოფის მიზნით, სასამართლოს შეუძლია სსკ-ის 204-ე მუხლის ანალოგიის საფუძველზე დაადგინოს კრედიტორის თანხმობის სავალდებულოობა.

9. მეუღლეთა საერთო გაყოფადი ვალდებულება უნდა გაიყოს თანასაკუთრების გაყოფის პროცესში.

10. მეუღლეთა საერთო განუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე აღნიშნული ვალდებულება უნდა შესრულდეს სოლიდარული წესით და მხოლოდ ამის შემდეგ გაიყოს მეუღლეთა თანასაკუთრება.

11. სსკ-ის 1171-ე მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მეუღლეთა შორის ქორწინება მართალია წლების განმავლობაში ფაქტობრივად შეწყვეტილია, თუმცა თავის მხრივ განქორწინება არ არის რეგისტრირებული.

VII. *ნაშრომის მეშვიდე ნაწილთან მიმართებით:*

1. მიზანშეწონილია სსკ-ის 1172-ე მუხლის პირველ ნაწილის შინაარსს „დასაქორწინებელი პირების“ კატეგორია დაემატოს.

2. ქართულ სამართალში საქორწინო ხელშეკრულება მეუღლეთა მხოლოდ ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, რაც ევროპული მოდელის გაზიარებაზე მეტყველებს (ამერიკულის საპირისპიროდ).

3. გაუმართლებელია ისეთი ნორმის არსებობა, რომელიც ბლანკეტურად, ინდივიდუალური შეფასების გარეშე ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღების საქორწინო ხელშეკრულების დადების სავალდებულოობას იმ შემთხვევაშიც, თუ პირს გარიგებების დადების ნაწილში მხარდამჭერი არ ჰყავს დანიშნული. შესაბამისად, სსკ-ის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის სამომავლო რედაქცია უნდა ჩამოყალიბდეს ქმედუნარიანობის საკანონმდებლო სისტემის ფარგლებში განხორციელებული რეფორმის მიზნის გათვალისწინებით.

4. ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ პერიოდშიც დაშვებულია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საფუძველზე შესაბამისი პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადება.

5. საქორწინო ხელშეკრულების დასადებად, სანოტარო წესის დაცვის გარდა, აუცილებელია ორივე მხარის ერთდროული თანდასწრება.

6. საქორწინო ხელშეკრულების მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი სამართლებრივი სარგებლის მომტანი გარიგების ძალაში დატოვების შესახებ.

7. ფორმის დაუცვლელად დადებული საქორწინო ხელშეკრულება ბათილია და აღნიშნული მოთხოვნა კატეგორიულ ხასიათს ატარებს, კერძოდ, დაუშვებელია ფორმის ნაკლის გამოსწორება ფაქტობრივი შესრულების გზით, მიუხედავად ბათილობის პოტენციურად მძიმე შედეგებისა.

8. საქორწინო ხელშეკრულების ფარგლებში, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგდეს არამატერიალური ხასიათის გარემოებებზე დაყრდნობით.

9. არასრულწლოვანი შვილების რჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ალიმენტის ოდენობის გონივრულობას განსაზღვრავს არა მეუღლეთა შორის არსებული შეთანხმება, არამედ უპირველეს ყოვლისა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

10. საქორწინო ხელშეკრულების დადების გზით შესაძლებელია განქორწინების სამართლებრივი შედეგების გამორიცხვა, თუმცა აღნიშნული შესაძლებლობის გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ამავე შედეგების მარეგულირებელი ნორმების დაცვითი მიზნის ჩაშლა.

11. სსკ-ის 1179-ე მუხლის მე-2 ნაწილი გამოყენებული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც სსკ-ის 54-ე მუხლის ასამოქმედებლად შესაბამისი წინაპირობების არსებობა არ დგინდება, ხოლო ამასთან ერთად, ერთ-ერთი მეუღლე მაინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

12. სსკ-ის 1181-ე და 398-ე მუხლებს შორის მიმართება შემდეგია - როდესაც ადგილი არ აქვს გარიგების საფუძვლად მდებარე გარემოების ცვლილებას ან მხარეთა ორმხრივი წარმოდგენების გაცუდებას, რაც წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას სსკ-ის 398-ე მუხლით მისადაგებისათვის, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სასამართლომ მეუღლეთა საქორწინო სახელშეკრულებო ურთიერთობა დაარეგულიროს სსკ-ის 1181-ე მუხლის შესაბამისად.

13. სსკ-ის 1179-ე მუხლი მიემართება აკრძალვას, რომელიც საქორწინო ხელშეკრულების დადების ეტაპზე უნდა იქნეს მეუღლეთა მიერ დაცული ხოლო სსკ-ის 1181-ე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს ისეთი პირობების მიმართ, რომლებიც საქორწინო ხელშეკრულების დადების შემდეგ ე.ი. მოგვიანებით შეცვლილი გარემოებების გამო, ერთ-ერთი მეუღლისათვის უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობას ჰქმნიან. თავის მხრივ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია პატივსადები მიზეზის არსებობაც.

14. ქართული სასამართლოების მიერ *არასათანადო ზეგავლენის პრეზუმფციის* დასადგენად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ხელშეკრულების ობიექტური შინაარსის, არამედ იმ გარემოებების გათვალისწინებაც, რომლის ფარგლებშიც სადავო პირობა/პირობები შეთანხმდა.

VIII. *წარმომის მერვე ნაწილთან მიმართებით:*

1. მატერიალური დახმარების საჭიროების დადგენისთვის მეუღლის შრომისუუნარობის ფაქტის არსებობა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია მას ესაჭიროებოდეს ამგვარი დახმარება.

2. საერთო ქონების გაყოფის პროცესში მხედველობაში მიიღება ისეთი ხარისხისა და სიმძიმის შრომისუუნარობა, რომელიც ვერ იქნება დაფარული მხოლოდ ალიმენტის გადახდის მეშვეობით.

3. ტერმინი „*შრომისუუნარობა*“ ფართოდ განიმარტება და მოიცავს მეუღლის დაუსაქმებლობას არა მხოლოდ შრომის უნარის არქონის, არამედ სათანადო სამუშაოს ვერ შოვნის შემთხვევაშიც. განქორწინებული მეუღლისათვის ზოგადი განათლების,

კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიზნით სარჩოს დაკისრების შესაძლებლობა, შრომისუუნარობის ცნების ექსტენსიური განმარტების მეშვეობით მიიღწევა.

4. ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან 3 წლიანი პერიოდის საფუძვლით სარჩოს დაკისრების უმთავრესი წინაპირობა საერთო შვილის არსებობაა, რაც სსკ-ის 1182-ე მუხლის დანაწესიდან პირდაპირ არ იკითხება, თუმცა გამომდინარეობს ოჯახური თანაცხოვრების მიზნიდან.

5. სსკ-ის 1182-ე მუხლის მე-2 წინადადების „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული რჩენის მოთხოვნის უფლება რანგით უკან იხევს არასრულწლოვანი შვილისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულების წინაშე.

6. ერთ-ერთი მეუღლის მატერიალური საჭიროება განეკუთვნება სარჩოს მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის არსებით წინაპირობას. თუმცა მისი არსებობა არ არის საკმარისი სარჩოს მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის, რადგან დამატებით აუცილებელია სარჩოს გადახდაზე ვალდებულ პირს შესწევდეს შესაბამისი ფინანსური/ქონებრივი უნარი გადაიხადოს სარჩო.

7. იმ საკითხის გადაწყვეტისას, გააჩნია თუ არა მეუღლეს საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა სარჩოს გადასახდელად, სასამართლომ უნდა დაადგინოს შემდეგი გარემოებების არსებობა: 1. შემოსავლების ოდენობა. 2. მოვალეობები, რომლებიც სხვა პირების რჩენასთანაა დაკავშირებული. 3. მოვალეობები, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავშირებულნი პირების რჩენასთან.

8. სსკ-ის 1184-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩოს მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის ნეგატიურ წინაპირობებს ე.ი. ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც არ უნდა არსებობდნენ იმისათვის, რომ შესაბამისი მოთხოვნის უფლება წარმოიშვას.

9. მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონების ცნება ფართო მნიშვნელობის მატარებელია, რადგან საკუთარი თავის რჩენაში მოიაზრება არა მხოლოდ შესაბამისი აქტივების ფლობა, არამედ მათი რეალიზაციის შესაძლებლობაც.

10. სარჩენი პირის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება არა მხოლოდ ფაქტობრივად მიღებული შემოსავლებით, არამედ მისი უნარით იმუშაოს და გამოიმუშავოს ანაზღაურება.

11. ორიდან სამ წლამდე პერიოდის განმავლობაში ქორწინების არსებობის შემთხვევაში, მისი ხასიათის შესაფასებლად გადამწყვეტი ფაქტორია მეუღლეთა ურთიერთობისა და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება საერთო ცხოვრებისეული მიზნის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, ქორწინება, რომელიც ორ წლამდე პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა შეიძლება არ იყოს მიჩნეული ხანმოკლედ.

12. უღირსი საქციელის განსაზღვრა ამომწურავი სახით პრაქტიკულად შეუძლებელია და მისი განმარტება ყოველი ცალკეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

13. უფლებამოსილი პირის მიერ შეგნებულად საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებისას, საუბარი არ არის მხოლოდ ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გზით შრომისუუნარობის გამოწვევაზე, არამედ მასში მოიაზრება ნებისმიერი საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია მეუღლემ თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაიყენოს საკუთარი ნებაყოფლობითი ქმედებით.

14. „*ნებაყოფლობითობა*“ აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს რჩენის საჭიროებასთან, რაც ნიშნავს იმას, რომ საჭიროების მქონე მეუღლეს შესაბამისი ქმედების განხორციელების მომენტში გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედების შედეგად რჩენის საჭიროება წარმოიშვება. შესაბამისად, მან სულ მცირე უხეში გაუფრთხილებლობით არ უნდა გაითვალისწინოს არასასურველი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ხოლო თავის მხრივ ნებისმიერი საშუალო გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირისათვის ცხადი უნდა იყოს ამავე შედეგის დადგომის რეალური ალბათობა.

15. ქართულმა სამართალმა უნდა გაიზიაროს გერმანული სამართლის მიდგომა ტერმინის „*დანაშაულის*“ სისხლის სამართლებრივი ფორმით განმარტებასთან დაკავშირებით, თუმცა „*სხვა განზრახ მძიმე გადაცდომაზე*“, გარდა იმისა, რომ არ

მიუთითებს სსკ-ის 1184-ე მუხლის დანაწესი, ის ასევე ცნობილი არ არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისთვისაც და შესაბამისად მასზე აპელირება სსკ-ის 1184-ე მუხლის ფარგლებში არ უნდა იყოს გამართლებული.

16. განქორწინებული მეუღლის მიერ ახალ პარტნიორთან თანაცხოვრების დაწყება მასთან დაქორწინების გარეშე, გერმანული სამართლის მიხედვით ერთ-ერთი მეუღლის რჩენის მოვალეობისგან გათავისუფლების ან მისი განსაზღვრული ვადით ცვლილების საფუძველია. მსგავსი დანაწესი წარმოდგენილია სსკ-ის 1186-ე მუხლის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მუხლი შეეხება სარჩოს მიმღები მეუღლის ხელახლა დაქორწინების შემთხვევაში სარჩოს მიღების უფლების მოსპობას, გამართლებული უნდა იყოს კანონის ანალოგიის წესით მისი გამოყენება ზემოთ განხილული შემთხვევის მიმართ.

17. უღირსი საქციელის ფართოდ განმარტების შედეგად, ამავე ცნებამ უნდა მოიცვას შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირი შეგნებულად არ უწევდა ანგარიშს ვალდებული პირის არსებით ქონებრივ ინტერესებს.

18. უღირსი საქციელის ფართოდ განმარტების შედეგად, ამავე ცნებამ უნდა მოიცვას შემთხვევა, როდესაც უფლებამოსილი პირი დაშორებამდე ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უხეშად არღვევდა თავის ვალდებულებას, საკუთარი წვლილი შეეტანა ოჯახის რჩენაში.

19. როდესაც ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, არაგონივრული ან/და უსამართლო იქნება მეუღლის მიმართ რჩენის ვალდებულების ძალაში დატოვება, ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც სამართლის ზოგად პრინციპებზე დაყრდნობით ურთიერთობის მოწესრიგებაზე მიუთითებს (სამართლის ანალოგია).

20. სარჩოს ოდენობის განსაზღვრის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები: 1. ოჯახის ცხოვრების სტანდარტი. 2. ფინანსური რესურსი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სარჩოს მიმღებმა მეუღლემ საკუთარი მატერიალური საჭიროებები დაიკმაყოფილოს, რაც თავის მხრივ ოჯახის ცხოვრების სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. 3. მარჩენალი მეუღლის მიერ

სარჩოს გადახდის უნარი. 4. რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირის არსებობისას, სარჩოს მიღების უფლებათა რიგითობა. 5. რჩენის მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები - როგორც თანხის ოდენობის, ასევე რჩენის ხანგრძლივობის კუთხით.

21. სასამართლომ სარჩოს ოდენობა უნდა განსაზღვროს არა სარჩოს მიმღები მეუღლის მოთხოვნილებების მიხედვით, არამედ ოჯახური ცხოვრების სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ქორწინების განმავლობაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა.

22. როდესაც ოჯახში ერთი მეუღლე დაკავებულია შემოსავლის გამომუშავებით, ხოლო მეორე მეუღლე საოჯახო მეურნეობის გაძლოლით, ასეთ დროს გაითვალისწინება როგორც პირველი მეუღლის მიერ მიღებული შემოსავლების ოდენობა, აგრეთვე მეორე მეუღლის მხრიდან გაწეული საოჯახო საქმიანობა (სახლის მოვლა, შვილების აღზრდა), რადგან ეს უკანასკნელიც განაპირობებს ოჯახის ცხოვრების სტანდარტის ფორმირებას.

23. ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დადგენის პროცესში მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონების განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვანია მეორე მხრივ დადგინდეს ყოფითი ხარჯების ოდენობაც, რომელიც მოიცავს როგორც ყოველდღიურ, ასევე განსაკუთრებულ ხარჯებს.

24. სარჩოს ოდენობის ცვლილებას საფუძვლად შეიძლება დაედოს არა უბრალოდ ერთ-ერთი მეუღლის შეცვლილი მატერიალური ან/და ოჯახური მდგომარეობა, არამედ იმგვარად შეცვლილი მდგომარეობა, რომლის წინასწარი პროგნოზირება შესაძლებელი უნდა იყოს - განქორწინებული მეუღლეების შემთხვევაში განქორწინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია (მიღების თარიღი: 24/08/1995).
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღების თარიღი: 26/06/1997).
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მიღების თარიღი: 14/11/1997).
4. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 16/04/1999).
5. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მიღების თარიღი: 22/07/1999).
6. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 29/04/1998).
7. რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი (მიღების თარიღი: 18/09/2020).

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. *ავტორთა კოლექტივი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი V, თბილისი, 2000.
2. *ავტორთა კოლექტივი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017.
3. *ავტორთა კოლექტივი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 2018.
4. *ავტორთა კოლექტივი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021.
5. *ავტორთა კოლექტივი*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბილისი, 2011.
6. *ბიჭია მიხეილ*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის თავისებურებები საქართველოს სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, № 01(61), 2019.

7. *ბორონი ანდრეა*, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2016.
8. *ბურდული ირაკლი*, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისი, 2008.
9. *ბურდული ირაკლი*, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2010.
10. *გაბისონია ზვიად*, ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2011.
11. *გაბუნია მონიკა*, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის სამართლებრივი სტანდარტი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა N1(3), 2015.
12. *გვარაკიძე ნინო*, მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებული თანასაკუთრების რეჟიმი, თბილისი, 2019.
13. *გვიშიანი ლელა*, ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2016.
14. *ზარანდია თამარ*, საზიარო უფლებების სამართლებრივი ბუნება და ზოგადი დახასიათება, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, № 6, 2022.
15. *ზარანდია თამარ*, საზიარო საგნის მართვა და განკარგვა, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, № 7, 2022.
16. *ზარანდია თამარ*, სანივთო სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2016.
17. *ზარნაძე ეკა*, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება, ქართული სამართლის მიმოხილვა, N 10/2007-1.
18. *ზოიძე ბესარიონ*, სანივთო სამართალი, თბილისი, 2003.
19. *ზოიძე ოთარ*, კომენტარი 2022 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, 2004.
20. *ზოიძე ოთარ*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის რეჟიმი, ქართული კერძო სამართლის კრებული, თბილისი, 2004.

21. ზურაბიანი ლაშა, ამხანაგობის გამიჯვნის პრობლემატიკა ნარდობისა და სხვა ტიპის ხელშეკრულებებისაგან, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №2, 2020.
22. თუმანიშვილი გიორგი, საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, 2010.
23. კალანდაძე თეა, მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, მართლმსაჯულება და კანონი, N 2 (29), 2011.
24. კროპჰოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, დარჯანიას თ., და ჭეჭელაშვილის ზ., თარგმანი, ჩაჩანიძის ე., დარჯანიას თ., და თოთლაძის ლ., რედაქტორობით, თბილისი, 2014.
25. ლომაჯანიძე დავით, მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის შესახებ საქმეთა განხილვის თავისებურებანი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N 2, 2013.
26. მელაძე გიორგი, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის წესი, სამართლის ჟურნალი, N 1, 2021.
27. მელაძე გიორგი, მეუღლეთა ქონებრივი ვალდებულებები, სამართლის ჟურნალი, N 2, 2022.
28. მესხიშვილი ქეთევან, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების საფუძვლები „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თბილისი, 2021.
29. ნაჭყებია ნანა, მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, მართლმსაჯულება, N 3, 2008.
30. ნინუა ეკატერინე, მეუღლეთა ურთიერთობების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, № 03(34), 2012.
31. რუსიაშვილი გიორგი, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები, შედარებითი სამართლის ჟურნალი, № 10, 2020.
32. რუსიაშვილი გიორგი, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015.

33. *რუსიაშვილი გიორგი*, უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადება, თბილისი, 2020.
34. *რუსიაშვილი გიორგი*, კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015.
35. *ფხალაძე ნიკოლოზ*, მეუღლეთა საერთო საკუთრების კანონისმიერი რეჟიმი, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, № 14, 2020.
36. *ქანთარია გიორგი*, *ჯგერენაია ვერიკო*, მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, № 8, 2018.
37. *ქანთარია ბექა*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.
38. *ქურდაძე შალვა*, *ხუნაშვილი ნინო*, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2012.
39. *შენგელია რომან*, *შენგელია ეკატერინე*, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, 2019.
40. *შენგელია რომან*, *შენგელია ეკატერინე*, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011.
41. *შოშიაშვილი ნინო*, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები საწარმოო პრაქტიკაში, თბილისი, 2004.
42. *ჩაჩავა სოფიო*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, თბილისი, 2011.
43. *ჩიკვაშვილი შალვა*, საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004.
44. *ჩიკვაშვილი შალვა*, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის სამართლებრივი პრობლემები, სამართალი N 11-12, 2002.
45. *ჩიტაშვილი ნათია*, შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, თბილისი, 2015.
46. *ჭანტურია ლადო*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

47. *ჭეჭელაშვილი ზურაბ*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019.

48. *ხუნაშვილი ნინო*, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2016.

გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 30 სექტემბრის განჩინება № ას-934-2022.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 სექტემბრის განჩინება № ას-700-2022.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 15 ივნისის განჩინება № ას-438-2021.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 29 აპრილის განჩინება № ას-1400-2020.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 19 აპრილის განჩინება № ას-516-2020.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 22 თებერვლის განჩინება № ას-806-2021.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის განჩინება № ას-767-2021.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის განჩინება № ას-116-2020.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 26 მარტის განჩინება № ას-195-2019.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინება № ას-545-2020.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს განჩინება № ას-259-2019.
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის განჩინება № ას-963-2018.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 19 აპრილის განჩინება № ას-72-2019.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განჩინება № ას-1183-2018.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის განჩინება № ას-1646-2018.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის განჩინება № ას-131-131-2018.
17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება № ას-180-169-2017.
18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განჩინება № ას-733-733-2018.
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინება № 1334-1254-2017.
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 2 მარტის განჩინება № ას-1426-1346-2017.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 ივლისის განჩინება № ას-752-703-2017.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 თებერვლის განჩინება № ას-605-579-2016.
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 3 იანვრის განჩინება № ას-372-356-2016.

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-222-212-2016.
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 ივლისის განჩინება № ას-569-540-2015.
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის განჩინება № ას-315-300-2016.
27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 ივნისის განჩინება № ას-621-588-2015.
28. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 16 მარტის განჩინება № ას-7-7-2016.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის განჩინება № ას-516-489-2015.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განჩინება № ას-521-494-2014.
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-290-276-2013.
32. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-531-505-2013.
33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 ნოემბრის განჩინება № ას-964-922-2013.
34. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 14 იანვრის განჩინება № ას-1155-1084-2012.
35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინება № ას-981-922-2012.
36. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ივლისის განჩინება № ას-1029-964-2012.
37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 02 ივლისის განჩინება № ას-870-816-2012.

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 28 ივნისის განჩინება № ას-97-93-2012.
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება № ას-704-659-2010.
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 იანვრის განჩინება № ას-1078-1345-09.
41. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება № ას-960-1162-08.
42. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 08 სექტემბრის გადაწყვეტილება № ას-33-483-06.
43. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-650-943-05.
44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 06 ოქტომბრის გადაწყვეტილება № ას-708-1000-05.
45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 23 სექტემბრის განჩინება № ას-414-738-05.
46. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 მარტის განჩინება № ას-1094-1336-04.
47. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 15 აპრილის განჩინება № 3კ/446-03.
48. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება № 3კ/932-02.
49. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება № 3კ/990-01.
50. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება № 3კ/519-01.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკა

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება № 28/6774-14.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება № 28/500-09.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის განჩინება № 1/8/1433.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება N 2/4/532, 533.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები

1. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007.
2. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბილისი, 2011.

ნორმატიული აქტები

1. Denmark - Act On Legal Effects Of Marriage (მიღების თარიღი: 28.04.1857).
2. Bulgarian Family Code (მიღების თარიღი: 28.06.1968).
3. Portuguese Civil Code (მიღების თარიღი: 26.11.1966).
4. Swiss Civil Code (მიღების თარიღი: 10.12.1907).
5. Lithuanian Civil Code (მიღების თარიღი: 18.07.2000).
6. Council of Europe Committee of Ministers, Resolution (78) 37 on Equality of Spouses in Civil Law, (მიღების თარიღი: 27.09.1978).
7. European Regulation on Matrimonial Property Regimes Council Regulation (EU) 2016/1103 (მიღების თარიღი: 24.06.2016).
8. Семейный кодекс Российской Федерации (მიღების თარიღი: 08.12.1995).

ინგლისურენოვანი ლიტერატურა

1. *Aleksandrova Maria A., Fedorova Olga A.*, Features of the Legal Regime Governing the Personal Property of Spouses in Russia, Vestnik of Saint Petersburg University Law, Vol. 2021.
2. *Alexander Gregory S.*, The New Marriage Contract and the Limits of Private Ordering, Indiana Law Journal, Vol. 73:503, 1998.
3. *Antokolskaia Masha*, The New Aspects of Russian Family Law, California Western International Law Journal, Vol. 31, 2000.
4. *Authors' Collective*, Principles of European Family Law Regarding Property Relations between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013.
5. *Boele-Woelki Katharina*, Common Core and Better Law in European Family Law, Antwerp-Oxford, 2005.
6. *Buda Calin*, Good Faith and Abuse of Law in Civil Legal Acts, Annales Universitatis Apulensis Series Jurisprudentia, Vol. 24, 2021.
7. *Conway Helen L.*, Key Cases: Family Law, London, 2007.
8. *Crown B.C.*, Property Division on Dissolution of Marriage, Malaya Law Review, N 30, 1988.

9. *Dalpane Mariya Baideldinova*, Matrimonial Property and Its Contractual Regulation in Kazakhstan, The International Survey of Family Law, London, 2011.
10. *David Meta S.*, Legal Guardianship of Individuals Incapacitated by Mental Illness: Where Do We Draw the Line, Suffolk University Law Review, Vol. XLV:465, 2012.
11. *De Oliveira Guilherme, Cid Nuno de Salter*, Family Law in Portugal, International Survey of Family Law, Vol. 1996.
12. *Fee Jason*, Undue Influence Inspirations from Australia, Hong Kong Law Journal, Vol.48, 2018.
13. *Freeman Michael*, Exploring the Boundaries of Family Law in England in 2000, International Survey of Family Law, Vol. 2002, 2002.
14. *Grigiene Jurgita, Cerka Paulius, Stuikyte-Skuzinskiene Milda*, Unequal Contributions: Problems within the Division of Shares in Joint Community Property, Baltic Journal of Law and Politics, Vol. 13, N 1.
15. *Hamilton Vivian*, Principles of U.S. Family Law, Fordham Law Review, Vol.75, 2006.
16. *Izquierdo Alexia Oliva, Rodriguez Antonio Manuel Oliva, Izquierdo Antonio Manuel Oliva*, Matrimonial Property Regimes Throughout the World, Madrid, 2018.
17. *Judiasih Sonny Dewi, Yuanitasari Deviana, Inayatillah Revi, Salim Elycia Feronia*, Postnuptial Agreement: A Comparison of Legal Systems in Indonesia and Other Countries, Journal of Legal, Ethical and Regulatory Issues, Vol. 24, 2021.
18. *Kabra Isha*, Matrimonial Property Laws in India: Need of the Hour, Nirma University Law Journal, Vol. 5, 2015.
19. *Kaesling Katharina*, Spousal Support after Divorce in Germany, Houston Journal of International Law, Vol. 41:3, 2019.
20. *Kaerdi Martin*, Regulation of Limitation Periods in Estonian Private Law: Historical Overview and Prospects, Juridica International, VI, 2001.
21. *Kisthardt Mary Kay*, Re-thinking Alimony: The AAML's Considerations for Calculating Alimony, Spousal Support or Maintenance, Journal of the American Academy of Matrimonial Lawyers, Vol. 21, 2008.
22. *Knetsch Jack L.*, Some Economic Implications of Matrimonial Property Rules, University of Toronto Law Journal, 34, 1984.
23. *Králičková Zdenka*, On the Family and Family Law in the Czech Republic, Ferenc Mádl Institute of Comparative Law, 2021.

24. *L'Heureux-Dube Claire*, Equality and the Economic Consequences of Spousal Support: A Canadian Perspective, *University of Florida Journal of Law and Public Policy*, Vol.7, 1994.
25. *Lown Peter J. M., Bendiak Frances L.*, Matrimonial Property - The New Regime, *Alberta Law Review*, Vol. XVII, 1979.
26. *McClean A. J.*, Matrimonial Property - Canadian Common Law Style, *Toronto Law Journal*, Vol. 31, 1981.
27. *Moldovan Iosif Florin*, Matrimonial Regimes in the New Romanian Civil Code, *International Journal of Juridical Sciences*, Vol. 7, 2013.
28. *Newcombe Caroline Bermeo*, The Origin and Civil Law Foundation of the Community Property System, Why California Adopted It and Why Community Property Principles Benefit Women, *University of Maryland Law Journal of Race, Religion, Gender and Class*, Vol. 11, 2011.
29. *O'Kelly Marcia*, Entitlements to Spousal Support after Divorce, *North Dakota Law Review*, Vol. 61:225, 1985.
30. *Ong Debbie Siew Ling, Thean Valerie*, Family Law, *Singapore Academy of Law Annual Review of Singapore Cases*, Vol. 2001.
31. *Parkinson Patrick*, Quantifying the Homemaker Contribution in Family Property Law, *Federal Law Review*, Vol. 31, 2003.
32. *Parley Louis I.*, Post-Marital Agreements, *Journal of the American Academy of Matrimonial Lawyers*, Vol. 8, 1992.
33. *Pintens Walter*, Europeanisation of Family Law, in Boele-Woelki, K. (ed.), *Perspectives for the Unification and Harmonisation of Family Law in Europe*, Antwerp-Oxford-New York, 2003.
34. *Quasius Jacob*, The Next Step in Marriage Equality: Indiana Restrictions on Marriage for Individuals under Adult Guardianship, *Civil Rights Law Journal*, Vol. 31:2, 2021.
35. *Redondo Pablo Quinza*, Spanish Matrimonial Property Regimes and CEFL Principles regarding Property Relations between Spouses, *European Journal of Law Reform*, Vol.17, Joint Edition, 2015.
36. *Reppy William A. Jr.*, *Community Property*, Chicago, 2003.
37. *Rešetar Branka*, Matrimonial Property in Europe: A Link between Sociology and Family Law, *Electronic Journal of Comparative Law*, 2008.
38. *Ryznar Margaret*, Spousal Support (Spousal Maintenance), *Marriage and Divorce in America: Issues, Trends, and Controversies*, Jaimee L. Hartenstein ed., 2019.

39. *Sackett Rosemary Shaw, Munyon Cheryl K.*, Alimony: A Retreat from Traditional Concepts of Spousal Support, *Drake Law Review*, Vol. 35, 1985.
40. *Sahithya Gaddam*, The Effect of Divorce and Separation on Family Relationships, *Indian Journal of Law and Legal Research*, Vol. V, 2023.
41. *Scherpe Jens M.*, The Financial Consequences of Divorce in a European Perspective, *European Family Law*, Vol. III, 2016.
42. *Semple Noel*, In Sickness and in Health - Spousal Support and Unmarried Cohabitants, *Canadian Journal of Family Law*, Vol. 24, 2008.
43. *Sparkes Peter*, Purchasers and Rights of Occupation under the Matrimonial Homes Act 1983, *The Modern Law Review*, Vol. 52, 1989.
44. *Sussman Howard S.*, Spouses and Their Property under Swedish Law, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 12, 1963.
45. *Talpis Jeffrey A.*, Equitable Distribution of Matrimonial Property in Private International Law, *Estates, Trusts & Pensions Journal*, Vol. 26, 2006.
46. The Antenuptial Obligation and Arizona Community Property Law, *Law and Social Order*, Vol. 1970, 1970.
47. *Thiele Leslie K.*, The German Marital Property System: Conflict of Laws in a Dualnationality Marriage, *California Western International Law Journal*, Vol.12, 1982.
48. *Traynor Roger J.*, *Weinberg v. Weinberg* 67 Cal.2d, Hastings College of the Law UC Hastings Scholarship Repository, University of California, 1967.
49. *Vasil'ev Iu.*, The Law of Property of Spouses, *Soviet Law and Government*, Vol. 5, 1966.
50. *Verbeke Alain Laurent P.G.*, Marital Property Planning in a Belgian Nutshell, Based on a Lecture at the Annual Conference of the International Academy of Estate and Trust Law (2005), New Mexico, 2006.
51. *Weinraub Sally*, Dividing the Marital Property in the Face of Egregious Fault, *Family Advocate*, Vol. 10, 1987.
52. *Wong Peter J.*, Asserting the Spouse's Community Property Rights in Copyright, *Idaho Law Review*, Vol. 31, 1995.

რუსულენოვანი ლიტერატურა

1. *Анцух Наталья Сергеевна*, Отношения Супругов в Сравнительном и Международном Семейном Праве, Актуальные Проблемы Международного Публичного и Международного Частного Права, Выпуск 6, 2014.
2. *Антокольская Мария Вадимовна*, Семейное Право: Учебник, Москва, 2002.
3. *Бексултанова Роза Тайгошкарловна*, Личные и Имущественные Правоотношения Супругов: Перспективы Развития, Законность и Правопорядок в Современном Обществе, 2010.
4. *Вишнякова Алла Вадимовна*, Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2011.
5. *Власова Марианна Валентиновна*, Постатейный Комментарий к Семейному Кодексу Российской Федерации, Москва, 2013.
6. *Гонгало Бронислав Мичиславович, Крашенинников Павел Владимирович, Михеева Лидия Юрьевна, Рузакова Ольга Александровна*, Семейное Право, Москва, 2016.
7. *Ибрагимова Гузель Шарафутдиновна*, Брачный Договор: Проблемы Правового Регулирования, Актуальные Вопросы Юридических Наук, Третья Международная Научная Конференция, 2017.
8. *Каменецкая Мария Сергеевна*, Семейное Право России, Москва, 2007.
9. *Кецко Елена Владимировна*, Некоторые Вопросы Реализации Гарантий Прав Кредиторов при Заключении, Изменении и Расторжении Брачного Договора, Вестник РГГУ, № 9 (131), Москва, 2014.
10. *Косова Ольга Юрьевна*, Семейное Право, Иркутск, 2016.
11. *Крашенинников Павел Владимирович*, Постатейный комментарий к Семейному кодексу Российской Федерации, Федеральному закону «Об опеке и попечительстве» и Федеральному закону «Об актах гражданского состояния, Москва, 2012.
12. *Меликова Эльвира Куфетдиновна*, Особенности Осуществления Режима Совместной Собственности Супругов, Молодой Учёный, № 46 (232), 2018.
13. *Нестерова Надежда Владимировна*, Актуальные Особенности Порядка Раздела Общего Имущества Супругов по Закону, Право: История, Теория, Практика, III Международная Научная Конференция, 2015.

14. *Островский В.*, Об Объеме Понятия Имущество, Нажитое Супругами в Течение Брака, Еженедельник Советской Юстиции, N 40, 1929.
15. *Панова Алина Владиславовна*, Отступление от Принципа Равенства Долей при Разделе Общего Имущества Супругов, Журнал Наука, Образование и Культура, 2017.
16. *Потапова Наталья Викторовна*, Брачный Договор - Информационное Обеспечение Интересов Кредиторов и Иных Третьих Лиц, Вестник Омского Университета, Серия «Право», № 3 (36), 2013.
17. *Пчелинцева Людмила Михайловна*, Семейное право России, Москва, 2004.
18. *Рузакова Ольга Александровна*, Семейное Право, Москва, 2003.
19. *Слепко Галина Евгеньевна, Стражевич Юлия Николаевна*, Правовое Регулирование Имущественных Отношений Супругов, Монография, Москва, 2015.
20. *Толчеев Николай*, Настольная книга судьи по гражданским делам, Издательство Проспект, Москва, 2006.
21. *Ченцов С.Д., Цуканов О.В.*, Брачный Договор: Особенности Правовой Природы, Научный Альманах, N 11-3(37), 2017.
22. *Шершень Тамара Васильевна*, Брачный Договор и Гарантии Прав Кредитора Супруга-Должника, Вестник Пермского Университета, Выпуск 8 (13), 2007.
23. *Шумкова Анастасия Сергеевна*, К Вопросу о Гарантиях Прав Кредиторов при Заключении, Изменении и Расторжении Брачного Договора в России, Молодой Учёный, № 37 (223), 2018.

გერმანულენოვანი ლიტერატურა

1. *Blank Manfred, Brambring Günter, Chancellor Rainer*, BGH: Vorzeitige Übernahme eines in die Gütergemeinschaft eingebrachten Grundstücks vor Auseinandersetzung, Deutsche Notar-Zeitschrift, Heft 9, 2007.
2. *Erman/Bearbeiter*, BGB, 15. Aufl., by Verlag Dr. Otto Schmidt KG, Köln, 2017.
3. *Fahrmeier S.*, OLG Frankfurt a.M.: Verwaltung des Gesamtguts nach der Scheidung, Neue Juristische Online-Zeitschrift, Heft 37, 2007.
4. *Hau Wolfgang, Poseck Roman*, BeckOK BGB, 63 Ed. 2022, 65 Ed. 2023, 66 Ed. 2023, 67 Ed. 2023, 68 Ed. 2023, 69 Ed. 2024.

5. *Haußleiter/Gomille*, FamFG, Buch 1. Allgemeiner Teil Anhang V nach § 110: Das Kollisionsrecht der Ehescheidung gem. der Rom III-VO, 2. Auflage, 2017.
6. *Jauernig/Budzikiewicz*, Bürgerliches Gesetzbuch, 18. Auflage 2021.
7. *Johannsen/Henrich/Althammer/Kohlenberg.*, Familienrecht, 7. Auflage, 2020.
8. *Klinkhammer Frank*, Rechtsprechung des BGH zum Unterhalt 2011 und 2012, Familie Partnerschaft Recht, Heft 4, 2013.
9. *Langenfeld/Milzer*, Eheverträge und Scheidungsvereinbarungen, 8. Auflage 2019.
10. *Liessem Georg*, Guter Glaube beim Grundstückserwerb von einem durch seinen Güterstand verfügungsbeschränkten Ehegatten? Aufsatz, NJW, 1989.
11. *Lindner-Figura/Oprée/Stellmann.*, Handbuch Geschäftsraummiete, 5th Edition, 2023.
12. *MüKoBGB.*, Münchener Kommentar zum BGB 9. Auflage, 2022.
13. *Münch Christof*, Streit um Bankkonten und Wertpapierdepots nach Trennung und Scheidung, Familie Partnerschaft Recht, Heft 12, 2006.
14. *Müßig Ulrike*, Ehebezogene Zuwendungen als Schenkungen unter Ehegatten, Familie Partnerschaft Recht, Heft 5, 2007.
15. *Niederl Katrin*, OLG Bamberg: Verwirkung von Trennungs-unterhalt bei Geltendmachung nach 10-jähriger Trennungszeit, Neue Zeitschrift für Familienrecht, Heft 23, 2014.
16. *Niepmann/Kerscher.*, Die Rechtsprechung zur Höhe des Unterhalts, 15. Auflage 2023.
17. *Rieck/Lettmaier.*, Ausländisches Familienrecht, Eine Auswahl von Länderdarstellungen, Werkstand: 22, EL Februar 2022.
18. *Sarres Ernst*, Fortschreibung der Kernbereichslehre in der aktuellen Rechtsprechung des BGH zur Inhaltskontrolle von Eheverträgen, Familie Partnerschaft Recht, Heft 1/2, 2006.
19. *Scholz Kai-Steffen*, Die BGB-Gesellschaft nach dem Grundsatzurteil des BGH vom 29.1.2001, Neue Zeitschrift für Gesellschaftsrecht, Heft 4, 2002.
20. *Scholz/Kleffmann.*, Praxishandbuch Familienrecht, Werkstand: 42. EL Juni 2022.
21. *Schulze Reiner*, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 11. Auflage, 2021.
22. *Schulze Reiner*, Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 12. Auflage, 2023.
23. *Schulz Werner, Hauß Jörn*, Vermögensauseinandersetzung bei Trennung und Scheidung, 7. Auflage 2022.
24. *Stöhr Alexander*, Die Inhaltskontrolle von Eheverträgen, Aufsatz, JuS, 2022.

დიდი ბრიტანეთის სასამართლოთა პრაქტიკა

1. England and Wales Court of Appeal - *Lambert vs. Lambert* (2002).
2. United Kingdom House of Lords - *White vs. White* (2000).

აშშ-ს სასამართლოთა პრაქტიკა

1. U.S. Supreme Court - *Obergefell vs. Hodges*, (2015).
2. Court of Appeals of Arkansas En Banc - *Reed vs. Reed*, (1988).
3. Court of Appeals of Texas - *Coggin vs. Coggin*, (1987).
4. Wisconsin Supreme Court - *Wierman vs. Wierman*, (1986).
5. Court of Appeals of the State of New York - *O'Brien vs. O'Brien*, (1985).
6. Illinois Appellate Court - *Deem vs. Deem*, (1984).
7. Court of Appeals of Wisconsin - *Plachta vs. Plachta*, (1984).
8. Court of Appeal of Louisiana - *American National Bank of Beaumont vs. Rathburn*, (1972).
9. California Supreme Court - *See vs. See*, (1966).
10. Court of Appeal of Louisiana - *Commercial Credit Plan, Incorporated vs. Perry*, (1966).
11. Court of Appeal of Louisiana - *Keyser vs. James*, (1963).

ავსტრალიის სასამართლოთა პრაქტიკა

1. Federal Circuit Court of Australia - *Kovacs vs. Kovacs*, (2022).
2. Federal Circuit Court of Australia - *Cotsis vs. Cotsis*, (2021).
3. Federal Circuit Court of Australia - *Ismael vs. Ismael*, (2021).
4. Federal Circuit Court of Australia - *Langer vs. Langer*, (2021).
5. High Court of Australia - *Thorne vs. Kennedy*, (2017).

გერმანიის სასამართლოთა პრაქტიკა

1. BGH, Beschluss vom 17-1-2018 - XII ZB 20/17, NJW 2018, 1015.
2. OLG München, Beschl. v. 26-10-2015 - 34 Wx 233/15, ZEV 2016, 383.
3. BGH, Beschluss vom 8-10-2014 - XII ZB 318/11, NJW 2015, 52.
4. BGH, Beschluss vom 29-1-2014 - XII ZB 303/13, NJW 2014, 1101.
5. OLG Frankfurt a. M., Beschluss vom 19-4-2013 - 6 UF 124/12, FamFR 2013, 475.
6. OLG Schleswig, Urt. v. 21-12-2012 - 10 UF 81/12, NJW-RR 2013, 517.
7. OLG Hamm, Beschluss vom 20-12-2012 - 11 UF 180/12, FamFR 2013, 310.
8. BGH, Urt. v. 31-10-2012 - XII ZR 129/10 (OLG Oldenburg), NJW 2013, 380.
9. OLG Karlsruhe Beschl. v. 18-8-2011 - 18 UF 19/11, FamRZ 2012, 789.
10. BGH, Urt. v. 13-7-2011 - XII ZR 84/09 (OLG Stuttgart), NJW 2011, 3089.
11. BGH, Urt. vom 2-6-2010 - XII ZR 124/08 (OLG Jena), NJW 2011, 226.
12. BGH, Urt. vom 3-2-2010 - XII ZR 189/06 (KG), NJW 2010, 2202.
13. BGH, Urt. vom 9-7-2008 - XII ZR 179/05 (OLG Jena), NJW 2008, 3277.
14. OLG Karlsruhe, Beschluss vom 23-04-2008 - 2 UF 224/07, FamRZ 2009, 120.
15. BGH, Urt. vom 6-2-2008 - XII ZR 14/06 (OLG Karlsruhe), NJW 2008, 1663.
16. BGH, Urt. vom 25-10-2006 - XII ZR 190/03 (OLG Schleswig), FamRZ 2007, 200.
17. BGH, Urt. vom 11-2-2004 - XII ZR 265/02 (OLG München), NJW 2004, 930.
18. BGH, Urt. vom 13-6-2001 - XII ZR 343/99 (München/Augsburg), NJW 2001, 2254.
19. BGH, Urt. vom 27-1-1999 - XII ZR 89–97 (Frankfurt a.M.–Senat Kassel), FamRZ 1999, 710.
20. BGH, Urt. vom 1-4-1998 - XII ZR 278-96 (Frankfurt a. M.), NJW 1998, 1857.
21. BGH, Urteil vom 22-11-1995 - XII ZR 227/94 (Frankfurt a.M.), NJW-RR 1996, 1281.
22. OLG Karlsruhe, Urteil vom 14-06-1995 - 2 UF 36/93, FamRZ 1995, 1488.
23. OLG Schleswig, Beschluß vom 10-04-1995 - 2 W 138/94, NJW-RR 1996, 134.
24. BGH, Urt. vom 16-06-1993 - XII ZR 49/92 (München), FamRZ 1993, 1304.
25. BGH, Urt. vom 27-11-1991 - IV ZR 164/90 (Koblenz), NJW 1992, 564.
26. BGH, Urt. vom 17-01-1990 - XII ZR 1/89 (Oldenburg), NJW-RR 1990, 386.
27. BGH, Urt. vom 21-12-1988 - IVb ZR 18/88 (Frankfurt), NJW 1989, 1083.
28. KG, Urt. vom 18-08-1988 - 19 UF 1296/88, FamRZ 1989, 868.
29. BGH, Urt. vom 24-04-1985 - IVb ZR 9/84 (Hamm), NJW 1985, 1695.

30. BGH, Urt. vom 13-02-1985 - IVb ZR 72/83 (Düsseldorf), NJW 1985, 1394.
31. OLG Köln Urt. v. 6-12-1984 - 10 UF 119/84, FamRZ 1985, 930.
32. BGH, Urt. vom 11-07-1984 - IVb ZR 22/83 (Schleswig), NJW 1984, 2692.
33. BGH, Urteil vom 25-01-1984 - IVb ZR 28/82 (Stuttgart), NJW 1984, 1538.
34. BGH Urt. v. 12.1.1983 - IVb ZR 348/81, FamRZ 1983, 670.
35. BGH, Urt. vom 08-07-1982 - IX ZR 99/80 (Hamm), NJW 1982, 2236.
36. BGH, Urt. vom 31-03-1982 - IVb ZR 665/80 (Celle), NJW 1982, 2064.
37. BGH, Urt. vom 25-02-1981 - IVb ZR 544/80 (OLG Düsseldorf), NJW 1981, 1214.
38. BGH, Urt. vom 26-11-1980 - IVb ZR 542/80 (Hamm), FamRZ 1981, 140.
39. BGH, Urt. vom 26-9-1979 - IV ZR 87/79 (Hamm), FamRZ 1980, 40.
40. OLG Hamm, Urteil vom 18-05-1979 - 5 UF 827/78, FamRZ 1979, 810.
41. BayObLG (1. ZS), Beschluß vom 9-9-1960 - BReg. 2 Z 121/60, BayObLGZ 1960, 370.

ეროვნული ანგარიშები და ონლაინ ვებ-გვერდები

ეროვნული ანგარიშები

1. *Antokolskaia Masha*, CEFL Report - Grounds For Divorce and Maintenance Between Former Spouses, Russia, 2002.
2. *Antokolskaia Masha*, CEFL Report – Property Relations, Russia, 2008.
3. *Auteur Naam*, CEFL Report - Property Relations, Poland, 2008.
4. *Beilfuss Cristina González*, CEFL Report – Property Relations, Spain, 2008.
5. *Boele-Woelki Katharina, Schonewille Fred, Schrama Wendy*, CEFL Report – Property Relations, Netherlands, 2008.
6. *Ferrand Frédérique, Braat Bente*, CEFL Report – Property Relations, France, 2008.
7. *Martiny Dieter, Dethloff Nina*, CEFL Report – Property Relations, Germany, 2008.
8. *Oliveira Guilherme, Martins Rosa, Vitor Paula*, CEFL Report – Property Relations, Portugal, 2008.
9. *Pintens Walter*, CEFL Report – Property Relations, Belgium, 2008.
10. *Roth Marianne*, CEFL Report – Property Relations, Austria, 2008.
11. *Schrama Wendy*, CEFL Report – Property Relations, Netherlands, 2021.

12. *Sverdrup Tone*, CEFL Report – Property Relations, Norway, 2008.
13. *Todorova Velina*, CEFL Report – Property Relations, Bulgaria, 2008.
14. *Weiss Emilia, Szeibert-Erdős Orsolya*, CEFL Report – Property Relations, Hungary, 2008.

ონლაინ ვებ-გვერდები

1. news.bbc.co.uk - დიდი ბრიტანეთის სამაუწყებლო კომპანია.
2. www.cia.gov - აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო.
3. www.legifrance.gouv.fr - საფრანგეთის საკანონმდებლო მაცნე.
4. www.jus.unitn.it - ტრენტოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
5. www.fkkblaw.com - იურიდიული კომპანია „ფლიკერი, კერინი, კრუგერი და ბისადა“ (აშშ).
6. www.global-regulation.com - ინფორმაციულ-სამართლებრივი საძიებო სისტემა.
7. www.legislation.mt - მალტის საკანონმდებლო მაცნე.
8. www.hetronadvocaten.nl - იურიდიული კომპანია „Het Rond Advocaten“ (ნიდერლანდები).
9. www.advgazeta.ru - რუსეთის ფედერაციის ადვოკატთა ფედერალური პალატის ბეჭდვითი ორგანო.
10. www.ilo.org - შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.
11. www.mlsp.government.bg - ბულგარეთის შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო.
12. www.consultant.ru - იურიდიული საკონსულტაციო კომპანია „კონსულტანტ პლუსი“ (რუსეთის ფედერაცია).
13. www.fedlex.admin.ch - ფედერალურ კანონთა გამოქვეყნების პლატფორმა (შვეიცარია).
14. www.belnotary.by - ბელორუსიის სანოტარო პალატა.
15. www.steuermachen.de - საგადასახადო საინფორმაციო პლატფორმა (გერმანია).

16. *Ogundimu Jide*, Occupational Rights in the Matrimonial Home – How Far a Spouse’s Rights Can Bind Third Parties, 2022, www.jideogundimucosolicitors.co.uk - იურიდიული კომპანია „ჯიდე ოგუნდიმუ და პარტნიორები“ (დიდი ბრიტანეთი).

17. *Pintens Walter*, Matrimonial Property Law, Max Planck Encyclopedia of European Private Law, 2012, max-eup2012.mpipriv.de - მაქს პლანკის ევროპული კერძო სამართლის ენციკლოპედია.

დანართი N 1 - თანასაკუთრების მართვის პრინციპები

1. თანასაკუთრების პარალელური მართვის პრინციპი

კომისიის მიერ შემუშავებული პრინციპებით გათვალისწინებულია „მნიშვნელოვანი გარიგების“ კატეგორია, რომლის მიმართ დადგენილია ურთიერთშეთანხმებით ქონების განკარგვის სავალდებულო ხასიათი. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ევროპული იურისდიქციები დაყოფილია ორ კატეგორიად -

1. მართლწესრიგები, სადაც თანასაკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების განკარგვისას დადგენილია ორივე მეუღლის თანხმობის აუცილებლობა და
2. მართლწესრიგები, სადაც თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას თითოეული მეუღლე უფლებამოსილია იმოქმედოს როგორც წესი ერთპიროვნულად, თუმცა ე.წ. „მნიშვნელოვანი გარიგების“ დადებისას სავალდებულოა მეორე მეუღლის თანხმობა.⁵⁶⁸ ამ უკანასკნელ შემთხვევაში „მნიშვნელოვანი გარიგების“ კატეგორიისგან გამიჯნულია „ყოველდღიური გარიგებები“. „ყოველდღიური გარიგების“ დადებისას, შესაბამის მეუღლეს შეუძლია დამოუკიდებლად იმოქმედოს, რადგან ასეთი ტიპის გარიგებას არ გააჩნია შორსმომავალი შედეგები. აღნიშნული კატეგორია პირდაპირ არის დაკავშირებული საერთო ქონების „პარალელური მართვის პრინციპთან“. ხსენებული პრინციპის მოქმედების შედეგია ის, რომ ნებისმიერი მეუღლის მიერ ქრონოლოგიურად

⁵⁶⁸ *Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W.*, Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 274.

პირველად განხორციელებული ქმედება, მხოლოდ ხასიათს ატარებს მეორე მეუღლისთვისაც ანუ მისთვისაც წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეთა მიერ საერთო ქონებასთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედებები (დადებული გარიგებები) ურთიერთსაწინააღმდეგოა, უპირატესობა უნდა მიენიჭოს თავდაპირველად დადებულ გარიგებას.⁵⁶⁹ „პარალელური მართვის პრინციპისთვის“ უმთავრესი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ „ყოველდღიური გარიგებების“ (Ordinary Administrative Acts) დადება შესაძლებელია მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, ხოლო მის მიღმა არსებული გარიგებების ნამდვილობისათვის აუცილებელია მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება.⁵⁷⁰

2. თანასაკუთრების ერთობლივი მართვის პრინციპი

პარალელური მართვის პრინციპის საპირწონედ შესაძლებელია განვიხილოთ ევროპული იურისდიქციებისთვის აგრეთვე დამახასიათებელი - „ერთობლივი მართვის პრინციპი“. გასათვალისწინებელია, თუ როგორი ურთიერთმიმართება არსებობს ზემოთ ხსენებულ პრინციპებს შორის. კერძოდ, ნებისმიერი კონკრეტული მართლწესრიგის ფარგლებში, ზემოთ აღნიშნული პრინციპები ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ თანაარსებობენ. თუმცა ქართული საოჯახო სამართლის მაგალითზე, შეიძლება ითქვას, რომ ის საკანონმდებლო დონეზე არ იცნობს პარალელური მართვის პრინციპს და მასში დომინირებს ერთობლივი მართვის პრინციპი.

გერმანულ სამართალში, საერთო ქონების რეჟიმის მარეგულირებელი ნორმები იცნობენ რეგულაციას, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონების მართვას შეეხება - გსკ-ის 1421-ე პარაგრაფი. აღნიშნული პარაგრაფის თანახმად, „იმ საქორწინო ხელშეკრულებაში, რომლითაც მეუღლეები თანხმდებიან საერთო ქონების რეჟიმზე, მათ უნდა განსაზღვრონ, მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს ქმარი თუ ცოლი ან ორივე მეუღლე ერთობლივად. თუ საქორწინო ხელშეკრულება ასეთ დანაწესს არ შეიცავს, მაშინ მეუღლეები საერთო

⁵⁶⁹ Ferrand F., Braat B., CEFL Report – Property Relations, France, 2008, 34.

⁵⁷⁰ Oliveira G., Salter Cid N., Family Law in Portugal, International Survey of Family Law, 1996, 351.

ქონებას მართავენ ერთობლივად.⁵⁷¹ შესაბამისად, მეუღლეებმა საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე უნდა განსაზღვრონ თუ ვინ უნდა იყოს თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვაზე უფლებამოსილი პირი, რა შემთხვევაშიც სამი ვარიანტი განიხილება - 1. ქმარი; 2. ცოლი ან 3. ორივე მეუღლე ერთობლივად.⁵⁷² ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გსკ-ის 1423-ე პარაგრაფი იმპერატიულ ხასიათს ატარებს და აღნიშნულ რეგულაციაზე დაყრდნობით, „მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით, ხოლო თუ მან ვალდებულება იკისრა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას ვალდებულების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.“⁵⁷³ საერთო ქონების მართვის უფლებამოსილების შეზღუდვა ემყარება შემდეგ გარემოებას - იმ შემთხვევაში თუ შესაბამის მეუღლეს შეეძლებოდა მთლიან (სრულ) საერთო ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი გარიგებების დადება ერთპიროვნულად, მაშინ მეუღლეთა თანასაკუთრების არსებობას შეექმნებოდა საფრთხე და შესაბამისად, მეორე მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის უფლებების რეალიზაციაც რისკის ქვეშ დადგებოდა.⁵⁷⁴ დამატებით ხაზგასასმელია, რომ მეუღლის ერთპიროვნული მართვის უფლებამოსილება შეზღუდულია არა მხოლოდ საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ნაწილში, არამედ საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების, საზღვაო ხომალდების ან მშენებარე საზღვაო ხომალდების განკარგვის შემთხვევაშიც (გსკ-ს 1424-ე პარაგრაფი), აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ნივთის მესამე პირზე გაჩუქებისას (გსკ-ის 1425-ე პარაგრაფი).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს თუ რას გულისხმობს საერთო ქონების ერთპიროვნული მართვის უფლების შინაარსი - გსკ-ს 1422-ე პარაგრაფის თანახმად, მეუღლეს, ვინც მართავს საერთო ქონებას, გააჩნია ამავე ქონების ფლობის უფლება,

⁵⁷¹ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 360.

⁵⁷² Erman/Bearbeiter, BGB, 15. Aufl., § 1421 Rn. 1.

⁵⁷³ ჭეჭელაშვილი ზ., BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 360.

⁵⁷⁴ Erman/Bearbeiter, BGB, 15. Aufl., § 1423 Rn. 1.

აგრეთვე უფლება ნასყიდობის ან გაცვლის გზით განკარგოს საერთო ქონება და აწარმოოს საერთო ქონებასთან დაკავშირებული სასამართლო დავები, საკუთარი სახელით.⁵⁷⁵ შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მეორე მეუღლე პირადად არ აგებს პასუხს საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებით. არსებითად მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ საერთო ქონების მმართველი მეუღლე საერთო ქონებას საკუთარი უფლების საფუძველზე მართავს, მოქმედებს საკუთარი სახელით და არა როგორც მეორე მეუღლის წარმომადგენელი.⁵⁷⁶ შესაბამისად, პასუხისმგებლობის საკითხიც შემდეგნაირად განისაზღვრება - „თუ ვალი აღებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღებატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება უნდა გავრცელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზე“.⁵⁷⁷ აღნიშნული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს „საერთო მართვიდან“ გამომდინარე.⁵⁷⁸ შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი მეუღლე მართავს საერთო ქონებას, მეორე მეუღლე პასუხს არ აგებს საერთო ვალდებულებისათვის.⁵⁷⁹

განსახილველი საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ევროპულ მართლწესრიგებში აღიარებულ ორ უმნიშვნელოვანეს კატეგორიასთან - 1. ოჯახური საჭიროებების დაფარვის კრიტერიუმი და 2. მეუღლეთა ინფორმირების ვალდებულება.⁵⁸⁰

⁵⁷⁵ Erman/Bearbeiter, BGB, 15. Aufl., § 1422 Rn. 1.

⁵⁷⁶ იქვე., Rn. 2.

⁵⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 22 მარტის განჩინება № ას-1646-2018.

⁵⁷⁸ რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 82.

⁵⁷⁹ იქვე., 129.

⁵⁸⁰ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 279.

2.1. ოჯახური საჭიროებების დაფარვის კრიტერიუმი

არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა სასამართლო პრაქტიკამ აღიაროს არაგამსხვისებელი მეუღლის თანხმობის სავალდებულობა შემდეგ შემთხვევებში, როდესაც: 1. გამსხვისებელი მეუღლე ერთმნიშვნელოვნად პირადი მიზნებისთვის იყენებს საერთო ქონებას. 2. შესაბამისი გარიგება „დიდი მოცულობის“ გამო ვერ ჩაითვლება ოჯახური საჭიროების დაფარვის მიზნით დადებულად. გარიგების „დიდი მოცულობის“ მქონედ კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი კრიტერიუმებია - „*ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და მეუღლეთა ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი*“.⁵⁸¹

2.2. მეუღლეთა ინფორმირების ვალდებულება

მეუღლეთა ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართალი ასეთ ვალდებულებას პირდაპირ არ ითვალისწინებს. ხსენებული ვალდებულება, კომისიის მიერ შემუშავებული ერთ-ერთ ძირითად პრინციპად არის ასახული, რომელიც მეუღლეთა ზოგად უფლებებსა და მოვალეობებს შეეხება. კერძოდ, აღნიშნული პრინციპის თანახმად, თითოეული მეუღლე ვალდებულია მეორე მეუღლეს შეატყობინოს საკუთარი ქონებისა და ვალდებულებების შესახებ (1), აგრეთვე მნიშვნელოვანი გარიგების დადების განზრახვის თაობაზე (2), იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს საკუთარი უფლებების განხორციელება.⁵⁸² ერთი შეხედვით, ქართული საოჯახო სამართალი აღნიშნულ ვალდებულებას მხოლოდ ნაწილობრივ იცნობს - იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 1160-ე მუხლის პირველი ნაწილი თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას მეუღლეთა ურთიერთშეთანხმების სტანდარტს განსაზღვრავს, ბუნებრივია, რომ ამგვარ შეთანხმებას წინ უსწრებს გამსხვისებელი მეუღლის მხრიდან მეორე მეუღლის ინფორმირების ვალდებულება.

⁵⁸¹ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 89.

⁵⁸² *Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W.*, Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 90.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართალი მეუღლეთა მიერ ერთმანეთის ინფორმირების ვალდებულებას პირდაპირ არ ითვალისწინებს, მისთვის ცნობილია „ოჯახური ერთობის“ ცნება. აღნიშნული ცნებიდან გამომდინარეობს მეუღლეთა ვალდებულება ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.⁵⁸³ ხსენებული ვალდებულება სათავეს იღებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1978 წელს მიღებული აქტიდან „სამოქალაქო სამართალში მეუღლეთა თანასწორობის შესახებ“. აღნიშნული აქტის თანახმად, წევრი სახელმწიფოებისთვის რეკომენდირებულია ყველა აუცილებელი ზომის მიღება იმ მიზნით, რომ სამოქალაქო კანონმდებლობით არ დაადგინონ ისეთი დებულებები, რომლის საფუძველზე ერთ-ერთი მეუღლე ჩაყენებული იქნება მეორე მეუღლესთან შედარებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში, მათ შორის ოჯახის უფროსად ყოფნის (1), მეორე მეუღლესთან მიმართებით გადაწყვეტილებების მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილების არსებობის (2) ან მეორე მეუღლის წარმომადგენლად ყოფნის გამო (3).⁵⁸⁴

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ინფორმირების ვალდებულებასთან დაკავშირებით არ არის ფორმირებული ე.წ. „საერთო ბირთვი“ და მისი შინაარსი განსხვავდება იურისდიქციების მიხედვით. მაგალითად, დანიაში მოქმედი „ქორწინების სამართლებრივი შედეგების შესახებ“ აქტის მე-10 მუხლის თანახმად, მეუღლეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, რაც აუცილებელია ურთიერთრჩენის მოვალეობის შეფასების მიზნით.⁵⁸⁵ „ქორწინების შესახებ ნორვეგიის აქტის“ 39-ე მუხლის თანახმად, თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია როგორც მეორე მეუღლისგან, აგრეთვე საგადასახადო ორგანოსგან, მეუღლეთა საერთო ან მეორე მეუღლის ინდივიდუალური საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე.⁵⁸⁶ აღნიშნული დებულებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეები

⁵⁸³ *რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 6.

⁵⁸⁴ Council of Europe Committee of Ministers, Resolution (78) 37 on Equality of Spouses in Civil Law, Adopted on 27 September, 1978.

⁵⁸⁵ Act On Legal Effects Of Marriage, Chapter 1, General Provisions, Article 10, <www.global-regulation.com> [ბოლო ნახვის თარიღი: 18.05.2023].

⁵⁸⁶ *Sverdrup T.*, CEFL Report – Property Relations, Norway, 2008, 18.

მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებში მიაღწევენ შეთანხმებას ე.წ. „ურთიერთდახმარების ვალდებულებების“ შესახებ - მოცემული კატეგორია არ არის უცხო შვედური სამართლისათვის, რომელიც დაკავშირებულია მეუღლეთა შორის ურთიერთრჩენის ვალდებულების განაწილებასთან (1), იმ გადახდების მოცულობის განსაზღვრასთან, რომელიც თითოეულმა მათგანმა ფაქტობრივი თანაცხოვრების შეწყვეტის განმავლობაში შეიძლება მეორე მეუღლის სასარგებლოდ გაიღოს (2) ან ამავე პერიოდის განმავლობაში იმ უფლებების განსაზღვრასთან, რომელიც სხვადასხვა სახის ქონებასთან არის დაკავშირებული (3).⁵⁸⁷ გერმანულ სამართალში ინფორმირების ვალდებულების ძირითადი თავისებურებები შემდეგია: 1. მეუღლეებს აღნიშნული ვალდებულება ყოველგვარი კონკრეტული მიზეზის გარეშე გააჩნიათ; 2. არსებობს მხოლოდ ქორწინების განმავლობაში და 3. მიუხედავად ქონებრივი რეჟიმისა.⁵⁸⁸ ხსენებული ვალდებულება არ არის პირდაპირ დადგენილი შესაბამისი კანონმდებლობით, არამედ მისი არსებობა გამომდინარეობს მეუღლეთა ზოგადი ვალდებულებებიდან (გსკ-ის 1353-ე პარაგრაფი), რომელიც ცოლ-ქმრულ თანაცხოვრებას შეეხება.⁵⁸⁹

დანართი N 2 - საერთო ქონების რეჟიმის ლიკვიდაციის ეტაპები

1. საერთო ქონების რეჟიმის ლიკვიდაცია

მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი გარკვეულწილად აგრძელებს საკუთარ არსებობას მანამ სანამ, საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება მეუღლეებს შორის არ იქნება განაწილებული და ასევე, შესაბამისი მეუღლე ცალკეულ საგნებს თან არ წაიღებს, მაგალითად, გადაბარების უფლების საფუძველზე პროფესიული ნივთების შემთხვევაში. შესაბამისად, საერთო

⁵⁸⁷ *Sussman Howard S.*, Spouses and Their Property under Swedish Law, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 12, 1963, 566.

⁵⁸⁸ *Johannsen/Henrich/Althammer/Kohlenberg*, Familienrecht, 7. Aufl. 2020, BGB § 1353 Rn. 23.

⁵⁸⁹ BGH NJW 2011, 226.

ქონების რეჟიმის გაუქმებისას, ეს უკანასკნელი ტრანსფორმირდება სალიკვიდაციო ქონების რეჟიმად, რომლის ფარგლებშიც შენარჩუნებულია საწყისი რეჟიმის იდენტურობა და შეცვლილია მისი დანიშნულება.⁵⁹⁰

მიუხედავად იმისა, რომ სალიკვიდაციო ქონების არსებობის პირობებშიც გარკვეულწილად მოქმედებას განაგრძობს საერთო ქონების რეჟიმი, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქონების მართვის პირობები გამკაცრებულია. აღნიშნული თავის მხრივ განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მეუღლეთა შორის ორმხრივი ნდობა როგორც წესი დარღვეულია და შესაბამისად თითოეულ მათგანს შესაძლოა გააჩნდეს მოტივი საკუთარი ქმედებით ზიანი მიაყენოს საერთო ქონების გაყოფის პროცესს და ამით საბოლოო ჯამში დააზარალოს მეორე მეუღლეც. სწორედ ამ რისკის გათვალისწინებით, გსკ-ის 1472-ე პარაგრაფი ადგენს მეუღლეთა საერთო ქონების ერთობლივი მართვის პრინციპს. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც თუ საერთო ქონების რეჟიმის გაუქმებამდე, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალურად იმართებოდა თანასაკუთრება, ამიერიდან ლიკვიდაციის ეტაპზე მხოლოდ ერთობლივადაა შესაძლებელი მისი მართვა.⁵⁹¹ ლიკვიდაციის ეტაპზე ერთობლივი მმართველობის შემოღებით, კანონი ითვალისწინებს იმ მეუღლის დაცვის აუცილებლობას, რომელიც მანამდე არ იყო უფლებამოსილი საერთო ქონების მართვაზე.⁵⁹² აგრეთვე აღსანიშნავია, რომ გერმანელი კანონმდებელი ორივე მეუღლისათვის მართვის უფლებამოსილების მინიჭების გარდა, ასევე მათ აკისრებს იმ აუცილებელი ზომების მიღების ვალდებულებას, რომელიც აუცილებელია ქონების სათანადო მართვისა და შენარჩუნებისათვის (გსკ-ის 1472-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი). „თითოეულ მეუღლეს დამოუკიდებლად შეუძლია იმ ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია ქონების შენარჩუნებისათვის“. ⁵⁹³ შესაბამისად, ერთობლივი მართვის პრინციპის დარღვევას არ ექნება ადგილი იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მეუღლე მეორისგან დამოუკიდებლად მიიღებს ზომებს ქონების შესანარჩუნებლად. მაგალითად, მაინის ფრანკფურტის უმაღლესი რეგიონალური სასამართლოს განმარტების თანახმად,

⁵⁹⁰ *MüKoBGB/Münch*, 9. Aufl. 2022, BGB § 1471 Rn. 9.

⁵⁹¹ *BeckOK BGB/Spernath*, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1472 Rn. 1.

⁵⁹² იქვე.

⁵⁹³ *ჰეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე., და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 371.

საერთო ქონებაში არსებული მაღაზიის გაქირავება გონივრულ ზომად მიიჩნევა იმის გათვალისწინებით, რომ თანასაკუთრება მრავალი ვალდებულებითაა დატვირთული, რომელთა შესრულებაც გარკვეულ დროს საჭიროებს და შესაბამისად, ეკონომიკურად აუცილებელია კომერციულად მნიშვნელოვანი ქონების გაქირავების შესაძლებლობის არსებობა.⁵⁹⁴

გასათვალისწინებელია, რომ ლიკვიდაციის ეტაპზე შესაძლებელია ინდივიდუალურად ერთ-ერთი მეუღლეც იყოს საერთო ქონების მმართველი მხოლოდ მაშინ, როდესაც მოცემულია „*ორმაგი კეთილსინდისიერების*“ შემთხვევა. კერძოდ, აღნიშნული ცნება შექმნილია გსკ-ის 1472-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე და შემდეგ მოცემულობას გულისხმობს: „*საერთო ქონების მმართველს მანამ შეუძლია ინდივიდუალურად მართოს ქონება, სანამ არ შეიტყობს საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ, თუმცა ამასთან ერთად აუცილებელია მესამე პირმა გარიგების დადებისას იცოდეს ან მოეთხოვებოდეს ცოდნა იმის შესახებ, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი შეწყვეტილია*“.⁵⁹⁵ შესაბამისად, კეთილსინდისიერება მოეთხოვება როგორც ქონების მმართველ მეუღლეს, ასევე მესამე პირსაც და სწორედ აღნიშნული მოცემულობა გამოხატავს კეთილსინდისიერების ორმაგ ხასიათს, რომლის მიხედვით საგამონაკლისო წესად აღიარებულია ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალურად სალიკვიდაციო ქონების მართვის შესაძლებლობა.⁵⁹⁶

გასათვალისწინებელია, თუ როგორ განისაზღვრება ლიკვიდაციის ეტაპზე ახლად შეძენილი ქონების საკუთრებითი ბედი. კერძოდ, საერთო ქონების რეჟიმის გაუქმების შემდეგ, უნდა მოხდეს მისი გაყოფა, თუმცა დაუშვებელია ამავე ქონების გაზრდა.⁵⁹⁷ შესაბამისად, ის ზოგადი წესი, რომლის თანახმად ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება, ლიკვიდაციის ეტაპზე ახლად შეძენილი ქონების მიმართ აღარ გამოიყენება. თუმცა მოცემულ შემთხვევაში გერმანული კანონმდებლობის საფუძველზე გათვალისწინებულია დანაწესი (გსკ-ის 1473-ე

⁵⁹⁴ Fahrmeier S., OLG Frankfurt a.M.: Verwaltung des Gesamtguts nach der Scheidung, NJOZ, Heft 37, 2007, 4153.

⁵⁹⁵ *ქეჟელაშვილი ზ.*, BGB გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, *ჩაჩანიძის ე. და დარჯანიას თ.*, რედაქტორობით, თბილისი, 2019, 371.

⁵⁹⁶ BeckOK BGB/Spernath, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1472 Rn. 6.

⁵⁹⁷ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB §§ 1471-1473 Rn. 11.

პარაგრაფის პირველი ნაწილი), რომლის მიზანია დაადგინოს გამონაკლისი იმ წესიდან, რომელიც შესაძლებლად არ მიიჩნევა საერთო ქონების ზრდას ლიკვიდაციის ეტაპზე.⁵⁹⁸ კერძოდ, რეგულაცია ერთმანეთისგან გამოყოფს და განასხვავებს სამი კატეგორიის ქონებას: 1. ქონება, რომელიც მოპოვებულია თანასაკუთრებისათვის მიკუთვნებული უფლების საფუძველზე. მაგალითად, ნივთის ნაყოფი, მოთხოვნის პროცენტი და სხვა. 2. სუბროგაციის საფუძველზე მიღებული ქონება - მაგალითად, დაზიანების, განადგურების, დაკარგვის სანაცვლოდ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და სხვა. 3. იმ გარიგების საფუძველზე შეძენილი ქონება, რომელიც თავის მხრივ საერთო ქონებასთან არის დაკავშირებული - მაგალითად, საერთო ქონების გაყიდვის სანაცვლოდ მიღებული ნასყიდობის საფასური.⁵⁹⁹ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, შესაბამისი ქონების მეშვეობით მეუღლეთა თანასაკუთრების გაზრდას აქვს ადგილი და მის მიმართ გაყოფის საერთო წესები გამოიყენება.⁶⁰⁰

1.1. საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრა

საერთო ქონების რეჟიმის სალიკვიდაციო ეტაპი, გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, ასევე ითვალისწინებს რიგი მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას და გადაწყვეტას, რაც ერთმნიშვნელოვნად წინ უსწრებს/უნდა უსწრებდეს საერთო ქონების გაყოფის პროცესს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრა.

საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრა გულისხმობს სამი სახის ქონების იდენტიფიცირებას: 1. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, რომელიც არ არის გათვალისწინებული რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური საკუთრების სფეროში

⁵⁹⁸ BeckOK BGB/Spernath, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1473 Rn. 1.

⁵⁹⁹ იქვე., Rn. 2.

⁶⁰⁰ მაგალითად, იხ., სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია, რომ საერთო ქონებაში არსებული ნივთის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი (ქირა) სალიკვიდაციო ეტაპზე მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება, FamFR 2013, 475.

(სსკ-ის 1158-ე მუხლი). 2. ინდივიდუალური ქონება, რომელიც ტრანსფორმირდა მეუღლეთა თანასაკუთრებად (სსკ-ის 1163-ე მუხლი) და 3. სუბროგატები. აღნიშნულ ეტაპზე ასევე უნდა გამოირიცხოს ისეთი ქონება, რომელიც განეკუთვნება თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებას და არასრულწლოვან შვილებს.⁶⁰¹ საერთო ქონების შემადგენლობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი რეჟიმის დასრულების მომენტისათვის არსებული მდგომარეობით. საერთო ქონების რეჟიმის დასრულების მომენტი განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო რეჟიმის შეწყვეტის საფუძველი.⁶⁰²

1.2. საბაზრო ღირებულების დადგენა

მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ უნდა მოხდეს მისი გაყოფა, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული პროცესი დაუყოვნებლივ დაიწყოს და განხორციელდეს.⁶⁰³ შესაბამისად, საერთო ქონების შემადგენლობის განსაზღვრის მომდევნო ეტაპი გასაყოფი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენაა. აღსანიშნავია, რომ საბაზრო ღირებულების დასადგენად, ყველაზე გავრცელებულ თარიღად მიიჩნევა საბოლოო გაყოფის დღე, თუმცა მაგალითად, კანადის სხვადასხვა პროვინციაში მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციები (*Statutes*), რიგ საკითხებთან ერთად, განსხვავდებიან გასაყოფი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის თარიღების მიხედვით.⁶⁰⁴ საერთო ჯამში ანგლო-ამერიკული სამართლის მიერ გაზიარებულია გასაყოფი ქონების ღირებულების განსაზღვრის წესი საბაზრო და არა ნომინალური ღირებულების მიხედვით.⁶⁰⁵

⁶⁰¹ *რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 113.

⁶⁰² *Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W.*, Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 323.

⁶⁰³ *Beilfuss C.G.*, CEFL Report – Property Relations, Spain, 2008, 23.

⁶⁰⁴ *Talpis J. A.*, Equitable Distribution of Matrimonial Property in Private International Law, Estates, Trusts & Pensions Journal, Vol. 26, 2006, 69.

⁶⁰⁵ *Reppy W. A. JR.*, Community Property, Chicago, 2003, 100.

1.3. კომპენსაციების განხორციელება

საერთო ქონების ლიკვიდაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია მეუღლეთა მიერ კომპენსაციების განხორციელება. კერძოდ, დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხი: იმის გათვალისწინებით, რომ საერთო ქონების ლიკვიდაციის ეტაპი არ არის რეგულირებული ქართულ სამართალში, ასევე გაურკვეველია საკითხი მეუღლეთა შორის სავარაუდო კომპენსაციების განხორციელების თაობაზე. ერთადერთი ნორმა, რომელიც კომპენსაციის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 1166-ე მუხლია, რომელსაც ვიწრო გამოყენების სფერო გააჩნია და პროფესიული საჭიროებისათვის ნივთების გადაბარების შედეგად, გადამბარებული მეუღლის წილის გაზრდისას შეიძლება იქნეს გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ ევროპული იურისდიქციები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორი ფორმით ითვალისწინებენ კომპენსაციის შესაძლებლობას. კერძოდ, ერთმანეთისგან განასხვავებენ - 1. კომპენსაციას ფულადი ანაზღაურების და 2. კომპენსაციას ქონებრივი უფლებების ცვლილების სახით.⁶⁰⁶ ქართული სამართალი განეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, სადაც შესაბამის შემთხვევაში (სსკ-ის 1163-ე მუხლი) ადგილი აქვს ქონების საკუთრებითი რეჟიმის ცვლილებას, ყოველგვარი დამატებითი ფულადი თუ ნატურით კომპენსაციის გარეშე.

რუსული სამართლის მიხედვით, სსკ-ის 1163-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი შეიძლება დადგეს არა კანონის ძალით, რასაც მოცემულ შემთხვევაში სანივთო სამართლებრივი ეფექტი ეწოდება, არამედ მეუღლეთა შეთანხმების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.⁶⁰⁷ თუმცა მსგავსად ქართული სამართლისა, შესაძლებელია მეუღლეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მიუხედავად მეორე მეუღლის ინდივიდუალური ქონების მიმართ განხორციელებული ინვესტიციებისა, აღნიშნული ქონება მაინც არ გადაიქცევა მეუღლეთა თანასაკუთრებად, არამედ შესაბამის მეუღლეს, გაწეული ხარჯების ანაზღაურების ე.ი. ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის უფლება წარმოეშევა.⁶⁰⁸ მიუხედავად აღნიშნულისა, ორივე

⁶⁰⁶ Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 326.

⁶⁰⁷ ვებ-გვერდი: <www.consultant.ru> [ბოლო ნახვის თარიღი: 23.09.2023].

⁶⁰⁸ Антокольская М.В., Семейное Право: Учебник, Москва, 2002, 149.

სამართალს საერთო პრობლემა აერთიანებს - არც ერთ მათგანში არ მოიძებნება რეგულირება, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ინდივიდუალური ქონების ინვესტირება ხორციელდება მეუღლეთა თანასაკუთრებაში. ასეთ შემთხვევაში, რუსული დოქტრინა გვთავაზობს პრობლემის გადაწყვეტის სამ ალტერნატიულ ვარიანტს: 1. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ზოგადი წესი, რომლის თანახმად ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებას განეკუთვნება, თუ კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გამონაკლისი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო დაადგენს, რომ ნებისმიერი ინვესტირებული აქტივი საერთო ქონებაში, მეუღლეთა თანასაკუთრებად ჩაითვლება ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. 2. სასამართლოს შეუძლია კანონის ანალოგიის წესით გამოიყენოს რფსკ-ის 37-ე მუხლი (სსკ-ის 1163-ე მუხლი) და დაადგინოს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებად გადაიქცევა, კერძოდ იმ მეუღლის, რომელმაც პირადი ქონება თანასაკუთრების გაუმჯობესების მიზნით გამოიყენა. 3. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ნორმები უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ.⁶⁰⁹ მაგალითად, ერთ-ერთმა მეუღლემ პირადი სახსრებით გაარემონტა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, რომლის ღირებულებაც აღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, თანაზიარი საკუთრების ბუნების გათვალისწინებით, მეორე მეუღლეც გამდიდრდა, თუმცა მაინც არ არის გასაზიარებელი პრობლემის გადაწყვეტის ზემოთ დასახელებული მე-3 ვარიანტი, რადგან აღნიშნულ გამდიდრებას სამართლებრივი, კერძოდ კანონისმიერი საფუძველი გააჩნია სსკ-ის 1158-ე მუხლის სახით. აგრეთვე, არც კანონის ანალოგიის წესით გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს, რადგან მისი გამოყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევებშია შესაძლებელი (სსკ-ის მე-5 მუხლი), ხოლო მოცემულ შემთხვევაში თანასაკუთრებისთვის მიმატებული ქონების ან/და გაწეული დანახარჯების საკუთრებითი ბედი ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული სსკ-ის 1158-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, ქართულ სამართალში, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ინდივიდუალური ქონების გამოყენების შედეგად

⁶⁰⁹ Antokolskaia M., CEFL Report - Property Relations, Russia, 2008, 18.

თანასაკუთრების გაუმჯობესების შემთხვევაში, გამოყენებული პირადი ქონება ან/და მისი გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგი (ხარჯის გაწევის სანაცვლოდ ნივთის გაუმჯობესება), მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა ჩაითვალოს ყოველგვარი სანაცვლო ანაზღაურების გარეშე (მათ შორის, დანახარჯების კონდიქციის გამორიცხვით), თუ საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმებული არ არის ფულადი ან სხვაგვარი კომპენსაცია.

1.4. საერთო ვალდებულებების შესრულებისა და კომპენსატორული მოთხოვნების რიგითობა

თანასაკუთრების რეჟიმის ლიკვიდაციის ეტაპისათვის დამახასიათებელია კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მეუღლეთა საერთო ვალდებულებების შესრულებისა და კომპენსატორული მოთხოვნების რიგითობის სახელწოდებითაა ცნობილი. გერმანული სამართლის მიხედვით, მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები პირველ რიგში ე.ი. ქონების გაყოფამდე უნდა შესრულდეს.⁶¹⁰ თითოეულ მეუღლეს თანაბარწილად ეკუთვნის ის ქონება, რომელიც საერთო ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩება.⁶¹¹ მართალია აღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად დგინდება საერთო ვალდებულებების შესრულების უპირატესობა უშუალოდ თანასაკუთრების გაყოფის მიმართ, თუმცა კომისიის მიერ გამოკვლეული ევროპული იურისდიქციები განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორი მიმართება არსებობს ერთი მხრივ საერთო ვალდებულებების შესრულებას და მეორე მხრივ მეუღლეთა კომპენსატორულ მოთხოვნებს შორის. კერძოდ, სახელმწიფოთა პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან ქვეყნები, სადაც საერთო ვალდებულებების შესრულებას უპირატესი რანგი ენიჭება და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ ხდება შესაძლებელი მეუღლეთა კომპენსატორული მოთხოვნების განხორციელება, ხოლო სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში შემავალი ქვეყნები არ ანიჭებენ უპირატესობას რომელიმეს და ორივე

⁶¹⁰ BeckOK BGB/Spernath, 67. Ed. 1.8.2023, BGB § 1475.

⁶¹¹ MüKoBGB/Münch, 9. Aufl. 2022, BGB § 1476 Rn. 1.

მათგანს თანაბარი რანგის ფარგლებში განიხილავენ.⁶¹² ამ თვალსაზრისით ქართულ სამართალში, არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის ნორმა, რომელიც ხსენებული კატეგორიებიდან რომელიმე მათგანს უპირატესობას მიანიჭებდა. შესაბამისად, ქართულ სამართალში საერთო ვალდებულებების შესრულებასა და მეუღლეთა კომპენსატორულ მოთხოვნებს თანაბარი რანგი უნდა მიენიჭოთ. აქედან გამომდინარე, მათი რეალიზაცია უნდა მოხდეს საერთო ქონების გაყოფის პროცესის დაწყებამდე. აღსანიშნავია, რომ მათ შორის, „ამავე ეტაპზე უნდა განხორციელდეს საერთო ქონებიდან ცალკეული ნივთების გადაბარების უფლების გამოყენება ერთ-ერთი მეუღლის მიერ და შესაბამისი კომპენსაციის მოთხოვნების წარდგენაც, საჭიროების შემთხვევაში“.⁶¹³

დანართი N 3 - სარჩოს ოდენობის განსაზღვრა

გერმანულ სამართალში, ქართულ მოწესრიგებასთან (სსკ-ის 1185-ე მუხლი) შედარებით, სარჩოს ოდენობის დამდგენი წესები საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ მეუღლეთა შორის ურთიერთობის რომელ ეტაპს განვიხილავთ. კერძოდ, გსკ-ის 1578-ე პარაგრაფი (სარჩოს ოდენობა) პირდაპირ გამოიყენება მხოლოდ განქორწინების შემდგომ რჩენის ოდენობის დადგენისას, ხოლო შეზღუდული ფორმით, ქორწინების ბათილობის შემთხვევაში (გსკ-ს 1318-ე პარაგრაფის პირობების გათვალისწინებით). რაც შეეხება უშუალოდ ქორწინების განმავლობაში სარჩოს ოდენობის განსაზღვრას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გსკ-ის 1360-ა პარაგრაფი, რომელიც შეეხება ოჯახის რჩენის ვალდებულების მოცულობას, ხოლო მეუღლეთა განცალკევებით ცხოვრების შემთხვევის მიმართ გსკ-ის 1361-ე პარაგრაფი ვრცელდება. მიუხედავად, გსკ-ში არსებული სტრუქტურული განსხვავებისა, ნორმათა გამოყენების კუთხით შინაარსობრივი სხვაობა არ დგინდება.⁶¹⁴ კერძოდ, სარჩოს ოდენობის განსაზღვრის პროცესში აუცილებლად

⁶¹² Boele-Woelki K., Ferrand F., Beilfuss C.G., Jantera-Jareborg M., Lowe N., Martiny D., Pintens W., Principles of European Family Law Regarding Property Relations Between Spouses, Cambridge-Antwerp-Portland, 2013, 329.

⁶¹³ რუსიაშვილი გ., ბატიაშვილი ზ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 114.

⁶¹⁴ MüKoBGB/Maurer, 9. Aufl. 2022, BGB § 1578 Rn. 5.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:⁶¹⁵ 1. ოჯახის ცხოვრების სტანდარტი. 2. ფინანსური რესურსი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ სარჩოს მიმღებმა მეუღლემ საკუთარი მატერიალური საჭიროებები დაიკმაყოფილოს, რაც თავის მხრივ ოჯახის ცხოვრების სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს. 3. მარჩენალი მეუღლის მიერ სარჩოს გადახდის უნარი. 4. რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირის არსებობისას, სარჩოს მიღების უფლებათა რიგითობა. 5. რჩენის მოთხოვნის უფლებასთან დაკავშირებული შესაძლო შეზღუდვები - როგორც თანხის ოდენობის, ასევე რჩენის ხანგრძლივობის კუთხით.

სარჩოს ოდენობის განსაზღვრისათვის პირველადი კრიტერიუმი ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დადგენაა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლო განიხილავს განქორწინებული მეუღლის მოთხოვნას ყოფილი მეუღლისათვის სარჩოს დაკისრებასთან დაკავშირებით, მან უნდა იხელმძღვანელოს იმ მატერიალური/ოჯახური მდგომარეობით, რომელიც ქორწინების განმავლობაში არსებობდა. ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დასადგენად ჩვეულებრივ გამოიყენება ცხოვრების ის პირობები, რომელშიც მეუღლეები ოჯახური თანაცხოვრების დროს იმყოფებოდნენ.⁶¹⁶ შესაბამისად, მაშინაც, როდესაც სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რა ფინანსური რესურსია საჭირო იმისათვის, რომ სარჩოს მიმღებმა მეუღლემ საკუთარი მატერიალური საჭიროებები დაიკმაყოფილოს, აღნიშნული მიდგომა არ უნდა იქნეს პირდაპირ გაგებული - სასამართლომ სარჩოს ოდენობა უნდა განსაზღვროს არა სარჩოს მიმღები მეუღლის გონივრული მოთხოვნილებების მიხედვით, არამედ ოჯახური ცხოვრების სტანდარტის შესაბამისად, რომელიც ქორწინების განმავლობაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობდა.⁶¹⁷ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში კონკრეტული ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დასადგენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვა მსგავსი ოჯახის სტანდარტის განსაზღვრას ე.ი. ისეთი ოჯახის, რომელიც საკუთარი წევრთა რაოდენობითა და შემოსავლებით განსახილველი ოჯახის არსებითად მსგავსია - აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სასამართლოს მიერ

⁶¹⁵ იქვე., Rn. 6.

⁶¹⁶ იქვე., Rn. 7.

⁶¹⁷ *Jauernig/Budzikiewicz*, 19. Aufl. 2023, BGB § 1578 Rn. 1.

სახელმძღვანელო ორიენტირად განხილულ უნდა იქნეს არა ინდივიდუალური ოჯახის ცხოვრების პირობები, არამედ მისი მსგავსი საშუალო სტატისტიკური ოჯახის ცხოვრების სტანდარტი.⁶¹⁸ სასამართლოს მიერ მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის მხედველობაში მისაღებად აუცილებელია, რომ ისინი განგრძობითად (ხანგრძლივად) ზემოქმედებდნენ ცხოვრების სტანდარტის ფორმირებაზე.⁶¹⁹

იურიდიულ ლიტერატურაში აგრეთვე განიხილავენ სარჩოს ოდენობის კალკულაციის გარკვეულ ეტაპებს, რომელთა დაცვის შემთხვევაშიც სასამართლოს შეეძლება სათანადოდ განსაზღვროს სარჩოს ოდენობა. კერძოდ, აღნიშნული ეტაპები მოიცავს შემდეგს:⁶²⁰ საწყის ეტაპად მიიჩნევა ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დადგენა. აღნიშნული სტანდარტი უნდა დადგინდეს მეუღლეთა შემოსავლების განსაზღვრით ე.ი. ობიექტურად. პრაქტიკაში, მეუღლეთა საჭიროებების განსაზღვრა წარმოებს თითოეული მათგანისათვის საერთო შემოსავლებში შესაბამისი წილის მიკუთვნებით. ზოგადი წესის თანახმად, თითოეულ მეუღლეს განეკუთვნება საერთო შემოსავლის მხოლოდ ნახევარი, რადგან აღნიშნული მიდგომა მეუღლეთა ურთიერთდახმარების როლურ სიმეტრიას ყველაზე მეტად შეესაბამება. თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მეუღლეთა ყოველთვიური საერთო შემოსავლის თანაბრად მიკუთვნების წესიდან გადახვევას აქვს ადგილი საგამონაკლისო გარემოებებიდან გამომდინარე, რომელთა შორისაც უმთავრესად აღსანიშნავია „შემოსავლის მქონის ბონუსის“ წესი - „*ფულის შემომტან მარჩენალს უნდა დარჩეს იმაზე მნიშვნელოვნად უფრო მეტი, ვიდრე მეორე მეუღლესა თუ ყოფილ მეუღლეს*“.⁶²¹ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როდესაც ოჯახში ერთი მეუღლე დაკავებულია შემოსავლის გამომუშავებით, ხოლო მეორე მეუღლე საოჯახო მეურნეობის გაძღოლით, ასეთ დროს გაითვალისწინება როგორც პირველი მეუღლის მიერ მიღებული შემოსავლების ოდენობა, აგრეთვე მეორე მეუღლის მხრიდან გაწეული საოჯახო საქმიანობა (სახლის მოვლა, შვილების აღზრდა), რადგან ეს უკანასკნელიც განაპირობებს ოჯახის ცხოვრების სტანდარტის ფორმირებას. მართალია

⁶¹⁸ HK-BGB/Kemper, 12. Aufl. 2023, BGB § 1578 Rn. 3.

⁶¹⁹ Jauernig/Budzikiewicz, 19. Aufl. 2023, BGB § 1578 Rn. 2.

⁶²⁰ BeckOK BGB/Beutler, 69. Ed. 1.2.2024, BGB § 1578 Rn. 12.

⁶²¹ *რუსიაშვილი გ., ქავშაია ნ., ბატიაშვილი ზ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი VII, თბილისი, 2021, 177.

გამომუშავებული შემოსავალი ოჯახის ფინანსურ ბაზისს ჰქმნის, რის გამოც ის რჩენის მოვალეობის განსაზღვრის პროცესში ძირითად ფაქტორად უნდა იქნეს მიჩნეული, თუმცა ოჯახის ცხოვრების სტანდარტი განისაზღვრება ეკონომიკურად მნიშვნელოვანი პროფესიული, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული, საოჯახო და სხვა მსგავსი ფაქტორების ერთობლიობით.⁶²²

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დადგენის პროცესში გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც ცხოვრებისეული საჭიროებების დასაფარად გამოიყენება და განგრძობადი (ხანგრძლივი) ზეგავლენა გააჩნია ცხოვრების პირობებზე. ამგვარი გზით ფორმირებული მეუღლეთა საერთო სარჩენი თანხის მიმართ გამოიყენება თანაბარი გაყოფის პრინციპი, რომლის მიხედვით საერთო შემოსავალმა ორივე მეუღლეს თანაბრად უნდა მოუტანოს სარგებელი, მიუხედავად იმისა, ის გამომუშავებულია მხოლოდ ერთი თუ ორივე მათგანის მიერ.⁶²³ მეუღლეთა შემოსავლების განსაზღვრის პროცესში გაითვალისწინება არა მხოლოდ ხელფასის სახით მიღებული თანხა, არამედ შემდეგი კატეგორიის ფინანსური სახსრებიც:⁶²⁴ 1. ხელფასის შემცვლელი შემოსავალი, რაშიც მოიაზრება სხვადასხვა სახის პენსიები. მაგალითად, მოხუცებულობის ასაკის ან დაქვეითებული შრომისუნარიანობის გამო მიღებული საპენსიო შემოსავალი. 2. მესამე პირთა მხრიდან ორივე მეუღლისთვის განხორციელებული შემოწირულობა. 3. სოციალური დახმარების სახით მიღებული თანხები თუ სხვა. ცხადია, შემოსავლებში ასევე მოიაზრება სამეწარმეო საქმიანობიდან, ქონების გაქირავებიდან თუ დაზღვევიდან მიღებული თანხებიც. აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ისეთი საქმიანობიდან მისაღები ანაზღაურება, რომლის განხორციელებაც არ შეიძლება მეუღლეებს მოეთხოვოთ, რადგან ასეთი ტიპის საქმიანობას არ გააჩნია განგრძობადი (ხანგრძლივი) ეფექტი ოჯახის ცხოვრების პირობებზე, შესაბამისად მისი შეწყვეტა მეუღლეს ნებისმიერ მომენტში შეუძლია და დამატებით აღსანიშნავია, რომ არ გაითვალისწინება ფიქტიური

⁶²² BGH NJW 2001, 2254.

⁶²³ *Johannsen/Henrich/Althammer/Hammermann.*, Familienrecht, 7. Aufl. 2020, BGB § 1578 Rn. 25.

⁶²⁴ *MüKoBGB/Maurer*, 9. Aufl. 2022, BGB § 1578 Rn. 17.

შემოსავლებიც.⁶²⁵ აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისგან გამიჯნულია ორი სახის დანაზოგი:⁶²⁶ 1. დანაზოგი, რომელიც სარეზერვო კაპიტალის როლს ასრულებს და გამოიყენება ქონების დაგროვებისთვის (აკუმულირებისთვის). ეს არის შემთხვევა, როდესაც დაგროვილი თანხის კაპიტალის სახით დაბანდება ხდება სხვადასხვა სახის ქონებაში (აქციებში, უძრავ ქონებაში თუ სხვა) იმ მიზნით, რომ აღნიშნულმა დაბანდებამ შესაბამისი მოგება მოუტანოს დაინტერესებულ პირს. 2. დანაზოგი, რომელიც საბოლოო ჯამში კონკრეტული ქონების შესაძენად გამოიყენება და შესაბამისად, ამავე ქონების შეძენითა და მისი განგრძობადი მოხმარებით მეუღლეთა ცხოვრების დონე უმჯობესდება. პირველ შემთხვევაში დანაზოგი საერთო შემოსავალში არ გაითვალისწინება სარჩოს ოდენობის გაანგარიშებისას, ხოლო მეორე შემთხვევაში დანაზოგის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ეს უკანასკნელი მეუღლეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ახდენს გავლენას.

ხაზგასასმელია, რომ ოჯახის ცხოვრების სტანდარტის დადგენის პროცესში მეუღლეთა შემოსავლებისა და ქონების განსაზღვრის გარდა, მნიშვნელოვანია მეორე მხრივ დადგინდეს ყოფითი ხარჯების ოდენობაც. ეს უკანასკნელი მოიცავს როგორც ყოველდღიურ, ასევე განსაკუთრებულ ხარჯებს.⁶²⁷ საკრედიტო მოთხოვნების ფარგლებში გასაწევი ხარჯები გაითვალისწინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ განსაზღვრული ხანგრძლივობა და მდგრადობა გააჩნიათ - კერძოდ, მოკლევადიანი სამომხმარებლო სესხი არ გაითვალისწინება სარჩოს ოდენობის განსაზღვრის პროცესში, თუმცა სესხი, რომელიც მეუღლეებმა მიიღეს სახლის ასაშენებლად, ჩვეულებრივ გაითვალისწინება, რადგან ამ შემთხვევაში სესხის ოდენობა და მისი დაფარვის პირობები ხანგრძლივად ახდენს გავლენას ოჯახის ცხოვრების სტანდარტზე.⁶²⁸

ცხადია, რომ მეუღლეთა მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, რაც გათვალისწინებულია საოჯახო კანონმდებლობის მიერ და შესაბამის მეუღლეს როგორც გერმანიაში, აგრეთვე

⁶²⁵ HK-BGB/Kemper, 12. Aufl. 2023, BGB § 1578 Rn. 24.

⁶²⁶ იქვე., Rn. 6.

⁶²⁷ იქვე., Rn. 2.

⁶²⁸ იქვე., Rn. 27.

საქართველოში მინიჭებული აქვს სასამართლოსადმი მიმართვის უფლება სარჩოს ოდენობის ცვლილების მოთხოვნით. სარჩოს ოდენობის ცვლილებას საფუძვლად შეიძლება დაედოს არა მხოლოდ შეცვლილი მატერიალური ან/და ოჯახური მდგომარეობა, არამედ იმგვარად შეცვლილი მდგომარეობა, რომლის წინასწარი პროგნოზირება შესაძლებელი უნდა იყოს - განქორწინებული მეუღლეების შემთხვევაში განქორწინების მომენტში.⁶²⁹ გერმანიის ფედერალური სასამართლოს განმარტების თანახმად, შემოსავლების ფარგლებში მომხდარი გვიანდელი ცვლილებები (განქორწინების შემდგომი) ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სარჩოს ოდენობის განსაზღვრის პროცესში, იმ პირობით, თუ მათ ასევე ექნებოდათ ადგილი ქორწინების გაგრძელების შემთხვევაშიც ან სხვაგვარად დამახასიათებელი იქნებოდა ქორწინებისთვის და მაღალი ალბათობით მოსალოდნელი იყო მათი მიღება.⁶³⁰ ანალოგიურად გასათვალისწინებელია შემოსავლების შემცირებაც, იმ პირობით, თუ ისინი იმსახურებენ ყურადღებას და მათი გათვალისწინება არ შეეწინააღმდეგება მეუღლეთა ქორწინების შემდგომ წარმოშობილ სოლიდარობას.⁶³¹

⁶²⁹ BeckOK BGB/Beutler, 69. Ed. 1.2.2024, BGB § 1578 Rn. 29.

⁶³⁰ იქვე., Rn. 31.

⁶³¹ BGH NJW 2008, 1663.